

Ճ Ծ Հ Ճ Շ Ը

## თვითური გურიანი

წელიწილი მეცნავე

**No VII**

0 3 73 0 60, 1902



Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 Августа 1902 г.



ଶ୍ରୀନାନ୍ଦେଶ

I	დამწავა სურვილით.	—გ. ბარნოვისა.	1
II	ბედის მჯავრი.	—(ეტიუდი) შ. არაგვისშირელისა	17
III	მზოსანს.	—(ლექსი) ლადო ახაბაძესა	29
IV	სამწი.	— მ. გორგისა, თარგმანი შოლუმფრდეგინვა- გისა.	31
V	ტარას ბულგა.	—(ძოთხრობა) ა. გ. გოგოლისა, თარ- გმანი ინ-ანისა (გაგრძელება)	67
VI	არეოლოგიური მოგზაურობაი და შეიცვნა- ნი.	—ე. თაყაიშვილისა	1
VII	ჰამლეტ.	—გერვანიუსისა (დასასრული)	19
VIII	უცხოეთის მიმოხილვა.	—ინგლისი: ლორდ სოლსბე- რის სამსახურიდან გამოსვლა.—ბალფური —მისი მექვიდრე.— გაცრუებული იმედი.—ჩემბერლენის გავლენა ძეველ და ახალ პრემიერზე.—რამ გააძლიერა კონსერვატორთა პარტია.—რამ დაასუსტა ლიბერალები.—წარსული კაბინეტის რეაქციონური პროგრამმა. — ნიშნები თვპოზიციის გაძლიერებისა.—მეფე ედუარდ VII დაგვირგვინება. — საფრანგეთი: ბრძოლა კონგრეგაციების წინააღმდეგ.—კლერიკალების ონეგბი და მათი მოქმედება პროგნოსით. — როიალისტური ხასიათი მოძრაო- ბისა.—აფიცერის პროტესტი.	41
დამატება.	—საბერძნეთის ქველი ისტორია დასაწყი- სილაც დამზადებლობის დაკარგვამდე.	—ფრან- გულიდან ნათარგმნი ვ. ლ—ს	161—192

# დაეჭაფა სურვილით

1

მაისის ღამე იყო ბადრი მთვარით გაბრწყინვებული. სოფელ შვინდიანს ჯერ არ ეძინა. დიასახლისები ვახშამს ამზადებდნენ; ძილმორეული ბავშვები დედებს გარს ევლებოდნენ, კალთებს უჭერდნენ, არ შორდებოდნენ; დამაშვრალნი მუშაკნი იშმუშნებოდნენ, ვახშამს ელოდნენ; შეღერებული გოგოები საუბრით ვერ გამაძლარიყვნენ და, თუმცა ბევრჯელ ეთქვათ, ღამე მშვიდობისა, მაინც ერთმანეთი არ ეთმობოდათ, სიტყვა ვერ შეეწყვიტნათ, გაყრა უმძიმდათ.

ფოცხვერაანთ ბაბუცამ მიართო თავისებს ვახშამი, თოთონაც მოკიკნა ცოტა რამ, ოდნავ შეახო ბაგე ლვინოს და გამოვიდა გარეთ. ლობესთან ურემი ეგდო, იმას დაეყრდნო ქალი. გადაღმა დიაკვნიანთ სახლი-ლა იდგა, იმის იქით იწყო ბოდა აბიბინებული მინდორი, ხასხასი ყვავილებით მოქარგული; ღამის ნიავს სუნელება მოჰქონდა იქიდან.

ქალმა მთვარეს დაუწყო მზერა. ის შენატროდა ღამის გუშაგს, შესტრფოდა ბრწყინვალეს. ბაბუცა ესაუბრებოდა მთვარეს, გულის ნადებს უზიარებდა მას. სავსე მნათობიც უალერსებდა ქალს, ყელს ეხვეოდა, თმას უვარაყებდა, მკრთალ სახეს უსხიოსნებდა, ზრუნვით დაჩაგრულ გულს უნათებუნუგეშებდა. ბადრი მესაიდუმლოე იყო ბაბუცასი. ქალი ყოველთვის უამბობდა მას თავის დარდს და ისიც ზეგარდამო ჰასუხს აძლევდა, ანუგეშებდა. ბაბუცამ იცოდა, რომ ბადრს არა გამოეპარებოდა-რა, რადგან ის ლვთის შვილი იყო ქვეყნის საიდუმლოების მკრეფავი. სხვებს კი მხოლოდ მნათობი



რამ ეგონათ. უსულო ბადრისაც ძალიან უყვარდა ბაბუკა. ბაბუკა დენჯერმე სხივებიც შემოარტყა წელს და თავისკენ აზიდა. ქალი მაშინ ისე დადიოდა დარბაზის გვირგვინზე, როგორც მფრინველი რამ. სხვებს კი ავადმყოფობა ეგონათ ეს, ფრთხილობდნენ არ ჩამოვარდესო, შიშით ხმას ვერ იღებდნენ. რა იცოდნენ, რა მაგრა ეჭირა მაშინ მთვარეს ქალი. თუ ისე მძიმე არ ყოფილიყო სხივებისთვის ქალის მიწიერი სხეული, მთვარე სულაც თავისთან მიიზიდავდა გოგონას.

ბაბუკა სხეა მნათობებსაც იცნობდა, სამყაროზე მოფენილებსა და ბევრჯელ სტკებებოდა მათი მიუწდომელი სიტურფით. რა საკვირველია ესა? გასაკვირველი კი არა, შესამჩნევი კი არის. რამდენი ატარებს სიცოცხლეს ისე, რომ ზევით არ იხედება, ან თუ აიხედება, მნათობებით მოოჭვილ სივრცის საიდუმლო სიდიდე—სიმშვენიერეს ვერ შენიშნავს, ვერ შეიგნებს. მარტო შრომის შვილებზე კი არ ვამბობ ამას, რომლებიც შავ მიწას ჩასცემიან, რადგან იქიდან ამოაქვთ პური არსობისა, უღელ-ახსნილებზე და იალაღზე გაშვებულებზედაც მოგახსენებთ ამას.

ბაბუკამ რომ ზეცას მზერა იცოდა, ეს მისმა ოსტატმა და დედობილმა ასწავლა მას ანბანთან ერთად, დიაკვნის ცოლმა მარინემ.

## II

ქალი დალონებული შეყურებდა მნათობს; თვალთ ნამიწამოადგა.

— „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო!“ ჩაილილინა ქალმა და ცრემლი მოიწურა.

— მე კი ვეღარ მაიმედებ, სასურველო, დათვლილია ჩემი სიხარულის დღეები. მაინც „მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიძღო“. მაშ ვის შევბედო, ვის მივმართო, ვის შევტირო? ჩემისთანა საწყალი ადამიანის იმედი ქვეყანაზედ არ არის, ზეცაშია. ჩემისთანა ბეჩავ კაცს აქ ვინ მოუსმენს?!... ბედნიერებას ხომ

ვეღარ მომანიჭებ, მაგრამ კეთილი ხარ ჩემი და თხოვნა ამი-  
სრულე: შენი ვერცხლის სხივები მოუალერსე ჩემ ქოჩორა  
ილიკოს! არ კი გააღვიძო, ძილი არ შეუშფოთო! დამაშვრა-  
ლია საწყალი: დაქანცული ჩამოვიდა ი წყეულ სკოლიდან და  
მოსვენება უნდა. შეუბრალებლივ უმუშავებიათ, უტანჯიათ.  
გამოდარა, გაცრეცილა, ვარდი შეჰქმნია ზაფრანათ. თითონ  
ხომ შებრალება არა აქვს თავის თავისა: სულ წიგნს ჩასჩიჩი-  
ნებს; თვალებს იწყალებს, ლამაზ თვალებს. დააძინე, მთვარე-  
ჯან, წყნარათ დაუხუჭე თვალები; უთხარ, შენთვის გულმკვ-  
დარი ბაბუცა გეალერსებათქო.

— ერთი წელიწადი-ლა მაკლია და სწავლას გავათავებ,  
მემრე რუსეთს წავალ, მეცნიერებას შევიძენ, კაცი შევიქმნე-  
ბი, პატიოსან ცხოვრებას შევიძლებო; იცი, ჩემო ბაბუცი,  
თავის დღეში არ დაგივიწყებ, დაზედ უტკბესათ მიყვარხარო.  
როგორ ამიჩუყდა გული, როცა ამას მეუბნებოდა! თავი ვეღარ  
შევიმაგრე, ავქვითინდი.

— ვაჲ, ნეტა შემეძლოს მტლეთ დავუდო ჩემი საწყალი  
თავი მის სიცოცხლეს, თავს შემოვევლო მას. მაგრამ ვინ მე,  
ვინ ის! ის ნასწავლი მშვენიერი ყმაწვილიკაცი, მე ერთი საწყა-  
ლი გლეხის გოგო! პატარაობისას იმასაც კი ვუყვარდი. ეხლაც  
ვუყვარვარ: მოვიდა თუ არა, ჩემთან მოირბინა. მაგრამ ვუყ-  
ვარვარ დასავით, დიახ, დასავით..... იმის დედას მეც ხომ დე-  
დილოს ვეძახი, რადგან მისი ძუძუ მიწოვნია, მისი აზრდილი  
ვარ. აბა როგორ მიმიხვდება, რომ მიყვარს?! თუნდაც მიმიხვ-  
დეს, ჩემისთანების შერთვას რას იყადრებს. მე კი ვიწვი უცეც-  
ხლოთ, ვდნები სანთელივით, ვილევი, ალარა ვარ; მე კი უმი-  
სობა ალარ შემიძლიან; ერთი მისი უბრალო შეხება მაწამებს,  
თრთოლასა მგვრის. გული მტკივა, გული! რა მალე მომესპო  
ყოველივე ბედნიერება! ჩემი ტოლი გოგოები სიხარულით  
არიან საფსენი, აგერ ზარივით გაისმის მათი კასკასი; ისინი  
კეთილს ელიან, მე კი.....

## III

— უი, ქა! შეჰეკივლა ბაბუცამ, როდესაც ილიკო უეცრათ ლობეს გამოსცდა, ხარიხებს გადაევლო და მის გვერდზედ გაჩნდა.

— შეგაშინე? შეეკითხა სიცილით ილიკო.— შორიდანვე დაგინახე და მოგეპარე. ისევ შენებურათ გიყვარს მარტოობა?

— ვახშამი მივართვი და გამოველ; მთვარემ გამომიტყუა.

— ბაბუციჯან, გიტირნია?! თვალები რათა გაქვს ნაცრემლი?

— ისე უეცრათ დავლონდი, ცრემლი მომივიდა; ხშირათ ვიცი ესე.

— ხომ ყველანი კარგათა ხართ, ხომ არა გალონებს-რა?

— არა! კარგათა ვართ. ისე, გული რასმე ღონიბდა. ან კი რა უხარიან საწყალ კაცს ამ ქვეყანაში.

— სევდა რამ შემოგწოლია, თორემ საწყალი რათ იქნები. ან თქვენი ოჯახი ვის ოჯახს ჩამორჩიმია, ან შენ ვიზედ რა ნაკლები ხარ. ცოდნით ხომ ამ სოფელში ტოლი არა გყავს. აი შენ ეშმაკო! ალბათ, დანიშნულმა გაწყენინა რამე.

— ვინ დანიშნულმა, ქა?!

— დედამ არ მითხრა, მელორიანთ ჭიჭიკა თხოულობსო! რას მიმალავ?

— უწინამც დღე გაუქრეს ი ჭიჭიკას, ბაბუცა სათავისოთ არა ნახოს!

— ეგრე იძახით ხოლმე, გული კი გიმღერით. შენი ჭირიმე, ბაბუციჯან, მითხარ ძალიან გიყვარს ჭიჭიკა? შეეკითხა ილიკო და თან წელზე ხელი მოხვია, თვალებში ჩახედა.

ვაჟის შეხებაზე ქალს ნეტარების ქრუანტელშა დაურბინა და თრთოლი დააწყებინა. ილომ იგრძნო თრთოლა და თანაგრძნობით •ჩაეკითხა გოგოს:

— ხომ არა გცივა, გენაცვალე? ჯერ ისევ ნესტია, შენ კი ცალიერი კაბით გამოსულხარ. ხომიცი, სუსტი ხარ. შალი გამოგიტანო?

ვაკის ამისთანა მზრუნველობამ ქალი უფრო ააღელება. ბინდ-ბუნდათ იგრძნო ილომ ქალის სევდა, ქალის გულის კვნესამ იმასაც გული ატკინა. დაიფანტა ახალგაზდა, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა.

— ილიკო, შენა ხარ, შვილო? მოისმა ბაბუცას დედიდის ხმა დერეფნიდან.

— მე ვარ, სალომე! შინ მივდიოდი, ბაბუცა დავინახე და შემოვტბრუნდი. ნეტა არ მოვსულიყავ! ბაბო რაღაზედაც არის დალონებული.

— ამ ბოლოს დროს ეგრე დასჩემდა, დადის დაძმარებული და თვალცრემლიანი. აგერ ორი კვირაა აქა ვარ და ეგ გაცინებული არ მინახავს, არ ვიცი, რა დაემართა, რა ცოდვა ეკითხა. საწყალმა მაგის დედამაც ეგრე იცოდა. ლამის სამკითხაოთ გაგვიხდეს საქმე.

— აყი გეუბნები, ადამიანო, გათხოვება უნდა და გულს ველარ მოპრევია მეთქი,—მისცა ხმა ბაბუცას მამამ.

— იცი, ილო,—მიუბრუნდა ყმაწვილ კაცს,—მელორიანთ ჭიჭიკა მთხოვს ბაბუცას და შემოდგომაზე გვექნება ქორწილი. ნეტა ერთი-ორი დღით გამოგიშვებდნენ ი შკოლიდან.

— თვალი ჭიჭიკასაც დაუდგა!—ჩაიტუტუნა ბაბუცამ და შინ შეტრიალდა.

— შენ ქორწილზე ლაპარაკობ, ე გოგო კი როგორლაც უარზე დგას; არ ვიცი, რითი გათავდება საქმე,—უთხრა სალომემ.

— რითი სწუნობს, ადამიანო? შეძლებით მე მჯობია და თითონ ბიჭიც კარგია. მე ვიცი სიმღერას დაუწუნებს! იცი, ილო: ჭიჭიკა რომ შემოსხახებს ხოლმე, გოგოებს სული მის-დით.

— ოლონდაც რომ დასაწუნი არ არის, მაგრამ გოგო როგორლაც შორს იქერს საქმეს.

— დედიჯან! ჩვენ ბაბოსთან გადავივლი, დიასახლისობას მიულოცავ; ვნახამ, როგორ მოეწყო ქმრისას.

— კარგს იზამ, შვილო! წადი, ნახე: გაეხარდება დალონებულს.

— დალონებულს თუ გახარებულს?

— დალონებულს და წყალწალებულს.

— მემრე რამ დააღონა, რამ მისცა წყალსა მდინარსა?

— რა ვიცი, შვილო! წადი ნახე; იქნება გაიგო რამე.

ქალი ის აღარ არის, რაც იყო; ველარ იცნობ.

— იქნება ქმარი ვერ გამოადგა?

— ქმარს რა უჭირს გლეხეცობის კვალობაზე: მშრომელი კაცია და პატივისმცემელი, მაგრამ ქალმა აითვალწუნა, შეიჯავრა; ყველა იმისი სიტყვა, თუნდა ალერსი, ემკვლელება, გულს ეკლათ ეხირება. ამბობენ, ჯვარისწერისას მგლის ქონი მოსცხესო კაცს და მგლის თვალზე დაანახვესო ცოლს.

— შენც დაიჯერე! სხვა რამ მიზეზი იქნება. იქნება ქალს არ მოსწონდა საქმრო და ძალათ გრიათოვეს კაცს.

— ძალათ რა პასუხია! ეკკლესიაში თანხმობა გამოაცხადა, თავი დაუკრა მლვდელს. ისიც კი უნდა თქვას კაცმა სულ ქვეშ, რომ ეჭვი ჰქონდათ ქალისა და გარს ალესილები ედგნენ. ვინ იცის, შეიძლება მართალიც იყოს, რასაც შენ ამბობ და ქალს ის კაცი არ მოსწონდა, მაგრამ ეგ ხომ ხშირად ხდება, მემრე ეჩვევიან ერთმანეთს. ბაბო კი გაბოროტდა და გააბოროტა ოჯახი. ვინ მოელოდდა იმ მშვიდი ქალისაგან მაგისთანა ამბებს.

— საკვირველია, ღმერთმანი! წავალ, ვნახამ; იქნება გავიგო რამე იმათი და ვარგო რამე.

ყმაწვილი რომ გავიდა სახლიდან, დედამ მოსიყვარულე თვალი გაადევნა და ჩაფიქრდა.

— ისე ვგრძნობ, რომ საწყალ ბაბოს ჯიგარი ჰქონდა ჩავარდნილი ჩემი ილოსი. ან რა საკვირველია შესთვისებოდა ამ

მშვენიერ ვაჟაცს, როდესაც ერთათ შევზარდე ყმაწვილები. რომ წამოლერდნენ ყმაწვილები, უნდა დამეშორებინა ერთმანეთისთვის, იმთავითვე უნდა მეფიქრნა, რომ ერთათა ვზდიდი სხვა-და-სხვა გზის მომავლებს.

7\*

ყმაწვილი კაცი რომ შევიდა ბაბოსთან, ქალი საკერავს აკეთებდა. მიემშვიდობა, მოიკითხა. აათვალ-ჩათვალიერა სახლი. ყველაფერი რიგზე იყო და სუფთათ. მოსაქმე დიასახლისის უნარი ეტყობოდა ბინას. ქალიც სუფთათ იყო ჩაცმული. ერთი შეხედვით ამ გლეხობის კვალობაზე კარგათ მოწყობილ სადგომს არ ეტყობოდა რამე უწესოება, დაუდევრობა, გულის აყრა. ქალის სახეს კი აჩნდა ცვლილება. პირის კანი ატკრეცილი ჰქონდა, კილოიანი ლმობიერი თვალები თითქო დამრგვალებულიყვნენ, წამოკაკლულიყვნენ, სისხლი მოჰქონდათ; სიმშვიდე გამქრალიყო იმათში. უწინ რომ გულუბრყვილოთ იცოდა პირდაპირ მზერა, ეხლა კაცს თვალს არიდებდა, სხვას რასმე უყურებდა.

ილოს შესვლაზე ქალი ჯერ შეკრთა, ფერი წაუვიდა, შეტურტმანდა, მაგრამ მალე შეიმაგრა თავი და მიეგება სტუმარს. ხმას სილბო დაჲკარგოდა, მჭახე ბგერა ისმოდა იმაში; მოკლეთ და მკაცრათ გამოიტყოდა სიტყვას. თავი კი ისე ეჭირა ქალს საუბრის დროს, რომ ვაჟს ეჭვი შეეპარა დედის ნაამბობზე, იფიქრა, ალბათ, გაზვიადებულია ქალის გაბოროტების ამბავით. ვერათრის გამოკითხვა ვერ გაძედა. მაგრამ როდესაც ზედდატანებაზე ჭიჭიკა შემოვიდა, ქალს თვალები აერია და სახემ სასტიკი გამომეტყველება მიიღო. კაცის ყველა მორიობას ეტყობოდა სიფრთხილე, თითქმის შიში და ეს მით უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მის მოკრთალებით სავსე თვალებში ცოლისადმი სიყვარული იხატებოდა.

ამაო გამოდგა კაცის სიფრთხილე: როდესაც ის ქალის ახლო ჩამოჯდა და დაღლილმა მაღიანად ამოიქმინა, ქალმა



ისე მედგრათ წაუსისინა, რომ კაცს მთავარცნება დააკარგვინა, სირცხვილში გაწურა. ამის შემდეგ კაცის ლაპარაკი, მიღვომ-მოდგომა, ჭამა-სმა, ან რაიმეს მიწოდება და ყოველი მისი მოძრაობა ისეთი ნაძალადევი და უხერხული შეიქმნა, რომ უნებლიერ ყურადღებას იქცევდა. ქალს ბრაზზე ხეთქამდა ეს, თუმცა კი ცდილობდა დაეფარნა, სტუმრისთვის არ შეემჩნევინებინა. რომ ქალი შაქზე იდგა და მზათ იყო ქმრისათვას ყან-ყრატო გამოელადრა, ამას ჭიჭიკაც და სტუმარიც ცხადათა გრძნობდნენ; თითონ ქალიც ხედავდა კაცების უხერხულ მდგო-მარეობას, მაგრამ თავს ვედარ იმაგრებდა. ამ გარემოებამ შე-ხუთა სიამოვნება, სული ამოაძრო კეთილგანწყობილებას და ვახშამი შხამათ გადააქცია. როდესაც ვაუი გამოეთხოვა ცოლ-ქმარს და გამოვიდა, ისე იგრძნო თავი, თითქო მძიმე რამ ტვირთი მოეხსნაო; თითქო ცუდ სიზმარს გამოერკვაო. თავი-სუფლათ ამოისუნთქა.

— ნერა რა დაპმართია იმ მშვიდ ქალს, რომ ესე საშინ-ლათ გამოცვლილა, ფიქრობდა ილიკო. ბაბუცა არის ისევ, მაგრამ თანაც ის არ არის; ისევ ჩემი დობილია, სული კი ფოცხვერისა უდგა, აფთრის გული უძევს.

## VI

ძნელ გარემოებაში ჩააგდო ბაბუცამ ქმარი და ოჯახი. უფრო ის იყო ცუდი, რომ ქალი ჰქედავდა, რამდენათ უდიე-რათ ეპყრობოდა ვაუკაცს, მისი გონების თვალი ნათელი იყო და უველავერს სწორეთ ამჩნევდა, მხოლოთ ძალა აღარა ჰქონდა თავი შეეკავებინა. რახან ერთხელ ჩათვალი ჭიჭიკა ბედნიერე-ბის მომშლელათ, გული ვედარ გაუსწორა იმას; იგი მიიჩნია ავაზაკათ, რომელმაც მოსტაცა ქალს თავი და მიითვისა, რო-მელმაც დაისაკუთრა სხვისათვის გამზადებული სიხარული. მარ-თალია, ქალი გრძნობდა, რომ იგი სხვა მტვირთელი არ იყო ამ ბედნიერებისა, რომ იგი სხვა ვერც კი წარმოიდგენდა ამ სიხარულს სათავისოთ, რომ იგი სხვა არც ჩასთვლიდა სასიკე-

თოთ ამ კეთილს და ზიზღით ზურგს შეკცევდა ქალს, ჯერ  
დაინახავდა მის ვნებათა ღელვას,—ქალი გრძნობდა ყველა  
ამას, მაგრამ მაინც რაღაცა გაცრუებულ იმედებით გატაცე-  
ბული იბოროლებდა თავს. რა იყო მიზეზი ამნაირი მისი ქცე-  
ვისა ან მიზანი? მიზეზათ მხოლოთ ის მიაჩნდა, რომ ქალს არ  
დასცალდა თავისი უიმედო სიყვარული გაეცხადებინა ვაჟისა-  
თვის, ჭიჭიკამ არ დააცალდა ეს.

— თუ ამ ჭიჭიკას არ წამოვეყვანე, იქნება მარჯვე დრო  
ჩამოვარდნოდა ხელში, მეთქვა ყველაფერი ყმაწვილისთვის.  
ვინ იცის, ისეთ გუნებაზე შემდგარიყო, რომ ეჩუქებინა ჩემ-  
თვის თვისი თავი. ის ხომ თავის დღეში არას დაიშურებდა  
ხოლმე ჩემთვის,—ფიქრობდა ქალი.

მიზანი კი ქალის უგვანო ქცევას არა ჰქონდა განსაზღვრუ-  
ლი. ქმრის გაქრობა, მისი მოსპობა არა ჰქონდა სახეში. ავი  
იყო თუ კარგი, მისი ქმარი იყო და ვერც უკეთესს იშოვნი-  
და, თუნდაც ხელ-ახლად დაპბრუნებოდა მას მისი ქალობა. მაში მაშ და მხოლოდ ეს სტანჯავდა: რაღვან თითონ იტანჯე-  
ბოდა სურვილის გაცრუების გამო, შურდა, რომ მისმა ქმარმა  
მიაღწია თავის მიზანს და შეუძლიან ნეტარება. აი სწორედ  
ამ ნეტარებას უშხამავდა, უნდოდა მიხწეული მიზანი კაცის-  
თვის ტანჯვის ბუდედ გადაქცეულიყო. ესეთი აზრი მოჩანდა  
ბუნდად მის გონების თვალ წინ. მხოლოდ მისი მოქმედება  
უფრო გრძნობას ემორჩილებოდა: ქმრის ტანჯვა ერთ გვარ  
სიამოვნებასა ჰგვიდა მის გასასტიკებულ გულს და თუმცა  
ესმოდა ქალს ამ სიმკაცრის უსამართლობა, მაგრამ ნება მოს-  
ტუნებოდა და ღონე აღარ შესწევდა თავი შეემაგრებინა.

ქალის უკმერმა ქცევამ გააბოროტა, გაამწარა კაცი, ცხოვ-  
რების მიმდინარეობა შეურყია, სიცოცხლის ნაკადი აუმღვრია,  
მოთმინების ფიალა დაცულევინა. ერთხელ, როცა გაასპიტე-  
ბული დედაკაცი ცხვირში თითებსა სტაკებდა ქმარს და  
დაჰკიოდა, გაბეზრებულმა კაცმა ვეღარ მოითმინა, სწვდა ყელ-  
ში და ტახტზე გულ-აღმა გადაჩეხა მოჩუბარი. დაჩაგრული  
კაცი თითონვე შეკრთა თავის უცაბედ ბოქმედებაზე; შეშინდა,



ეგონა, ცოლი მთლად გაცოფდებოდა, სირცხვილს დაჲკუნგვევდა, სიავეს სახლიდან გამოიტანდა, გზას გამოაცილებდა, შარაზე გამოჰუენდა და სახალხოთ თავს მოსჭრიდა ოჯახი-შვილს. მთლად შეიხარა, შეიკუმშა ვაუკაცი ამ უბედურების წარმოდგენით. ქალს ზაფრანის ფერი დაედო და აკანკალებული ფეხ-აკრეფით გადავიდა კარისაკენ. თან ყელზე ხელს იფლებდა, იმ აღვილას, სადაც მუხრუჭივით მოუჭირა კაცმა თითები. ჭიჭიკა დიდად გაჲკვირდა, ამ შემთხვევას რომ გრიგალი არ მოჰყვა, მაგრამ როდესაც ცოლის თვალებში შენიშნა ზავთი, განუსაზღვრელი სიძულილი, შეკრთა, გულმა ცუდი უგრძნო.

## vii

ამ შემთხვევის შემდეგ ქალი თითქო დაწყნარდა, შეასვენა ვაუკაცი. მოეშო, თუმცა კაცს ეს ვერ ახარებდა: ის ცოლის თვალებში ისევ ხედავდა ზავთს, რომელიც იმ უბედურწუთს შენიშნა. ეს ბოროტი ქალის თვალში იზრდებოდა, განსაზღვრულ სახეს იღებდა, განხორციელებასა ჰლამობდა. უთუოდ უნდა ეფეთქნა ამ გრძნობას, მხოლოდ კაცმა არ იცოდა, რაში გამოიახებოდა ის, და შეეპყრო იგი გამოურკვეველ სიავის მოლოდინს. ქალი კი გაჩუმებულიყო, ერთხელ და ერთხელ შეჩვეულ საოჯახო საქმეს უკლებლად ასრულებდა, ტრიალებდა; ყველა თავის მოვალეობას პირნათლად უძლვებოდა. ნათესავები პხედავდნენ ქალის სიწყნარე-საქმიანობას და დამშვიდდნენ, კიდეც გამხიარულდნენ.

— აკი გეუბნებოდი, ქრისტიანო, კარგი ვაუკაცია და ადრე იქნება თუ გვიან ქალს შეიჩვევს-მეთქი, — ამბობდა ერთი.

— ხომ გითხარ, წვერის წმიდა გიორგიმ იცის-მეთქი მაგისთანა მიზეზი. ვენაცვალე იმის მადლის, რომ შეიწყნარა ვედრება და ოჯახი დაგიმშვიდათ, — ამბობდა სხვა.

— თუ მაგისთანა შემთხვევებში ვაუკაცმა თავის ძალა არ უჩვენა ქალს და არ დააწყნარა, უიმისობა არ შეიძლება, — ამბობდა კოჭლი ოსანა.

თითონ ჭიჭიკა კარგა ხანს ვერ დაწყნარდა, რადგან ცოლი გულთან ეწვა და გრძნობდა, რომ ქალის მკერდში მისაღმი მტრობა ღვიოდა, რომ იმ ბაბუცას გარდა, რომელსაც ყველა ხედავდა და რომელიც ეხლა დაწყნარებული ეგონათ, იყო სხვა ბაბუცაც, რომელსაც ქმარი ხედავდა ცოლის თვალებში, რომელსაც იგი გრძნობდა მთელი თვეისი არსებით.

მართლა და, ორად გაიყო ქალის არსება: ქალი რომ შრომობდა და ცხოვრების ჭაპანს ეწეოდა სხვებთან ერთად, მისი გონება სხვაგან იყო, სხვასა ფიქრობდა, სხვასა გრძნობდა, სხვა სურვილს ემონებოდა. ის მარად გრძნობდა თვეის ყელზე ქმრის ხელს, გველებივით შემოჭრობილ მის თითებს და ბეწვი ეშლებოდა. ვერაფრით ვერ ჩამოერეცხა იმ საშინელი სალტის კვალი და წაელო იმის ფიქრს, რითი უნდა წაეშალნა ეს სამარცხვინო ჭდე თავის ყელზე. და რომ უნდა წაეშალნა ის ჯოჯოხეთური კვალი, ეს აუცილებელი იყო, რადგან ამ კვალს ხომ ყველა ხედავდა, ამ კვალს ილოც ხომ დაინახავდა და მაშინ მის დამცირებას სამზღვარი არ ექნებოდა. ახლა ეს ბოლმა რომ ბურთივით ყელში ებჯინებოდა ქალს, იმას კი ჩარეცხა არ უნდოდა, იმის ჩატანა კი საჭირო არ იყო? წყალი ვერ ჩეცხდა თითების კვალს, წყალს ვერ ჩაჭონდა ბოლმის ბუშტი; ქალმა რამდენჯერმე სცადა ეს, მაგრამ ამაოდ.

მხოლოდ თბილი სისხლი მოჰბანდა იმ ჯოჯოხეთურ კვალს და დაშრეტდა ბოლმის ალს.

რაც უფრო იზრდებოდა ეს მისი ჰაზრი, მით უფრო ფთხილობდა ქალი; მშვიდათ იქცეოდა, მორჩილებას იჩენდა. ლაპარაკის დროს თვალები ძირს ეჭირა, ქვექვე იხედებოდა, მითომ და მოკრთალების ნიშნად, ნამდვილ კი იმისთვის, რომ არაესი ამოეკითხა მისი გულის პასუხი, არავის შეენიშნა ის სისხლის მსმელი ფოცხვერი, რომელმაც გაიღვიძა ქალის არსებაში და რომელიც შესაზარდ გამოიყურებოდა მის თვალებიდან. თავის გაზომილი ქცევით ბოლოს და ბოლოს თვით ქმარიც შეცდომაში შეიკვენა და დაამშვიდა. დაიმედებულმა

კაცია შეუბლი გაიშალა, წინანდებურად ხალისიანად დაიწყო  
ცხოვრება.

## VIII

სოფელ შვინდიანში ობა იყო. მელორიანთ სახლი სტუმ-  
რებით აივსო. ჭიჭიკამ მოიმხიარული. რომ შეზარხოშდა, თავი-  
სებურად შემოსძახა. დიდი ხანი იყო არ ემღერნა ჭიჭიკას და  
რახან ერთხელ ყბა გახლიჩა სათქმელად, დავიწყებას მისცა  
თავი. ისე გულიანათ გასძახოდა, ყველა ასიამოვნა.

ბაბუცა შეჰყურებდა გახარებულ ვაჟკაცს და მისი მხია-  
რულება ეკალივით ესობოდა გულს. მაგრამ რას იზამდა? ჩხუ-  
ბი აეტეხნა და ხმა ჩაექმინდინებინა კაცისთვის, არ შეიძლე-  
ბოდა სტუმრების გამო; ესეც რომ არ ყოფილიყო, ეშინოდა  
კიდეც ქალს ქმრისა, რადგან ეხლაც ისევე ცხადათა ჰერძნობ-  
და ყელში წაჭერილ ქმრის ხელს, თითქო ჯერ არ მოჰშვებიაო  
იგი ხელი. ომ! ეს გრძნობა იყო, რომ გულს უწუხებდა ქალს;  
მძლავრი თითები გველებსავით შემოსჭოდნენ ყელს და სულს  
უგუბებდნენ, ჰერძნობდნენ. ქალი გაამწარა ამ გრძნობამ და ეს  
მით უფრო, რომ ბოლმას გულში იტრიალებდა, ვერაფრით  
გამოეთქვა იგი, გულის ბუხარი ვერ ეყარა. მხოლოთ თვალე-  
ბი ეგზნებოდა ნაკვერჩხლებივით, როგორც გამძვინებულ რამე  
მხეცს.

თუ ჭიჭიკას შეენიშნა ქალის თვალების გამომეტყველე-  
ბა, ხმა ჩაუწყდებოდა, ენა უცელში ჩაუვარდებოდა, მაგრამ  
იმას მსტვენავი ბულბულივით თვალები დაელულნა და მთელ  
დუნიაზე თავის ხმის რაკრაკის მეტი აღარა ესმოდა-რა. ვაჟ-  
კაცის სიმღერას თან-და-თან ეშეი ემატებოდა. ასამაღლებლებ-  
ში ყელს გადიხრიდა და ხმას ათრთოლებდა ხოლმე. თითონ  
თეთრ-ყირმიზი კაცი იყო, მხოლოთ მზით გარუეული და სიმ-  
ღერაში რომ ყელის ნაოჭები ეჭიმებოდა, ნაკეცები თეთრ  
ზოლებათ მოჩანდნენ; იმ ადგილებში აშკარად გამოსჭვივოდა  
მოშრავი სიხლი, მეტადრე დატენილ-დაჭიმულ ძარღვებიდან.

ქალი უყურებდა და ისე ნათლათ წარმოიდგინა იგი სისხლი, რომ იგრძნო მისი სითბო და სუნი. მოუნდა დასწავლებოდა იმ წითელ ნაკადულს და ამოეწოვნა ფოცხვერივით. ომ! ამ თბილ სისხლს რომ ჩასწავებოდა ბაბუცა, უთუოდ შვებას იგრძნობდა: ყელში რომ ბოლმა ეტანებოდა, იმ ბოლმას ჩასწმენდდა; გულს რომ ცეცხლი ედებოდა, იმ ცეცხლს დაშრეტდა; ყელზე რომ თითების კვალი ემჩნეოდა, იმ კვალს მოჰპანდა, წაშლიდა, მოა-შორებდა. ქალმა ისე ნათლათ იგრძნო იმ სისხლის გემო, რომ ნდომით პირწყალი მოუვიდა; თვალები დაელულნენ, სურვილის ნისლი გადაეფინათ ზედ; ქმრისკენ წაიგდელა კისერი, ტუჩები ააცმაცუნა, ხელფეხი ააყოლა, ოდნავი და სწრაფი მოძრაობა დაიწყო მთელი სხეულით.

გინახავთ ქურდულად მიმპარავი ძალი თავის მსხვერპლს რომ ემიზნება? არ კი იღრინება, კუდს ანძრევს, ტუჩებს აცმა-ცუნებს, კბილებს აკაპუნებს; ფთხილად წინ იწევს. სწორედ ისეთი იყო მაშინ ბაბუცა.

## II

ამის შემდეგ ძალიან დაუტკბა ქმარს ბაბუცა. აღარ ეჩეუ-ბებოდა; კიდეც უალერსებდა; მის საქმეს ხალისით აკეთებდა, შესაკერი იყო თუ დასაკერებელი, გასარეცხი იყო თუ დასა-ფშვნეტი. ვაჟკაცი გაიშალი წელში, სახე გაუბრწყინდა, გა-ხალისდა, აღილინდა. შავი ღრუბელი გადეყარა მის კას, მზემ გამოუშუქა. პირველ ხანში მხოლოდ ის ეხამუშებოდა კაცს, რომ ცოლი სულ ყელში მისჩერებოდა მას, ნდომა-მორეულ მონისლულ თვალებით.

— ძალიან გიყვარვარ, გოგო? — ჰკითხავდა ქმარი ცოლს, რომელიც ყელში ჩაჰკროდა კაცს.

— ისე მიყვარხარ, როგორც მომკალს ნიავი, — მიუგო ქალმა და ჩაუყარა აღმასივით კბილები ყელში.

კაცს იამა, მაგრამ ემწვავა.



— ხე, ხე, ხე! ძაან არ შეგიყვარდი ამ ბოლოს დროს! — უთხრა კაცმა და მოიშორა ქალი, რაღან მისმა ბასრმა კბილებმა სისხლამდინ ჩაატანეს.

ქალმა ტუჩები გაილოკა. ძლივს შეიმაგრა თავი, ისე მოს-წყურდა სისხლი.

ქალს სურვილი ეზრდებოდა და აუცილებელი შეიქმნა მისი დაკმაყოფილება. იცოდა კიდეც, რომ დაკმაყოფილებდა ამ ნდომას, მხოლოდ ჯერ ირა ჰქონდა წარმოდგენილი რა გზით. მანამდის კი სუნსულებდა, მსხვერპლს გარს ევლებოდა. შემთხვევამ უჩვენა ქალს გზა.

წვიმიანი საღამო იყო გულგასაწყალებელი, ქალმა თავი დაანება ხელსაქეს და თვალს ადევნებდა წვეთს, რომელიც დერეფნის ბანიდან ჩამოდიოდა ტბორუში. ყველა წვეთის დაცუმაზე წყალი ჩაიზნიქებოდა და შაშინვე აშობურცდებოდა, წვრილ წინწლებად გადიშლებოდა, ან ბუშტად ამოჯდებოდა და რამდენიმე წამს დასრიალებდა გუბეში. წვეთის ჭყაპუნი ქალს ნანასავით ესმოდა და თითქმის რული მოჰვერა. დავიწყებას მიეკა ქალი, ოცნებათ ბურუსში გაეხვია. პატარაობისასაც უყვარდა ბაბუცას წვეთების ხმაურობა და წყლის ბუშტების თვალიერება. თან თავს ჩაუდებდა ხოლმე დედობილს კალთაში და ისმენდა მის საუბარს.

— აი, შვილო, — ეუბნებოდა დედობილი, — კაცის ცხოვრება ამ ბუშტსა ჰგავს. წამს გაჩნდება მოციმციმე წყალზე, ათასფრად აზიზილდება ნათელზე და იქვე ქრება, იკარგება უკვალოთ. ადამიანი თავს მაღლა იწევს, ყოჩალობა ჰგონია, ავევავდები, ცამდინ ავიმართებიო, ის კი არ ახსოვს, რა ახლო ახლავს მოსპობა და არარაობა.

მეორე მუხლზე ილიკო უწვა ხოლმე. მისი თმა ქალის თმასთან იყო არეულ-გადახლართული. უყვარდა გოგოს ძმობილის თმაში ხელების რევა. ეხლა-ლა? ეხლა შორს არის ის მისგან, მათ შუა გადუვალი ზღუდე ალიმართა... და სულ ჭიჭიკას ბრალი კია ეს: იმას რომ არ ეთხოვნა ბაბუცა, არ დაეჩემებინა ქალი, ის დროს ჩაიგდებდა და გაუმულავნებდა ილი-

კოს თავის დარღვა. იქნება ვაუს უარი არც კი ეთქვა და გულ-ბეღნიერებინა თავის ბაბუცა; ხომ იცით, რა გულჩეილი ბიჭია ილიკო და რათ იტვირთებდა სხვის ტანჯვას მის გამო, თავის ბაბუცას ტანჯვას. ეხლა რაღა დროს! ეხლა.....

ბაბუცას ფიქრები შეწყვიტა ჭიჭიკას ფეხის ხმაშ. კაცმა გაღმოაბიჯა ხარისხს და შინათვენ წამოვიდა. მთლათ გალუმ-პულიყო. სისველეს ავ გუნებაზე დაეყენებინა; მკვახეთ მიჰ-მართა ცოლს:

— დედაკაცო, რა გულხელი დაგიკრეფია და ჩასცერი-ხარ მა წუმენ? ცეცხლს დამახვედრებდი, რომ ტანისამოსი გა-მეშრო: ხვალ უნათებლივ უნდა წავიდე.

— სად უნდა წახვიდე?

— სადა და ძეძვის მოსაჭრელად. ხომ ხედავ, ერთი კონა აღარა გდია ეზოში.

დედაკაცი შებრუნდა შინ. ჭიჭიკამ გაიხადა ფეხსაცმელი და გალაფული წინდები ბუქრის თავზე ჩამოჭიდა.

— ე წინდები კარგათ გამიფშვნიტე დილაზე, თორემ იმ-დღესაც გოროხები შეჰყოლიყო!

ჭიჭიკამ წაშოტა წინ ქალმებისაგან დაკოტიტებული ფე-ხები და წალდს დაუწყო ლესვა; თან ცერით ფხას უშინჯავდა იარაღს.

ხომ იცით, ძეძვს როგორ სჭრიან, ან როგორ წალდსა ხმარობენ მის მოსაჭრელად? არა? მაშ რაღა იცით! ძეძვის მოსაჭრელად ცული არ ვარგა, არც ის წალდი ვარგა, წვერი რომ ზევითა აქვს აშვერილი; ამ საქმისათვის ის წალდი სჯო-ზია, რომელსაც ნამგალივით წვერი ქვემოთა აქვს შემოხრილი. ძეძვი დაბალი იზდება და ბუქ-ბუქათ; რომ მიუდგეს კაცი, ორთითია საჭირო. მარცხენა ხელით ორთითს მიაბჯენთ ძეძვის ბუქებს, ისე, რომ ღეროები გამოუჩნდება, მარჯვენა ხელით წალდს აიღებთ და ძირებს დაასხებთ, შამბივით მოსთიბავთ. წალდი ძალიან უნდა იყოს გალესილი, მეტადრე შემოხრილი წვერი, რაღგან იმ ადგილას უფრო ადგია ძალა იარაღს.

ჭიჭიკაშ მიაყუდა წალდი ბუხართან და მიწვა. მკვდარი-  
ვით მიეძინა დამაშვრალს. ძილში თავი გადუვარდა ლოხიანი  
მუთაქილან და ყელის ნაოჭები დაეჭიმა, თეთრი ზოლები  
დააჩნდა ყელზე. დედაკაცი მისჩერებოდა მძინარე ქმარს და  
თვალები ცეცხლივით უღვიოდნენ. ქალი ხედავდა გადაწეულ  
ყელის ძარღვებში სისხლის მოძრაობას, ესმოდა სისხლის ნაკა-  
დულების ხმა, გრძნობდა თბილი სისხლის სუნს. კისერი წაიგ-  
ძელა და სმენათ გადაიქცა, თითქო რამ ხმაურობა შემოესმა.  
მაგრამ არა: ყურმა მოატყუა, ჩამიჩუმი არსად იყო, მხოლოთ  
ჭრიკინა ამბობდა თავის განუწყვეტელ სათქმელს. მძვინვარე  
მხეცმა გაუთამაშა თვალებში. ქალმა წაატანა წალდს ხელი,  
მიუახლოვდა მძინარეს, გამოუსვა ბასრი ყელში და სურვილით  
დაეწაფა სისხლის შაღრევანს.

გ. ბარნაფი

# გეღის მსჯავრი

(ეტიუდი)

## I

— მიხაკო!... რევაზ!... ტყლაშ, ტყლაშ, ტყლაშ! — სამხედრო საკრებულოს დარბაზში შეჰქედეს თუ არა ერთმანეთს, მაშინვე სახელების წამოძახებას ტუჩებს ტუჩების ტყლაშა-ტყლუში მოჰყვა.

მიხაკომ და რევაზმა ერთმანეთის გადაკოცნის დროს დაიკვეს მხედართა წესი: ჯვარედინად გადაჲკოცნეს.

— კაცო, მიხაკო?!

— რევაზ, საიდან გაჩნდი?

— შენ საიდან-ლა?

— დაგავიწყდა, რომ აქ დავსახლკარდი?

— ჰო, მართლა! მეც მინდა ზაფხული აქ გავატარო... ეს არის ეხლა მოვედი და პირ-და-პირ აქეთ გამოვეშურე...

— კარგია, კარგი, რომ არ ივიწყებ შენ სამშობლოს!... ეს პოლკი ხომ ჩვენი სამშობლოა...

— რა დამავიწყებს, ჩემო მიხაკო, როდესაც ჩემი სიცოცხლე ამ პოლკში გავლიე... მოვედი, რომ ამ ზაფხულს პოლკის სუნით ვიყნოსო...

— მეც ამისთვის დავსახლდი აქვე, რომ ამ პოლკის გარეშე სხვა ჰაერი სასუნთქვად შეუძლებელი იქმნება, შხამად გადამექცევა...

— ჰო, ჰო!... მართალს ამბობ, ჩემო მიხაკო, აკი შეც იმისთვის მოვედი ამ ზაფხულს აქ, რომ გამაცოცხლებელი ჰაერი ჩამესუნთქა. იქნება ვეღარ მომიხდეს შემდეგში აქ მოსვლა... ბედნიერი ხარ, ღმერთმანი, რომ აქ დაპირის მეტავი მეც ერთი ქოხი ამეშენებინა და... ღმერთი გამიწყრა და ჩემს მამულს დავუბრუნდი... ნუ, კ ჩორტუ მამული!...

— სწორედ მაგრე მოვიქეცი და მამულს მივაფურთხე... აქ დავსახლდი... მწერენ, ვიღაც გადამთიელი დაეპატრონა შენ მამულსო, მაგრამ რაში მეკითხება? ხარჯის მეტს არას მომცემს ჩემი მამული...

— მართალს ამბობ, ჩემო მიხაკო... აკი გეუბნები, ეშმაკმა ჩამაგონა და ჩემი მამულისკენ გამისტუმრა... კაცო, ე რასაც ხელმწიფე ყოველ წლივ წყალობას მაძლევს, ისიც იმას უნდება და მე კი ლამის არის მშიერი მოვკვდე... მაინც არა ვუწამლე-რა... ამ შემოდგომაზე, მგონი... რაღა მგონი?... „ტორგში“ გამეყიდება...

— მაგისთვის ნუ იდარდებ, ჩემო რევაზ...

— მიხარიან კიდევაც, რას მანუგეშებ... გაყიდვით ჭირს მოვიშორებ!

— მე არც გამყიდვია და არც არაფერი... ისე დაპიპატრონებია ვიღაც გადამთიელი, როგორც წელან გითხარი, ისე, როგორც უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიან ხოლმე, მაგრამ მე კიდევაც მიხარიან... ჭირი უდავიდარაბოდ, უხარჯოდ, თავისთავად მომეშო... ამას რა ჰჯობია?! ხარ შენთვის არხეინად აქ, პოლკის ახლოს!.. გეყურება მისი ხმაურობა, მისი ძარღვის ცემა... ვერ წარმოიდგენ, ჩემო რევაზ, რა სიამოვნებას ვგრძნობ, როდესაც დიღა-აღრიანად შემოგესმის დალაბანდის ბრაგუნი, მისი ტრრრრ რაკრაკი!.. სისხლი ჰქეეფს ძელებურად... სამოცდაათი წლის სამსახურიდან გამოსული პოლკოვ... ჰმმ... — უეცრივ მხრების შმუშვნით და „ჰმმ“-ს წამოკვნესით შეწყვიტა უკანასკნელი სიტყვა და შეასწორა: პოდპოლკოვნიკი ოცი წლის ჭაბუკად ჰგრძნობ თავს... მაშინვე ლოგინიდან წამოჰქობი და...

— ახ, პოლკოვნიკო, ნერწყვი მომდის პირს!..

— ჰემ!... — წყრომით და სიამოვნებით წაიტუმუვლა მიხაკომ, როდესაც „პოლკოვნიკი“ უწოდა რევაზშა და აქეთ-იქით მიიხედა, მაგრამ საკრებულოს დარბაზში არავინ იყო.

რევაზიც და მიხაკოც სამსახურით ძალიან კმაყოფილნი იყვნენ; მაგრამ ერთი გარემოება ჰქირდილავდა მათ კმაყოფილებას. სამსახური დაიწყეს თუ არა, მაშინვე მიზნად ამოიღეს პოლკოვნიკობა მიეღოთ და შემდეგ... სამსახურიდანაც რომ გამოსულიყვნენ, არას ინალვლიდნენ... ზევით აღარ მიღიოდა მათი ოცნება... მეცადინეობას არც აკლებდნენ, მაგრამ, დახე ბედის დაცინვას, იძულებულები შეიქმნენ, რადგანაც წლოვანობა ნებას აძლევდა, სამსახურიდან გამოსულიყვნენ, და მხოლოდ მაშინ მიიღეს პოდპოლკოვნიკობა...

„ერთი საფეხურილა, ერთი საფეხურილა!..“ — გულდაწყვეტილები გაიძახდნენ ორივენი, მაგრამ საფეხური, ერთი საფეხური მათი ფეხის მიუკარებელი დარჩა სამუდამოდ...

„ეს გაუგებრობის გამო მოხდა“ — ფიქრობდა ორივე ამხანაგი და ამისთვის წარპ შეურხევლად, თუ მათი გარემოების არა მცოდნეთ იცნობდნენ, თავიანთ გვარს „პოლკოვნიკს“ უწინამდღვარებდნენ, ან კიდევ თუ წერილს ჰსწერდნენ იმისთანა პირს, რომელმაც მათი პოლკისა არა იცოდა-რა, უეჭველად ქვეშ მოაწერდნენ: „პოლკოვნიკი“ ესა და ესაო. უფრო ხშირად მიწერ-მოწერა, ნამეტნავად მიხაკოს, პოლკის იფიცირებთან უნდებოდა მიწერ-მოწერა და ამ წერილებში ვერ აწერდნენ „პოლკოვნიკს“ ყოველი ასოების სისრულით. პ—კი ესა და ეს. ათავებდნენ წერილს. „პ“ ხაზი და „კი“ ორივეს ჰნიშნავდა: პოლკოვნიკსაც და პოდპოლკოვნიკსაც. ამისთვის გარემოების მცოდნენი ვერ უკიუინებდნენ „ჩინის“ მითვისებას, როგორც იგინი ამბობდნენ. ერთხელ პოლკის კამანდირმა კიდევაც ჰკითხა მიხაკოს, რატომ „პ—კის“ აწერო?.

— ეჭ, „პოდ-პოლკოვნიკი“ ისე გრძელი სიტყვაა, რომ პირველსა და უკანასკნელ ასოებს ვაწერ შემოკლების გულის-

თვისო. — თამამად უპასუხა მიხაკომ, რითაც სრულებით დააკმა-  
ყოფილი „კომანდირი“...

უცნობს რომ „პოლკოვნიკად“ მოქმედნა მიხაკო, თამამად  
შეირგებდა, გაუხარდებოდა; მაგრამ რევაზმა, რომელმაც კარ-  
გად იცოდა, რომ „პოლკოვნიკი“ არ იყო, არ იცოდა, რო-  
გორ მიჰვებებოდა: წყრომით, თუ სიამოვნებით?.. ამისთვის  
ორივე გრძნობამ ერთად შეუთამაშეს გული, და სწრაფად სა-  
მაგიერო მიწყა:

— პოლკოვნიკო, რევაზ, ცოლ-შვილით მოხვედი?...

— ეეჭ, ჩემო მიხაკო, მარტოკა მოვედი, მარტოკა!...  
ცოლი დიდიხანია მახარობლად საიქიოს გავგზავნე და შვილი  
კიდევ დრაგუნის პოლკში მსახურობს...

— ბედნიერი პყოფილხარ, ჩემო მიხაკო, ბედნიერი!...  
ქალები?...

— ორივე ქალი გავათხოვე... კარგი ქმრები შეჰვდათ!...  
ბედნიერები იქმნებიან: ერთი პახუმოვს მივათხოვე... ეხლა ის  
არხანგელსკის გუბერნიაში გადიყვანეს რაღაც პოლკში... მეო-  
რე ქალი კი ფონბახს... ორივე სიყვარულით გათხოვდნენ...  
მამაცხონებულები კარგები არიან ჩემი სიძეები, მაგრამ კუ-  
დამდის ტყავი კი გამაძრეს... სანამდის ის არ მივეცი მზით-  
ვად, მანამდის არც ერთმა ჯვარი არ დაიწერა... რას იზამ-  
დი, როდესაც ჩემ ოჯახს ყელი გამოეჭრებოდა... ჯვარის  
წერამდის ორივე ჩემი ქალი ორსული გამოდგა... ეხლა,  
მაღლობა ღმერთს, მოვრჩი... მაგრამ შვილი ცოტა შარ-  
ლატნობს... ი ოხერი, სიძეებს მაინც დაემსგავსოს... კალმით  
დახატული „კნიაუნები“ იმათ... და ფულებიც ბლომად აიღეს...  
ჩემი შვილი კი ვინ იცის, რა ქალებზე ჰულანგავს ფულებს?!.  
ფული, ფული და ფული სულ ამას მწერს...

— ახალგაზდაა, მოიტეხინებს...

— ეეჭ, შე დალოცვილის შვილო, როდის-ლა მოიტეხი-  
ნებს?... მე კი... მაგრამ, ე რვა საათი სრულდება და რა-

ტომ არავინ მოდის?... დღეს, მგონი, „სემეინი ვეჩერი“ უნდა  
იყვეს?

— ჰო, დღეს „სემეინი ვეჩერია“, მაგრამ ახლანდელი „ვე-  
ჩერები“ ჩვენი დროისას არა ჰგავს. აი თითონ შენც ჰნახავ!..  
ჩვენ დროს რომ სიხარულით მოვრბოდით „ვეჩერებზე“ და  
გმინიარულობდით თავდავიწყებამდის, ეხლა ისე აღარ არის...  
„სემეინობა“ სულ არ ეტყობა... აქ თუ მოვა ვინმე, წყვილე-  
ბად დაიყოფებიან და არც კი ახსოვთ, სხვა მათ გარდა წყვი-  
ლი არის, თუ არა... თითქმის არც კი ვინმე მოდის, რადგა-  
ნაც წყვილები უფრო ბნელ კუთხეს ეძებენ...

— გაუ შენ რილასთვის მოხველი აქ, ჩემო მიხაკო, თუ  
მაგრეა?! შენც ბნელ კუთხეს ამოირჩევდი.

— განა გაიგე რამ?—გაკვირვებით დაეკითხა მიხაკო რე-  
ვაზს.

კილომ გაპსუა მიხაკო. რევაზს ეჭვი შეეპარა და ისევე  
ალალბედად უპასუხა:

— ქვეყანაზე რა დაიმალება!...

— ვინ გითხრა, თუ ღმერთი გწამს, რევაზ, ვინ?!

— ქვეყანა ლაპარაკობს!.. განა აქ გავიგე, იქვე!—იმავე  
კილოთი უპასუხა რევაზმა.

მიხაკოს, ცოტა არ იყვეს, ესიამოვნა კიდევაც, რომ ქვე-  
ყანა ლაპარაკობს იმაზე და:

— მაინც ვინ გითხრა?—ცნობის მოყვარეობით შეეკითხა  
რევაზს.

— რომელი ერთი დაგისახელო?!. . . აი, თუნდ...

ამ დროს ახმაურდნენ მესაკრავე სალდათები: ასტყდა  
ტლანქი წალების ბრაგა-ბრუგი, უშნოდ ტყაპუნი, საკრავების  
წკრიალი...

რევაზს ესიამოვნა ამათი მოსვლა... მიხაკო ხომ სულ  
მხიარულებად გადიშალა, დანაოჭებული მოპარსული ლოყები  
გაეშალა, და დაბლა დაშვებული, თითქოს შემჭვარტლულიაო,



გაყვითლებული და ოდნავ შეწითლებული ულვაშები შეუკუ  
მუკდენ... ფეხები ხომ უნებურად აუთამაშდნენ...

სალდათები დალაგდნენ... ნოტებიც კი გადაშალეს...

— ივან პეტროვიჩ,— მიპმართა მიხაკომ კაპელმეისტერს,  
როდესაც იგი შემოვიდა დარბაზში და მიესალმა: ერთი „ნევო-  
ზვრატნოე ვრემია“ \*) დაუკარი!..

— დიდის სიამოვნებით!... მაგრამ... მგონი, ადრეა ჯერ!..

— რა უშაეს?!

მიხაკოს სრულებით დაავიწყდა, რომ რევაზმა უთხრა, თუ  
ვინ შეატყობინა მისი საიდუმლო. ეხლა მხოლოდ „ნევოზვრა-  
ტნოე ვრემია“ს დაწყობის მოლოდინში იყო. სალდათების ჩა-  
ხველება, მათი მოძრაობა და იარაღების წკრიალი, რაც კაპელ-  
მეისტერის ბრძანებას მოჰყვა, „ნევოზვატნოე ვრემიას“ კუთვნი-  
ლებად მააჩნდა, ისე სიამოვნებდა ამ ხმაურობით.

— ტრააალალაა....— ააყოლა მიხაკომ ხმა პირველ ნო-  
ტებს და რევაზი ცმუკუნით კარებისკენ გაიტაცა.

— იცი, რევაზ, ეს ნიშანია და ეხლავე აქ გაჩნდება ჩემი  
მურაზი...

— მაშ?!.— გაკვირვებით შეეკითხა რევაზი...

— აკი გითხრეს, მაშ რას გაიკვირვე?

— მითხრეს, მაგრამ ხუმბრობა მეგონა!..

— არა, ჩემო რევაზ, მართალია!..

— ნუ მასხრობ, ჩემო მიხაკო! სამოცდა ათის წლის კაცს  
რა...

— რას ამბობ, რევაზ, ასი წლის მკვდარსაც ფეხს გააქნე-  
ვინებს, ისეთი ხურუშიანია...

— ნუ მეუბნები?

— აი შენ თითონ პნახავ!..

\*) „ნევოზვრატნოე ვრემია“ (წასრული დროინ) კარგა დაძველებუ-  
ლი და უხეირო ვალსია.

## II

— ...როდის შესრულდება ხუთი საათი?!.. ღმერთო, ღმერთო, რა გვიან გადის დროო!... — წამოიკვნესა მიხაკომ, როდესაც მაგიდას მიაწყდა ოთახში აჩქარებულ სიარულის დროს და საათს დაპხედა, რომელიც ოთხის ნახევარს აჩვენებდა. ხელი კიდევაც წაატანა, რომ ისარი წინ წაეწია. ეგონა, დროც ისრის წინ წაწევას წატყვებაო... მაგრამ ხელი უეცრივ უკანვე წამოილო და მოწყვეტით იქავე მდგარ სავარძელში ჩაჯდა. ორივე ხელი მაგიდაზე დააწყო და გახურებული შუბლი ზედ დადო...

რას ფიქრობდა მიხაკო?

რას ფიქრობდა ამ დროს მაგიდაზე მდგომ ლამპარში ნავთი?!

იწოდა და თან-და-თან ილეოდა.

ღამის თორმეტ საათამდის კიდევ რაღასაც ფუსფუსებდა, რაღაც ქალალდებს ჰწერდა და ჰხევდა; ჰხევდა და სწერდა. მერე კი, როცა მორჩა წერას, ხმალი ქარქაშიდან ამოილო და ნახევარ საათი მაინც ჰაერში აპრიალა. ხან კედელს მიუახლოვ-დებოდა, უეცრივ შედგებოდა, რამდენსამე სიტყვას წამოიძახებ-და, შეუტევდა და ხმალს ატაკებდა, ან ზევიდგან დაუქნევდა; ხან კიდევ მაგიდას აგრევე ებაასებოდა და ებრძოდა; უფრო კი ხშირად კარებს...

მაგრამ მოჰსწყინდა ესეც და ხმალი თავის ადგილს დას-ლო. მით უფრო ჩქარა დაანება თავი ამ ვარჯიშობას, რომ ბრძოლა დამბაჩებით უნდა ყოფილიყო. დამბაჩით ვარჯიშობა კი ძნელი იყო, რადგანაც ქვეყანა გაიგებდა, და ეს კი მიხა-კოსთვის სასურველი არ იყო...

პირველი სათის შემდეგ საათს დაუწყო თვალის დევნება... ოხ, რანაირად გრძელდებოდა ყოველი წუთი?!. თითო წუთის განმავლობაში დათვლას ვერც კი ახერხებდა, თუ რამდენჯერ

მიაწყდებოდა ხოლმე ოთახის ხან ერთ კუთხეს და ხან მეორეს...

ახ, რომ ჩაპინებოდა მაინც!... მაგრამ ნავთი უკანასკნელ წვეთამდის ვიდრემდის არ დაიწვის, თუკი პატრუქი ჰსწყდება, განა შეუძლიან ჩაძინება, შედგომა?.. მიხაკოც ხომ იწვის და პატრუქსაც, ოხ, იმ ოხერ სიძულვილს რევაზისადმი, ხომ ღრმად, ისე ღრმად გაუფანტია მის სხეულში, ფესვები, რომ მიხაკოს სხეულის ერთი წერტილიც ამისაგან თავისუფალი არ არის. ნემსი რომ უჩხვლიტოთ და ამ ნემსს ერთი სულ მცირე წვეთი სისხლისა გამოჰყვეს, ისიც კი სიძულვილით კრთომას დაიწყებს და ეცდება რევაზს თვალში მიეკრას, რომ დააბრმავოს იგი...

ან-კი როგორ არ უნდა ჰსძულდეს მიხაკოს რევაზი, როდესაც იმან ამ ექვსი თვის ოცნება, თითქმის დანიშნული თავისკენ გადიბირა და... ისიც, ისიც ჰსძულს... რითი დაამჯობინა მიხაკოს რევაზი?!.. ხომ ორივენი პ—კები არიან?!.. თავადობა მოეწონა?!.. ხა, ხა, ხა!.. გაფხექილი თავადობა ძალიანაც რამ ურის... ოხ, ბრძოლის შემდეგ რა სიამაყით გაუვლის წინ და ზედაც აღარ შექხედავს იმ... იმ... ორმოცდა ხუთი წლის გაუთხოვარ ობით დამუავებულ არამზადას!.. ისეთ გოგოს მოიყვანს, რომ... ახ, ეს ოხერი დრო მაინც ჩქარა არ გადის!.. ჯერ ოთხს ათი წუთი კიდევ აკლია...

არა, ხუთიც ჩქარა შესრულდება... უნდა დაპიშვიდდე, მიხაკო, თორემ...

„ყოველთვის ყოველისფერში ჰჯობდი მიხაკო და ხეალაც გაიმარჯვებ; რა ვუყოთ, რომ ორივე პ—კი (ეხლაც კი პოდ-პოლკოვნიკს სრულად არ ამბობდა მიხაკო და „პ“ ხაზი და „კი“-თ იხსენიებდა თავის-თავს და რევაზს) ხართ, წლოვანობაც ერთი გაქვთ!.. მაინც ყოველთვის შენ ჰჯობნიდი. ლეკურ-შიაც კი...

მიხაკო დადის, თითქმის დარბის ოთახში და სულ ჰბოდავს. ლამპარში კი ნავთი იწვის, ილევა და აგერ, აგერ ოდნავ-ლა

ბეუტავს, შიშინს უმატა. უკანასკნელად კიდევ ძალი მოიკრიფა, იფეთქა და დილის სინათლეში ნაპერწკლებად ჩაიბნა... ში-შინიც შესწყდა.

— ახ, პატიოსანი სიტყვის პატრონები არიან ეს აფიც-რები!.. — ღიმილით წამოიძახა მიხაკომ, როდესაც ხუთი საათის შესრულებაზე სარკმლიდან გაიხედა და სახლისკენ მომავალ ორ ახალგაზდა აფიცერს თვალი მოჰკრა. მაშინვე გარედ გავიდა და მხიარულად მიეგება...

— მიხაკო, რა დანიუებაა, ღმერთმანი, რომ იმ მთის წვერს ჰნიშნავ?.. — თითქმის ორივე აფიცერმა ერთად უთხრეს.

— იქ, იქ უნდა ბედმა თავისი მსჯავრი დასდოს!.. — აღ-ტაცებით წამოიძახა მიხაკომ და თითო იქვე ახლოს ამართულ მთის წვერისკენ გაიშვირა, რომელსაც უკვე მჩის სხივების გვირგვინი დასდგომოდა...

— აგრე, იმ გვირგვინოსანზე!...

— მიხაკო, ყველანი გთხოვენ, რომ აგრე იმ ჭალაში მოხდეს თქვენი... — დაიწყო ერთმა აფიცერმა.

— აი, რევაზიც მოდის თავის სეკუნდანტებით და მკურნალით.... — წამოიძახა მეორე აფიცერმა.

— შერე რატომ არ უნდათ იმ მთაზე?! ამ დროს მოვიდნენ ისინიც. რევაზი ცოტა მოშორებით დადგა. იმისი სეკუნდანტები და ექიმი კი მიხაკოს შემოეხვინენ და დაუინებით თხოვნა დაუწყეს.

— მერე და რატომ არ გინდათ?! — ამათაც გაუმეორა თავისი კითხვა მიხაკომ და ბრაზით გადაჰედა რევაზს, რომელიც იმავე გრძნობით შესცემეროდა იმას.

— რატომა და რევაზს არ შეუძლიან ამისთანა აღმართის აფლა და...

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — სიტყვა შეაწყვეტინა თავის ხარხარით მიხაკომ: რევაზს არ შეუძლიან... ხა, ხა, ხა, ხა, ქალის გადაბირება?!.. არა, იქ, იქ!..

რევაზს ეწყინა მისი ღრძო ხარხარი და მრისხანედ წამო-იძახა:

— მოგიკვდეს რევაზი, თუ შენისთნა ლაჩარს ჩამოჰქრ-ჩესა!. შევუდგეთ!.. და მთას შეუდგა...

— რაო, რაო?!.. აბა ლაჩარი ვინცაა, მთის წვერი გამოა-ჩენს!.. — დაიღრიალა მიხაკომ და წინ გადურბინა...

ოთხივე სეკუნდანტი შუაში ჩაუდგა. შეეშინდათ, მამალ-ყინწებივით ერთმანეთი არ ჩაქოჩრონო. მაგრამ ტყუილი იყო მათი შიში. ორივე მთის წვერისკენ მიეშურებოდა...

ქაქანებდნენ, ქშიტინებდნენ, გული ყელში ებჯინებოდათ, მაგრამ ნაბიჯს მაინც არ აფერხებდნენ...

სეკუნდანტებიც ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ. მკურნალი შო-რი-ახლოს ნელის ნაბიჯით მიღიოდა მთის წვერისკენ და ოდ-ნავ ილიმებოდა...

— მოოო... მოგ... წყდა... მოოგე... გეკვეთაა... ჰუ... ჰუ!... მუხლი?!.. — ბუზლუნ-ქშიტინით უტევს მიხაკო.

— ჟე... ჟე... ეე... — ველარ ათავებს სიტყვას რევაზი და სკდილობს, მიხაკოს წინ გაასწროს...

ოფლში გაიწურვნენ... ქუდებს ხან იხდიან, იწმენდნენ დასველებული ცხვირსახოცით ოფლს, ხან ისევ იხურავენ... ოშეივარი ასდით, შუბლის და ყელის ძარღვები დაეტიკნენ. მაგრამ სიარულს მაინც არ უკლებენ...

— ჩქაარა... — ძლივის წამოიძახა მიხაკომ.

— გა... გა... და...

— ზომეთ... — წაართვა სიტყვა მიხაკომ რევაზს.

— მოიცადე... ცოტათი დაისვენეთ!..

— აა...

— რაა!..

— მსჯა... ვრი... ვრი...

— ბეე... ბეე...

— დმა... დმა!...

სხვას უეჭველად გაიტაცებდა მთის ძირს დაფენილი ჭალა-  
მინდორი, რომელიც ოდნავ შეკომლილ დილის ცას შეჰსტრფია-  
ლებდა და ნახევარ საათით მაინც დაავიწყებდა მის გულის  
თქმას. მაგრამ ეს ორი ისე იყო გაშეჭვალული ზიზღით ერთმა-  
ნეთისადმი; რომ ამ გრძნობის გარეშე, თუ ამ ქვეყნად არსე-  
ბობდა რამ, არა ეყურებოდათ-რა...

პირველ ნაბიჯზე მიხაკო დადგა, მეორეზე რევაზი. დამ-  
ბაჩები აირჩიეს. სროლის წესი იცოდნენ. სამს რომ დაიძახებდა  
სეკუნდანტი, ორივეს ერთ დროს უნდა ესროლათ.

ჩვეულებრივ სეკუნდანტებმა შერიგება სახოვეს.

— აარჩრაა!.. — ძლივას წამოიძახა ორივემ ერთად.

— ერთი!..

უეცრივ გაწითლებული სახე ორივეს მიეფერთვლა... ორი-  
ვეს ყურებმა შუილი დაუწყეს ამ ხმაზე...

— ოორი!..

დამბაჩები შეათამაშეს „ორის“ გავონებაზე და ოდნავ უკან  
გადიზნიქნენ. ცოტათი თავში ტვინი შეუჩეჩუნდათ და გული  
შეუფთხიალდათ. დამბაჩები კი თამაშობდნენ...

— საამი!..

„სამის“ წარმოსთქმა და ორივეს ზურგზე დაცემა ერთი  
იყო. დამბაჩებიც ძირს დაცვივდნენ...

— რა იყო, რა?!.. — გაკვირვებით შეეკითხა მკურნალი,  
რომელიც ის-ის იყო ამოვიდა: სამი რომ სთქვით, გავიგონე  
და გამოვეჩერე... დამბაჩების ხმა კი არ მომსმენია!.. დაიჭ-  
რა... — და მიჰვარდა მიხაკოს, რომელსაც ორი სეკუნდანტი  
გულს უხსნიდა...

— რა იყო, მითხარით?.. — კიდევ შეეკითხა მკურნალი  
და მიხაკოს გულს თვალები დაშტერა. ეგონა, სისხლს დაი-  
ნახავდა.

— ბედის მსჯავრი!.. — მოწყენით წამოიძახა ერთმა სე-  
კუნდანტმა და თავი მაღლა აიღო.

— საწყალი, საწყალი!..—მწუხარებით დაიძახა მკურნალი, როდესაც მიხაკოს გვამი გადაატრიალი-გაღმოატრიალა, და ახლა მეოცე ნაბიჯისკენ გაეშურა...

— აქ რაღა ამბავია?.. — დაეკითხა რევაზის სეკუნდანტებს...

— იგივე, რაც იქ!..—ერთად უპასუხეს რევაზის სეკუნდანტებმა...

ვ. ჩავჭავაძე

## მზოსანს

რა საჭიროა სულ ცრუმლები, სულ შევ-ფიქრო გროვა,  
 ახვრა, გაება, გმინგა, ტანჯგა გაუგებარი?!  
 ქმარა, გევოვა... აღზდებ სულით და კვლავ აანთე  
 დღნავ მბუუტავი შენის რწმენის წმინდა ლამპარი.

\*\*

ჩამოყენ სიმებს ჩვეულებრივ მთრთოლევარე თითნი;  
 დექ, ჩონგური კვლავ აუღერდეს დადუმებული  
 და შენც, ტანჯულო, ზედ დასძახე მედგრად სიმღერა,  
 თავისუფლების ციურ ჭანგით შეზავებული.

\*\*

სულით მაუმა კვლავ ამაუდ ასწიე თვი,  
 სალ-კლდეთ გარდიქეც და უშიშრად გასწი წინ მედგრად,  
 ქარიშხალიგით თავს მოევლე ავაღმეოვ მოძმეთ  
 და დაეპერე ჩაგრულთ წელულზე განმგერნველ ნექტრად.

\*\*

როგორც ემბლემა შენის წმინდა დანიშნულების,  
 ეჭლის გვირგვინი თავს დაიდგი სისხლით მორწეული,  
 ტანჯულ ერისკენ გაქანე, რომ იქ დასთესა  
 რწმენა, იმედი, სათნაება და სიუგარული.

\*\*

და რთს იხილო მოძმეო სრული არარაობა,  
 სულით დაცემა, დაქნინება და გახსრწინლება,  
 „ბრძოლა, ძმებო-თქო—წამს დასტევიულე— გწამდეთ, მოგელისთ  
 „თვით მომავალში კვლავ აღდგომა და განახლება“.

\*\*



გულს ნე გაიტეს, ჰის ღიშილი გამოისახე,  
ეთ აშირანშა, რო-ზროვან და ფრჭილები,  
რომ გერ შიგიხელნენ მთ რას ჭიალავ, ან რა გინდა სოქეა,  
სისარებია იგი მხლოდ თუ სინა ელი?!

三

ლადო ახობაძე 1902 წ.

1902 6.

„Ե Ա Զ Ե Բ Ո“

ପ୍ରକାଶକ

თარგმნილი ივ. პოლუმარდვინოვის მიერ.

კერუენის უდაბურს და უვალს ტყეებში გაფანტულია რამ-  
დენიმე ობლად გამომყურალი საფლავი; მათში ძველ-კეთილ  
მსახურთა განდეგილნი ასაფლავიან \*) და ერთ მათგანზედ,—  
ანტიპაზედ—კერუენის სოფლებში შემდეგს მოგვითხრობენ.

მკაცრი ხასიათის, მდიდარი გლეხი ანტიპა ლუნევი, ორ-  
მოცდა ათმა წელმა ჩაუკაკუნა თუ არა თავში, მწარედ ჩაპირიქ-  
და, სულით შესწუხდა, მიანება ოჯახს თავი და ტყეში გავიდა.  
აქ, ერთ უფსკრულ ხევის პირს აიშენა მან სენაკი და რვა წლის  
განმავლობაში ზამთარ ზაფხულ განუწყვეტლივ განდეგილად  
სცხოვრობდა. ამ რვა წლის განმავლობაში მას ახლო არავინ  
მიუშვია——არც ნათესავი და არც უცხო. ათასში ერთხელ თუ  
ვისმეს გზა დაებნეოდა და მის სენაკს წააწყდებოდა, მას ყო-  
ველთვის მუხლ-მოდრეკილს და ლოცვაში გართულს ნახვდნენ  
ხოლმე. ბოლოს დროს საზარელ რასმეს წარმოადგენდა: მარ-  
ხულობით და მუდმივი ლოცვით სულ ერთიანად ჩამოხმა,  
ჩონჩხს დაემსგავსა და მხეცსავით გაიბარჯვენა ბანლით. მოჰ-  
კრავდა თუ არა ადამიანს თვალსა, დინჯათ წამოდგებოდა და  
ხმა-ამოულებლივ მიწამდინ თავს დაუკრავდა. თუ ვინცობაა

<sup>\*\*) Древняго благочестія.</sup>



დაეკითხებოდნენ — გზა საითაა და ტყიდან როგორ გავიდეთ, უსიტყვოთ, ხელით უჩვენებდა გზას, ერთს კიდევ დაუკრავდა მიწამდინ თავსა, შევიდოდა თვისს სენაკში და კარებს ჩაიკეტავდა. ამ რვა წლის განმავლობაში ხალხს ხშირად ენახა განდეგილი, მაგრამ მისი ხმა კი არავის გაუგონია; ხშირად ცოლ-შვილიც ესტუმრებოდა ხოლმე; მაგრამ საზრდოს და ტანთსა-ცმელს კი გამოართმევდა და როგორც ყველას, მათაც უმდაბლესს სალაში მისცემდა და როგორც ყოველთვის კრინტსაც კი არ დასძრავდა.

ანტიპა იმ წელს მოკვდა, როცა მთავრობა ძველ კეთილმსახურთა უდაბნოების განადგურებას შეუდგა. ერთს დღეს მოვიდა ტყეში ბოქაული რამდენიმე შეიარაღებული კაცით და დაინახა, რომ ანტიპა მუხლ-მოდრეკილი იდგა თვისს სენაკში და ჩუმად ღმერთს ევედრებოდა.

— ეი, არ გესმის! — დაუყვირა ბოქაულმა. — დაიკარგე ემანდედან! ემ წუთს დავანგრევთ შენ სოროს!... მაგრამ ანტიპას არ გაუგონია მისი სიტყვები. ბევრი იყვირა კიდევ ბოქაულმა, ბევრი იღრიალა მაგრამ განდეგილმა არაერთარი პასუხი არ აღირსა. გაანჩხლებულმა ბოქაულმა უბრძანა მხლებლებს ძალით გამოეთრიათ გაჯიუტებული ანტიპა, მაგრამ მხლებლები, ხედავდნენ რა მოხუცის შეუდრეკლობას, ვერ ჰქედავდნენ ბრძანების ასრულებას. მაშინ უბრძანა ბოქაულმა სენაკი დაენგრიათ. შეშფოთებული, გაკვირვებულნი მხლებლები შეუდგნენ სენაკის დაშლას, მაგრამ ჰქოთხილობდნენ არა დაეშვებინათ რა მლოცველისათვის.

გაისმა ანტიპას თავზედ ცულების რახა-რუხი, ფიცრებმა ლაწუნით და ხრიალით დაიწყეს ძირს ცვინვა ტყის სიღრმიდან ყრუდ მოისმოდა ბანი. არა ჩვეულებრივი ხმაურობით შეშფოთებულნი ფრინველნი აშალნენ ხის ტოტებიდან, აფორიაქ-დნენ და განცვიფრებულნი დასტრიალებდნენ მოხუცის სენაკს; ხეებზედ ფოთოლი შეირხა — მოხუცი კი ჰლოცულობდა ისევ, თითქოს არც არა ესმის-რა და არც არას ჰქედავსო.... სულ მთლად დაანგრიეს სენაკი, რამდენიმე ბოძილა დარჩა გასათრე-

ვი და მოხუცი კი ისევ მუხლ-მოდრეკილი იდგა ერთს აღი-  
ლას და ჰლოცულობდა. მხოლოდ მაშინ, როცა მუშაობას  
მორჩინენ და თვითონ ბოქაული მიუახლოვდა განდევილს და  
თმაში წავლო ხელი, ანტიპამ ლმობირად შეჭედა ზეცას და  
წაიჩურჩულა:

— ღმერთო მოწყალეო.... აპატიე მათ.

სთქვა ესა, დაეცა პირქვე და განუტევა სული.

ეს როცა მოხდა, ანტიპას უფროსი შვილი იაკობი ოცდა  
სამი წლისა იყო და უმცროსი, ტერენტი—თვრამეტისა. ლა-  
მაზმა და ლონიერმა იაკობმა სიყმაწვილითვე მოიხვევა სოფელში  
ლოთი ბიჭის სახელი და მამის სიკვდილის დროს კი პირველ  
მოქეიფეთ და აბეზარ კაცად ითვლებოდა მთელს მაზრაში. მას  
მადლიერი არავინა ჰყავდა, ყველა უჩიოდა,—დედა, მამასახ-  
ლისი, მეზობლები; ბევრჯერ დაუტუსალებიათ იაკობი, ბევრ-  
ჯერ გაუჭრელებიათ წკეპლებით; ხშირად უსამართლოდაცა  
სცემდნენ, მაგრამ ვერაფერმა ვერ მოსდრიკა მისი ფარფო ბუ-  
ნება, მისი შეუდრეკელი ხასიათი. რაც ხანი და უამი გადიოდა,  
მას უფრო და უფრო სულს უხუთავდა სოფლის ვიწრო ფარ-  
გალი, უფრო და უფრო უძნელდებოდა რასკოლნიკებში ცხოვ-  
რება; თხუნელასავით მესახლკარობის მოყვარულთ, ყოველი  
ახალი საქმის, ახალი დაწყების წინააღმდეგთ და ძეველ კეთილ-  
მსახურთა გადმოცემათა ჯიუტად დამცველთა წრეში იაკობი  
ვეღარა სძლებდა. იაკობი თუთუნსაც ეწეოდა, არაუსაც სვამდა,  
ევროპიულ ტანთსაცმელს ატარებდა და თვისს მამა-პაპათა  
ლოცვებზედ არ დაიარებოდა. როცა ხნიერნი დარიგებას დაუ-  
წყებდნენ და მამას მოაგონებდნენ, დაცინვით უპასუხებდა:

— ეე, ჯერ დამაცადეთ, თქვე დალოცვილებო,—სუცვე-  
ლაფერს აქვს თავისი საზღვარი. ჯერ შევცოდო საკმარისად  
და მერე მეც მოვინანიებ. ეხლა კი ჯერ იდრეა. რა მამაჩემზედ  
მითითებთ სულა,— მამა ჩემმა კაი ორმოცდა ათი წელიწადი  
სცოდა და მარტო რვა წელიწადი-ლა ინანია თავისი ცოდვე-  
ბი... ეხლა რა ბევრი ცოდო მე მაქვს... როგორც ჩიტის ბარტყს

არ ამძიმებს და არ აწუხებს თხელი და სუფთა ბურძღლი, შეც ჯერ ისე თავისუფლათა ვკრძნობ თავსა, მაგრამ როგორც ჩიტს ბურძღლი ბუმბულათ შეეცვლება, მოვა დრო, მეც დამამძიმებენ ცოდვანი—აი, მაშინ დროც მოვა მონანებისა და მეც მივ-მართავ მაშინ უფალსა.

— ურწმუნონი!— ეძახდნენ იაკობს სოფელში, სძულდათ და ეშინოდათ მისი. მამის გარდაცვალების ორი წლის შემდეგ იაკობმა ცოლი შეირთო. მუდმივი ქეიფობით და დროს გატარებით ოცდა ათი წლის ნაამგდარი სახლ-კარი, ოჯახობა სულ ძირიანად დაამხო იაკობმა და სოფელში ქალს აღარავინ აძლევდა. სადღაც შორეულ სოფელში ითხოვა ოხრალ, უპატრონოდ დატოვებული აბოლი, მაგრამ მეტად ლამაზი ახალგაზდა ქალი. ქორწილის გასაჩალებლად იაკობმა მამისეული ორი ცხენი და საფუტკრე გაჰყიდა. მკრთალი და სულ მუდამ ჩუმი კუზიანი ძმა ტერენტი ცხოვრებაში მას ხელს არ უშლიდა; დასნეულებული დედა კი სულ მუდამ ეუბნებოდა მიხრინწებულის ხმით.

— შე წყეულო, შენა!.. შენი სული მაინც შეაბრალე!.. გეყოფა, დაპირის რას სჩადი!...

— თქვენ ნუ სწუხდებით, დედა-ჩემო!— მიუგებდა ხოლმე იაკობი.— მამა ჩემი შეისყიდის იქ ჩემ ცოდვებს...

პირველ ხანებში, თითქმის მთელი წელიწადი დაქორწინების შემდეგ, იაკობი დინჯად და სიყვარულით სცხოვრობდა თავისს ცოლთან, ერთი ხელობა მუშაობასაც კი მოჰკიდა ხელი, მაგრამ მერე კი ისევ გამუდმებულ ქეიფებს გაჰყვა და მთელი თვეობით იკარგებოდა ხოლმე სახლიდან; ხშირად ნაცემ-ნატყები, დაგლეჯილი და მშიერი დაუბრუნდებოდა ცოლისა... იაკობს დედა მოუკვდა. დედის ქელებზედ უზომო არყის სმით გამობლეჩილმა იაკობმა, თავისს ძევლ მტერს მამასახლისს სცემა და ამისთვის დააპატიმრეს. გაუვიდა ვაღა და თავმოპარსული, დაღვრემილი და გულ-ჩათხრობილი იაკობი ისევ სოფელში დაბრუნდა. სოფელს თან-და-თან უფრო სძულდებოდა იაკობი და ეს სიძულვილი მის ოჯახზედ და მით უმე-

ტესად, სრულიად უდანაშაულო ტერენტიზედაც გადადიოდა, რომელიც თავისს კუზის გაზოისობით ისედაც ბავშვობიდანვე იყო სოფელში აბუჩად აგდებული. იაკობს ტუსალს და ყაჩალს ეძახდნენ, ტერენტის კი—საზიზღარს და კუდიანს. ტერენტი მოთმინებით იტანდა ლანძლვა-კიცხვას, იაკობი კი ყველას ემუქრებოდა:

— კარგით! დამაცადეთ!... მე თქვენ გაჩვენებთ!

მაშინ იაკობი ორმოცის წლისა იქნებოდა, როცა სოფელს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლის გაჩენა მას დაბრალდა და ციმბირში უკრეს თავი.

დარჩა ტერენტის ცეცხლის გაჩენის დროს ჭკუაზედ შეშლილი რძალი და მისი ათი წლის შვილი ილია—ჯან სალი, შავთვალა და თავისს ხანის შეუფერებლად ჭკვიანი ბავშვი. გამოაჩნდებოდა თუ არა ილია ქუჩაზედ, სოფლის ბიჭ-ბუჭები აედევნებოდნენ და ქვის სროლას დაუწყებდნენ ხოლმე. მოზღიულნი კი, მოჰკრავდნენ თუ არა თვალსა, ზიზღით წაიბუტ-ბუტებდნენ:

— ე, ეშმაკის ბარტყო!... შე საციმბიროს თესლო, შენა... დროზედ რომ ჩაძალლდე ის, გირჩევნია!...

ბუნებისაგან დასჯილი ტერენტი, სოფელში ცეცხლის გაჩენამდე ძაფებით, ნემსებით და სხ. წვრილმანი საქონელით ვაკრიბდა, რაკი სხვა გზით მუშაობა არ შეეძლო; მაგრამ ცეცხლის გაჩენის შემდეგ, რომელმაც ნახევარი სოფელი გაანადგურა და არც ლუნევიანთ ქოხი დაინდო, ტერენტისაც დაუკარგა მთელი თავისი საქონელი, ასე რომ ამ ცეცხლის შემდეგ ლუნევიანთ ერთი ცხენი-ლა დარჩათ და ორმოცდა სამი მანათი ფულად—იმათ ავლა-დიდებას ეხლა ეს შეადგენდა. დაინახა რა ტერენტიმ, რომ სოფელში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რძალი ერთ ოხერ-ტიალ დედაკაცს მიაბარა ათ შაურად თვეში, ერთი დანჯლრეული ურეში იყიდა, ჩასვა შიგ თავის ძმისწული და გადასწყვიტა საგუბერნიო ქალაქში გამგზავრებულიყო, სადაც შორეული ნათესავი პეტრუსა ფილიმინოვი ეგუ-

ლეგბოდა — ერთ დუქანში მოსამსახურე და იმედი ჰქონდა, ის ხელს მოგვიმართავს და იქნება როგორმე ვიცხოვროთო.

თავისს დაწმვარ-დაბუგულ სახლიდან ტერენტი შუალამი-სას ქურდისავით ჩუმად გაიპარა. გატრუნული მიერეკებოდა ცხენსა და თავისი მსხვილი შავი თვალებით სულ უკან იყუ-რებოდა. ცხენი ზღაზნით მიდიოდა, ურემი აკვანსავით ირწე-ოდა და თივაში გახვეულმა ილომ მალე დაიძინა მაგარის, ბავ-შვერის ძილით...

შუალამისას რაღაც მგლის ყმუილის მსგავსში ხმამ გამოა-ლვიდა ბავშვი. ნათელი ღამე იყო. ურემი ტყის პირას იდგა, იქვე მახლობლად ცხენი დაღიოდა და ფრუტუნით ცის ნამით დანამულ ბალახს სძოვდა. ვეებერთელა თავ-მომწვარი ფიჭვის ხე შორს, ტყის განაპირას იდგა განცალკევებული, თითქოს სხვა ხეებს არ მოუსურვებიათ მასთან ცხოვრება და თავისს წრიდ-გან გაუდევნიათო. ბავშვის გამჭრიანი თვალები მოუსვენრად დაექცებდნენ ბიძას და ღამის სიჩუმეში აშკარად ისმოდა — დრო-გამოშვებით ცხენის ფეხის ხმა, ყრუდ, ღრმა ოხვრად. ისმოდა მისი ფრუტუნი და რაღაც გაუგებარი, გამოურკვევი ხმაურობა, რომელიც შიშის ქრუანტელსა ჰგვრიდა პატარა ილოს.

— ძია! — ჩუმათ დაიძიახა მან.

— ჰა? — აჩქარებული უპასუხა ტერენტიმ და ყმუილი უც-ბად შესწყდა.

— საღა ხარ?

— აქა გარ. . დაიძინე...

მაშინ კი დაინახა ილომ ბიძა, პატარა გორაკაზედ ის შა-ვად, შეტრუსულ კუნძსავით გამოიყურებოდა სიბნელეში.

— მეშინიან, — უთხრა ბავშვმა.

— რა, რისა გეშინიან? აბა რა არის საშიში?... მარტონი ვართ...

— ვიღაცა ღმუის...

— მოგსიზმრებია... — ჩუმად წაილაპარაკა კუზიანმა.

— ღმერთმანი, ღმუის.

— მგელი იქნება... ის შორს არის, ნუ გეშინიან... შენ დაიძინება.

მაგრამ ილოს აღარ ეძინებოდა. რაღაც მოუსვენრადა ჰედიდა მას ღამის სიჩუმე, ყურებში სულ შესაბრალისი ღმუილი უწიოდა. ბავშვა მიიხედ-მოიხედა, ბოლოს ძირს მიაცეცა თვალები და შენიშვნა, რომ ის იმ მხარეს იყურებოდა, სადაც შორს, ტყით გარემოცული ხუთ თაღა თეთრი ეკკლესია გამოიყურებოდა და თავზედ ბადრი მთვარე დაჲშვაკაშებდა. ილომ იცნო რომოდანვის ვკკლესია და მიხვდა მისგან, რომ ორი ვერსტის სიშორეზედ, აქეთ მის და მის კიბისკენ, ტყეში, ხრა-მის ნაპირას, მათი სოფელი კიტეუნაია უნდა ყოფილიყო.

— ჯერ არაფერიც არ გაგვივლია, წაილაპარაკა მან ჩაფიქრებულმა.

— რაო? — დაეკითხა ბიძა.

— ცოტა მეტს წავსულიყავით-მეთქი... ვაი თუ ვინშე მოვიდეს იქიდანა... და მტრულად გადახედა ილომ თავისს სოფელს.

— წავალთ... დაიცა... — სთქვა ბიძამ და ისევ სიჩუმე ჩა-მოვარდა. ილო მოიკუნტა, მოიკუმშა სულ მთლად, ურმის ჭალს დაეყრდნო და იმანაც იქითკენ დაიწყო ცქერა, საითაც ბიძა იყურებოდა. ხშირ, ბნელს ტყეში სოფელი არ მოსჩანდა, მაგრამ იმას ეგონა, აშვარად ვხედავ მთელს სოფელს, ყოველ ქოხს, ადამიანს და ძველ ჭის გვერდით ქუჩაში ტირიფსაც კიაო. ტირიფის ქვეშ თოკებით გაბაწრული მისი დაგლეჯილ-დაფლე-თილ ჰერანგში გამოხვეული მამა ჰედია: ხელები უკანა აქვს გაკრული, ტიტველა გული გადმოულადრნია და თავი თით-ქოს მჭიდროდ შეხორცებია ტირიფის ძირსაო, ისე მიუჭერია მისოვის. ჰედია უნძრევლივ, მკვდარსავით და საშინელი, გაშმა-გებული თვალებით მამასახლისის ქოხთან მდგარ გლეხებს უყურებს. ისინი ბევრნი არიან, გაბრაზებულნი თვალთაგან ცეცხლებს აფრქვევენ, ჰყვირიან და ილანძლებიან. ამ მოგონებამ ბავშს სევდა მოჰვარა და ყელში თითქოს რაღაცამ წაუჭირაო, სუნ-თქვა შეუკრა. მან კარგათ იგრძნო, რომ სევდისა და ღამის

სიგრილისაგან საცაა ცრემლები გადმოსცვივდებოდნენ, შეგანამ ბიძის შეწუხება არ უნდოდა; თავი შეიმაგრა და უფრო მეტად მოიკუმშა...

უცბათ ჰაერში ისევ გაისმა ჩუმი ღმუილი. ჯერ ვიღაცამ მწარედ ამოიხსრა, სლუკლუკი დაიწყო და მერე შესაბრალისი გულმოსაკლავი კვნესა გააბა:

ოოუოო!...

ბავშვი შეკრთა შიშისაგან და გატრუნა, გჰანაბა სული. ხმა კი თან და თან უფრო იზრდებოდა და ცახცახით ისმოდა ჰაერში.

— ძია, შენა ჰამუი?... — დაიყვირა ილომ.

ტერენტიმ არაფერი უპასუხა, არც კი შეინძრა. მაშინ კი ჩამოხტა ბავშვი ურმიდან, მიირბინა ბიძასთან, ჩაფრინდა მას ფეხებში და იმანაც ქვითინი ამოუშვა. ქვითინსა და სლუკსლუკში მას მაინც ესმოდა ბიძის ხმა:

— გამოვგაძევეს.... ღმერთო! ეხლა სად წავალო, ააა? ბავშვი კი ნერწყვის ყლაპვით ეუბნებოდა:

— დაიცა.... მე წამოვიზდები... და მე ვაჩვენებ იმათ სეირს!.. ჰოოო... — ტირილით მოღლილმა ბავშვმა იქვე მიიძინა. მაშინ აღგა ბიძა, ბავშვი ხელში იყვანა, ურემში ჩაწვინა, ისევ ძველ ადგილს გავიდა და კიდევ გააბა ღმუილი...

---

ილოს ახსოვდა პირველად როგორ მივიდა ქალაქში. ერთ-ხელ დილა გარიანად გაეღვიძა და ოვალწინ უცბად განიერი, მღვრიე მდინარე წარმოუდგა; მდინარეს იქით კი მწვანე და წითელ-სახურავიანი სახლები მიქუჩულიყვნენ და მათ შორის მაღალი, გაფურჩქვნილი ხეები გამოიყურებოდნენ. ფერდოებზედ სახლები მჭიდროთ და ლამაზათ მილაგებულიყვნენ და მაღლა, მთის წვეროკინაზედ კი ერთ რიგში ჩამწკრივებულიყვნენ და მედიდურად გადმოიყურებდნენ მდინარის აქეთა ნაპირებისკენ. ბრჭყვიალა, ოქროს ჯვრები და ეკელესის გუმბათები ამაღლებულიყვნენ მათში და ღრმათ მიღიოდნენ ცაში. მზე ის იყო ამოვიდა; მის ბრჭყვიალა სხივებს ცეცხლი წაეკიდნათ

ფანჯრის შუშებისათვის და მთელი ქალაქი ჰგავნავდა და სხვა და სხვა ფერად ჰყვაოდა

— ღმერთო! — ჩუმათ შეჰყვირა ბავშვა და თვალები დაა-შტერა ამ საოცარ სურათს. კაი ხანი შეჰყურებდა მას ღმო-ბიერად, ხმა ჩაკმენდილი. მერე მოუსვენარმა ფიქრმა გაუელვა თავში — სად ვიცხოვრებთ აქ მე, პატარა, დაგლეჯილ-დაფლეთი-ლი და მოსვრილი მოთხუპვნილი და ჩემი უშნო, კუზიანი ბი-ძა? შეგვიშვებენ კია ამ სუფთა, მდიდარ და ოქროთი შბრჷყვი-ნავ ქალაქში? იმას ეგონა ჩვენი ურემი სწორედ იმიტომ არის აქ გაჩერებული, წყლის პირას, რომ ქალაქში ჩვენისთანა მო-თხვრილ, დაგლეჯილ და ულაზათო, ულამაზო ხალხს არ უშ-ვებენო. იქნება ბიძა, სათხოვნელადაც წავიდა, რომ შეგვი-შვითო...

ილომ გულის ფანცქალით დაუწყო თვალით ძებნა ბიძა-სა. მათ წინაც და უკანაც სხვა კიდევ ბევრი ურემი იდგა; ზოგ მათგანზედ რძე ედგათ ქილებით, ზოგზედ ფრინველი გო-დრებით, კიტრები, ხახვი, ხილი, კარტოფილით სავსე ტომ-რები. ურმებზედ და მათ გვერდით გლეხები და დედაკაცები ისხდნენ. სუყველანი რაღაც სულ სხვანაირი ხალხი იყვნენ. ყველანი ხმა მაღლა, მკაფიოდ ლაპარაკობდნენ და ლურჯი ბლუზები კი არ ეცვათ — სულ ფერად, -ფერადი და წითელ ჩი-თებში იყვნენ გამოწკეპილნი. თითქმის ყველა მათგანს ფეხებ-ზედ წალები ეცვათ და თუმცა მათ გვერდზედ ვიღაც ხმლო-სანი დაიარებოდა, რომელიც ან ურიადნიკი, ან ბოჭაული უნ-და ყოფილიყო, მისი მაინც არავის ეშინოდა და თავსაც კი არ უკრავდნენ. ილოს ეს ხალიან მოეწონა. ურემზედ მჯდარი ათვალიერებდა მზის სხივებით განათებულ ცოცხალ სურათს და თან ოცნებობდა იმ ნეტარ დროზედ, როცა ესეც ჩაიცვამდა წალებს და წითელ ჩითის პერანგში გამოეწყობოდა. შორს, გლეხებს შორის ტერენტიც გამოჩნდა. მას თავი მაღლა აე-წია და ქალამნიან ფეხებს ძლივს მოაბოტებდა. სახე მხიარული ჰქონდა და შორიდანვე გაულიმა ილოს და ხელით რაღაცას ანიშნებდა.



— ლმერთი ჩვენკენაა, ილო! ნუღარ იდარდებ! ძია პეტრეც უცბათ ვიპოვნე... აპა, შეჭამე ჯერ-ჯერობით ესა!...

უთხრა ილოს და თან ხმელი კვერი გაუწოდა. ბავშვმა კრძალვით ჩამოართვა ბიძას კვერი, უბეში შეიდო და აღელვებული დაეკითხა:

— რა, არ გვიშვებენ ქალაქში?

— ამ საათში შეგვიშვებენ... აი, ამ საათში პარომი მოვა და იქითა მხარეს გადაგვიყვანენ?

— ჩვენცა?

— ჩვენც გადავალოთ, მარა... აქ ხომ არ ვიცხოვრებთ?!

— ოჟ! მე კი მეგონა — ჩვენ არ შეგვიშვებენ-მეთქი... მერე, იქ სად უნდა ვიცხოვროთ?

— ეგ კი ჯერ მეც არ ვიცი... ლმერთი გვიჩვენებს...

— აი, იმ დიდ წითელ სახლში რომ ვიცხოვროთ...

— სულელო, ეგ კაზარმაა!... იქ სალდათები ცხოვრობენ...

— მაშ, აგე აიმაში... აგე...

— ჰე, გემო კი გქონია! მაგას ვინ მოგვაუხებს, ჩემო ძმაო!..

— არა უშავს-რა! — დაბეჯითებით წარმოსთქვა ილომ: — იმასაც მივაღწევთ!...

— ეეჟ! — ლრმათ ამოიოხჩა ტერენტიმ და ისევ სადღაც წავიდა.

ცხოვრება ქალაქის განაპირო, საბაზრო მოედანთან, დიდს უფერულ სახლში მოუხდათ. მას ყოველი მხრიდან სხვა შენობები ამოჳკვროდნენ, ზოგნი ახალნი და ზოგნი კი ისევე მოსვრილ-მოთხვრილნი და ისევე ძველნი, როგორც თითონა. ფანჯრებიც და კარებიც ამ სახლში სულ მთლად დალრეცილები იყვნენ და სუყველაფერს ჭრაჲაჭუჭი გაუდიოდა. მიღმულ მიშენებული ქოხ-მახები, გალავანი, ჭისკარი, — სუყველაფერი ერთი მეორეს დასწოლოდა და საერთოდ ნახევრად დამპალ, ხავს - მოკიდებულ ხე-ტყეს წარმოადგენდა. ფანჯრების შუშები გაქონილ - გალესილიყვნენ, შენობის ქუჩის მხარეს

პირში რამდენიმე ხეს სიმძიმესთვის ველარ გაეძლოთ და ზაფუნი ბი გამოეყოთ, რითიც ეს სახლი თავისს პატრონსა ჰგავდა, რომელსაც აქ დუქანი ჰქონდა. პატრონიც ბებერი და ნაცრის ფერი იყო; თვალები იმის დავარდნილ, სიცოცხლე გამოლეულ სახეზედ სახლის ფანჯრებსა ჰგვანდნენ; დაღიოდა და მძიმეთ ეყრდნობოდა სხვილ ჯოხსა; ეტყობოდა, ამასაც გასძნელებოდა დიდი, ვეებერთელი მუცლის ტარება და ისიც სულ მუდამ ჰქმინავდა და ჰკვნესოდა.

ტერენტი სახლის მრავალ ერთ კუთხეთაგანში დასახლდა, სულ ძირის, მიწის სართულში ფანჯარასთან, რომელიც ეზოს ერთ კუნჭულს გაჰყურებდა; ფანჯრის წინ ნაგვის დიდი ხროვა იყო და ძველი სუნელოვანი ცაცხვი და ორიც ხეყრუა ჰხარობდნენ. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ სახლის პატრონი ჯოხით უჩვენებდა ილოზე და ჭახჭახებდა, ილო კი ნაგვის იქით მიმალულიყო და შემინებულის, შემკრთალის თვალებით გამოიყურებოდა

— შენ ვიღასი ხარ? საიდან გაჩნდი-მეთქი?...

ილო ხშირის თვალის ხამხამით ჩუმათ ეგდო ერთს ადგილას და ვერც კი ინძრეოდა.

— შენ ეე, ვისია მეთქი ეს ოხერი? აქ აღარა ვნახო! დაიკარგე აქედან! დამაცა!.. აჲ, შე თაგვის წიწილო, შენა!. რაიო? მოსამსახურესია? შვილიო? ააა! ძმისწული? მერე იმ კუზიან მ—ს არ უნდა ეთქვა, რომ ძმისწულიცა ჰყვანდა? პეტრე, შენ რალას უყურებ? კუზიანს ძმისწულიცა ჰყოლია—ეს რა ამბავია? დღესვე აღარა ვნახო მე აქა!..

ლოყაწითური მებუფეტე პეტრუზა დუქნის ფანჯრიდან გამოიყურებოდა და ხმა-მალლა, მაგრამ მოწიწებით, ეუბნებოდა:

— დროებით, ვასილი დორიმენდონტიჩ, უწლოვანია... სულ ობოლი ბავშვია, არავინა ჰყავს... მე მივეცი ნება აქ ყოფნისა, მაგრამ, თუ თქვენ არა გსურთ, წაგაყვაინებ, მალე მოგაშორებთ.



ილომ რომ გაიგონა, წაყვანას მიპირებენო, შევტლიალა, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, ტყვიასავით გაუელვა სახლის პატრონს გვერდით და თაგვის წრუწუნასავით შეძვრა თავისს სოროში. აქ დაეცა ტარტზედ, წაიხურა თავზედ ბიძის პალტო და სლუკუნ-სლუკინით მორთო ტირილი. მაგრამ მაღლ ბიძა მოვიდა და დაამშვიდა.

— არა გიშავს-რა, ნუ გეშინიან!.. ეგ თურმე ყოველთვის ეგრე ჰყვირის! დაბერებულა და კეუა შემოჰკლებია... აქ ყველაზედ დიდი ეგ კი არ არის, ჰეტრუზაა... აქ ბატონ-პატრონი ის არის!.. იმას მოეფერე შენა... პატივი ეცი ხოლმე!... სახლის პატრონი კი იმასთან მეტიც არის...

პირველ ხანებში ილო სუყველგან დაძვრებოდა და ამ ვეებერთელა სახლში ერთი სოროც კი არ დარჩა მას შეუსწავლელი. ეს სახლი მას ძალიან მოსწონდა და თავისს სიდიდით აკვირვებდა მას. ის ისე მჭიდროთ იყო დასახლებული, რომ ილოს ეგონა—მარტო ამ სახლში უფრო მეტი ხალხია, ვიდრე მთელ სოფელ კიტევნაიაშიო. ხმაურობაც ისეთია მასში, როგორც ბაზარში. ორთავე სართულში დუქანი იყო მოთავსებული, რომელიც სულ მუდამ სავსე იყო ხალხითა; ზეით ჩარდახში ვიღაც ლოთი დედაკაცები სცხოვრობდნენ, ერთ მათგანი, რომელსაც მატიცა ერქვა, შავი, ვეებერთელა ტანის დედაკაცი, მუდამ შიშსა ჰგვრიდა ილოს თავისი გაბრაზებული, შავი თვალებით. მიწის სართულში მეჩექმე პერფიშკა სცხოვრობდა, ავადმყოფი, დამბლად დავარდნილი ცოლით და შვიდი წლის ქალით; ბებერი პაპა ერემეი, რომელსაც ჩვრების დანაგვაში გაყოლილ უვარვის ნივთების კრეფა გაეხადნა ხელობად; გლახა დედაკაცი, ბებერი, საცოდავათ გამხდარი და მყირალა, რისთვისაც ეზოში პოლოროტას ეძახდა დიდი და პატარა, და მეეტლე მაკარ სტეფანიჩი, ხნიერი, დინჯი და ჩუმი კაცი. ეზოს კუთხეში სამჭედლო იყო. სამჭედლოში დილიდან მოყოლებული სალამომდინ ცეცხლს დგრიალი გაჰქონდა, ცხენებს სჭედავდნენ, ისმოდა მუდმივი ჩაქუქის კაკუნი და მაღალი ტანის მჭედელი საველი, ბოხი ხმით განუწყვეტლივ მღეროდა

რაღაც სევდიან სიმღერებსა. ხანდახან სამჭედლოში საველის ცოლიც გამოჩნდებოდა ხოლმე—სრული დედაკაცი, წითელ თმიანი და ცისფერ თვალებიანი. მუდამ თეთრი თავმოსახვევი ჰქონდა ხოლმე თავზე მოხვეული და რაღაცნაირად ვერ შეეხამებოდა ხოლმე მისი სითეთრე სამჭედლოს შავ ჯურლმულსა. ის თითქმის ყოველთვის იკინოდა წკრიალა ხმითა და საველი კი თავისი ბრძი ხმით მეორეს ეუბნებოდა, თითქოს ჩაქუჩის ურტყამს რაღაცაზედაო. უფრო ხშირად კი ქალის სიცილის პასუხათ იღრინებოდა. ამბობდნენ, საველს ძალიან უყვარს ცოლი და ის კი სხვაგან ქეიფობსო...

ამ ვეებერთელა სახლის ყოველ ჭუჭრუტანაში, ყოველ სოროში ადამიანი იჯდა და დილიდან მოყოლებული საღამომდინ სახლს ზანზარი გაუდიოდა ყვირილისა და ხმაურობისაგან, თითქოს შიგ, როგორც დიდს დაეანგებულ ქვაბში, რაღაც სდულს და იხარშებაო. საღამოობით სუყველანი გამოძრებოდნენ ხოლმე თავიანთ სოროებიდან და ან საღმე ეზოში მიიჭუჭნებოდნენ, ან ჭისკართან მდგარ სკამზე ჩამოსხდებოდნენ; მეჩექე პერფიშა „ბუზიკა“-ს უკრავდა ხოლმე, საველი ბლაოდა, ეს სიმღერას ნიშნავდა, მატიცა, თუ გადაკრული იყო, ყველასთვის გაუგებარი სიტყვებით რაღაც საოცარ სევდიანს სიმღერას ამბობდა და თან მწარე ცრემლებს აფრქვევდა.

საღმე ეზოს კუნჭულში პაპა ერემეის შემოუსხდებოდნენ ამ ვეებერთელა სახლში მცხოვრები ბავშვები და ეუბნებოდნენ:

— პა-პა! ზღაპარი გვითხარი!..

პაპა ერემეი უყურებდა მათ დასწეულებულ, დაწითლებული თვალებით, რომლებიდანაც გამუდმებით დამჭვნარ-დალარულ სახეზე მღვრიე ცრემლები ჩამოსდიოდა, ჩამოიფხატავდა თავზე ძველს, გახუნებულ ქუდსა და წვრილის ხმით დიაკვანსავით გააბამდა:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი სახელმწიფო; ამ სახელმწიფოში დაიბადა უცნობი დედმამისგან ცოდვისთვის დასაჯელად ერთი მწვალებელი“...



გააღებდა თუ არა პაპა ერემეი თავისს უკბილო, მაშენეად გამომყურალ პირსა, მისი გრძელი თეთრი წვერი დაიწყებდა ცანცარს, აუცახცახდებოდა თავიც და ღრმად დაღარულ სახეზე განუწყვეტლივ ცრემლებს გაუდიოდა ღაპა-ლუპი.

„საშინელი რამ გამოვიდა ეს ბავშვი: მაცხოვარი იქსო არა სწამდა, ღვთისმშობელი არ უყვარდა, ეკელესიას გაუვლიდა და ქუდს არ მოიხდიდა, პირჯვარს არ გამოისახავდა, დედმამას არ უჯერებდა“...

ბავშვები ყურს უგდებდნენ მის წვრილ, ცახცახა ხმას და გატრუნულ-გაჩუმებულნი შესკეროდნენ სახეში.

ყველაზე გულდადებით ყურს უგდებდა ქერა იაშვა, მებუფეტე პეტრუზას შვილი. იაშვა გამხდარი, ცხვირ წაწვეტებული, წვრილ კისერა და დიდ-თავა ბავშვი იყო. როცა გაიჭეოდა ხოლმე, თავს ისეთი ლახლახი გაუდიოდა, გეგონებოდათ—აი ამ წუთას მოსწყდება კისრიდან და ცალკე გავორდებათ. თვალებიც დიდრონი და რაღაც მოუსვენარი ჰქონდა. ისინი ყოველთვის გაკვრით თუ შეხვდებოდნენ ხოლმე საგნებს, თითქოს ეშინიანთ მათზე გაჩერებისაო და თუ გაჩერდებოდნენ რამეზედ, დაიჭყიტებოდნენ, გადმოიკარკლებოდნენ ბუდიდან და იაშვას სახე ცხვრის გამომეტყველებას მიიღებდა. იგი ყველა ბავშვებში ირჩეოდა უსიცოცხლო, გადამტკნარებული სახით და სუფთა, მაგარი ტანთსაცმელით. ილო მოსვლისათანავე დაუმეგობრდა მას და გაცნობის პირველ დღესვე იაშვა საიდუმლებრივი ხმით ჩაეკითხა თავის ახალ ნაცნობს:

— სოფელში კუდიანები ბევრი გყავდათ?

— რამდენიც გინდა, — მიუგო ილომ. — დედაკაცებიც არიან კუდიანები... ჩვენ შაბერი გვყვანდა კუდიანი.

— ქერა იყო? — ჩურჩულით ჩაეკითხა იაკობი.

— ქალარა. ისინი ყოველთვის ჭალარები არიან ხოლმე...

— ჭალარებს არა უშავთ-რა. ჭალარები გულ-კეთილები არიან ხოლმე... აი ქერები კია... ოჯ, ღმერთმა დაგვიფაროს! ისინი სიამოვნებითა სვამენ აღამიანის სისხლსა!

ბავშვები ეზოს საუკეთესო, მყუდრო აღგილას ისხდნენ — ნაგვის ხროვასთან, ცაცხვა და ხეყრუების ქვეშ. აქ რომ მოსულიყო კაცი, სარაიასა და სახლ შორის დარჩენილ სრუტეში უნდა გამძრალიყო; აქ სიჩუმე იყო ყოველთვის; ცისა და შიშველა კედლის მეტი, რომელშიაც სამი ფანჯარა იყო დატანებული და ორი მათგანი დაუქმებული იყო, არაფერი მოსჩანდა. ეს კუნკული საყვარელ აღგილათ შეექმნათ ამხანაგებს. ცაცხვის ტოტებზე ბეღურები ჰიკეიკობდნენ და ძირს, მის ფესვებთან ახალი მეგობრები ისხდნენ ხოლმე და მშვიდობიანად საუბრობდნენ ყველა საგანზე, რაც კი აინტერესებდათ მათ.

მთელი დღეები ილოს თვალშინ რაღაცა ღრიალებდა, ხმაურობდა, რაღაც უსაგნო და უფერო მოძრაობდა, აყრუებდა მას და თვალებს უქრელებდა. პირველში ილო სულ მთლად დაიფანტა, თითქოს გამოყეყეჩდა ცხოვრების სწრაფათ დუღილში. როცა დუქანში იდგა ხოლმე მაგიდასთან, სადაც ტერენტი გაოფლიანებული და სველი ჭურჭელს რეცხავდა, ილო ჰედავდა, რომ ხალხი მოდიოდა, სჭამდა, სვამდა, ჰყვიროდნენ, ილოშნებოდნენ, ჩხებობდნენ და მღეროდნენ. დალლილ-დაქანცულებს, მოთხვრილებს, ხვითქი გადასდიოდათ, ირგვლივ თამბაქოს ბოლო ღრუბლებსავით ერეკებოდათ თავზედ და ისინი კი შეშლილებსავით ისხდნენ ამ ბოლში და ღრიანცელი გაუდიოდათ...

— შენ! — კუზის ქნევით და მუდმივი ჭურჭლის წკარუნით ეტყოდა ხოლმე ბიძა, როცა დაინახავდა ილოს დუქანში: — აქ რა გინდა? წალი ეზოში, თორემ ხაზეინი დაგინახავს და გცემს!

— დასწყევლოს ღმერთმა! — გუნებაში შეჰყვირებდა ილო და დუქნის ხმაურობით გაკვირვებული გავარდებოდა ეზოში. ეზოში კიდევ საველი ან ჩაქუჩის ურტყამდა გრდემლსა და ან თავის შეგირდს ეჩიჩინებოდა, ეჩხუბებოდა; ქვეიდან, მიწის სართულიდან მეჩექმე პერფიშას მხიარული სიმღერა მოისმოდა, ზეიდან მთვრალი დედაკაცების ლანძღვა-გინება ისმოდა. ღრჯო-

ლება პაშკას, საველის შვილს გადაებიჯა ჯოხისთვის და გუჯურული უყვიროდა:

— აჩუ, შე ოხერო!

მისი მრგვალი, მსუქანი პირისახე სულ ერთიანად ჭვარტლით და ტალახით იყო მუდამ მოსცრილი; შუბლზედ კოპი წამოს-ჯდომია; პერანგი დაფლეთილი აცვია და მის ნახევებ-ნახვრე-ტებიდან მისი მაგარი ხორცი გამოიყურება. პაშკა პირველ მეშფორრათ და მეჩებრათ ითვლებოდა ეზოში; მან ორჯერ მიტყიპა კიდევ მოუხეშავი ილო და როცა უკანასკნელმა ტი-რილით ბიძას შესხივლა, მან ხელები გაპარტყა და უთხრა.

— რა ვწნათ!... რას იზამ? მაითმინე და დაგავიწყდება.

— მე წავალ და ისე მივბეგვავ, რო! — ტირილით დაჰ-პირდა ილო.

— არ გაჰედო! — მკაცრად უბრძანა ბიძამ: — ახლა ჩხუბები დამიწყე აქა!...

— მაშ, ის რათა მცემს?

— ის აქაურია, შენ კი სხვისი ხარ...

ილო მაინც კიდევ ემუქრებოდა პაშკას, მაგრამ ბიძა მოულოდნელიად გაანჩხლდა და დაუღრიალა თავისს მის წულსა; ეს იშვიათად იცოდა კუზიანმა. მაშინ კი იგრძნო ილომ, რომ ის აქაურებს ვერ შეედრებოდა, ჩაიდო გულში პაშკას წინააღმდეგ მძულვარება და უფრო დაუმეგობრდა იაკობსა.

იაკობი ჭკვიანათ იქცეოდა: არც არავის ეჩხუბებოდა და არც ყვირილი იცოდა; თითქმის არასოდეს არ ჩაერეოდა თამა-შობაში, მაგრამ იმაზედ კი უყვარდა ლაპარაკი, თუ მდიდარ სახლებში და ქალაქის ბაღში როგორ თამაშობენ მდიდრის შვილები. ილოს გარდა იაკობი მხოლოდ შვიდი წლის მაშის დაუმეგობრდა, მეჩექმე პერფიშკას ქალსა. მაში გაბუნჯგული, გამხდარი და სუსტი ბავშვი იყო; იმისი პატარა თავი შავი ხუჭუჭი თმით მთელი დღე ეზოში ერჭო. მისი დედაც სულ მუდამ ჩასავალ კარებთან იჯდა ხოლმე. მაღალი და უკან გძელ ნაწნავი გადაგდებული, ის მუდამ თავ-ჩაღუნული იჯდა და რაღასაც ჰკერავდა. როცა თავს აიღებდა, ილო დაუნახავდა

სახეს. სახე მას მსხვილი, დალურჯებული და მიცვალებულსავით გაშეშებული ჰქონდა. მისი კეთილი შავი თვალებიც უმოძრაოდ-უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ. ის თავის დღეში არავის დაელაპარაკებოდა ხოლმე, ქალსაც კი ნიშნებით დაუძახებდა, რაც რამე დასჭირდებოდა. მხოლოდ ხანდახან, და ისიც მეტად იშვიათად, წამოიყვირებდა ხრინწიანის ხმით, თითქოს ვიღასაც ახრჩობდენ.

— მაშო!

პირველ ხანებში ილოს რაღაც მოსწონდა ამ დედაკაცუში, მაგრამ, როცა გაიგო აგერ სამი წელიწადია, რაც კუტად არის დავარდნილი, ფეხებს ვერ ამოძრავებს და საკაა მოკვდებაო, ეშინოდა მისი და ერიდებოდა.

ერთხელ, გვერდზედ რომ გაუარა ილომ, მან ხელი გამოაწოდა, ბლუზაში მოჰკიდა და შეშინებული ბავშვი თავისკენ მიიწოდა.

— ერთ რამესა გთხოვ... — უთხრა დედაკაცმა, — მაშოს ნუ მიწყეინებთ ხოლმე!.. ნუ!..

ძლივს ლაპარაკობდა: ყელში რაღაც უჭერდა.

— ნუ მიწყეინებ, შენი კირიმე!... უთხრა კიდევ, შეხედა საბრალო თვალებით ილას სახეში და გაანთავისუფლა ილო. ამ დღის შემდეგ ილო და იაკობი მეტის ყურადღებით ეპურობოდნენ მაშოს და სცდილობდნენ ყოველნაირი უსიამოვნება აეცდინად მისთვის. მას არ შეეძლო ავაღმყოფი ადამიანის თხოვნა-მუდარა არ დაეფასებინა, რადგან სხვა ყველა მოზდილნი მხოლოდ ბრძანებლობდნენ და სცემდნენ პატარეებსა. მეტლე მაკარი, თუ ბავშვთაგან ვინმე მიუახლოვდებოდა, როცა ის ეტლსა რეცხავდა, გამოუდგებოდა და სველი ჩვრით სულ მთლად აუწიოთლებდა ხოლმე ლოყებსა. საველი ძალიან გაჯავრდებოდა ხოლმე, როცა ვინმე ცნობის-მოყვარეობით შეიხედავდა მის სამჭედლოში და ბავშვებს ნახშირის ტომჩებს ესროდა. პერფიშა, თუ ვინმე გაჩერდებოდა მის ერთად-ერთ სარკმელთან და დაუბნელებდა ოთახს, რაც მოხვდებოდა ხელში—ესროდა.... ხშირად ბავშვებს ისედაც სცემდნენ სრუ-

ლიად უმიზეზოთ, როცა ან გული გადაელეოდათ და გართობა მოუნდებოდათ, ან კიდევ ბავშვებთან გამოსახუმრებლად მოიცლიდნენ. მხოლოდ პაპა ერებეი არა ჩხუბობდა და არავისა სცემდა.

ილოს მალე მოსწყინდა ქალაქის ცხოვრება, სოფლის ცხოვრებას ის ეხლა ბევრად მშვიბინებდა ქალაქისას. სოფელში საცა გინდა, წახვალ, საცა გინდა, ისეირნებ, აქ კი ბიძა ეზოდამ გასვლისაც კი უშლის; სოფელში იქ კიტრს შესჭამ, იქ მუხუდოსა, რაც გინდა, აქ კი ბოსტნები არც კია და სუყველა ფერს ფული უნდა; იქ უფრო ღინჯი ცხოვრებაც არის და ხალხიც სულ ერთსა და იმავე საქმეს აღვია, — აქ სუყველა იგინება, ილანძლება, ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა და რაცა სურს და სუყველა კი ღარიბია, სხვის ხელში შემაცერალი და ნახევრიზე მშეირი. ილო მთელი დღეები ეზოში დახეტიალობდა და მეტად მოსწყინდა ეს ვეებერთელა სახლი თვის გაქონილ, გასვრილ ფანჯრებით.

ერთხელ, სადილის დროს, ტერენტიმ მძიმედ ამოიოხრა და თავისს ძმისწულს უთხრა:

— ეჱ, შემოდგომაც მოდის, ილო... ჰო! აბა ის გაგვიწ-ბილებს ჩვენ ეხლა ცხოვრებას, აი! ღმერთო!..

სთქვა და მწარედ ჩატიერდა. დიდი ხანი იყო ესე ჩუმად და გაშტერებული წენით საესე ჯამს ჩატყურებდა. ბავშვიც ჩა-ფიქრდა. სადილს იმ მაგიდაზე სკამდნენ, რომელზედაც ტერენტი გამუდმებით ჭურჭელსა ჰქეცხდა ხოლმე. დუქანში საშინელი ღრიან ცელი და გუგუნი ისმოდა.

— ჰეტრუხა მეუბნება, ილო და იაკობი სასწავლებელში მივცეოთ. ეეჱ! მეც კარგად ვიცი, რომ ეს საჭიროა... უსწავ-ლელი კაცი აქ იგივ ბრძა კაცია!... უსწავლელი აქ დაილუპ-ბა! მაგრამ სასწავლებელში რომ მიგცეთ, ფეხო გინდა ჩიცმა და ტანთა. თვეში ხუთი მანათით რა ტანისამოსს იყიდი!.. ღმერთო, ღმერთო! შენი იმედი მაქვს მარტო!...

ბიძის ხშირმა ოხრამ და დაღვრემილმა სახემ სული შეუხუთა ბავშვს, ცრემლი მოპევარა და ილომ ნელის ხმით უთხრა:

— მოდი, წავიდეთ აქედან!..

— სადა? — ნაღვლიანად დაეკითხა კუზიანი: — ჩვენ სად შე-გვიძლიან წასვლა?... სად წაგვესვლება?..

— ტყეში წავიდეთ! — უთხრა ილომ და უცბათ მოცო-ცხლდა: — შენ არ ამბობდი, პაპა იმდენი ხანი ტყეში ცხოვ-რობდა მარტოო! ? ჩვენ კი ორნი ვართ! ხეებს ქერქებს ავაძ-რობდით! .. მელებს, თრითინებს დავხოცავდით... შენ თოფს გაიჩენდი, მე კი მახეებს დავაგებდი. ფრინვლებს დავიჭრდით სხვა და სხვანაირსა... ღმერთმანი! ხილია იქა, სოკო ბევრი... წავიდეთ! ...

ბიძამ ალერსით გადახედა ბავშვს და ღიმილით დაეკითხა:

— მგლები? დათვები?

— თოფი ხომ გვექნება? — აღტაცებით შეჰყვირა ილომ. აი მე რომ დიდი გავიზდები, მხეცებისა როდი შემეშინდება! .. მე ხელებით დავახრჩობ! .. მე ეხლაც არავისი მეშინიან და! აქ კი რა ცხოვრებაა? თუმცა მე პატარა ვარ, მაგრამ ყველაფერს კარგადა ვხედავ... აქ უფრო მეტს ჩხუბობენ, სანამ სოფელ-ში... მე ვგრძნობ — ხისა ხომ არა ვარ! ... აი თუ გინდ მჭე-დელი ავილოთ — ერთს ისეთს ჩაგარტყამს თავში, რომ მთელი დღე გტკივა და გიკვნესის თავი... ჩალხიც, რაღაც... დაფლე-თილ-დაგლეჯილი და შევიწროებულია...

— ეჭ, შე საბრალო ობოლო, შენა! — სთქვა ტერენტიმ, დააგდო კოვზი და აჩქარებული სადღაც წავიდა...

სალამოს, როცა ილოს მოსწყინდა უაზროთ და უსაგნოთ ეზოში ხეტიალი, სადაც ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის და მობეზრებული ჰქონდა, ჩაჯდა მაგიდის გვერდით და ბურან-ში პაპა ერემეის და ტერენტის ლაპარაკი ესმოდა. ერემეი ჩაის დასალევათ შემოსულიყო. პაპა ერემეი ბოლოს დროს ძალიან დაუმეგობრდა ტერენტის და სალამოთი ხეტიალით მოღანცული რომ მოვიდოდა, ტერენტის მაგიდასთან დაჯდე-ბოდა და ჩაის სმას დაიწყებდა ხოლმე.

— არა უშავს-რა! — ესმოდა ილოს ერემეის ხრინწიანი ხმა: — შენ ღმერთი ნუ დაგავიწყდება, სასოებას ნუ დაჰკარგავ! ...



მხოლოდ ღმერთი გახსოვდეს. შენ ყმა ხარ იმისი, ვენაცილუ იმის სახელს, და რაცა გაქვს — სულ ღვთისაა!... კეთილიც და ცუდიც — სულ მისია! ის გაარჩევს ყველაფერს, ის შენ ცხოვრებას ჰქედავს, სუკველაფერს ჰქედავს, სუკველაფერს!.. მოვა შენთვის ისეთი ბედნიერი დღე, დაპკრავს ისეთი წუთი, როცა დაუძახებს ის თავისს ანგელოზს და უბრძანებს: წადი და ჩემ კეთილ ყმას ტერენტის გაუადვილე ცხოვრების გზა, შეუმცირე ტვირთი... და მაშინ გეწვევა შენ ბედნიერება... გეწვევა!.. ნუ გეშინიან...

— მე ღვთის იმედი ყოველთვისა მაქვს, პაპა, — მა სხვა რა შემიძლიან? — ჩუმად ეუბნებოდა ტერენტი: — მწამს, რომ ბოლოს ის მიშველის!..

— ისა? მე შენ გეუბნები, ის არასოდეს არ გასწირავს ადამიანს. ეს ცხოვრება ჩვენ გამოსაცდელიად არის მოვლინებული... მისთვის, რომ ავასრულოთ მისი მცნებანი... ის დაგვურებს ზეიდამ: როგორ გვიყვარს ერთმანეთი ხალხს? ისე, როგორც მე ვუბრძანებ თუ არაო?.. და როცა დაინახავს ტერენტის ცხოვრება გაუჭირდაო, შთააგონებს მოხუც ერემეის კეთილ აზრს: აბა, ერემი, უშველე ჩემ ერთგულ ყმას!

და უცბათ პეტრუზიას ხმით, როგორც ის ჯავრობდა ხოლმე, — ერემეიმ განაგრძო:

— ილოს გამოსაწყობად ფულს მე მოგცემ!.. ერთ ხუთ მანეთს როგორ ვერ მოგიხერხებ?.. გასესხებ... როცა გექნება შეძლება, დამიბრუნება...

— პაპა! — შესძახა ტერენტიმ.

— დაიცა, გაჩუმდი! სანამ კი ბავშვი მე მომაბარე, — ხომ სულ ერთია, აქ არაფერს აკეთებს!.. მე კი სარგებელში მიშველის რასმეს... ჩვარს აიღებს, ძველს მომაწოდებს... რაც გინდა იყოს, ესეც კარგია — წელში მოხრა მაინც არ დამჭირდება...

— ღმერთმა გიშველოს! — შეჰყვირა კუზიანმა.

— ღმერთი მე მიშველის, მე — შენა, შენ იმას, ის კიდევ ღმერთსა და წავა, ჩარხივით დაგვიტრიალდება საქმე... ვალშიც არავინ დარჩება... ხე-ხე-ხე ჩემო, ძვირფასრ! ეჭ, ჩემო ძმაო

ვიცხოვრე, კარგა ვადევნე ყველაფერს თვალი და ღვთის შეტი მე ვერაფერი დავინახე. ყველა იმისია, ყველა იმისგან არის და ყველა იმისთვინაა!...

ილოს ამ ლაპარაკში ჩაეძინა. მეორე დღეს ადრიანად პაპა ერემეიმ გამოაღვიძა და მხიარულად უთხრა:

— აბა, წავიდეთ სასეირნოთ! აბა ჩქარა! მოიფშვნიტე თვალები!

პაპა ერემეის მფარველობის ქვეშ ილოს საქმე მშვენიერად წავიდა. ყოველ დღე ადრიანად გამოაღვიძებდა ხოლმე ერემეი ილოს და შელამებამდის დაძვრებოდნენ ქალაქში და ჩვრებს, ძველებს, დახეულ ქალალდს, რკინის ნაკრებს, ტყავის ნაგლეჯებს და სხ. აგროვებდნენ. უზარმაზარი რამ იყო ეს ქალაქი და საყურადღებოც ბევრი რამ ჰქონდა, ასე რომ პირველ ხანებში ილო ბევრს ვერაფერს ჰშველოდა ერემეის, ხალხის და სახლების სინჯვას უნდებოდა, სუყველაფერი აკვირვებდა მას და სცდილობდა ყველაფერი გამოეკითხა პაპა ერემეისთვის... ერემეისაც ლაპარაკი უყვარდა, თავ-ჩაღუნული და მიწაში თვალებ ჩაცეცებული დადიოდა ეზოდამ ეზოში, რკინის წვერიან ჯოხს აკაკუნებდა, იწმინდავდა ან თავისი ჯლანებით, ან მოსვრილ-მოთხვრილი ტომრის წვერით ცრემლებს და შეუსვენებლივ გაბმით უამბობდა თავისს თანა-მხლებელს.

— ეს სახლი პჩელინისაა, სავა პეტროვიჩისა. ძაან შეძლებული ვაკარი პჩელინი!.. ოქროში და ვერცხლში სცხოვრობს სულ...

პაპა! — ეკითხებოდა ილო, — როგორა მდიდრდება ხოლმე ხალხი?

— იშრომებენ, მუშაობენ მაგისთვის... შვილო, დღეც მუშაობენ, ლამეცა და ფულს თან და თან აგროვებენ. ბევრს როცა შეაგროვებენ, სახლს აიშენებენ, ცხენებს გაიჩენენ, ჭურჭელს და სხ. ძვირფასს რამეებს იყიდიან. სუყველაფერს ახალს შეიძენენ! დაიკერენ მოსამსახურებს, მეეზოებს და ათას კიდევ სხ. ვისმეს, რომ ეხლა იმათ იმუშაონ იმათვის და თვითონ დაისვენონ და იცხოვრონ ადამიანურად. მაშინ

იტყვიან — პატიოსანი შრომით შეიძინა ეს ცხოვრება და ეს ფუფუნებაო... მაშ!.. ისეთებიც არიან, რომ ცოდვით, ცუდი საქმით მდიდრდებიან. აი, პჩელინზედ ამბობენ, საყმაწვილეში სული დაიღუპა ამ სიმდიდრისთვისაო... იქნება შურმა ათქმევინა ეს ხალხსა, მაგრამ შეიძლება მართალიც იყოს. საძაგელი რამ არის ეს პჩელინი, თვალიც ცუდი აქვს... სუყველას ემალება, სცდილობს არავის შეხვდეს, ვერც პირდაპირ შემოგხედავს სახეში... მაგრამ შეიძლება ტყუილი მოუგონეს საწყალსა... ისიც მოხდება, რომ უცბად გამდიდრდებიან ხოლმე... ისე ბედი გაულიმებთ. ერთი ღმერთია მარტო, რომ სიმართლით სცხოვრობს, ჩვენ კი არაფერი ვიცით!... ადამიანნი ვართ! ადამიანი კიდევ თესლია ღვთისა!.. დაგვთესა ღმერთმა დედამიწაზედ — იმრავლეთ და იზარდეთ! მე კი გიყურებთ რა მოსავალი მოვაო, დიახ.. ეს სახლი კიდევ საბენეფისაა, მიტრი პავლიჩისა.. ეს პჩელინზედ ბევრად უფრო მდიდარია. ეს კი ნამდვილი ავაზაკია — მე ვიცი... მე კი არ ვკიცხავ — ეს ღვთის საქმეა, — მე მხოლოდ ნამდვილად ვიცი... ჩვენი სოფლის უფროსი იყო და ყველა გაგვყიდა, ყველა დაგვცარცვა!... დიდი ხანი უთმინა ღმერთმა, მაგრამ ბოლოს მაინც, ვენაცვალე იმის სამართალს, მაგისთვისაც მოიცალა. ჯერ დაყრუვდა მიტრი პავლიჩი, მერე ცხენებმა შვილი გაუსრისეს... და ამ ცოტა ხანებში კიდევ ქალი გაექცა...

შოხუცმა ყველაფერი იცოდა რაც პხდებოდა ქალაქში, ეს ყველას კარგათ იცნობდა და უგესლოთ, უშუროთ უამბობდა ყველაფერს პატარა ილოს. ყველაფერი, რასაც კი ის მოჰყვებოდა ხოლმე, სუფთა, ანკარა გამოდიოდა, თითქოს ყველა ამბავს გამოულეველი ცრემლებით ჰქანს და ასუფთავებსო.

ბავში გულმოდგინეთ უგდებდა ყურსა, განცეიფრებული შეჰყურებდა დიდს, მედიდურად წამოჭიმულ სახლებს და ხან გამოშვებით იტყოდა ხოლმე:

— ნეტა ერთი ცალი თვალით მაინც შემახედა ამ სახლებში!..

— ყველაფერს ნახავ, მოითმინე! შენ ისწავლე და იზ-  
რომე მუდამ: გაიზრდები და სუყველაფერს ნახავ! იქნება თი-  
თონ შენც გამდიდრდე... ეჭ, ჰე, ჰე! აი მე ვიცხოვრე, ვიც-  
ხოვრე, ვუყურე, ვუყურე.. და თვალები კი გავიფუჭე... აი,  
განუწყვეტლივ ცრემლი ჩამომდის... და ჩონჩხსავით ჩამოვხმი  
და დავუძლურდი... ცრემლად დავლეულვარ მაშასადამე... სი-  
სხლი გამომელია...

ილოს მეტად მოსწონდა მოხუცის დაბეჯითებული და  
სიყვარულით სავსე ლაპარაკი ღმერთზედ და მის განგებაზედ  
და მისი ტკბილი ლაპარაკის გავლენის ქვეშ ბავშვს გულში მხნე  
და ძლიერი გრძნობა ებადებოდა. მომავალში რაღაც სიხა-  
რულო და ბედენიერების იმედები უღვივდებოდნენ. ბავშვი  
შესამჩნევად გამხიარულდა.

ის ეხლა გატაცებით ჰუკელიდა მოხუცის ქექვას  
და მიგდებულ, მივიწყებულ რამეების ძებნას. ძალიან აინტე-  
რესებდა უეარგის, გადაყრილ საქონლის ქექა და მეტად სიამო-  
ვნებდა მოხუცის სიხარულით, როცა მოულოდნელად ნაგავში  
კარგს რასმეს წააწყდებოდნენ. ერთხელ, ერთ უსუფთაობისათ-  
ვის გათხრილ ორმოში ილომ ვერცხლის კოვზი იპოვა და პაპაშ  
ჯილდოთ ნახევარი გირვანქა კამფეტი უყიდა. ერთხელ კიდევ  
დაობებული და ნახევრად დამპალი პორტმანი გამოაჩინა ნაგავ-  
ში, რომელშიც მანათზედ მეტი ფული იპოვნეს. ღრო გამოშვე-  
ბით ხან დანას წააწყდებოდნენ, ხან ჩანგალს, ქანჩს, და თითბრის  
დამტვრეულ, დაჭყლეტილ რამეებს, ვაქსის და თევზის თუნუ-  
ქის ყუთებს. ერთხელ ხევში, საღაც მთელი ქალაქი ჰყრიდა  
ნაგავსა, ილომ თითბრის მშვენიერი, მძიმე შანდალი ნახა.  
ყოველ ამისთანა შემთხვევაში პაპა რამე ტკბილეულობას უყი-  
დდა ხოლმე.

როცა აღმოაჩენდა რამე საუცხოვოს, ილო სიხარულით  
შეჭყვირებდა:

— პაპა, პაპა, ერთი უყურე, რა ვიპოვნე!

პაპა კი შეფუცხუნებული, მოუთმენლად მიიხედ-მოიხე-  
დავდა და დაბეჯითებით ეტყოდა:

— ნუ ჰყვირი, კაცი! ეჭ, როგორ შეიძლება!...

მას ყოველთვის ეშინოდა, როცა მაგისთანა საუცხოვო რასმეს წააწყდებოდნენ და ყოველთვის გამოპეტავდა ბავშვს ხელიდან და მოუთმენლად თავისს დიდ ტომარაში ჩაქანებდა.

— რა თევზი დავიჭირე! — იკვეხდა გამარჯვებული ილო.

— ჩუმად, ჩუმად, შე საძაგელო!.. ალერსით ეტყოდა მოხუცი და დასწეულებულ თვალთაგან ცრემლი კი მაინც გადმოსდიოდა ღაპა-ღუპით.

— უყურე, პაპა, რამოდენი ძვალია, უყურე! — ისევ დაუყვირებდა ილო.

ძვლები და ჩვრები არ აწუხებდნენ, არ აღელვებდნენ მოხუცს; დინჯად გამოართმევდა ხელიდან, გასწმინდავდა ნაფოტით ტალახისაგან და დამშვიდებული ჩასდებდა ტომარაში. პაპამ ილოსაც შეუკერა პატარა ტომარა და რკინის წვერიანი ჯოხი მისცა ხელში, რითიც ბავშვს თავი მოჰქონდა. თავისს ტომარაში ილო პატარა ყუთებს აგროვებდა, დამტვრეულ სათამაშო ნივთებს და რაც მოეწონებოდა; მას ძალიან მოსწონდა, რომ თავისს ზურგზედ ჰერძნობდა ყველა ამას და მათი ჩხარუნი ესმოდა. ყველა ამის მოგროვებას ერემეი ასწავლიდა.

— აი, მოაგროვე — მაგისთანა რამები და შინ წაიღე. მიიტან, ბავშვებს დაურიგებ გაახარებ. კარგია, როცა სიხარული მიგაქვს ვისთვისმე, ღმერთს ძალიან უყვარს მაგისთანა ხალხი... ეჭ, ჩემო შვილო!.. სიხარული ყველას უნდა და ქვეყანაზედ კი ცოტაა, ცოტა სიხარული! ისე ცოტაა, რომ ხშირად სცხოვრობს კაცი დედამიწაზე, სცხოვრობს და სიხარულს კი ვერ შეეყრება ვერასოდეს, ისე მოჰკვდება!...

ქალაქ გარედ სანაგვეები უფრო მოსწონდა ილოს, ვიდრე ეზოდან ეზოში სიარული. სანაგვეებზედ გარდა ორი თუ სამი ერემეისთანა მოხუცისა არავინ მოიპოვებოდა და ისინიც ხომ მათ-სავით ნაგავს ჰქექავდნენ და აქ არც სიფრთხილე იყო საჭირო და არც შიში, რომ გაჩნდება უცბათ მეეზოე, გაგლანძლავს, გაგათრევს და ხშირად კაი კაისაც წაგარტყაშ კისერში.

ყოველ დღე ორი საათის მუშაობის შემდეგ, ე. ი. ნაგვის ქექვის შემდეგ, პაპა ერემეი ეტყოდა ხოლმე ილოს:

— კარგი, ილო, კარგი!.. გვეყოფა, ეხლა დავისვენოთ  
ცოტა და დავნაყრდეთ კიდეც

ამოიღებდა უბიდან პურის ნაჭერს, გასტეხავდა, მისცემდა  
ბავშვსაც და დაიწყებდნენ ლორნას. ჭამის შემდეგ ნახევარ  
საათამდინ ისვენებდნენ წამოწოლილნი თხრილის წინ. ხევი  
მდინარესთან თავდებოდა და იქიდან მოჩანდა მოწანწარე წყა-  
ლი. განიერი, მოლურჯო, მაგრამ ვერცხლებრივ მბრწყინავი,  
ჩუმად მიაგორებდა თავისს ტალღებს ხევის გვერდით და ილოს,  
ამის მაყურებელს, მოუნდებოდა ხოლმე სადღაც წასვლა მათთან  
ერთად, გაცურება. მდინარის იქით მიყრუებულ-ჩაჩუმებული  
მწვანე ხავერდსავით მობიბინე მდელო იყო გადაშლილი, რო-  
მელზედაც თივის ძნები ამართულიყვნენ ნაცრის ფერ კოშკე-  
ბივით, და შორს, ცის კიდით ტყის უსწორ-მასწორო კედელი  
ზეცას მიჰპჯინებოდა. იქ სუყველაფერს მშვიდობიანობის,  
ალერსის ელფერი ედო და ეტყობოდა, რომ იქ ჰაერი სუფთა  
და ტყბილ სუნნელოვანი უნდა ყოფილიყო... აქ კი ნაგვის  
დამპალი სუნი სულს უხუთავდა ადამიანს,—გულზედ აწვებოდა,  
ნესტოებში ჯლიტინებდა და ილოსაც პაპა ერემეისავით თვალ-  
თავან ცრემლს ადგნდა....

— ჰედავ, ილო, რა უსაზღვროა ქვეყანა?—ეუბნებოდა  
პაპა:—ყველგან ხალხი ცხოვრობს... იმათ ზეიდან კი ღმერთი  
დასცერის, ყველაფერი იცის. ადამიანი გაფიქრებასაც კი ვერ  
მოასწრებს და იმან იცის კიდეცა. ამიტომაც არის, რომ წმიდა  
სახელი აქვს მას—გულთამხილველი ღმერთი საბაო იესო  
ქრისტე. მან ყველაფერი იცის, სუყველაფერსა სთვლის და  
სუყველაფერი ახსოვს. ხალხს კი დაუმალავ შენ ცოდვილ  
სულსა, მაგრამ მას კი—ვერა. ის გულთამხილველია! გიყურებს  
და ამბობს: ახ, შე ცოდვილო, შე უბედურო! დაიცა ყველა-  
ფერს გადაგახდევინებ! მოვა დრო, მოვა უამი, როცა ყველა-  
ფერს გადაგახდევინებს, ყველაფერს მოგაგონებს!.. ხალხს უბრ-  
ძანა: შეიყვარეთ ძმანი თქვენნი და ისე მოაწყო ცხოვრება,  
რომ ვისაც არ უყვარს თავისი მახლობელი, არც ის უყვართ  
სხვებს... და სცხოვრებენ განმარტოებით: ძნელია მათთვის  
ცხოვრება და არცა აქვთ სიხარული...



ილო წამოვორებულიყო ზურგზედ, ზეცას შეჰქონიებდა და მის საზღვარს ვერა ჰქონდავდა. კმუნვამ მოიცვა მთლად მისი არსება და თავში რაღაც გამოურკვეველი და დიადი სანახავები ებადებოდნენ. მას ეჩვენებოდა ცაში ვიღაც დიდი, მბრკინავნათელი, ალე<sup>4</sup> სის, სიყვარულის მომფენი, კეთილი, მაგრამ სასტიკი; მისცურავდა და ვითომ თითონ ბავშვი, პაპა ერემეი და მთელი დედამიწაც მიღიოდნენ მისკენ ცის უფსკრულში, მის სხივის და სინათლის სამეფოში... ჩუმი, მშვიდობიანი სიხარულის ბედნიერებისაგან გული ელეოდა მას, ერინდებოდა.

საღამოობით, როცა ილო შინ ბრუნდებოდა, ისე მედიდურად და ამაყათ შევიდოდა ხოლმე ეზოში, რომ ეტყობოდა ამის თქმა უნდოდა: „საკმარისი ვიმუშავე და ახლა დასვენება მჭირიაო და სრულიად არა მაქვს დრო, რომ რაღაც სისულელებით ვიქცევდე თავს, როგორც სხ. გოგო-ბიჭებიო“. სუკველა ბავშვებს ეზოში მოკრძალებას და პატივის ცემას უნერგავდა თავისი დამჯდარი, მშვიდობიანი სახით და ტომრით ზურგზე, რომელშიაც უსათუოდ რაღაც საინტერესო უნდა ყოფილიყო ყოველთვის...

— ილო, პირი მოიბანე და დუქანში მოდი, ჩაი დავლიოთ! — ეტყოდა ხოლმე პაპა, როცა შინ დაბრუნდებოდნენ.

ილო დინჯათ გასწევდა თავისს ჯურლმულისკენ და უკან ჯგუფად მისდევდნენ ატორლიალებული ბავშვები და ჩუმად, ფრთხილად სინჯავდნენ ტომარას. მხოლოდ ერთი პაშკა იყო, რომ გზაში გადაელობებოდა და დაუყვირებდა:

— ეი, მეჯღანევ! აბა მაჩვენე რა მოვიტანია...

— მოიცილი! — ეტყოდა ხოლმე მრისხანედ ილო: — ჯერ ჩაის დავლევ და მერმე გაჩვენებთ....

დუქანში ბიძა მიეგებებოდა ხოლმე ალერსით.

— რაო, მოხველი, მუშა კაცო? აჲ, შე საწყალო!.. დაიღალე?

ილოს ძალიან მოსწონდა, როცა მას მუშას ეძახდნენ ხოლმე და მუშას მარტო ბიძა არ ეძახდა. ერთხელ პაშკამ რაღაც ჩაიდინა, მამამ ხელი წაავლო, თავი ლაჯებში დაუჭირა, სცემდა და თან ეუბნებოდა:

— ნუ ხარ ცელქი, ნუ ხარ ცელქი, შე ძალლო, შენა! აჲა, აჲა! სხვები შენი ხნისანი თითონ შოულობენ თავისთვის ლუკმა პურსა და შენ კი ჭამისა და ტანთსაცმელის გლეჯის მეტს არაფერს აკეთებდ..

პაშკა საზარლად გაჰკიოდა მთელს ეზოში და წიხლებს იქნედა, თოკს კი 'ტლაშა-ტლუში გაუდიოდა მის ზურგზედ. ილო ღიდის სიამოვნებით უყურებდა მტრის ტანჯვას, წვალებას, მაგრამ მჭედლის სიტყვებმა უპირატესობის გრძნობა ჩაუნერგეს პაშკასთან შედარებით და მაშინ კი შეეცოდა ბავშვი.

— ძია, საველ, გეყოფა!.. — უცბათ შ ჰკივლა მან: — ძია, საველ!

მჭედელმა ერთი კიდევ გადუჭირა თოკი შვილსა, მრისხანეთ გადახედა ილოს და სთქვა:

— შენ ჩაიქმინდე ხმა! მოსარჩელე!.. მე შენ გაჩვენებ!.. — მერე მიანება შვილს თავი და წავიდა სამჭედლოში. პაშკა წამოდგა და ფარფატით გასწია ეზოს ბნელი კუნკულისკენ. ილოც მისი სიბრალულით და საცოდაობით სავსე უკან გაჰყვა. პაშკა მივიდა კუნკულში, წაიჩიქა, შუბლი დარაბას მიაბჯინა, ზურგის ფხანა დაიწყო და უფრო საშინელის ხმით დაიწყო ღრიალი. ილოს მეტად მოუნდა დამცირებულ - დასჯილი მტრისთვის რამე სანუგეშო სიტყვა ეთქვა, მაგრამ მეტი ვერაფერი მოახერხა და ჰკითხა:

— გეტკინა?

— დაიკარგე! — დაუყვირა პაშკამ.

ამ ბოროტმა შეკივლებამ მეტად გააბრაზა ილო და დარიგებითი კილოთი დაიწყო:

— ი, სუყველას შენა სცემ ხოლმე და ეხლა შენც...

მაგრამ ილოს ჯერ არც კი დაეთავებინა ლაპარაკი, რომ პაშკა მიჰკერდა და წამოაქცია. ილოც გაშმაგდა — ჩააფრინდა რაც კი ძალი და ლონე ჰქონდა და ორივემ ფართხალი დაიწყეს დელამიწაზედ. პაშკა იგინებოდა და იკაწრებოდა, ილომ ჩაავლო თმაში ხელი და იქამდის უგლიდა მიწაზედ თავსა, სანამ დაჯაბნებულმა მოწინააღმდეგემ ამ შეჰკივრა:

— გამიშვი!

— ეჭპე! — წამოიძახა ილომ, როცა გამარჯვებული წამოდგა ზეზედ. — ნახე? ვინ უფრო ღონიერი ყოფილა? ამის უკან აღარ გაჰქვდო ჩემი წინაღმდეგობა, თორემ ყოველთვის ესე გბეგვამ ხოლმე!..

განზედ გადგა და სახელოთი დაკაწრული პირისახიდან ჩამონადენი სისხლის წმენდა დაიწყო. ეზოში დაფიქრებული და მოღუშული მჭედელი იდგა. ილომ მოჰკრა თუ არა თვალი, შეჰკრთა, სულ მთლად აცახცახდა — ის დარწმუნებული იყო, რომ მამა დაიჭერდა და შვილის ჯავრს ამოიყრიდა. მაგრამ ამის მავიერ ის მხრებში შეიშმუშნა და უთხრა:

— რა იყო, რას დამაჭურიტე თვალები? კვლავ არ გინახევარ, თუ როგორ არის შენი საქმე? წალი რაღა, საცა მიდიოდი...

საღამოთი კი დაიჭირა ილო ჭისკართან, მსუბუქად წაჰკრა თავში წკიპურტი და ჰქითხა:

— როგორ არის შენი საქმეები, ჰა?

ილოს სიხარულით სიცილი წასკდა, — ის ბეღნიერად ჰერქნობდა თავსა. ბრაზიანი და მთელ ეზოში ყველაზე ღონიერი გლეხი, რომლისაც ყველას ეშინოდა და ყველა პატივსა სცემდა, ეხლა მას ეხუმრებოდა. მჭედელმა თავისი რკინის თოთები მხრებზედ დაადო და უფრო გაახარა ილო:

— ოშო, კაი მაგარი ბიჭი ყოფილხარ! — უთხრა საველ-მა: — შენ მაღვე არ მოკვდები!.. გაიზარდე, გაიზარდე! როცა ცოტა მოიზრდები, სამჭედლოში აგიყვან!

ილო შემოეხვია მჭედლის მუხლისა და მაგრა მიაჭირა გული. ალბად, იგრძნო საველმა პატარა გულის ძერა, უხეში ალერსით გახარებულის ბავშვისა, რომ მძიმე ხელი თავზე დაადო და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მძიმეთ წარმოსთქვა:

— ეეჭ! საბრალო ობოლო! აბა გამიშვი ერთი!

დღეს გახარებული შეუდგა ილო თავის საქმეს — დღის განმავლობაში შეკრეფილი ნივთების საჩუქრად დარიგებასა. ბავშვებს მოჰკრეზრდათ კიდეც ამდენი ხნის ლოდინი. ისინი გარს

შემოუსხდნენ ილოს და ხარბის თვალით შეჰყურებდნენ მას მოსერილ ტომარას. ილო კი დინჯაღ ალაგებდა ტომრიდან ჩითის ნაჭრებს, ხის სალდათს—ცუდი ცხოვრებით გახუნებულსა, ვაქსის ყუთსა, ყურ-მოგლეჯილ და ნაპირ-მომტვრეულ ფინჯანსა და სხვ.

— ეგ მე მომე, მე მომე!—ისმოდა ყველა მხრიდან და პატარა მოსერილ-მოთხვრილი ხელები წაეტანებოდნენ ხოლმე ძვირფასი ნივთებისაკენ.

— დაიცა! ნუ კი იტაცებ!—უყვიროდა ილო!—რაღა თამაშობა იქნება, თუ სულ დაიტაცებთ? აბა, დუქანსა ვხსნი! ვყიდვი ჩითის ნაჭრსა... საუკეთესო ჩითია, მშვენიერია! ათი შაური ფასი! მაშო, იყიდე!

— იყიდა,—უპასუხებდა მეჩექმის ქალის მაგიერ იაკობი, ილებდა ჯიბიდან წინ-და-წინვე მომზადებულ ჭურჭლის ნატეხს და ხელში აჩექებდა ვაჭარს, მაგრამ ილო არ ართმევდა.

— ეგ რაღა თამაშობაა? შენც უნდა შემევაჭრო, განა! შენ სულ არ იცი ხოლმე შევაჭრება! ეგრეთი ვაჭრობა სად გინახავს?

— დამავიწყდა!—იმართლებდა თავს იაკობი და დაიწყებდა გაჯიუტებული ვაჭრობას; ვაჭარიც და მუშტარიც გაერთობოდნენ ხოლმე და ამასობაში პაშკა მიეპარებოდა, მოიტაცებდა რაც მოსწონდა, გავარდებოდა განზე და შორიდან აჯავრებდა:

— მე კი მოგპარეთ, მოგპარეთ! ა, თქვე დოყლაპიებო, თქვე სულელებო, თქვენა!

პირველ ხანებში პაშკას ამ გვარი საქციელი ყველას აშმაგებდა ხოლმე: წვრილნი ჰყიოროდნენ, ჰყიოდნენ, იაკობი და ილო კი გაფაციცებულნი დასდევდნენ პატარა ყაჩაღსა, მაგრამ თითქმის ვერასოდეს ვერ დაიჭერდნენ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს კი მიეჩივნენ მის ამ გვარ საქციელს, მისგან კარგს არაფერს მოელოდნენ, ერთხმივ შეიძულეს ყველამ და აღარავინ ეთამაშებოდა. პაშკა განცალკევებული სცხოვრობდა და სცდილობდა რამე უსიამოვნობა მიეყენებინა მათთვის. დიდ თავა

იაკობი კი ძიძასავით უვლიდა მეჩექმის ქალს; უკანასკნელი მის მოვლა-გაფრთხილებას ისე იღებდა მისგან, როგორც დამსა-ხურებულს და თუმცა იაშოჯანს ეძახდა, მაგრამ ხშირად აკაწ-რავლა სახეს და სცემდა კიდეც იაკობი. იაკობი ილოს თან-და-თან უფრო უმეგობრდებოდა და თან მუდამ რაღაც საოცარ სიზმრებს უამბობდა ხოლმე.

—ვითომც მე ბევრი, ბევრი ფული მქონდა, დიდი, ვევ-ბერთელა ტომარა სულ მანათებიანებით მქონდა სავსე. ვითომ მომიკიდია ზურგზე და ტყეში მივათრევ. უცბად ყაჩალე'ი შე-მეხეჩნენ. დანები ეჭირათ და საშინლები იყვნენ! მე იმ წუთას მოვკურცხლე! უცბათ ტომარაში რაღამაც შეითხხრიალა და ძირს დავაგდე, სხვა-და-სხვა ფრინვლები ამოფრინდნენ, ფრჩ! ჭივჭავები, წყალ-წყალები ბევრი, ბევრი შემომეხვივნენ, ამწიეს და მაღლა-მაღლა წამიყვანეს!

შესწყვეტავდა ლაპარაკს, თვალები გადმოუბრუნდებო-დნენ და სახე ცხვრის გამომეტყველებას მიიღებდა...

— მერე? — აგულიანებდა ილო და თან მოუთმენლად ელოდა, რითი დაბოლოვედებოდა სიზმარი.

— აღარაფერი, ეგრე სულ გავფრინდი!... — დაფიქრებუ-ლი დაბოლოვებდა იაკობი.

— სადა?

— რა ვიცი... ისე... სულ გავფრინდი!...

— დაიკარგე! — იმედ-გაცრუებული და ნაწყენი ეტყოდა ხოლმე ილო: — აღარაფერი გახსოვს!...

დუქნიდან გამოვიდოდა პაპა ერემეი, ხელს მიიტანდა პირ-თან და დაიყვირებდა:

— ილო! სადა ხარ? წამო დავიძინოთ, დროა!...

ილო მორჩილად გაჰყვებოდა მოხუცს, დაიგებდა ქვეშ თი-ვით გატენილ ტომარას და მიიძინებდა. ტკბილად ეძინა ილოს ამ ტომარაზე, მოხუცთანაც კარგად სცხოვრობდა, მაგრამ ამ სასიამოთ ტკბილმა ცხოვრებამ მაღლ გაიელვა და ჩაჭრა.

(შემდეგი იქნება)

# ტარას გულგა

მოთხოვბა

ნ. გ. გოგოლისა.

## II

მხედარნი ჩუმად მიღიოდნენ. მოხუცი ტარასი წარსულზედ ფიქრობდა: გაითვალისწინა მთელი თავისი ახალგაზრდობა, წელნი წარსულნი, რომელთაც „ყაზახი“ მუდამ მისტირის და ნატრობს სიცოცხლე ახალგაზრდობაში გაატაროს. ფიქრობდა იმას, თუ „სეჩში“ ახლა თავის ძველ მეგობართაგან ვიღას ნახავდა. ანგარიშობდა და იგონებდა, ვინ მოკვდა, ვინ ცოცხალი დარჩა, და ამ ფიქრში თვალზედ ცრემლი აუგორდა, ჭალარა თავი მოწყენილად ჩამოეკიდა.

შვილები სულ სხვა ფიქრით იყვნენ გატაცებულნი. მაგრამ შვილებზედ ცოტა მეტი უნდა ვთქვათ. თორმეტის წლით იყვნენ ესენი მიცემულნი კიევის აკადემიაში, რადგანაც ყველა საპატიო და წარჩინებულს კაცებს იმ დროისას მოვალეობად მიაჩინდათ შვილებისათვის განათლება მიეცათ, თუმცა ეს სწავლა შემდეგში სრულიად ავიწყდებოდათ. ამ დროს ისინი, როგორც ყველა სხვა ბურსაში შემსვლელნიც, იყვნენ ველურნი, თავისუფლად აღზრდილნი; მაგრამ ცოტა-ცოტაობით იწვრონებოდნენ, რომლის შემდეგაც საერთოს თითქოს რაღასაც იძენდნენ, ერთმანერთის მზგავსნი ხდებოდნენ. უფროსმა ამათვანმა, ოსტაპმა, სწავლა იმითი დაიწყო, რომ პირველსავე წელიწადს

დაწყვიტა და გამოიქცა. ოსტაპი უკანვე გაგზავნეს, ლაშაზად გააჭრელეს და ისევ წიგნს მიუსვეს. ოთხერ დამარხა მიწაში ოსტაპმა თვისი ანბანი, მაგრამ ოთხერვე უღმერთოდ მიბეჭეს და ახალი უყიდეს. უთუოდ შეხუთეჯერაც გაიმეორებდა მასვე, მაგრამ მამამ შეჭრიცა—ოცს წელიწადს მონასტერში გამყოფებ ბიჭად და არც „ზაპოროეიეს“ პნახავ თვალით შენს სიცოცხლეში, თუ აკადემიაში ყველა მეცნიერებას არ შეისწავლიო. საყურადღებო და საკვირველი ის არის, რომ ამას ეუბნებოდა შვილებს იგივე ბულბა, რომელიც, გახსოვთ ზემოდ, ნასწავლობასა ჰლანძლავდა და ურჩევდა შვილებს—ნუ ისწავლით, თავი დაანებეთო. ამ დღიდან ოსტაპმა შესანიშნავის შეცადინეობით დაიწყო სწავლა და მალე საუკეთესო შეგირდებს გვერდში ამოუდგა. მაგრამ მაშინდელს სწავლას ცხოვრებასთან საერთო არა ჰქონდა-რა: სხვა-და-სხვა გვარი სხოლასტიური, გრამატიკული, რიტორიული და ლოგიკური წვრიმალები დროს სრულიად არ შეეფერებოდნენ, ცხოვრებაში გამოუსადეგარნი იყვნენ. ამ რიგად განსწავლულთ თავიანთი ცოდნა, თუნდაც შედარებით ნაკლებ სხოლასტიური, სრულიად ვერსად გამოეყნებინათ. თვითონ იმ დროის სწავლულნიც სხვებზედ ნაკლებად არ იყვნენ ბრიყვნი, რადგანაც გამოცდილება და ცხოვრების ცოდნა სრულიად არ ჰქონდათ. მასთან ბურსის რესპუბლიკანურს მოწყობილობას და ამ აუარებელს ჯანსაღს, მოუსვენარს ზორბა ახალგაზღობას უნდა უთუოდ ჩაეგონებინა მათ-თვის, თუ სწავლის გარეშე როგორ ემოდვაწნათ. ხან და ხან ცუდი შენახვა, ხან შიმშილით ხშირად დასჯა, ხან მეტი მოთხოვნილებანი, რომელნიც მათს ჯანსაღობასა და ახალგაზრდობაში იბადებოდნენ, ყოველივე ეს ერთად ამზადებდა მათ „ზაპოროეიები“ თავგამოდებულ და უშიშარ ცხოვრებისა-თვის. შშიერი ბურსაკები დაძრწოდნენ კიევში ქუჩა-ქუჩა და ყველა შიშში ჰყვანდათ, ყველა უფრთხოდა. ქუჩაში მოვაჭრე დედაკაცები მაშინვე კალთასა და ხელს გადააფარებდნენ ხოლმე პიროვებსა, ბუბლიკებსა და გამხმარ გოგრის გულს, როგორც-კი შორიდან ბურსაკს მოჰკრავდნენ თვალსა. კონსულს, რომელიც

ვალდებული აყო თავისს ამხანაგებისათვის თვალ-ყური ედუჭვნებინა, ისეთი უშველებელი შარვლის ჯიბეები ჰქონდა, რომ თუნდაც მოელს დუქანს (ლაბკა) მოაქცევდა შიგ, თუ-კი სადმე მოვაჭრე დედაკაცს წანათვლებს მოასწრებდა. ბურსაკები ამ რიგად სრულიად განსაკუთრებულს ქვეყნიერობას წარმოადგენდნენ: მაღალი წრე, რომელსაც პოლონელთა და რუსთა თავად-აზნაურობა შეადგენდა, ახლოს არ იყარებდა. თვითონ ვოევოდა აღამ კისელი, მართალია, აკადემიას ჰმფარველობდა, მაგრამ მათს საზოგადოებაში გამოყვანას ერიდებოდა და ნაბრძანები ჰქონდა სასტიკი ყურადღება ჰქონდათ. მაგრამ ეს ბრძანება სულ მეტი იყო, რადგანაც რექტორი და პროფესორი-ბერები უიმისოდაც არ იშურებდნენ როზგსა და ისე ააჭრელებდნენ ხოლმე, მათის ბრძანებით, ლიქტორები კონსულებსა, რომ რამ-დენისამე კვირის განმავლობაში შარვლის ფხანას აღარ სტო-ვებდნენ. ზოგიერთა მათგანისათვის ეს მაინც არა იყო-რა და ისე მიაჩნდათ, ვითომ ცოტა მოჭარბებულად ცხარე პილპი-ლიანი არაყი დაელიოთ; სხვებს-კი თავს მოაბეზრებდა ხოლმე ასეთი ხშირ-ხშირი ანთება გვერდებისა და მირბოდნენ „ზაპო-როვიეში“ თავის დასაღწევად, თუ გზაზედ არავინ დაიჭირდა და უკანვე არ დააბრუნებდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ოსტაპ ბულბამ ლოგიკისა და ლვოს-მეტყველების სწავლა ერთგულად დაიწყო, შეუბრალებელ როზგებს მაინც თავი ვერ დააღწია. ეჭვი არ არის, ეს გარემოება ხასიათს უთუოდ გამო-უცვლიდა და სასტიკობასა და სიმაგრეს შეაჩვევდა, რაიცა ყაზა-ხთა გან აკუთრებულს თვისებას შეადგენდა.

ოსტაპი ამხანაგობაში საუკეთესო ახალგაზრდათ იყო მიჩნეული. იგი იშვიათად სწინამდლოლობდა ხოლმე ამხანაგებს ქურდობა-ტაციაობის დროს, მაგალითად, სხვისა ბალსა და ბოსტანს რო შეესეოდნენ, მაგრამ მონაწილეობით კი არავის ჩამოჰქმებოდა ხოლმე და პირველი ამოუდგებოდა მხარში თავისს გამბედავ ამხანაგ-ბურსაკს; მასთან არასფერს შემთხვევაში და არასოდეს არ გასთქვამდა ამხანაგს; ვერავითარი როზგი და მათრახი ამ სისაძაგლეს ვერ ჩადენიებდა ხოლმე. ომისა და

უზომო ქეიფის მეტი სხვა მას არა იზიდავდა-რა, არასოდეს სხვა რამ ფიქრად არ მოსდიოდა. ტოლთანა და სწორთან შესანიშნავი გულახდილი იყო. ჰქონდა გულკეთილობა და იმოდენი, რამოდენიც მისის თასიათის პატრონს იმ დროს შეჰქონდა. საბრალო დედის ცრემლებმა ძლიერად იმოქმედა მასზედ და ამან აიძულა ჩაფიქრებულიყო.

უმცროსს მმას, ანდრიას, უფრო ცოცხალი და მეტად განვითარებული გრძნობები ჰქონდა. სწავლობდა უფრო მეტის ხალისითა და მუყაითობით, როგორც მაგარისა და მძიმე ხასიათისა. მმასთან შეღარებით, ანდრია უფრო გამჭრიახი და მოხერხებული იყო, ამისათვის ხშირად მეტად საშიშო და სახიფათო საქმეში უწევდა ხოლმე ამხანაგებს ხელმძღვანელობას და იკოდა მასთან, სასჯელისაგან თავი როგორ დაეძრინა, მაშინ როდესაც ოსტაპი, ძმა მისი, ამ გვარს შემთხვევებში არასოდეს პატივებას არ ითხოვდა ხოლმე და დიდ-ხანს აღარ ალაპარაკებდა, გაიხდიდა კაბასა და გაწვებოდა იატაკზე გასალისადა. ანდრიასაც ძმაზედ ნაკლებ არ უცემდა გული საგმირო საქმეებისათვის, მაგრამ სული სხვა გრძნობათა შესათვისებლადაც მზად ჰქონდა. გადადგა თუ არა მეთვრამეტე წელში, უცებ სიყვარულის მოთხოვნილება იგრძნო. ამის შემდეგ მისს მხურვალე ოცნებას ხშირად წამოუდგებოდა ხოლმე ქალი თვისის მომხიბლველობით; ლექციების მოსმენისა და ფილოსოფიურ დისპუტების დროსაც კი იგი მუდამ თვალ-წინ ედგა, ნორჩი, შავთვალა, ნაზი-ნარნარი. მუდამ უამს ელანდებოდა მისი მოელვარე, თეორი გულმკერდი და ნაზი შშვენიერი, თითქმის მთლად შიშველა, ხელი; თვით კაბაც, რომელიც მის უმანკო და ძლიერ ტანის ნაწილებს ჰქონდა ხოლმე შემოწევ-პილი, მისს ოცნებას მუდამ რაღაც გამოუთქმელის ვნებით იტაცებდა. მაგრამ ყველა ამას დიდის სიფრთხილით ჰქონავდა და მალავდა ამხანაგთაგან, რაღანაც ფიქრი დედაკაცსა და სიყვარულზე ჯერ ომისა და ბრძოლის გამოუცდელ ყაზახისა-თვის იმ დროს სამარცვინო იყო.

საზოგადოდ ამ ბოლოს დროს იგი იშვიათად-და წინაპერ ღოლობდა თავისს ამხანაგებს რომელსამე სამტაცებლო საქმე-ში და უფრო ხშირად მარტოდ-მარტო დაიარებოდა ხოლ-მე კიევის რომელსამე განაპირია მიგარდნილ ადგილებში, სა-დაც დაბალი და სამაცლუროდ გამომცეკვალი სახლები თი-თქმის მთლიად ალუბლის ბალებით იყო ხოლმე დაფარული. ხან-და-ხან კი კიევის საარისტოკრატო ნაწილსაც ეწვეოდა ხოლმე, იქ, სად ძველი ნაწილია კიევისა და სადაც მალორო-სიელი და პოლონელი თავად-აზნაურნი სკეპტიკის მდიდრულად იყვნენ ნაშენები. ერთხელ, როდესაც ასე დაყიალებდა, ვიღასიც პოლონელ პანის ტლანქი ეტლი წამოეწია და ზედ მჯდომარე საშიშრად გაბარჯვნილ ულვაშებიანმა მეეტლემ „ენუტი“ გემრიე-ლად გადააწნა. ახალგაზდა ბურსაკი მთლიად აენთო; ეცა საშინელის გამბედაობით, სტაცა ეტლს უკანა თვალში ძლიე-რი ხელი და ეტლი შეაყენა. მაგრამ მეეტლეს შეეშინ-და, ხეირს არ დამაყრისო და ცხენები გარეკა; ცხენებმა გაიწიეს, ანდრიამაც ხელი უშვა, მაგრამ პირ და პირ პირქვე გაიშალა ტალახში. უცბად მის ზემოდან წკრიალა, ჰარმო-ნიული კასკასი გაისმა. აიხედა ანდრიამ და დაინახა, რომ ფან-ჯარაში იდგა მშვენიერი, ლამაზი ქალი, რომლისა მზგავსიც ჯერ არსად ვინ ენახა: თეთრი, ვით თოვლი, შავ-თვალა, დი-ლის მზისაგან ცოტათი შეწითლებული, გულიანად ხარხარებდა იგი და ეს სიცილი მისს სილამაზეს უფრო მეტად მომხიბლველადა და წარმტაცად ჰქონდიდა. ანდრია გაშტერდა. უცქეროდა თავ-დავიწყებული და დაბნეული პირისახიდან ტალას იცლიდა, მაგრამ უარესად ითხუპნებოდა. ვინ იყო, ნეტა, ეს ლამაზი? უნდოდა, როგორმე მისი ვინაობა მდიდრულად გამოწყობილ მოსამსახურეთაგან შეეტყო, რომლებიც ჭიშკარს შიგნით მეფანდურეს შემოჰევეოდნენ და უურს უგდებდნენ, მაგრამ მსა-ხურთ ერთი ყიუინა დასცეს, ასე გათხუპნული რომ დაინახეს და პასუხის ღირსი არ გახადეს. ბოლოს, როგორც იყო, შეიტყო, რომ ეს მისი მომხიბლველი ლმაზი ქალი დროებით

კიევში ჩამოსულ კოვნელ მოურავის ასული იყო. მეორეჯ და  
მესვე, როგორც ეს მხოლოდ თავზედ ხელ-აღებულ ბურსაკებს  
შეჰვერით, ღობედან ბალში გადაძვრა და ავიდა ხეზედ, რომლის  
ტოტებიც ზედ სახლის ჭერზედ იყო გადაშვებული. ხიდან გა-  
დავიდა სახლის ჭერზედ და ბუხრიდან პირდაპირ ამ ქალის საძი-  
ლო ოთახში ჩავიდა. ქალს ამ დროს სანთელი ედგა წინ და ძვირ-  
ფასს საყურეებს იღებდა ყურიდან. უცბად რომ მოულოდნე-  
ლად უცხო კაცი დაინახა თავისს წინ, მშვენიერი პოლკა (პო-  
ლონელი ქალი) ისე შეშინდა, რომ ხმის ამოლება ვეღარ მოა-  
ხერხა. მაგრამ რო ნახა, ჩვენი ბურსაკი თავ-ჩაკიდული იდგა  
მის წინ და ვერც-კი პბედავდა ხელი გაენძრია,—როდესაც  
იცნო, ეს ის არის, რომ ტალახში გაიშელარტა და ამოისვა-  
რაო, უცბად ისევ სიცილი წაჰავდა. მაგრამ ანდრიას სახეს სასა-  
ცილო არა ჰქონდა-რა: იგი იყო ლამაზის შეხედულობისა.  
ქალი-კი იცინოდა გულიანად და დიდ ხანს არ გაჩუმებულა, თავს  
ირთობდა. ლამაზი პოლკა, როგორც საზოგადოდ ყველა პო-  
ლონელი ქალები, ქარაფშუტა იყო; მისი მშვენიერი, გამმსჭვა-  
ლი თვალები უცბად ატყვევებდნენ მნახველსა და სამუდამოდ  
ინადირებდნენ მისს გულს. მაშინ როდესაც ბურსაკს მოძრაო-  
ბა ვერ ექნა, თითქოს ტომარაში გაუქაჩავთო, ქალი მივიდა  
მასთან თამამად, დაადგა თავზედ თავისი ბრწყინვალე დიადემა,  
გაუკეთა ტუჩებზედ საყურეები და კისეის თხელი ოქრომჟედით  
ნაკერი შემიზეტკა წამოახა. ასე ჰრთავდა მას და ემასხარებოდა  
ათას ნაირად, ისე, როგორც ბავ ვებს შეჰვერით მხოლოდ და  
როგორს ქცევასაც მხოლოდ ქარაფშუტა პოლკა თუ გაპბე-  
დავს. საბრალო ბურსაკი ამან სულ მთლად შეაკრთო და შეარ-  
ცხვინა: პირდაღებული სასაცილოდ შეჰყურებდა მომხიბლველს  
თვალებში და იყო ასე უმოძრაოდა. მაგრამ უცბად ამ დროს  
კარებთან რაღაც რახუნი მოისმა. ქალი შეშინდა და უბრძანა  
კრაოტს ქვეშ დამალულიყო. მაგრამ მალე ყველაფერი დამ-  
შვიდდა, ქალმა თვისს გორნიჩნაიას (ტყვე თათრის ქალს) დაუ-  
და და უბრძანა—ფრთხილად ბალში ჩაეყვანა და იქიდან ღო-  
ბეზედ გადაეყვანა. მაგრამ ამ ქამად ჩვენი ბურსაკი ისე მშვი-

დობით ვერ გადაიპარა ლობეზედ: ხმაურობაზედ გამოღვიძევ  
ბულმა მეეზოვებ ზორბად მოსცხო კეტი ფეხებში და შემდეგ  
დანარჩენ მოსამსახურეთ დაც ხანს უზილეს გვერდები, ვიდრე  
გაქცევას მოახერხებდა და თავს დააღწევდა. ამის შემდეგ მათ  
სახლის მახლობლად გავლა საშიში შეიქნა, რადგანაც მოუ-  
რავს აუარებელი მოსამსახურენი ჰყავდა. ერთხელ კიდევა ნახა  
ანდრიამ იგი კასტოლში (კათოლიკეთა ეკლესია). შეპნიშნა თუ  
არა ანდრია, ქალმა ტკბილად გაულიმა, როგორც თავისს დიდის  
ხნის კარგს ნაცნობს. ერთხელ კიდევ როგორლაც შორიდან  
მოჰკრა სადღაც თვალი, მაგრამ ამის შემდეგ მოურავი მალე  
კოვნოში წავიდა. ლამაზ პოლკას მაგივრად ამის შემდეგ ფან  
ჯრიდან ვიღასიც გასიებული სახე გამოიყურებოდა ხოლმე.  
ანდრია ასე თავჩაქინდრული დაჰყურებდა ცხენის ფაფარსა და  
იგონებდა ყოველსავე ამას.

მინდორმა კი დიდი ხანია მაღალსა და მწვანე ბალახში  
დაჰმიალა იგინი და თავ თავებ შეუ მხოლოდ-ლა მათი შავი ციკ-  
ნის ქუდები მოსანდნენ.

„ე, ე, ე! ბიჭებო, რატომ აგრე გაჩუმდით!“ წამოიძახა  
ბოლოს ბულბამ, ფიქრიდან რომ გამოერკვა: „ეგონებათ ბე-  
რები არიანო! აბა, ფიქრი ეშმაკს დაულოცეთ ყველამა! გავა-  
ჩილოთ ჩიბუხები და გავრეკოთ ცხენები, რომ ფრინველიც კი  
ვეღარ მოგვყვეს უკანა!“

და ცხენებზედ გაკრულნი ყაზახნი უცბად გაჰქრნენ ბა-  
ლახში. ახლა კი ქუდებიც იღარ მოსანდა და მხოლოდ მღელ-  
ვარე ბალახის ტალღა-ლა იყო მაჩვენებელი იმისი, თუ საით  
გაჰქრნენ ისე სწრაფად.

კარგა ხანი იყო მზეც ამოვიდა და მოწმენდილ ციდან  
თავისის მაცხოველებელ, თბილ სხივებით მინდორი მოჰფინა.  
ყოველივე ფიქრი და დარღი უცბად გადაეყარათ მხედრებს და  
მათმა გულმა ჩიტის გულივით შეითროთხიალ-შეითამაშა.

რამდენიც შორს მიდიოდნენ, მინდორი იმდენი უფრო  
მომხიბლველი და შვერნიერი სანახავი ხდებოდა. მთელი სამხ-  
რეთი, მთელი ის მანძილი, რომელიც ახლანდელს ნოვოროსიას



შეადგენს, ვიდრე შავ ზღვამდე, ერთი გაბმული გაუვალია მწულებული უდაბნო იყო. არსად მისს გალალებულ მცენარეთა ზურგზე, რომელსაც ქარის დროს ზღვასავით ღელვა გაჰქონდა, გუთანს არ გაუვლია, გარდა ცხენებისა, რომელნიც ტყესავით შიგ იმალებოდნენ და სთელავდნენ. არათერი ამაზე უმშვენიერესი ალარ ინახვებოდა დედამიწის წურგზე: მთელი ზედაპირი მინდვრისა წარმოადგენდა მწვანედ გაბიბინებულ ზღვას, რომელსაც აუარებელი სხვა-და-სხვა ყვავილები ამკობდნენ. გალალებულ, მაღალ ბალახიდან მტრედის ფერ, ლურჯ და სოსან ყვავილებს აქა-იქ თავი ამოეყოთ; თეთრი იონჯა ქოლგებისავით დაჭვენლდა მწვანედ მობიბინე მინდვრის ზედაპირს. ვინ იცის, საიდან გაღმოტანილი თავ-თავი პურისა ხშირს ბალახში გავსებულიყო. მათ ძირში ტყის ქათმები თამამად დაყელყელაობდნენ. ჰაერში ათას გვარ ფრინვლის ქავილ-ხივილი ისმოდა. მაღლა ცაში ქორებს გაერთხოთ ფრთები და უძრავად დაჭრებოდნენ დაბლა ბალახსა. სხვა მხრივ მოისმოდა ყივილი გარეულ ბატის ქარავანისა, ვინ იცის, რომელ შორეულ ტბიდანა. ძირს ბალახიდან აქა-იქ წამოსრიალდებოდა დედა-მთვრალა ჩიტი და ლაქვარდს ცაში სამურად დაცურაობდა. აგერა შორს, სადღაც მიუწვდენელ ცის სივრცეში გაჰქრა და შავ წერტილად ოდნავ-ლა მოსჩანს; აგერ გადატრიალდა-და მზის სხივებმა მის ფრთებზე ცეცხლებრ გააკვესეს... ეშმაკმა წაილო შენი თავი, მინდორო, რომ აგრე კარგი ხარ!...

ჩვენი მგზავრები მხოლოდ რამდენისამე წამით ჩამოხტებოდნენ სადმე, ისადილებდნენ და ისევ გზას შეუდგებოდნენ. თანმხლები ათი ყაზახი ჩამოჰქმდნენ „გარელკით“ სავსე პირ დაცულ ხის კასრებს და გოგრებს, რომლებიც ჭურჭლის მაგიერობას უწევდნენ ხოლმე. სჭამდნენ იგინი მხოლოდ პურსა და ატანდნენ ქონს, ან შეექცეოდნენ გამხმარს შაფართხელებს (პურისას) და თითო ხის ფიალა გარელკას გასამაგრებლად, რადგანაც ტარას ბულბა გზაში სმის ნებას არავის აღლევდა, და ისევ გასწევდნენ, ვიდრე არ შემოაღამდებოდათ.

საღამოთი მთელი მინდორი ფერს იცვლიდა ხოლმე: მისს გადაბიბინებულ, გაელვარებულს მწვანე სივრცეს უკანასკნელი მოკაშვაშე სხივი მზისა გადაევლებოდა და ნელ-ნელა ბინდი გადაეკვროდა, ასე რომ, თითქმის თვალითა სჩანდა, როგორ გადაურბენდა ხოლმე აჩრდილებრ ბნელი და მომწვანო, შავი გახდებოდა; ორთქლვა უფრო უხშირებდა, თვითოეული ბალახი, თვითოეული ავავილი სანეტარო სუნს აფრქვევდა და მთელი მინდორი აღკმეულ სუნნელოვნებად გადაიქცეოდა ხოლმე. ბუნდოვანს, მტრედის ფერ ცას განიერი ოქროსა და ვარდისფერი ზოლები გადაეკვროდა, თითქოს ვიღასაც უზარმაზარ სამხატვრო ფრთას გამოუყვანია; იშვიათად, აქა-იქ, თხელი, გამმსჭვალი ღრუბელიც გადაიპენტებოდა და გრილი, ზღვის ტალღებსავით მომხიბლველი ნიავი ბალახის თავებს ოდნავ წამოუბერავდა, შეასისინებდა და ლოყას ნაზად შეეხებოდა. დღის ხმაურობა და მუსიკა მისწყდებოდა, მიჩუმდებოდა, ახლა სხვაზე შეიცვლებოდა. ჭრელი ციყვები გამოძრებოდნენ თავიანთ სოროდან, შედგებოდნენ უკანა ფეხებზედა და მინდორს სტვენით აყრუებდნენ. ისმოდა კალიებისა და ჭრიჭინების ტკაცა-ტკუცი და წრიპინი. ხან-და-ხან მახლობელ ტბიდან მოისმოდა წეროს ხმა და ჰაერს ვერცხლებრ წკრიალით მოეფინებოდა ხოლმე. მგზავრები ამოირჩევდნენ ლამის გასათვად აღგილსა, ჩამოხტებოდნენ, გააჩალებდნენ ცეცხლსა და შემოსდგამდნენ ქვაბს; ამოდიოდა აჩუხჩუხებულ ქვაბიდან ოხშივარი და ჰაერს ერთვოდა, ბოლავდა. ვახშის შემდეგ ცხენებს ფეხებს გაუბავდნენ, გაუშვებდნენ საძოვრად და თვითონ მიიძინებდნენ. ქვეშ, ყველა, ზემოდან ჩასაცმელ კაბებს გაიშლიდა ხოლმე. თავზედ ვარსკვლავნი დაჰკაშვაშებდნენ. ისმენდნენ ყურით, ურიცხვნი მწერნი, ბალაში მიმალულნი, როგორ უსტვენდნენ, წრიპინებდნენ, ჭრიჭინებდნენ, ატკაცუნებდნენ და ყოველივე ეს ხმაურობა ლამის სუფთა ჰაერში როგორ იწმინდებოდა, მთვლემარე ყურს ნანას როგორ ეუბნებოდა. ხოლო თუ ვინმე მათგანი გამოიღვიებდა და წამოდგებოდა, თვალ-წინ გადეშლებოდა მინდორი, ცეცხლებრ მოელვარე ციცინათელებით მო-



ფენილი. ხან-და-ხან ჩამობნელებულ ცაზედ, აქა-იქ, შორს ცუკის ლის ალი გამოკრთებოდა, რომელიც სადმე მდინარის პირად ან ჭალაში გამხმარს ჩალასა და ლერწამს ეკიდა და ჩრდილო-ეთით მიმავალ წეროების გუნდი უცბად ვერცხლებრ ვარდის ფრად გამოაშუქებდა, თითქოს ცაზე, სიბნელეში წითელი კარვები მიღრინავენო.

ჩვენს მგზავრებს არა შეჰმთხვევიათ-რა. არსად ხე არა სჩანდა: იგრგვლივ თვალ-გადუწვდენელი, მშვენიერი, ლალი მინდორი იყო ისევ. დრო გამოშვებით მხოლოდ შორს მოსჩანდა ლურჯად მილეული ტყის კენწეროები, რომელიც მდინარე დნეპრის ნაპირებზე იყო აყრილი. მთელის მგზავრობის დროს მხოლოდ ერთხელ შეახედა შვილები ტარასმა შორს ბალაში შავად გამოჩენილ წერტილზე და უთხრა: „უყურეთ, შვილებო, აგერა თათარია, რომ მიაქროლებს!“ ულვაშებიანშა პატარა თავმა თათრისამ შორიდანვე დაანთო თვისი წვრილი თვალები, მექებარევით ჰაერს დაჰსუნა და, რომ ნახა, ყაზახები ცამეტნი იყვნენ, შველივით გაჰქრა. „აბა, შვილებო, სცადეთ და დაიჭით თათარი! მაგრამ, არა, ტყუილად ეცდებით,—ვერასოდეს ვერ დაიჭირთ: ჩემს ეშმაკაზე მალი ცხენი ჰყავს!“ მაგრამ მაინც ბულბამ სიფრთხილეს მიჰმართა, რაღანაც შეიძლებოდა მტერი სადმე ჩასაფრებული ყოფილიყო: შეცურეს მდინარე თათრი-ანა-ში, რომელიც შემდეგ დნეპრს უერთდებოდა და ასე წყალ-წყალ დიდ-ხანს იარეს, რომ მტრისათვის კვალი აებნიათ. შემდეგ ისევ ნაპირად გამოვიდნენ და გზას გაუდგნენ.

სამი დღის შემდეგ შორი მანძილი აღარ დარჩათ იმ ადგილამდე, სიითაც ასე მიეშურებოდნენ. ჰაერი უცბად აგრილდა: დნეპრის სიახლოვე იგრძნეს. აგერა, შორიდანვე ლაპ-ლაპი დაიწყო მდინარემ და ცის დახავალზე შავად გამოინასკვა. ცივს ტალღებს ლაღად აქანავებდა და თან-და-თან ახლოვდებოდა, მინდვრის ნახევარი ზედაპირი დაიჭირა. ეს იყო ის ადგილი სწორედ, სადაც ჭოროხებით აქამდე შებოჭვილი თავისუფლად იშლებოდა და ზღვასავით შხუოდა; სადაც გაფანტული კუნძულები ნაპირებს უფრო უშორებდნენ და შემაღლებულ,

საერთო ადგილებს აცილებული, შორს, შორს აფენდა დედა-  
მიწას თავისს ტალღებსა. ჩამოხტენენ ყაზახები ცხენებიდან,  
ავიდნენ ბორანზე და სამის საათის შემდეგ მიაღწიეს ხარტიკის  
კუნძულის ნაპირებს, სადაც იმ უამაღ თავის ბინის ხშირად  
მცვლელი „სეჩი“ იმყოფებოდა.

მთელი გროვა ხალხი მოაწყდა მაშინვე ნაპირსა. ყაზახები მა ცენტრი გაამზადეს. ტარასი წელში გასწორდა, ქამარი მაგრად შემოიჭირა და ულვაშებზედ ხელი ამაყად გადისვა; შვილებმაც თავით ფეხთამდე რაღაცა გამოურკვეველ შიშითა და სიამოვნებით თვალი აივლ-ჩივლეს და ყველანი შევიღნენ სოფელში, რომელიც „სეჩიდგან“ სულ ვერს ნახევრის მანძილზედ იყო. შესვლისათანავე მათ შემოესმათ ორმოც და ათამდე სამკედლო ჩაქუჩის კაკუნი, რომელიც მიწაში ჩადგმულ ალიზით ნაშენ სამკედლოებიდან გამოდიოდა. ძარღვ-მაგარი ჭონები და დაბალები ისხდნენ დერეფნებს ქვეშ ქუჩაში და ძლიერის ხელით ხარის ტყავებსა სრესდნენ; მეტალები კიდევ ფანჩატურებ ქვეშ წამომსხდარიყვნენ და გარს შემოეგროვებინათ ტალები, კვესები, თოფის წამალი; სომებს ძვირფასი ცხვირსახოცები გამოეფინა; თათარს კიდევ წამოეცვა წვეტ ხეზედ ცომიანი ცხრის დასორსოლებული ხორცი და ატრიალებდა. ერთს ურიას კიდევ კისერი წაეგძელებინა და ბოჭკიდან „გარელკას“ სწურავდა. მაგრამ სულ პირველად თავს წაადგნენ ზაპოროჟელს, რომელსაც ხელ-ფეხ გართხმულს შიგ შუა გზაში ეძინა. ვერ მოითმინა ტარას ბულბამ, შეაყენა ცხენი და სიამოვნებით დაუწყო ცქერა. „ჰე, რა ლამაზად გაჭიმულა! სწორედ რომ საუცხოვო სანახავია!“ და მართლაც გამბედაობის გამომეტყველი სურათი იყო გადაშლილი: ლომისავით ზორბაზაპოროჟელი გაშხლართულიყო შიგ გზაში და თვისის გრძელი „ჩუბით“ (კეფაზედ წამოზრდილი თბა) ნახევარ არშინამდე მიწადა ფეხთარა; ალის ფერი ძვირფასი სუკნოს შარვალი მთლად კუპრში ჰქონდა ამოსვრილი, ნიშნად იმისა, რომ გაფრთხილებას არას დასდევდა და სძულდა იმისი ძვირფასობა. ცქერით რომ დასტება, ბულბა ისევ ვიწრო ქუჩას გაუდგა, რომელიც სხვა



და სხვა ხელოსნებითა და ვინ იცის რა ერის ხალხით მთლიანად გაჭედილი იყო. ეს ადგილი აცმევდა და აჭმევდა „სეჩას“, რომელმაც მხოლოდ ქიფი და თოფის ხმარება იცოდა; ამიტომ მუდამ ხალხით სავსე იყო და საქულბაქოს უფრო წაგავდა.

ბოლოს გავლეს ეს ადგილიც და აგერ გამოჩნდა რამდენიმე ქოხი ჩალითა და თათრულიად ნაბდის ჩულებით დახურული. ზოგან ზარბაზნებიც იდგა. არსად არ სჩანდა არც ღობე და არც ისეთი დაბალი, დერეფნიანი ხის სახლები, როგორებიც სოფელში იყო. მცირე სანგლები და საფარები, რომლებსაც სრულიად არავინ სდარაჯობდა, მნახველს უჩვენებდნენ რამდენად დაუდევარნი და უზრუნველნი უნდა ყოფილიყვნენ მცხოვრებნი. რამდენიმე ზორბა ზაპოროჟელი ჩიბუხით პირში ზედ გზაზედ წამოწოლილიყო და მოსულთ გულცივად გაჭედეს, ადგილიდან არ დაძრულან. ტარასმა ფრთხილად გაუარა გვერდით თავისის შვილებით და მიესალმა: „გამარჯვებათ, პანე (ბატონებო)!“ — „გაგიმარჯოთ თქვენც!“ უპასუხეს ზაპოროჟებმა. ყველგან, მინდორში, საამურად ჭრელად ირეოდა ხალხი. გარუეულ სახეზედ ეტყობოდათ, რომ ბრძოლაში გამოჯევილები და ყოველგვარ გაჭირვების მნახველნი იყვნენ. ეს იყო „სეჩი“! ბუდე, საიდგანაც გამოდიოდნენ ამაყი და ლომივით მაგარი ზაპოროჟელები! აქედან ვრცელდებოდა თავისუფლება და ყაზახობა მთელს უკრაინაში!

მგზავრები გავიდნენ ფართო მოედანზედ, სადაც ჩვეულებრივ რჩევა და ბჭობა („რადა“) იმართებოდა ხოლმე. დიდი ამობრუნებულს ბოჭკაზედ შემჯდარიყო უპერანგო ზაპოროჟელი, ეჭირა ნემსი და პერანგს მძიმ-მძიმედ, გამოგლეჯილ ადგილებს უკერებდა. ახლა კიდევ მთელი დასი მესაკრავეებისა და უხვდათ, რომელთა შუაშიაც ჩამდგარიყო ვიღაც ახალგაზრდა ზაპოროჟელი, მოეგდო გვერდზედ ჩაკეცილი ქუდი და გაცხარებული ცეკვას უვლიდა. თან გაჭკიოდა: „ცოცხლად დაუკათ, ცოცხლად! არ დაზოგო, თომა, გარელკა — მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთათვის!“ და თვალ-ჩარეგვილი თომაც უანგარიშოდ

ასმევდა ყველას დიდ-დიდი თუნუქათი. ახალგაზრდა ზაპოროველი უელს გვერდში ამოსდგომოდა ოთხი მოხუცი და ესენიც ფეხს უსვამდნენ, ხტოდნენ მაღლა, ხტოდნენ განზედ, თითქოს მესაკრავეებს უნდა თავზე გადააფრინდნენო,—მერე უცბად ბუქნას დაუვლიდნენ და გაჰქონდა ვერცხლის ნალებს ტყაპა-ტყუპი და ზაპი-ზუპი გატკეპნილს მიწაზედ. დედამიწას ირგვლივ გუგუნი გაჰქონდა და წკრიალა ნალების „გოპაკები“ და „ტროპაკები“ (ცეკვაა) შორს, შორს ისმოდა ჰაერში. მაგრამ ერთი ყველაზედ მეტად გაჰკიოდა და დაპქროდა ცეკვაში გახურებული; ქოჩორი ქარს აეშალა, გული გადაედელნა. თბილი ზამთრის ტყავი მხრებზედ წამოეგდო და ოფლი კოკის პირულად ჩამოსდიოდა.—„ე ტყავი მაინც გაიძრე!“ დაუძახა ტარასმა: „ხომ ჰედავ, როგორა გხარშავს“.—„არ იქნება“, ყვიროდა ზაპოროველი. — „რატომაო?“—„არ იქნება: ხასიათათა მაქვს: რასაც გავიხდი, შევჭამ კიდეც“. და მართლაც აღარც ქუდი სადმე უჩანდა ამ ჯეელს, აღარც სარტყელი, არც ნაკერი ხელ-სახოცი: ყველასათვის გზა ეჩვენებინა. ხალხის გროვა თან-და-თან იზრდებოდა; მოცეკვავეთ ახლა სხვანი ემატებოდნენ და ყველა თითქოს საცეკვაოდ ამოძრავდა, ყველა ათამაშდა, მაგრამ ისე თავისუფლადა და გატაცებით—გაგიუებით, რომლისა მზგავსიც ადამიანს იშვიათად რამ ენახვება და რომელსაც გამომგონელთა სახელს „კაზაჩქას“ უწოდებენ.

„ჰაი, უ ცხენზე არ ვიქნებოდი!“ შესძახა ტარასმა: „ღმერთ-მანი მეც უთუოდ დაუვლიდი!“

ხალხში ამ დროს გამოჩნდნენ თავისის ვაუკაცობით „სეჩში“ ყველასგან პატივცემული არა ერთხელ მამასახლისებად ნამყოფი თეთრ-ჩუბიანი მოხუცნიც. ტარასმა მაღლ ბეცრი ნაცნობი ნახა ოსტაპსა და ანდრიას ავერ არის მოესმოდათ მამისა და მის ძველ ნაცნობთა სალამი: „ო, შენა ხარ, პეჩერიცა! გამარჯობა კოზოლუბო!“ „საიდან გაჩნდი, ტარას?“—„შენ რაღა გინდა აქა, დოლოტო? გამარჯობა კირდიაგა! გამარჯობა, გუსტი! რას ვითიქრებდი, თუ გნახამდი-ლა, რემენ?“ და ეს მთელის რუსეთის აღმოსავლეთ მხრიდან შემოკრებილი ბუმბერაზ-გო-



ლიათნი ჰტყლოშნიდნენ ერთმანერთსა და ეკითხებოდნენ: „შეუძლია ან ასი რაღა იცი? ან ბოროდავკასი? კოლოპერი სადღაა? ან პიდიშოკი?“ და ტარას ბულბას პასუხად ეუბნებოდნენ, რომ ბოროდავკა ტოლოპანში ჩამოახრჩეს, კოლოპერს ყიზიკირმნენ-ში ტყავი გააძრეს, რომ პიდიშოკას თავი დაამარილეს ბოჭკაში და ცარგრადში გაგზავნეს. ჩატკიდა თავი მოხუცმა ბულბამ და დაფიქრებული იძახდა: „კარგი ყაზახები იყვნენ, კარგი!“

## III

ერთი კვირა გავიდა თითქმის, რაც ტარას ბულბა თავისის შეილებით „სეჩში“ სცხოვრობდა. სამხედრო სკოლისას ოსტაპი და ანდრია ძალიან მცირედს რასმე სწავლობდნენ, რადგანაც საომარ ვარჯიშობაში დროს დაკარგვა „სეჩს“ არ უყვარდა; ახალგაზღვის იწვრთნებოდა და ვითარდებოდა პირდაპირ დამოუკიდებელის გამოცდით თვითონ ბრძოლის დროს, რომელიც მაშინ ისე ხშირი მოვლენა იყო ხოლმე. მოსაწყენად მიაჩნდათ ყაზახებს ბრძოლასა და ბრძოლას შეუ მოცლილი დრო რაიმე სამხედრო დისციპლინის შესწავლისათვის მოენდომებინათ, გარდა მიზანში თოფის სროლისა და ცხენის დოლისა და ჯირითისა, ან მინდორსა და ჭალებში ნადირზედ გამოკიდებისა. დანარჩენს თავისუფალს დროს მოლად ქეიფს ანდომებდნენ, ამ ლალი სულის თავისუფლად გამომხატველს საგანს. მთელი „სეჩი“ რაღაც არა ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენდა: იგი იყო ერთი დაუსრულებელი მეჯლისი, დიდის ამბით დაწყებული და ბოლო-მოულებელი ღრეობა. ზოგნი-კი ხელობას მისდევდნენ, სხვები ვაჭრობას; მაგრამ მომეტებული ნაწილი დილით საღა-მომდე განუწყვეტლივ ქეიფობდა, თუ-კი ჯიბეში უჭყაოდათ რამე და ნადავლი ჯერ კიდევ ვაჭრებისა და მეღვინეების ხელში არ იყო გადასული. რაღაცა მომჯადოებელი რამ იყო ეს სა-ერთო მეჯლისობა. იგი არ წარმოადგენდა ჯავრისაგან გალო-თებულ მელუდეების კრებულს, არა, იგი იყო მხოლოდ თავ-დაუჭერელი თავისუფალი მხიარულება. ყველა, ვინც-კი იმათში

გაერეოდა, წარსული ფიქრი და ზრუნვა უცბად გადაეყრებოდა, ავიწყდებოდა. თუ-კი შეიძლება ასე ითქვას, კველა მაშინვე ივიწყებდა მთელს თავისს წარსულს და უზრუნველად ეძლეოდა ამხანაგობის საერთო ტალღას, რომელიც შესდგებოდა მისებრვე მოქეიფე ცალ-ლერა კაცებისაგან, რომელთაც არ გააჩნდათ არც ნათესავი, არც ჭრი, არც ოჯახობა, გარდა მაღლა ცისა და გულში დაუსრულებელ მხიარულობისა. ეს გარემოება იყო სწორედ ნამდვილი მიზეზი იმ საზღაპრო თავისუფალ მხიარულებისა, რომელსაც ვერავითარი სხვა წყარო ვერ წარმოშობდა. ამბები და ლაყბობა დასასვენებლად თავ-შეყრილ და ზარმაცად მიწაზედ წამოწოლილ გროვა ხალხისა ხშირად იქმდის სასაცილო და ნამდვილ ცხოვრების მაჩვენებელი იყო, რომ მართლაც მხოლოდ გარევნობით გულგრილ ზაპოროჟელს თუ შეეძლო წარბ-შეუხრელად მათი მოსმენა, რა ხასიათიც შეადგენს განსაკუთრებულს თვისებას სამხრეთ რუსეთის შვილისას. მხიარულობა რაღაც მათრობელი და მეტის-მეტი ახმაურებული იყო, მაგრამ შავს კაბაკს-კი არა ჰგავდა, სადაც კაცი მახინჯდება ამ უთავებოლო, ჩათხრობილ გამაბრუებელ მსმელობით; არა, უფრო სკოლის შეგირდების მხიარულს წრეს მოგაგონებდათ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ჩხირით ხელში კითხვისა და მასწავლებლების უგვან ჩიჩინის მაგივრად ხუთი და მეტი ათასი ცხენით ყაზახები მტერს თავს ესხმოდნენ ხოლმე; მინდვრის მაგივრად, სადაც ისინი მხიარულად ბურთა-ობდნენ ხოლმე, ამათ უსაზღვროდ გადაშლილი და უმეთვალყუროდ მინებებული სწორი ჰქონდათ, რომლიდგანაც თათარი თავისს ცანცარა თავს გამოუყოფდათ ხოლმე და თურქი, მწვანე დოლბანდში გახვეული, უმოძრავოდ, სასტიკად გამოიურებოდა; განსხვავება იმაში იყო, რომ თვის-და უნებურად სკოლაში შეკრებებისა ნაცვლად, ესენი თავისით გაურბოდნენ მშობელს დედ-მამასა და სახლს; რომ აქ იყვნენ ისეთნი, რომელთაც თავი თითქმის სახრჩობელაში ჰქონდათ გაყოფილი და სიკვდილის მაგიერად სიცოცხლე მიენიჭათ, მასთან ლალი, თავისუფალი; იმაში, რომ აქ იყვნენ ისეთნი, რომელთაც თა-

ვისის კეთილშობილ ხასიათით არ შეეძლოთ ჯიბეში ფარა  
დაეყენებინათ,— მაშინვე გაჰფლანგავდნენ; რომ ზოგიერთი  
მათგანნი წინად ოქროსა სთვლიდნენ სიმღიდრეთ, მაგრამ მოი-  
ჯარადრე ურიების წყალობით ისე შეიძლებოდა გადმოებერ-  
ტყათ ჯიბები, რომ ფარა არ გაჰვარდნოდათ. აქ იყვნენ ყვე-  
ლა ის ბურსაკები, რომელთაც აკადემიის როზგები ვერ იშვნიეს  
და სკოლიდან, როგორებიც მიბრძანდნენ, ისეთვე წამო-  
ბრძანდნენ; მაგრამ იყვნენ ისეთნიც, რომლებმაც კარგად  
იცოდნენ ვინ იყო პორაციო, ციცერონი, ან რომაელთა რეს-  
პუბლიკა რა ხილი იყო. აქ იყო ბევრი ისეთი ოფიცერი, რომ-  
ლებმაც შემდეგ სამეფო ჯარში თავი ისახელეს; აქ იყო ბევრი  
გამოცდილი თანამოსაგრე მეომარი (პარტიზანი), რომელნიც  
კეთილშობილურადა პბჭობდნენ— სადაც უნდა ვიბრძოდეთ,  
სულ ერთია, ოღონდ უომრად არ ვისხდეთ, რადგანაც კეთილ-  
შობილის კაცისათვის სირცხვილია მთელი სიცოცხლე ბრძო-  
ლაში არ გაატაროს. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც  
მხოლოდ სახელისათვის მოსულიყვნენ, რომ შემდეგ ეთქვათ,  
ჩვენცა ვყოფილვართ „სეჩში“ და გამოჯეკილი და გამოწროო-  
ბილი რაინდები ვართო. ან ვინ არ იყო აქ? ეს უცნაური რეს-  
პუბლიკა ნამდვილი იქ ღროის მოთხოვნილება იყო. ომისა,  
ოქროს თასებისა, ძვირფას ფარჩებისა, ბაჯალლო თქროებისა და  
სხვა დიდების მოყვარულნი აქ მუდამ პპოვებდნენ საქმესა,  
გარდა ქალის თაყვანის მცემელთა, რადგანაც თვითონ სო-  
ფელშიაც-კი არ იყო ქალის ხსენება.

ოსტაპსა და ანდრიას ძალიან უკვირდათ, რომ იმოდენა  
ხალხი მოდიოდა „სეჩში“ და არავინ რასა პკითხავდა:— საიდანა  
და ვინ იყვნენ, ან რა ერქვათ? მოდიოდნენ, როგორც თავისს  
საკუთარს სახლში, თითქოს აგერ არის ერთი საათის წინად წასუ-  
ლან და ახლა უკანვე მობრუნებულანო. მოსული გამოეცხადე-  
ბოდა მხოლოდ „კოშევოის“ (ზაპოროევის ჯარის უფროსია,  
რომელსაც „კურენები“, თითო წლით ირჩევდნენ „რადე“-ს ყრი-  
ლობაზედ), რომელიც ჩვეულებრივ გამოჰკითხავდა: „გამარჯობა!  
რაო, ქრისტე ხომ გწამს?“— „მწამს!“ მიუგებდა მოსული. — „სამე-

ბაც ხომ გწამის?“ — „მწამის!“ — „საყდარშიაც დადიხარ?“ — „დავდი-  
ვარ!“ — „აბა, პირჯვარი გადიწერე!“ და მოსულიც პირჯვარს  
გამოისახავდა. — „კარგი, მაშ!“ ეტყოდა „კოშევოი“: „წალი, რო-  
მელ „კურენშიაც“ გინდა.“ და ამითი თავდებოდა მთელი ცერე-  
მონია. მთელი „სეჩი“ ერთს საყდარში ლოცულობდა და მზად  
იყო უკანასკნელი სისხლი დაეღვარა მის გულისათვის, თუმ-  
ცა მარხულობასა და სხვა ამგვარს საეკკლესიო ჩვეულებას ყა-  
ზახები არაფრათ აგდებდნენ. მხოლოდ გამდიდრების სურვი-  
ლით გატაცებული ურიები, სომხები და თათრები ჰბედავდნენ  
მათ შორის ცხოვრებასა და ვაჭრობას, რადგანაც ზაპორო-  
ელს არ უყვარდა შევაჭრება და ნაყიდ საქონელში აძლევდა  
იმდენს, რამდენსაც მათ ბედზედ ხელი ამოქჩიდავდა ჯიბიდგან.  
მაინც ამ ვერცხლის მოტრფიალე ვაჭრების ბელი შესაბრალი-  
სი იყო, რადგანაც, შემოაკლებოდათ თუ არა ფული, ეს  
ჯელები მაშინვე აუნიავებდნენ ხოლმე დუქნებასა და ყველა-  
ფერი მუქთად მიჰქონდათ. „სეჩი“ შესდგებოდა სულ 60 კუ-  
რენისაგან, რომლებიც ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკებს  
მოაგონებდნენ კაცს, მაგრამ უფრო-კი სკოლასა და ბურსას,  
სადაც ყველა ერთნაირად მზა-მზარეულზედა სცხოვრობდა.  
არავის-რა გააჩნდა და გროშის დანაფასევი არა ეჭირათ-რა ხე-  
ლში, რადგანაც ქონება საერთო იყო და კურენის ატამანი  
(უფროსი) განაგებდა, რომელსაც ამის გულისათვის ჩვეულე-  
ბრივ „ბატკას“ უწოდებდნენ. იმის ხელთ იყო: ფული, ტანი-  
სამოსი, საცხოვრებელი, ფეხილი, ფაფა, შეშაც-კი; ფულსაც  
იმასვე აბარებდნენ შესანახადა.

„კურენებს“ ხშირად ერთმანერთში ლაპარაკი მოსდიოდათ,  
რომელიც უმალ ჩხუბად გადიქცეოდა ხოლმე. მოეფინებოდ-  
ნენ „კურენები“ მოედანსა და გაჰქონდა მუშტს ზაპა-ზუპი, ვიდ-  
რე ერთი რომელიმე მხარე არა სძლევდა. მერე კი დაიწყებო-  
და ქეიფი. ასეთი იყო „სეჩი“, რომელიც ახალგაზრდებს ასე  
ძლიერად იზიდავდა.

ოსტაპი და ანდრიაცხარბად და გატაცებით დაეწაფნენ ამ  
ქეიფის უძირო ზღვასა და უცბად დაივიწყეს მამის სახლი,



ბურსა და ყოველივე, რაც კი წინად აღელვებდათ, იზიდავდა? ახალს ცხოვრებას შეუდგნენ. ყველაფერი იბყრობდა მათს ყურადღებას: ქეიფის ჩვეულებებიც და შინაური არა-როული მართვა-კანონებიც, რომლებიც ხან-და-ხან თითქმის სასტიკად მიაჩნდათ ასეთს თავისუფალსა და თავის-ნება რესპუბლიკაში. ყაზახს რომ სულ უბრალო რამ მოეპარნა, ეს უკვე მთელის ყაზახობის შემარტვენელი იყო: როგორც უპატიონსნოს, მიაბამდნენ სამარტვინო ბოძედ და გვერდით კეტს მოუდებდნენ, რომელიც ყველა გამვლელ-გამომვლელს უნდა ეთავაზნა დამნაშავესათვის, ვიდრე ასე არ ჩარევავდნენ სასიკვდილოდ. ვალის არ გადამხდელს კიდევ მიაბავდნენ ჯაჭვით ზარბაზანზედ და იყო ასე, ვიდრე რომელიმე მეგობარი არ გამოისყიდდა და გადიხდიდა ვალსა. მაგრამ ყველაზედ მეტი შთაბეჭდილება ანდრიაზედ მკვლელის საზარელმა სასჯელმა იქონია. იქვე, იმის ოვალ-წინ გათხარეს ორმო, ჩასვეს შიგ ცოცხალი მკვლელი და ზევიდან მოკლულის კუბო დაადგეს; მერე ორივეს მიწა მიაყარეს და დამარხეს. ამის შემდეგ დიდ-ხანს ერთთავად ეს საზარელი სასჯელი ელანდებოდა ანდრიასა და ცოცხლად და-მარხული მკვლელი და საზარელი კუბო თვალ-წინ ედგა.

მალე ორთავე ახალგაზრდამ მიიქცია ყაზახების ყურადღება. ხშირად თავისს ამხანაგებთან ერთად, ან-და მთელის თვისის კურენითა და სხვა კურენებთან ერთად გავიდოდნენ მინდვრად და ჰელცავდნენ აუარებელს მინდვრის სხვა-და-სხვა ფრინველს, ირმებსა და თხებსა; ან კიდევ წავიდოდნენ ტბებსა და მდინარეებში თევზის საჭერად — ყველა კურენი თავისს წილობაში — რომ მთელის თავისის კურენისათვის საზრდო მოეპოვებინათ. მართალია, სამეცნიერო არა იყო-რა, რაშიაც ყაზახი იწროვნებოდა, მაგრამ დანარჩენ ახალგაზრდებში ოსტაპმა და ანდრიაშ თავი მაინც უკვე იჩინეს თავისის მამაცობითა და მოხერხებულობით ყველაფერში. ესროდნენ ცოცხლად და სწორედ მიზანში და გადიოდნენ დნეპრში წყალთ აღმა, რისთვისაც ახლად მისულს ყაზახები აღტაცებით და დიდებულად მიიღებდნენ ხოლმე.

მაგრამ მოხუცი ტარასი სულ სხვა მოღვაწეობისათვის  
ამზადებდა მათ. ესე უქმად ყოფნა არაფრად მოსწონდა და უნ-  
დოდა პირდაპირ საქმით ეცადნათ ყოველივე. ამისათვის ერთ-  
თავად იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე „სეჩი“ სალაშქროდ  
ალექრა, საღაც ყველას შეეძლებოდა თავისი რაინდობა დაემ-  
ტკიცებინა, საომარი ნიჭი გამოეჩინა. ბოლოს, ერთს დღეს  
მივიღა ტარასი კოშევოისთან და უთხრა პირდაპირ: „რაო,  
კოშევოი, დრო არ არი გაგვესეირნა საითმე“.

„საით მერე“, — მიუგო კოშევოიმ, პირიდან პატარა ჩიბუხი  
გამოლო და გვერდზე გააფურთხა.

„როგორ თუ საით? შეიძლება თურქებისაკენ, ან თათ-  
რებზე გავიღლაშქროთ“.

„არ შეიძლება არც თურქებისაკენ და არც თათრებზედ“,  
უპასუხა კოშევოიმ და ისევ გულგრილად ჩაიდო პირში ჩი-  
ბუხი.

„როგორ თუ არ შეიძლება“?

„ისე. სულთანს მშვიდობიანობის პირობა მივეცით“.

„მერე, ის ხომ ბუსურმანია: და ღმერთიც და საღმრთო  
წერილიც გვიბრძანებენ მათს ამოწყვეტასა.“

„უფლება არა გვაქვს. სარწმუნოება რომ არ შეგვეფიცნა,  
იქნება კიდევ მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება“.

„როგორ თუ არ შეიძლება? როგორ ამბობ, მაშ, უფლება  
არა გვაქვსო? აი, მე თრი შვილი მყავს, თრივე ახალგაზრდა.  
არც ერთი ჯერ ომში არა ყოფილა, შენ-კი ამბობ: ვერსად  
წავალთ ზაპოროჟელებიო“.

„და ისე, არ შეიძლება“.

„მაშ, აგრე უქმად უნდა იყოს ყაზახის ძალ-ლონე მინე-  
ბებული, რომ ძალლივით გადიღრძოს და ერთი კეთილი საქმე  
არ გააკეთოს, სამშობლოსა და საქრისტიანოს არაფერი სარ-  
გებლობა არ მოუტანოს? მაშ, თუ აგრეა, მითხარ, რაღადა  
ვცოცხლობთ, სიცოცხლეს რა ეშმაკად ვაქნევთ? ამისენ ესა.  
შენ ხომ ჭკვიანი კაცი ხარ, ტყუილად-კი არ ამოგირჩიეს კო-“



შევოათ: ამიხსენ მაშ ერთი, უამისოდ სიცოცხლეს რას ფაქტი  
ნევთ?“

კოშევოიმ ამაზე პასუხი არ მისცა.. ჯიუტი რამ იყო ეს  
ყაზახი. გაჩუმდა პატარა ხანს და მერე უთხრა: „ომი-კი მაინც  
არ მოხდება და არა“.

„მაშ არ იქნება ომი?“ იკითხა კვალად ტარასმა.  
„არა“.

„მაშ, ნურც-კი ვიფიქრებთ ამაზე?“  
„ნუ გაირჯებით“.

„მაცადე, მაშ, ეშმაკის კერძო!“ გაიფიქრა ბულბამა: „ნა-  
ხავ, რაც კაცი ვარ!“ და იქვე გადასწყვიტა კოშევოისათვის  
მაგიერი გადაეხადა.

მოელაპარაკა ერთს, მეორეს, დაალევინა ყველასა და რამ-  
დენმამე გადაკრულმა ყაზახმა გასწია მოედნისაკენ, სადაც საბჭოდ  
მოსაწვევი დაფი იყო ბოძე ჩამოკიდული. რადგანაც ჩხირებს  
მუდამ მედოლე ინახავდა, აიღეს ამიტომ ვეება კეტები და  
დაუწყეს ცემა. დაფის ხმაზე პირველად ნამძინარევმა მედო-  
ლემ, მაღალის ტანის ცალ-თვალი ყაზახმა, მიირბინა.

„ვინ გაჰედა დაფის დაკვრა?“ შეუყვირა მედოლემ.

„გაჩუმდი! აიღე ეხლავ ე ჩხირები და დაუკარ, როგიბრძანე-  
ბე!“ უბრძანეს ნაქეიფარმა მამასახლისებმა.

მედოლემაც მაშინვე ჯიბიდან ჩხირები ამოიღო, რომლე-  
ბიც თან წამოელო და დაუკრა. გაისმა თუ არა დაფის ხმა,  
მაშინვე მოედანზე ფუტკარივით აირივნენ ზაპოროელთა შავ-  
შავი გუნდები. ყველანი შემოიკრიბნენ და შემოავლეს წრე.  
დაუკრა მესამედ მედოლემ დაფი და გამოჩნდნენ ბოლოს უხუ-  
ცესნიც: კოშევოი „პალიცით“ ხელში, რომელიც მისის  
ღირსებისა და ხარისხის ნიშანია, მსაჯული ჯარის ბეჭდი-  
თურთ, მწერალი მელნით და იასაული კვერთხით. კოშევოიმ  
და უხუცესთ მოიხადეს ქუდები და იგრვვლივ ყაზახებს ყვე-  
ლას თავი დაუკრეს. დოინჯ-შემოყრილები ამაყად იდგნენ  
ყაზახები.

„რას ნიშნავს ეს კრება? რა გინდათ, პანოვე?“ დაეკითხა კოშევოი, მაგრამ ყვირილითა და ლანძღვით ლაპარაკი გააწყვეტინეს.

„დადე „პალიცა“! დადე ეხლავე „პალიცა“ შე, ეშმაკის კერძო! აღარ გვინდიხარ!“ ყვიროლნენ ბრბოდან ყაზახები. ზოგიერთმა უფრო ფხიზელმა კურენებმა წინააღმდეგობაცა სცადეს, მაგრამ ფხიზლებმა თუ არა ფხიზლებმა ყველამ მუშტები დაამზადეს, ყველა ყვიროდა, ხმაურობდა.

უნდოდა კოშევოის რაღაცა ეთქვა, მაგრამ იცოდა, რომ შეიძლებოდა ამ თავზე ხელ-აღებულ, თავისნება ბრბოს სასიკვდილოდ მიებეჭნა, რაიცა ამ გვარს შემთხვევებში აუცილებელი იყო ხოლმე თითქმის და ამიტომ ხმა აღარ ამოიღო, დაუკრა მდაბლად თავი, დასდო „პალიცა“ და ბრბოში შეერია, მიიმალა.

„ჩვენც გვიბრძანებთ, პანოვე, დავსდვათ ნიშნები ჩვენის ლირსებისანი?“ შეეკითხნენ მსაჯული, მწერალი და იასაული, და უნდოდათ დაეწყოთ სამელნე, საჯარო ბეჭედი და კვერთხი.

მაგრამ შეჰყვირეს ბრბოდან: „არა, თქვენ დარჩით! ჩვენ მხოლოდ კოშევოის გაგდება გვინდოდა, რადგანაც იგი დედაბერი აღმოჩნდა და ჩვენ კი კოშევოათ კაცი გვინდოდა“.

„ვის ამოირჩევთ, მაშ, კოშევოათ?“ დაეკითხნენ უხუცესნი.

„კუკუბენკა ამოვირჩიოთ!“ ყვიროდა ერთი ნაწილი.

„არ გვინდა კუკუბენკა!“ ყვიროდა მეორე ნაწილი. „ჯერ ადრეა, პირზე რე არ შეშრობია“.

„მახათა იყოს ატამანათ!“ ყვიროლნენ სხვანი. „მახათა დავსვათ კოშევოათ!“

„მახათი გაგერჭოსთ წელში!“ ჰყვიროდა ბრბო. „ის რა ყაზახია, თათარივით ქურდია, ძაღლის შვილი? დამალეთ, ეშმაქმა წაიღოს ლოთი მახათას თავი!..“

„ბოროდატი, ბოროდატი დავსვათ!“

„არ გვინდა ბოროდატი! დაიკარგოს ბოროდატი!“

„კირდიაგა დაიყვირეთ!“ ჩისჩურჩულა ტარას ბულბაშ ზოგიერთებს.

„კირდიაგა! კირდიაგა!“ გაჰყვიროდა ბრბო. „ბოროდატი, ბოროდატი! კირდიაგა! კირდიაგა! მახათა! მოსწყდეს მახათა! კირდიაგა!“

ყველა კანდიდატები მაშინც ბრბოდან გამოვიდნენ, როგორც—კი თავანთი სახელები გაიგონეს და განზე გადგნენ, რომ არავის ეფიქრა არჩევანში ხალხს აქეზებდა და საქმე გაიკეთაო.

„კირდიაგა! კირდიაგა!“ გაჰყვიროდნენ უფრო ძლიერად. „ბოროდატი!“ და ბოლოს საქმე მუშტით გადასწყვიტეს: კირდიაგამ გაიმარჯვა.

„მოიყვათ კირდიაგა!“ ჰყვიროდნენ. ათიოდე ყაზახი მაშინვე გამოვიდა; ზოგი მათგანი ფეხზედ ძლივს-ლა იდგა,— იქამდის გამობრუულიყვნენ, და გასწიეს კირდიაგასაკენ,— გამოეცხადებინათ, რომ ამოირჩიეს.

მოხუცებული, მაგრამ ჭყვიანი ყაზახი კირდიაგა დიდი ხანია თვისს კურენში იჯდა, ვითომ მომხდარ არჩევისა არა იცოდა-რა. „რაო, პანოვე? რა გინდათ?“ დაეკითხა კირდიაგა.

„წამო, კოშევოათ ამოგირჩიეთ!..“

„მოიღეთ წყალობა, პანოვე!“ უთხრა კირდიაგამ: „არა ვარ ლირსი მაგ პატივისა! კოშევობა რა ჩემი საქმეა! სადა მაქვს იმდენი გონება, რომ ეგ მძიმე თანამდებობა შევასრულო. ნუ-თუ ჩემზედ უკეთესი მთელს ჯარში არავინ აღმოჩნდა??

„გეუბნებიან, წამოდიო!“ უყვიროდნენ ზაპოროჟელნი. სწვლნენ მერე ორნი იღლიებში და მიათრიერს მოედანზედ, თუმცა ბევრს იბოძიდებდა ფეხებსა და არ უნდოდა გაბჟოლოდა; მისდევდნენ უკან ლანძღვითა და მუჯლუგუნ-კინწის კვრითა და თან ურჩევდნენ: „ნუ იხევ უკან, ეშმაკის შვილო! მიიღე, ძალლო, პატივი, როცა გაძლევენ!“ ამ რიგად ყაზახთა წრეშიაც შეიყვანეს კირდიაგა.

„რაო, პანოვე?“ გამოაცხადეს საყოველთაოდ მომყვანებმა: „თანახმა ხართ თუ არა, რომ ეს ყაზახი იყოს ჩვენი კოშევოი?“.

„თანახმა ვართ ყველანი!“ დაიყვირა ბრბომ და მინდობის შემდეგ დიდხანს გაჰქონდა გუგუნი.

ერთმა უხუცესთაგანმა თილო „პალიცა“ და მიუტანა ახლად ამორჩეულს კოშევოის. ჩევულებისამებრ, კირდიაგამ მაშინვე უარი განაცხადა. უხუცესმა მაშინ მეორედ მიუტანა; კირდიაგამ მეორედაც უარი სოქვა, მაგრამ მესამედ-კი გამოართვა. ბრბომ მაშინვე თავისი მოწონება ყვირილით გამოხატა და მინდორმა შორით-შორამდე ხელ-ახლად გუგუნი იწყო. გამოვიდა მაშინ ბრბოდამ თოხი ყველაზედ მოხუცი, შეჭალარავებულ ულვაშიანი ყაზახი (ძალიან მოხუცი „სეჩში“ არ მოიპოვებოდნენ, რადგანაც არავინ მათგანით ვისით არა კვდებოდა), აიღეს ძირიდან მიწა, რომელიც ახლად მოსულ წვიმისგან ატალახებული იყო და თავზედ დაადვეს. სველი ტალახი თავიდამ ულვაშებსა და ლოყებზედ ჩამოუყიდა და სახე შთლად გაითხუპნა. მაგრამ კირდიაგა იდგა უძრავად და მადლობის უცხადებდა ყაზახებს, რომ ასეთის პატივის ლირსადა სცნეს.

დასრულდა ამ რიგად მყვირალა არჩევანი; მაგრამ ყველაზედ მეტად ვის უხაროდა – ბულბას, თუ სხვებს, ეს არავინ იცის: ასე გადაუხადა ბულბამ მაგიერი კოშევოის. კირდიაგა ბულბას ძველი მეგობარი იყო, ზღვად თუ ხმელად ბევრჯელ მასთან ლაშქრობაში მყოფი, რომელთაც არა ერთხელ აუტანიათ სხვა-და-სხვა გვარი სიმკაცრე და გაქირვება ბრძოლისა. ბრბო და-შალა და არჩევნის სადღესასწაულოდ იწყეს ისეთი ქეიფი, როგორსაც ოსტაპი და ანდრია არასოდეს არ მოსწრებოდნენ. ღვინის დუქნები მთლად დაამტერიეს; „მედი“, ლუდი, „გარელკა“ უფულოდ, მუქთად მიქეონდათ მეღვინეები იმისიც მადლობელნი იყვნენ, რომ თვითონ გადურჩნენ ცოცხლები. მოელი ლამე ყვირილითა და სიმღერით გაატარეს, რომლებშიაც (სიმღერებში) თავიანთს მამურს, გმირულს საქმეებს აქებდნენ; მთვარის შუქზედ დიდხანს დადიოდნენ მესაკრავენი ქუჩა-ქუჩა ფანდურებითა, „ბალალიკებითა“ და „ტურბანებით“ (საკრავებია) და საეკლესიო მგალობელნი, რომელნიც „სეჩში“ მხოლოდ ეკკლესიაში საგალობლადა და ზაპოროჟელ-

თა საქმის საქმეთა ქების შესასტემელიდ ჰყვანდათ. ბოლოს დაღლილობამა და სასმელმა მაინცა სძლია ეს მაგარი ვაჟკაცები: მოსჩანდა, ხან აქ, ხან იქ, როგორ ცვიოდნენ დედამიწაზედ ყაზახები, — ამხანაგნი ხელი - ხელ გადახვეულნი როგორ მგრძნობიერად ჰკოცნიდნენ ერთმანერთს, სიხარულით ცრემლს აფრქვევდნენ და მერე ერთი მეორეზედ ეწყობოდნენ. აგრე, იქ კიდევ ერთად დაყრილა მთელი ხროვა ყაზახებისა; იქით კიდევ ვიღაცა მოხერხებულს ადგილს ეძებს, რომ მიწვეს და პირდაპირ-კი ხის გეჯაში ჩაწვა. უკანასკნელი, სხვებთან შედარებით უფრო მაგარი ყაზახი, ჯერ კიდევ ლულლულებდა რაღასაც უაზროდ და უკავშიროდ, მაგრამ სასმელმა ბოლოს იმასაც კინწი წასწყვიტა და მასთან ერთად მთელმა „სეჩმა“ მიიძინა.

ინ-ანი

(შემდეგი იქნება)



# არჩეოლოგიური მოგზაურობანი

და

## შენიშვნანი

თელავის სობორო ანუ ორაკლი მეორის კარის ეკლესია აშენებულია ორაკლის მიერ 1758 წელს. ეკლესია ოთხკუთხედია, აგურით ნაშენი, სიგრძე აქვს 21 ადლი და 14 გოჯი, განი 13 ადლი და 13 გოჯი. უკან, დასავლეთის მხრით მიშენებული ოთახი ახალია, შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ფანჯარა 4 აქვს, ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრით. საკურთხეველს ვ ფანჯარა აქვს. ხელობა შენობისა მდარეა. წინეთ ეკლესის კანკელი შემკობილი ყოფილა აბრე-შუმის ქსოვილზე დახატულის სურათებით, რომელნიც კათოლიკეთა მისიონერებს უძღვნიათ საქართველოს მეფისათვის (ირაკლისა თუ გიორგისთვის დაკვეშმარიტებით არ ვიცით). პირველ შეხედვითვე ეტყობა, რომ ეს სურათები კათოლიკე ნამუშევარი არის, სურათებში აღმოსავლეთის ჩვეულებრივი სახეები სრულებით არ შეეხვდებათ. ამას გარდა ქართული წარწერები, ეტყობა, მხატვარს მიბაძვით გადმოუდია ქართულის ნაწერიდან, მაგრამ ყველა ასო ისე ვერ გამოუყვანია, როგორც საჭირო იყო და ამიტომ არა ჩვეულებრივი სახის წარწერები გამოსულა. არ ვიცით, რისთვის დაუწუნებიათ ეს თავისებური ისტორიული სურათები, მოუგლეჯიათ ისინი და ახალი კანკელი გაუკეთებიათ ეკლესიისთვის 1888 წელს. ეს ძველი იტალიანური ხელობის სურათები მე რომ ვნახე ცალკე

ინახებოდა ეკლესიაში და ტფილისის საეკლესიო მუზეუმის  
წევრთა სხდომაზე განვიცხადე სურვილი მუზეუმში გადმოეტანათ  
ეს ნაშთები, მაგრამ ვგონებ ჯერ არ ჩამოუტანიათ. მოგვყავს  
აქ წარწერები სურათებისა, რომელნიც მათ შინაარსს გვაჩვენე-  
ბენ:

- 1) მოსემ იხილა მაყლოვანი, 2) დავით და კონსტანტინე,
- 3) დაბადებად ქრისტეს. დიდება მაღალთა შა ღა დიდისა,
- 4) წმ. ანტონისა, 5) მაცხოვარი, 6) მთავარ ანგ. მიხაილ, 7) მიძინება ლთისმშობლისა, 8) წმ. ლუარსაბ, 9) დანიელ იხილა გამოკვეთილი, 10) წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოსი, 11) ყდ წმიდა, 12) სამება, 13) ანდრია კრიტელისა, 14) ელი-  
საბედ და მარიამის ხილვა, 15) ანგელოზები ეჩვენა მწყემსებს,
- 16) კვერთხი არონის აღმოცენებული, 17) ეგვაზტეს წასვლა,
- 18) ხარება, 19) წმ. ქეთევან, 20) წმ. მოწ. არჩილი, 21) ყდ წმიდა, 22) სერგია და ბაქოსი.

ეკლესიაში კედლებზე ჩამორიგებულია სურათები თორ-  
მეტთა მოციქულთა ახალი ხელობისა, როგორც ეხლანდელი  
კანკელი.

ძველ ნივთებთა შორის აქ ინახება:

I. ხატი ოქროსი მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიე-  
ლისა,  $325 \times 244$  სანტიმეტრი, წარწერით: „მიქელ გაბრიელ.  
შუაში გამოხატულია მაცხოვარი. ხატს აწერია:

1. დიდო: მთვრ ანგელოზნო: მ'ხ: გუეყვ-
2. ენით: წინაშე: ღა: მსავსა: ოქვენსა: ირ-
3. დიშერს: ძით: და: მეცხედრით: ჩუენთ. რომ-
4. ელმან: მოვაჭედინე ხატი ესე: ქვსა: სოჭ: (1589).

II. ხატი მაცხოვრისა ოქროსი,  $21,4 \times 15,5$  სანტ., შემკო  
ბილია 14 ლალით, ორი ზურმუხტით, შვიდი ფირუზით და  
ექვსი მარგალიტით. ზემოდ გამოხატულია ყდ წა, იკ ქე, ი-ნე მახარობელი, ქვემოთ—გედეონი, დავითი და იესე. ხატს  
ხუცურად აწერია:

1. ქ; ოო; ქე; ძო; ღო; მცველ; დ
  2. მფირვლ; გრქმნ; ორთე; შინა; ცხ
  3. ოვრსა; ჩნ; მეფსა; ალისნდრს; ლ; მუ
  4. ხედრსა; ჩნსა; ღდფრლსა; თნთნის რშ
  5. ელმნ; მვჭიდინთ; ხტი; ესე; მცხოვრისა
  6. ლ; შვმკევით; თვლითა; დ; მრგლტი
  7. თა; წრს მრთებლდ; მფბსა; ჩუნის
  8. ა; ლ; ცდვთა; ჩთა; შენდობლდ;

III. ოთანე ნათლისმცემლის ხატი ვერცხლისა ოქროთ  
დაფერილი,  $33 \times 24$  სანტიმეტრი, ზედ გამოხატულია ხე და ხის  
ძირში ცული. ხელში ნათლისმცემელს აქვს ეტრატი, რომელ-  
ზედაც ხუცურად აწერია: „აპა ესერა ცული ძირთა თანა ხე-  
თასა ძეს ყლმნ ხემან წნ არა გამოიღოს ნუფი კეთილი მო-  
ეჭვთოს.“ წარწერა ხუცური აქვს: წ' ა ი' ნ' თლისმცემელი. და  
უემდეგ:

1. შ'ო: ი'ე: ნთლის: მცემელო:
  2. გ'ხ: ექმ'ნ ორთვე: უ'ნა: ცხოვრებს
  3. ა: მ'ჟუობსა: ლ: მ'ლბლისა: უ'ნსა: ერდ'შრს: ამინ:

IV. ხატი ღვთის მშობლისა ოქროსი, რუსული ხელობისა,  
22×17,5 სანტიმეტრო.

¶. ჯვარი ხისა ათონური ხელობისა, ვერცხლით შემო-  
ჯედილი.

## VI. საკეცხური ვერცხლისა.

VII. სახარება 1709 წელს დაბეჭდილი მშვენიერის, ოქ-  
როთი შემკობილის, ყდით, მოსკოვში გაკეთებული.

VIII. ხომლი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა და სხვათა მპურობელმან  
მეფეების ირაკლი მეორეების გავაკეთებინეთ კვამლი ესე თელავს  
კარისა: ღვთის-მშობლის ეკლესიისათვის კარის წინამძღვრო-  
ბასა ამბაკომისასა ჭევჭაფისასა მხვამლი ესე წელსა ჩდნდგ: ამისა



ზედამხედველი მღვდელი იოსებ კარისა და მუშაკი ულიონსიმა  
გაბრიელ: მისხალი...

IX. ჯვარზე, რომელიც უნახავს ბროსეს და რომელიც  
მოუპარავთ 1895 წელს წერებულა: ეს წმიდა ჯვარი და წმი-  
და ბარძიმ-ფეშუმი გაკეთებული ორის თევზით და თავისის  
გოვზ-კამარით და ეგრეთვე წმიდის სახარების ოთხი დასაკრავი  
ფოლაქი, მახარებელი, შუაზე მაცხოვარი და მეორეს გვერდზედ  
ფოლაქები მძიმეთ დაფერილი მე კარის წინამძღვარმან ამბაკომ  
ჭავჭავაძემ მოვატანინე კარისა ღვთისა მშობლისათვს:

X. მეორე კანდელზე წერებულა:

თელავს დიდ საყდარში არის შეწირული ესე კანდელი:  
ამ ეკლესიიდამ ამის გატანას ნურავინ იყადრებს, ვითარცა  
მჩხრეცელი ეკლესიისა ულირდეს: გიორგი. ეს გიორგი უნდა  
იყოს მეფე გიორგი მე-XII. \*)

### სედონაწერები.

I. თარგმანებად მათეს სახარებისად ძველ ქალილდზე მე-  
XII-XIII საუკუნის ხელით.  $44 \times 32$  სანტ., თავი და ბოლო  
ჰკლებია და მეთვრამეტე საუკუნის ხელით არის შევსებული  
დაკლებული ძველი ტექსტი, მაგრამ სრულიათ არც ეს დამა-  
ტებაა დაცული. სულ დაცულია „ფმბ“ კაბადონი.

1) „მე-სხვ“ გვერდზე მხედრულის მერმენდელის ხელით  
სწერია:

ქ. მე. ფ-დ. ცოდვილმან მღვდელ. მონაზონმან. გერ-  
მანემ. ფრიალი. სურვილი. და ტფიალება. მქონდა. წიგნისა.  
ამის. და. ახალციხელი. მღუდელი. იოანე. გავგზავნე. ვარძიას.  
და, იმან. მიყიდა. წმიდა. ესე. მათეს. თავის. თარგმანი. ფასი.  
მივეც. შვილი. თუმან[ი]. ორი. თუმანი. თავის. გასამსჯელო.  
ხუთი მინალთუნი. მოსაცხოველები. ხუთი. მინალთუნი. შესა-  
კრავი. მაგრა. თუ მეცნიერი: კაცი. გასინჯავს:. ფასი: არა.

\*) ნახ. ბროსეს Voyage, 1 Rap. p., 63.

სძეს. ვინც. იხილვიდეთ. შენდობით. მომისხსენებდით. სრულ. იქმნა. წმიდა. წიგნი. ესე. იანვარს ა ქარს. უ::.

ამავე. ქუსა. აპრილის. ქბ:. მეფე ვახტანგ. წაბჭანდა. ისპანს. ყენთან: ვნახოთ. ღ-თი. რას. მოწყალებას. მოუვლენს. საქართველოს:-

2) ამას ზემოთ ძველი მხედრულით სწერია: ქ. ღმერთო: და წმინდაო; იოვანე: მახარებელო: შე[ი]წყალე: სული: ქაი-ხოსროსი: ათაბაგის: ვინცა: შენდობა. ბძანოთ. თქუენცა: შე-გინდეს: ღ-ნი:

3) პირველი წარწერის ქვემოთ ხუცურად სწერია:

არს. ქეშმარიტად. ღ-ივ- სულიერი. წიგნი. ესე. თარგმა-ნი. სახარებისა. მათესი. მათის. მეფობის. სიმაღლის. მეფისა. ირაკლი. მეორის. კარის. ეკკლესიის კარისა ღ-ის მშობლისა თელავს ქიქს უშბ \*)

4) „სუვ“ გვერდზე ტექსტის ხელით და კინოვარით სწე-რია: ქე შე ს-ლი ნიკოზისი.

5) „ტკგ“ გვერდზე ტექსტის ხელით: ქე შე ატ-ნი (ანტონი).

6) „თ“ გვერდზე, აშიაზე ძველი მხედრულით: ყღდ წმიდაო. იონე მახარებელო. შეიწირე. მცირე. ესე. შესაწირავი. მათე. მახარებელის. ნათქუი. ამა. შენის. მოსახელის. იღნე. ოქრო-ჰირის ქრისტეს. პირის. პავლეს. მიერ. მოცემული. თქუენდა]... ე-ე (ერისთავთ) ერისთვის. აბუსერისაგან(?) თქუენთუის მოკრთებული(?)... (წაჭრილია აშია). შემდეგ ფურცელზე:

ქ: აწ. ვინც. და რამანც გუარმან. ადამიანთამან რაიცა. მიზეზითა. მოუშალოს. წმიდას. მახარებელს. რისხავსმცა... (ჭაჭრილია).

7) „დე“ გვერდზე ტექსტის ხელით: მოვა გლახ ე-მი ოდეს ამისი მწერალი მიწა და მტუტრ ქმნილ იყოს მშნ—შე ს-ლი ჩ-ი ქე ძრ უკსნბ-ლო.

\*) ჭორონიკონი ასო მთავრულით სწერია.

8) „პდ“ გვერდზე ძველი მხედრულით: ჩემმა შვილმა: მე  
ივანე არც...

9) „პპ“ გვერ: იკ ქე: შე: ანტონი ვარძიელი:.

10. „რიბ“ გვერ. არა ტექსტის ხელით ხუცურათ: სულ-  
სა: გაბრიელსა: გაბრიელს: შ-ნ ღ-ნ.

11) „ფი“ გვერ. ტექსტის ხელით:

ღ-ო შ-ე ვაშუმაძე\*) ნიკოლოზ და მისი მეულლე შა-  
მადუხს შ-ნ ღ-ნ.

12) „ფლა“ გვერ. ტექსტის ხელით:

ღ-ო შ-ე ს-ლითა ბასილისა.

II. დაბადება მხედრული ხელით ნაწერი, ქალალდზე,  
37 × 26 სანტიმეტრი, თავი და ბოლო აკლია, აგრეთვე აკლია  
შიგა და შიგაც და ეს ნაკლები აღნიშნულია ყოველთვის, კინო-  
ვარით ნაჩვენებია, თუ რამდენი ფურცელი აკლია. ხელი მე-  
ჩვიდმეტე საუკუნის უნდა იყოს.

ერთ ადგილას ტექსტის ხელით უწერია:

ცოდვილს ელენესათვეს შენდობა იყავნ.

ქ. როსტომ როჭიკაიძე.

არა ტექსტის ხელით უწერია:

ქ. ღ-თო აცხოვნე და ადლეგრძელე ამისი მწერალი ნი-  
კოლაოზ. ნიკოლაოზ კათალიკოზი (ჩართულათ უწერია ეგ-  
ორი სიტყვა).

ერთ ადგილას ხელჩართულათ აწერია: მეფე ერეკლე.

შემდეგ არა ტექსტის ხელით სწერია:

ქ. განცვიფრდი კაცო გულითა, რა ნახო ღვთისა ნებანი.  
ემონე მდაბლად, ნუ რიდებ, არ მოგცეს სულსა ვნებანი.  
კაცო გითხრან მადლიერობა, ანგელოზთ მრავლად ქებანი,  
ორლანოთ გაქონ წინწილით, ქნარს გიცენ ებან ებანი.

სეკდემბრის ივ, ქ' ქს ჟუ.

სხვა ადგილას არა ტექსტის ხელით:

\*) ვაშუმაძენი გვარათ ეხლა გურიაში, სოფელ ლეხოურში, ცხოვ-  
რობენ.

ოდეს ზორაბაბელ ისრაელთა კვროს მეფე გამოართვა ბაბილონით იერუსალემიდან მოიყენა ოცდა თუთხუთმეტი ათასი ხუთას და ოთხმოცი იყო ამათი რიცხვი. რუსთველმან აღრაცხე ნიკოლოზ ესე ესრეთ. ამაში ოთხი ბევრი ორათას სამას სამეოცი სწერია. ჩვენ ამას ხეთ ძენი ვიანგარიშეთ თვითოვეულად და რიცხვი ეს მოვიდა. ამაში უფრო ჭეშმარიტი ეწერება. აწ თქვენ აღრაცხეთ, ვის გინდოდეს...

მე ყოველთა კაცთა უნარჩევლესმან ფრდ უბადრუკმან ფარემუზ ზრდილმან ბესარონისამან და მონაყოფილმან დედოფლის თამარისმან ასე აღვრაცხე მათი წიგნი... და დიდათ მწუხარე ვიქმენ უსაქმოებისათვის და ბედნიერის ყევნის ბრძანებით მეფე და დედოფალი ქვეით ბძანდებოდენ იმ შეწუხებაში ესე ვიკითხე და ეს ასე აღრიცხული ვპოვ... მე აღვრაცხე ოცდა თხუტმეტი ათას შვიდას ოთხმოცდა ათ ჩვიდმეტი.

III. გულანი ხუცური ხელით ნაწერი მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნისა, 26,5 × 24 სანტიმეტრი. დაწერილია ქალალდებე, ყდა აქვს. თავი და ბოლო აკლია.

IV. ძველი აღთქმის ისტორია, მხედრული ხელონაწერი ყდაში, 28,5 × 27 სანტიმეტრი, თავი და ბოლო აკლია.

ფერისცვალების ეკლესია ანუ კარჩიბაშების რესიშვილებისა. ეკკლესია ოთხკუთხედია, ქვით ნაშენი და შიგნით შელესილი. სიგრძე აქვს 31 ადლი და 9 გოჯი, განი 16 ადლი და 9 გოჯი. დასავლეთით მოშენებულია კოშკის მსგავსი შენობა და მასზე სამრეკლოა წამოდგმული ექვსი არკით. კედელში დატანებული სათოვეები უჩვენებს, რომ ეხლანდელი სამრეკლო წინეთ სიმაგრეც ყოფილა, შესავალი აქვს დასავლეთით და ამავე მხარეს არის ორი ფანჯარაც. შიგნით ეკკლესია იყოფა სამ ნეფათ, შუა ნეფი ამაღლებულია სხვებზე, გუმბათი დამყარებულია ოთხ სვეტზე. კარი აქვს ჩრდილოეთის მხრით და მეორე სამრეკლოდან დასავლეთით. ფანჯრები აღმოსავლეთით სამია, შუა საკურთხეველში ერთი, დიდი, და თითო პატარ პატარა გვერდებისაში. თვით საყდარს ოთხი ფანჯარა აქვს,



ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრეთით. კანკელი ხისაა, ათოვანი მეტთა საუფლოთა სურათები დახატულნი არიან ხეზე ქართულის წარწერებით. ეკვლესია განუახლებია ბეჭან ყორჩიბაში მეთექვსმეტე საუკუნეში. ეკლესიაში ჩვენვ ნახეთ შემდეგი წიგნები:

I. პირი ღვთისა ვერცხლისა, ოქრო დაფერილი არშიით,  $68 \times 52$  სანტიმეტრი, ხატს ამკობს 14 ლალი და 25 ფირუზი. სირმით ნაკერი სუდარი შემოუწირავს ანასტასია პოსტნიკოვისას 1860 წ.

როგორც მოგვითხრობს ზეპირ გადმოცემა, ეს ხატი უნახავთ მიწაში ჩაფლული მე XVI საუკინეში. პირველად ის ყოფილა მოტანილი ათონიდან წმ. ანტონის ხატთან ერთად, რომელიც ეხლა იყალთოშია.

II. ხატი ღვთის მშობლისა ძითურთ წარწერით: ყ' დ წ' ი ქ' შემდეგ სწერია:

შემო(ვ)სწირე ხატი ესე ამა თელავის ღვლაების ეკლესიასა ესე ღვთის მშობელის მარიამის ხატი სულისა ჩემისა საოხებლათ მე თელავში მცხოვრებელმა მიხაილ დავითის ძემ ღაბავ-შოვმა. წელსა ჩყნვ, აპრილს.

III. ვერცხლის ფეშეუმი, ირგვლივ უვლის მხედრული წარწერა:

ქ. მე ივანე ნაზირს მამირთმევია ღვთებისათვს თვს ჩემ სასულიეროთ მოსახლენებელთ სეფისკვრისთვს მისხალი ნიგ, ქვე უოც (1800 წ.)

IV თეფში განსაზავებელი წარწერით:

ქ. შენ დ'თ მთავართა ღთაებასა სახურსა გიძლვენ კნინი ესე შესაწირავი. ს'დ საქართველოს მეფის გიორგის ასულმან ბარბარე და თანა მეცხედრემან ენდრონიკას შვილის სკონისა-მან მიიღე ესე ვითარცა ქვრივისა მწვლილი და ნაცვლად მა-მინიჭე ხორცა კურნება და სულსა ლხინება სამარადისო მი-სხალი ჭიბ.

# ათხეთლოგიური მოგზაურობასი და შენიშვნასი

V. ხელით მოქარგული დიდი ხატი წმ. ნიკოლოზისა, რომელიც შემოუწირავსა კნიაჟნა დარია რამაზის ასულს რუსიევისა 1863 წელსა.

VII. ჯვარი ხისა ათონური, ვერცხლის არშიით

VIII. ჯვარი უბრალო რამოდენიმე ფირუზით შემკობილი, მხედრული წარწერით:

ჩემის შვილის გლახას სადღე[გრძელოთ. ქ, ჭილუტის პეტრემ შევწირე ლოების ეკლესიას.

VIII. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. ეჭა რომელმან:.. ქმენ:.. ყოველი:.. დასაბამი:.. და:.. იდიდები:.. ყოველთა:.. არსთაგან ექმნები შემწე ყოველსა მოსავს შენისა აწ მექმენ მე შემწე: და სასოფტის:.. შენისა:.. მონდობით:.. ვიქმენ:.. ყანდჰარს:.. მსვლელი ყორჩიბაშიშვილი ბარამ და შევარდი განსაცდელს:.. ფრიადა და ვევედრე ხატსა სასოა:.. და შესავედრებელსა ყოველსა ქრესტანეთასა რომელი მინდობილი შესავედრებელისა ჩვენისა სამკვიდროსა ხატისა მლოცებისასა თელავისას მინდობითა ვიქმენ კვადად (sic) თაყვანისმცემელი ტაძრისა შენისა რადგან შენისა მონდობით ვიქმენ მოსული ვიგულისმოდგინე მცირე ესე შესაწირავი და შემოგწირე ბარძიმი სესე (sic) სატაჟა შენთსა (ხატსა შენთსა) მე ბარამ ყორჩიბაშიშვილმა რათ(ა) მექმნა ჯერსა ყოველსა მცველი მოსახსენად მამა დედათა ჩემითა ვინც შესწიროთ სულითა მსხვერპლი შენდობა ბძანეთ ამინ. ქორნკოს უგგ: თვს სეკტენბერსა დ.

IX. ვერცხლის ფინჯალი, დოქის მომზგავსო, მხედრულის წარწერით:

ქ. ყ-დ: წმიდასა:.. ეკკლესიასა:.. ღ-თაებისასა: შემოგწირე:.. კნინი:.. ესე:.. შემწირავ:.. მე:.. უნდო მან კევალმან მეფის ასულმან ვარევარამ იმრთმელე ესე და ნაცვალ მაგე კურნება სენთა და საუკუნო დიდება თანა მემცხედრით და ძით ჩემითურთ ამინ წელსა ჩდეთ:.. მისხალი ღ:..

X. ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით: ქ. ხარაზი მარტირუზას შვილი გიგოლას შეწირული ღვთებისა.



XI. ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით: შამოგწირე: ყორჩი: ბაზის: შვილმა: ღიმიტრიმ: კვთებას სალხინებელად ჩვენთა მისხალი ლ.

XII. ღვთის მშობლის ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, უზის ერთი დიდი ლალი და ოთხი სხვა ძვირფასი ქვა,  $27,5 \times 23$  სანტიმეტრი.

XIII. ჯვარი ვერცხლისა, წარწერა არა აქვს.

XIV. ვერცხლის საცეცხური წარწერა არა აქვს.

XV. ხატი წმ. ნიკოლოზისა  $9 \times 8$  სანტიმეტრი. წარწერა არა აქვს.

XVI. შანდალი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: ბატონის: შვილმა გიორგიმ: მოგიძლვენით მღთების საყდარსა შამდანი (sic) ნურავინ იკადრებს გამოწირვად მისხალი რეტ: ყორჩიბაშანთ საყდარში ხთების ხატსა.

XVII. ვერცხლის სადგისი.

XVIII. პატარა ხატი მაცხოვრისა შემკობილი მარგალიტებით  $6,5 \times 6$  სანტიმეტრი.

XIX. ხატი ღვთისმშობლისა ვერცხლისა 13 ძვირფასი ქვით შემკული;  $32 \times 27,5$  სანტიმეტრი.

XX. ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით:

შემოგწირე შენ თელავის ღთების ეკლესიას კნეინა გუქამ მაყაოისამ ჩემის ძის თონიკეს სადლეგრძელოდ და ჩემის სულის საოხად ჩეგბ წელსა მარტის კ დღესა.

XXI. ჯვარი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: რამაზ ყორჩიბაშის შვილის ქვრივმა და ობოლმან დავითმან შემოგწირეთ ჯვარი ესე თქვენ ბრწყინვალეს ხვთებას ჩვენად სადლეგრძელოდ და სასულიაროდ თიბათვს ა, ქუს უოკ. (1787). მისხალი მე:

XXII. სეფის კვერის თეფში ვერცხლისა, მხედრულის წარწერით: მე ივანე ნაზირს მიმირთმევია ღვთაებისათვს ჩემ სასულიეროდ მოსახსენებელად სეფის კვერისათვს, მისხალი ნიგ.

**XXIII.** საბურველი ხელთუქმნელისა ხატისი, შეწირულია მარიამ დედოფლის მიერ, მეფის გიორგი მეთორმეტის ცოლისა 1797 წ.

**XXIV.** ფეშეუმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით: საქართველოს მეფის ირაკლის ძის გიორგისა. მისხალი მც. და ნახ: (ნახევარი).

**XXV.** კამარა ვერცხლისა მხედრულის წარწერით. საქართველოს მეფის ძის გიორგის არის, მისხალი სიე \*). ძველ გალავანთან არის წყარო, რომელსაც ძველ გალავანის-წყაროსაც უწმიდებენ და უკუდავების წყაროსაც თავის სიკარგისათვის. ამ წყაროს ქვაზედ სპარსულად აწერია „პაჭი-ბენ-სალიან“, ალბათ სახელი წყაროს ქვით შემომზღუდელისა \*\*). ძველი გალავანი შემორტყმული ჰქონია ეხლა დანგრეულ სიმაგრეს სამხრეთ აღმოსავლეთის კედრით ეხლანდელი ქალაქისა და როგორც ამბობენ აუშენებია კვირიკე დიდს, კახეთის ქორიკოზე. რომელმაც იწოდა თავის თავი მეფედ და გადაიცვალა 918 წელს.

ამის ახლოს მოიპოვება ძველი ეკლესია, რომელიც ერთ-ხელ ქართველების ყოფილა, ხოლო შემდეგ დროებში მიუკიათ სომხებისათვს. ქვემოთ ძველი ქალაქისა არის კიდევ წყარო, რომელსაც მაწანწარის წყარო ჰქიან. ამ წყაროს ქვაზედ აწერია: აღვაშენეთ წყარო ესე მოსეს გრიქუროვმა და მეუღლემან ჩემმან სულის მეოხეთ ჩვენ ჩყლდ \*\*\*).

ეკლესია ვახვახიშვილებისა. ეს ეკლესია ოთხკუთხედია, აღურით ნაშენი, სიგრძე აქვს 15 ადლი და 9 გოჯი, განი 8 ადლი და 13 გოჯი, ფანჯარა სამი აქვს: თითო აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. სამხრეთისავე კედრით მოშენებული აქვს ეგვტერი, რომელზედაც ამართულია პატარა

\*) უკანასკელი ექვსი წარწერა ნახე ბროსეს Voyage-ში, Rapp. I. p. 61-62.

\*\*) ibid.

\*\*\*) ibid.



სამრეკლო, ექვსი არყით, ეგვიპტერს სამი ფანჯარა აქვს. შადანულია რულია საყდარი კრამიტით. სამრეკლოზე ორი ზარი ჰკიდია მხედრულის წარწერებით:

პირველზე, რომლის დიამეტრი 37 სანტიმეტრია:

ეპა შენ ზეშთა ღრთ მთავრისა პირითა წამებულო, უფროსად ნაშობთა შორის დედათასა, დიდო ქადაგო, კარისა ლთისა ნათლის მცემელო წმიდაო იოანე, ჩვენი მოტყინარის გულითა შენდამი მსასოებელნი და ცვა ფარვათ მინდობილნი ვახვახის შვილი ბაზიერთ უხუცესი და მანდატურთ-უხუცესი ზაალ, გიძღვნი მცირეს შესაწირავსა ზარსა საოხად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ანნას ძისა ჩემისა დიმიტრის აღსაზრ-დელად და ასულთა ჩემთა კეთილ-დასაცველად. თოვესა ივ-ნისსა და განკორციელებითგან სიტყვისა ჩდაქ.\*)

მეორეზე, რომლის დიამეტრი არის 30 სანტიმეტრი:

ჭოთ შენ ახოვანო სტრატილატო და მკნეო მკედარო წისა სამებისაო დიდო მთავარ მოწამეო გიორგი ჩვენ შენდა შემოვრდომილნი და ცვა ფარვათა ქვეშე შენთა მყოფნი ვახვახის შვლი ბაზიერთ-უხუცესი და მანდატურთ-უხუცესი ზაალ გიძღვნი კნინსა ამას შესაწირავსა ზარსა ამას სასაფლაოსა ჩენისა ეკლესიასა აღსახოცელად ცოდვათა და საოხად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ანნასა და ძისა ჩემისა დიმიტრის აღსაზრ-დელად და ასულთა ჩვენთა კეთილ დასა-ცველად თოვესა ივ-ნისსა და ქვე აქეთ ჩდაქ.

ამ ეკლესიის მახლობლად ბროსეს უპოვნია ქვა, რომელიც ეხლა აღარ არის დაცული და რომელზედაც წერებულა:

დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთასა. სრულ იქმნა ზღუდე ესე ქვთკიროვანი მეფისა თემიშურაზ მართლ-მადიდებელისა ძისა საქართველოს მეფის ერაკლესა და დელოფლობასა დედოფლის თამარ კეთილ მორწმუნისა ბატონის-შვლის ერაკლესზე ბაგრატოვანისა: მრავალ უამიერ ყოს ღმერთ-მან ცხოვრება მათი. ჩვენ მათ მიერ წარმართებულმან ბაზიერთ-

\*) ბროსე შეცდომით კითხულობს ჩდაქ (Vyage, I Rapp; p. 59).



ხუცის ძემან. თვით ბაზიერთ უხუცესმან ზაალ და ძმამან ვახუშტ-  
ტიმ აღვაშენეთ და სრულ ვყავით [შენობა მა]თი და აწ თქვენ-  
ცა გევედრებით მხილველთა ამის ნაშრომისათა და აღმომკი-  
თხველთა ძეგლისა ამის შენდობით...

ეს წარწერა თუმცა ცხად ჰყოფს, რომ ზღუდე თელავის  
სიმაგრისა ირაკლი მეორის დროს არის აღშენებული, მაგრამ  
ყველა ცნობების შეთანხმება შეუძლებელია, ვინაიდგან ირაკ-  
ლი ქართლის მეფედ გახდა 1762 წელს, დედა მისი თამარი  
გადაიცვალა 1746 წელს. ბატონიშვილი ირაკლი გარდა ირაკ-  
ლი მეორისა იმ დროს ცნობილი არ არის და თუ ეს ირაკლი  
მეორეა, რად იხსენიება ერთ და იმავე დროს საქართველოს  
მეფეთ, როდესაც ის დედის სიცოცხლეში მარტო კახეთის  
მეფე იყო? სამწუხაროა, რომ ეს ქვა დაკარგულა და ჩვენ აღარ  
გვაქვს შეძლება წარწერა შევამოწმოთ ნამდვილს.

დეადთო. იყალთოს გუმბათიანი მონასტრის აღწერაზე არ  
შევჩერდებით. ეს ცნობილია.\* ) ძველი მონასტერი განახლე-  
ბულია ითანე ბოლდებულის მიერ და ეხლა კირით არის შეთე-  
ტრებული, როგორც თითქმის ყველა ეკლესიები კახეთისა.

აღმოსავლეთის კედელში ეკკლესიისა დატანებულია პა-  
ტარა ქვა ზედ ამოჭრილი ჯვარით და ძნელად გასარჩევი  
ხუცური ხელით. ქვა მერმეა ჩასმული ეკკლესიის კედელში.  
წარწერის ზოგიერთი სიტყვები ვგონებ ასე იკითხება:

გლახაკი მათე.. და შვილი ღ-თნ.. ან.

მე გლახაკი ცოდვილი.. მომიხსენე.. ან.

### ნიგოუბი.

I. მაცხოვრის ხატი ვერცხლისა,  $32 \times 36$  სანტიმეტრი,  
ქვემო აშიაზე მხედრულად აწერია:

1.: თვით მამულისა არსებისა ხატო უცვალებელო სიტყვათ  
ღ-ო პატივად შენ პირმშოსა საწისა შევამკევ ხა-

\*) იხ. დ. Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 73. Brosset, Rapp. 1, р. 75—76, Іосселіані, Путевыя записки по Кахетіи, стр. 88—90. Муравьевъева. Грузія и Арменія ч, 1, стр. 190—194

2. ტი ესე შენი და მოუძღვანე ტაძარსა ღ თაებისასა  
წ ისა მამისა არსენი იყალთოელისასა მშობელთა ჩემთა  
სასაფლაოსა მონამან შე
3. ნმან მაყაშვილის ომანის ძემან ბოდბელ მიტროპო-  
ლიტრან იოანნე სალხინებელად ჩემდა და მშობელთა  
ჩემთა და ძმათა
4. საუკუნოდ სახსენებელად: .  
წელსა ჩდე. (მისხალი) რდგ.

II. სამების ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი,  $44 \times 33$   
სანტიმეტრი, ზედ აწერია:

ღირს არს და კეშმარიტ თაყვანისცემა მამისა და ძისა და  
წ ისა სულისა სამებისა ერთ არსისა და განუყოფელისა

III. საცეცხლური ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

1. ძეო და სიტყუაო წ ისა მამისაო, რ მლი განცხადენ  
იორდანესა
2. შინა და კმა მამისა გწამებდა ძედ საყუარელად და  
სული
3. სახედ ტრედისა იხილვა შენ ზედა სულსა ჩემსა შევა-  
ვედრებ შენსა
4. სახიერებასა ულირსი ბოდბელი იოანე ჩელა წელსა,  
მისხალი სე.

IV. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

შემწირველი წ ისა ამის ბარძიმისა და განმაახლებელი ს დ  
ამაღლების ეკკლესიისა ყოველთავე შენებითა შიგნით და გა-  
რეთ და გკკლესიის სამკაულითა ყთა ვე გიძლუნი შენ წ ისა  
მამასა ზენონს საოხად სულისა ჩ ისა და მოსახსენებელად  
მშობელთა ჩემთა და ძმათა ყ დ სამღწდელო ბოდბელი მიტრო-  
პოლიტი მაყაშვილი იოანე ომან მაყაევის ძე წელსა ჩემზე-  
აგვის[ტო]სა: ა: მისხალი რნგ.

V. კოვზი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ბოდბელი იოანე მაყაოვ.

VI. ფე შეუმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

შემწირე მშობელთა ჩერტა მონასტერებსა და ათონთმეტსა ასურელთ მამათაგანსა ზენონ და არსენი იყალთოელსა მაყა-შვილსა გაბრიელ ბერმა მაყაშვილმა მოსახსენებლად მშობელ-თა ჩემთა და ძმათა ფეშეტნი ვარსკულავი კოვზი ლახვარი ტაკუკი განსაზაებელი.

VII. მაცხოვრის ხატი, ოქროცურვილი ვერცხლით შე-  
ჭრილი,  $32 \times 27$  სანტიმეტრი, ქვემოთ მხედრულათ აწერია:

1. ქ. მე იყალთოელმა ზამთარეულმა ვეფხიამ და ჩემმა შვილმა ხიზანამ ივანემ და გოგიამ
2. შევწირეთ ესე ხატი კარსა ღრთეების ეკლესიისა ჩვენად მოსახსენებლად ქუს ჟობ. (1784)

VIII პატარა ხატი ღვთის მშობლისა, ხის კუბოთი და ვერცხლის არშიით  $14 \times 11,5$  სანტიმეტრი.

IX. დიდი ღვთის მშობლის ხატი ვერხლით შეჭრილი,  
 $70 \times 62$  სანტიმეტრი.

- X. აზარფაშა ვერცხლისა მხედრულის წარწერით:  
ქ.: ბეჭან. ერისთვის. ასულის. ანნასი. ვარ.

XI. ხელით ნაკერ და მოქარგულ საბურველზე ზენონ იყალთოელისა მხედრულით აწერია:

წელსა ჩედოთ მაისისა წმიდაო მამაო ჩვენო ათონმეტა-  
განო ზენონ გიძლვენ ნაშრომი ხელთა ჩემ ცოდვილისა თამა-  
რისათა სულთა ჩემთა საოხად ანდრონიკოვის ასული და მა-  
ჟავის კნეინა.

XII. კანკელში მრავალი ხატებია და სხვათა შორის აბბა  
იოსებ, წმინდა ზენონ, სვეტი ცხოველი და სვეტის ძირში  
დამარხული სიდონია. წარწერა ამათი მხედრულია:

ღთისაღმი განსუბნებულის მამა გაბრიელის მღუდელ  
მონაზონის სურვილი აღუასრულე მე თანა ხუცეს მონაზონმან  
ხატებისა ამის დახატვითა გარნა მუნ დასუბნდეს სადაცა  
მიტროპოლიტ ბოდბელ იოანემ ინებოს: წელსა ჩედბ: თთუბსა  
აგვისტოსა; გ:

XIII. ცალკე კიოსკში მარცხნივ სამი ხატია: პირი ღვთი-  
სა, ქვემოთ ღვთის მშობელი და ზემოთ იესო ქრისტე. ხა-



ტები შექვედილია ოქროთ დაფერილ ვერცხლით, წარწერები არ აქვთ.

XIV. სამების ეკლესიაში არის დიდი ხატი სამებისა კარგი ნახელავი,  $39,5 \times 20,4$  სანტიმეტრი. ხატზე წარმოდგენილია მხატვრობანი მამა ღმერთისა, ესო ქრისტესი და მათ ზემოთ მტრედის მსგავსად სული წმინდა და ყველას ერთათ აწერია: „სამება“. ქვემოთ ეკატერინა, შუშანიკი, არსენი იყალთოელი, სტეფანე პირველ მოწამე, ანა და ქეთევან დედოფალი.

XV. ღვთის მშობლის ეკლესიაში ახალი კანკელია ზედ წარწერით: წელსა ჩემბ სეკდემბრის ჭ. ვიგულს მოდგინე განახლებულება ყოველისფრით და შემკობა კანკლითა იყალთოს ღვთების მონასტერში ღვთის მშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიისა საუკუნოდ მოსახსენებელად სადაცა მდებარე არს მეუღლე ჩემი თავადი პოდპოლკოვნიკი იოვანე ერისთოვი და სულისა ჩემისა საოხად ჭავჭავაძის ასულმან კნეინა მაკრინე ერისთოვისამან.

### ხელთნაწერები.

იყალთოს მონასტერში ჩვენ გვაჩვენეს რამოდენიმე ხელთ ნაწერი, რომლის დაწერილებით განხილვის დრო არა გვქონდა, მოგვყავს აქ ის, რაც ერთი თვალის გადავლებით მოვასწარით:

I. კლემაქსი მხედრული ხელთნაწერი,  $22,5 \times 17,5$  სანტიმეტრი, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა: ესე წიგნი იოანე კლემექსი მღუთაების ეკკლესიას შესწირა არაგვის ერისთავის ასულმა მაყაევის კნეინამ ანნა ბეჟანის ასულმა მოსახსენებელად სულისა და შვილთა თვესთა საოხად და სადღეგრძელოდ მდაბალი ხუცესი აშავე ეკკლესიისა დავით მეცა მოწამე ვახლავარ და ხელსაც ვაწერ.

II. ლავსაიკონი  $in 4^0$ , მხედრული ხელთნაწერი ყდაში,  $23,5 \times 18$  სანტიმეტრი. ერთ აღვილას უწერია: არაგვს ერის-

თვის ასულო დედავ ანნავ ლავსაიკონი ესე მოგართვი სახსრები რად ჩემდა ძემან შენმან გაბრიელ ბერმან ვინათგან მსურველ ხარ წერილისა კითხვასა.

სხვა ადგილას;

მეფენი საქართველოსანი დავით გარეჯის მონასტერში ბერათ შემდგარნი სახელ-წოდებულნი: ალექსანდრე, დავით, ლევან და დიმიტრი.

ქ. გრემის ქალაქის ოხრება იქმნა წელსა ჩქვ ქას სუდ.

ქ. მეფე ირაკლის ჭარიდამ გამოქცევა იქმნა წელსა ჩდნ ქას უდღ. —ვახანის წახდენა ორმოცდა ცხრა წელი არის ამ რიცხვში ჩელი.

ქ. ასპინძას გაიმარჯვა მეფემ ირაკლიმ ჩდნა

ქ. ყვარლის ციხის შემოდგომა ლექთაგან წელსა ჩდნგ.

ქ. ჭალიჯვარს გაიმარჯვა მეფემ ირაკლიმ ჩდნდ.

ქ. თბილისის ქალაქი წახდინა აღამაშემადმა სეკდენბრის:

იბ: ქას უშთ:

შემდეგ კიდევ ყდაზე:

ლავსაიკონი ესე შევსწირე მღვთების ეკლესიასა ბეჟან არაგვის ერისთვის ასულმა ანნამ: წელთა ჩელდ: — მეცა მღვდელი დავით მოწამე ვარ ამ წიგნის შეწირვისა

III. სადღესასწაულო, ხუცური ხელთნაწერი, დაშლილი, ერთ ადგილას ასეთი წარწერა აქვს:

ესე სულითა განმანათლებელი და წელიწადთა ათორმეტთა თთვეთა განმაშვენებელი წიგნი სადღესასწაულოსი მე გიორგი მილახერის ქალმა დარეჯან ვპოვე და გულს მოდგინედ დავითხენ ექუსი თუმანი სახსარი მივეც და რადგან ღთაებისა იყო კუალად მასვე ღთაებისა წმიდასა მონასტერსა შევსწირე სულისა ჩემისა საოხად და შვილთა ჩემთა აღსაზრდელად და უკეთუ რომელმაცა ადამის ძეთაგანმან გამოსწიროს იგიმც გამოიწირვის დღეთა სიგრძისაგან და მან წმიდამ მონასტერმა მას ჰკითხოს: ამინ: წელსა ქრისტესით... (აკლია).

IV. მარხვანი ეტრატზე ხუცური ხელნაწერი თავი და ბოლო აკლია. ერთ ადგილას აქვს ტექსტის ხელით მინაწერი:

დაიწერნეს: წენი: ესე: მარხვანი: კლიოთა: გრი: დკნისათა:  
ლნ: გარწმუნოს: წენო: ღისნო: წთა: შა: ლცვთა თქნთა:  
ნუ დამივიწყებთ: რა თნ: ღნ: თქნცა: სასყიდელი: მოგა-  
ნიჭოს: შრომათა: თქნთა და უცბად წერისთ შემინდევით  
დიად მოსწრაფე ვიყავ.

სხვა ხელით: ქ. მოქუელსა ლაზარეს შნ ღნ ან. და  
ვინცა ბრძნოთ თქნცა შეგნდნს ღნ ან

აქ მოქუპლი მოვიდა კურთხეულ ღმრთისაგან. და. ცოდ-  
ვანი შევნდნეს ღნ ან.

V. საღლესასწაულო, ხუცური ხელნაწერი, დაშლილი, თა-  
ვი და ბოლო აკლია. წიგნი აღწერილია არაგვის ერისთვის  
სარიცხნის ძის ბეჭანის ასულის ანნას მიერ ჩელზ წელსა, ივ-  
ლისის ორსა.

VI. მეტაფრასი, მხედრული ხელთნაწერი, მეცხრამეტე  
საუკუნისა.  $33,5 \times 20$  სანტიმეტრი, ყდაში, დაშლილი, მეტა-  
ფრასი აღწერილია წინა წერილებში ცნობილის ანნას მიერ.  
უკანასკნელი სტატია სხვა ხელით არის და შეიცავს ქადაგებას  
პირველსა კვირიაკესა მარხვათასა, რომლის ბოლოს უწერია:

ბრწყინვალისა თავადის ასულო ქეს მოყუარეო ანნა,  
ვიხილე რა ღვაწლი ესე მოღუაწეთა დიდთა თქუბნთა მხილე-  
ბულ ვიქმენ შინაგანისა მსაჯულისა ჩემისაგან უდებისათვს ჩემისა  
და ბაძვად თქუბნდა ადგომილმან აღგიწერეთ ქადაგება ესე  
უქმად დანაშთენსა ამას ქარტასა ზედა. ზ თქუბნ კუდ პატიო-  
სანო დედათ იმრთმელე კნინი ესე ძ(ღ)უბნი ჩემგან ვა საყუარ-  
ლისა ძისა თქუბნისა გაბრიელისაგან და ნუმცა დავიწყებულ  
ვიქმები წშა ლოცვასა შინა თქვენსა გლოხაკი ბერი ტარასი.

ზანდუკი წიგნისა შედგენილია ანნას ძმის სოფრონიოსის  
მიერ დეკემბრის 23, წელსა ჩყლო.

VII. უამნი, ხუცური ხელთნაწერი, ყდაში,  $15,5 \times 12$   
სანტიმეტრი. ერთ ადგილას ტექსტის ხელით აწერია: ქე შე  
ცი იე.

ე. თაყაიმვიდღი

## ჰ ა მ ლ ე ტ

გერგანუსია \*

რა-კი ასე სწორედ დავახასიათეთ შექსპირის მიერ შექ-  
 მნილი პირები, თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჰამლეტიც,  
 როგორც პრინცი ჰენრიხი, შექსპირის იუმირასტების რიცხვში,  
 იმ იუმოსისტებისა, რომელთაც ცხოვრება მოულოდნელად  
 აკისრებს მძიმე მოვალეობას. იმ იუმორისტებს, რომლებიც ასეთ  
 მოულოდნელ მდგომარეობაში იჩენენ საქმეს გაკეთების და  
 სერიოზულობის ნიჭის, იმ პრინც ჰენრიხის, რომელიც ასეთ  
 ყოფაში თავის მოქმედებით აღემატა ყოველსავე მოლოდინს, ენ-  
 ლა მიემატა კიდევ ერთი-ჰამლეტი, რომელსაც არ ძალუდს მი-  
 ნდობილ საქმის ასრულება, რომელიც ტრაგიკულად იღუპება  
 მოულოდნელის მოვალეობის ტვირთის ქვეშ.

გარეგანის სახის, ტემპერამენტის და ბუნების უმთავრესის  
 თვისებათა მსგავსი ზეობაც და ხასიათიც მიანიჭა პოეტმა ჰამ-  
 ლეტს. თვითონ ბიძა უწოდებს ამ გულკეთილს ადამიანს ტკბი-  
 ლის და სასიამოვნო კაცის სახელის: მას მინიჭებული აქვს ყო-  
 ველგვარი წყნარი სათნოება, აღსავსეა ნაზის გრძნობებით. მა-  
 გრამ ყველაზედ უფრო ძლიერია მასში შვილობრივი სიყვარუ-  
 ლი. უსამზღვროა ის პატივისცემა, რომლითაც იგი მოიგო-

\* ) იხ. მოამბე № 6.

ნებს ხოლმე თავისს მამას. ის სამგლოვიარო ტანისამოსი, რომ  
მელისაც ატარებს გარდაცვალებულს მამაზე, ცხადათ გვი-  
მტკიცებს მისის ხასიათის უდიდეს გულწრფელობას და გული-  
თადობას. აუტანელად სტანჯავს მის ზნეობრივ ბუნებას დედის  
ჭიუათხელობა; ბიძის დანაშაულობა სულს უხუთავს. მართა-  
ლია, ასეთის მწუხარების ტვირთი შეეფერება მის ბუნებრივ  
მგრძნობიერობას: იგი რაღაცა სიამოვნებას ჰერძნობს, როდე-  
საც ჰფიქრობს რამე სამწუხაროზე, თავის მოკვლაზე და გახ-  
რწნაზე. მაგრამ ზნეობრივის რწმენის დაკარგვა მაინც უფრო  
უმძიმებს ტვირთს, და სრულად სამართლიანად უწოდებს სა-  
თნოებას იმ სამდურავს, რომლითაც იგი სინანულს აღყდრავს  
დედას გულში. ყველაფერში ვამჩნევთ მას ზნეობრივის თვი-  
სების სიღრმეს და სინაზეს. იგი არ მიდის ჩვეულებრივ გზით,  
არ სცხოვრობს ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ, საყო-  
ველთაო ჩვეულებით, არამედ ხელმძღვანელობს საკუთარის  
პრინციპებით! იგი მეფის შვილია, მაგრამ უკუაგდო ყოველი-  
ვე შემბორკველი ჩვეულება: მის საზოგადოებას შეადგენენ  
აქტიორები, მისი მეგობარია ჰორაციო, მას უყვარს ოფელია,  
რომელიც მასზედ დაბლა სდგას ხარისხით. ამ უბრალო, ბუნე-  
ბრივ ურთიერთობის წყურვილიდან წარმოსდგება მისი სიძუ-  
ლვილიც ყოველგვარ სიცრუისა, ფარისევლობისა, სიყალისა  
და ფერ-უმარილისადმი. იქ, სასაფლაოზე ვხედავთ ჩვენ მის  
ზიზღს ქალებისადმი, რომელთაც უყვართ ფერ-უმარილით თა-  
ვის გალამაზება, პოლიტიკოსებისადმი, რომელთაც თვით ღმე-  
რთის მოტყვილებაც-კი უნდათ, და კანონმდებელთა და კარის  
კაცებისადმი. პოლონიუსის, ოსრიკის და სხვა ამგვართა წი-  
ნაამდეგ არის მომართული მისი განკიცხვა და ენა მახვილი ზი-  
ზღი. ამიტომ ის საუცხოვო სცენა, სადაც იგი დასკინის ახალ-  
გაზღა ასრიკს, რომელსაც შეუთვისებია მხოლოდ განათლების  
გარეგანი სახე, რომელმაც იცის ლაქრტის პლანი და მაინც  
საოცრად გადაპრანჭულის ზრდილობით პატიჟებს ჰამლეტის  
ლაქრტთან საბრძოლველად, რომელიც, როგორც ჰამლეტი  
ამბობს, „რძესაც ვერ მოსწოვდა ისე, რომ ძუძუსთვისაც-კი ქება-

დიდება არ ეთქვა“, — ეს სცენა ამავე ღროს შუვენიერად პსუ-  
რათებს ჰამლეტის ხასიათს. ეს სცენა სავსებით უპირდაპირებს  
ჰამლეტს იმ პირებს, რომელთაც „სწყალობს, ეს წამხდარი  
საუკუნე, რომლებიც აყვენ ღროების ჰანგს, შეითვისეს მხო-  
ლოდ მისი გარეგანი სახე,“ მაგრამ რომელთაც არ მოეპოვებათ  
ერთი ნამცეცი ჰეშმარიტი განათლება, რომელთაც იციან  
ზრდილობიანად მოქცევა, ლაპარაკი მრავალჯერ დაღეჭილ  
საგნებზე, მაგრამ თუ გამოსაცდელად შეუბერეთ მათ, „ნახავთ,  
რომ ეს გარეგანი ბრწყინვალება საპნის ბუშტებივით საჩქა-  
როდ გაჰქრება“. რამდენად აქ ჰამლეტი წინაამდევია თავის  
ღროის გარეგანის განათლებისა, იმდენად წინაამდევია გაუნა-  
თლებლობისა. მას გასაგონადაც ეზარება ბიძამისის ქვიფი და  
ფორტინბრასის ჯიბრი. აი ამიტომ, როდესაც მას დაევალა საქ-  
მის ასრულება, იგი ორად არის გაყოფილი თავის სულიერის  
უთანხმოებით: უმაღლესი კანონი ებრძვის შურისძიების ბუნებ-  
რივ კანონს, მაღალი ზნეობრივი გრძნობა — სისხლის ინსტინქტს.  
მისი გაუბედაობა სრულებით არ წარმოსდგება მარტო სისუ-  
სტისაგან, არამედ არსებითად დამოკიდებულია მის კეთილსი-  
ნიდისიანობასა და სათნოებაზედ. ეს ჰქმნის ჰამლეტს ასეთ დი-  
დებულ ტრაგიკულ ხასიათად. თვითონ ჰამლეტი ამბობს თავის  
ექვების შესახებ; თავის სულის სიმშვიდის შესახებ, რომელიც  
შეუგნებლად ეწინააღმდეგება შურის საძიებელ საშუალებას,  
თავის სულის თვისების შესახებ, რომელიც აიძულებს მას სავსებით  
ასწონოს ყოველისავე მოქმედების ნაყოფი და შედეგი, და ამით  
უსპობს სამოქმედო ღონეს, — თვითონ ამბობს: „ამ ექვუი მხო-  
ლოდ ერთი წილი ერგება ჭკუას და სამი წილი ხომ სიჯაბნის  
ნაყოფი არის.“ მაგრამ პოეტი ისე შუვენიერად აქვს აწონილი  
ჰამლეტის გაუბედაობის ორისავე მიზეზის მნიშვნელობა, რომ  
ჩვენ წინაამდეგ ჰამლეტის საკუთარის თავის განკიცხვისა, თამამად  
შეგვიძლია დავუთმოთ, დავუთმოთ, ყოველ შემთხვევაში, მისის  
სიბრძნის გავლენას ნახევარი ადგილი. როგორც გარდამეტებუ-  
ლი გრძნობა და სიყვარული უკარგავს რამეოს გონებას და აზრს



და ველურიად თავდება მისი ველური სიყვარული, ამ გვარიზ  
დევ ართმევს ჰამლეტს სამოქმედო ძალას მისი გარდამეტებუ-  
ლი კეთილ-სინიდისიანობა, სიმშვიდე და მწუხარება: სიკეთე  
კვდება აქ თავის ნამეტნაობისაგან; აქაც და იქაც გარდამეტე-  
ბული ძალა სიხარულისა და მწუხარებისა სპობს მოქმედებას.  
მაღალის ზნეობის და ნიჭის პატრონს ჰამლეტს ისეთი გამჭრი-  
ახობა, იმდენი დაკვირვება და ღრმა გამოცდილება აქვს, რომ  
ოფელია სრულიად სამართლიანად ამბობს იმის შესახებ: „დი-  
დებულის ჭკვა-გონების ადამიანია, სასახლის თვალი, იმედი და  
ვარდი ამ სახელმწიფოსიო“. ამ მხრივ ჰამლეტი წარმოადგენს  
გენიოსს; ამ „სპეკულიატურ ფილოსოფისთა მეფის“ მონოლო-  
გები საფსეა ღრმა აზრებით; აქ შექსპირმა გადაგვიშალა წინ  
თავისი სიბრძნის საფუძველები; ჰამლეტის აზრების სიღრმე თი-  
თქოს ამოცანებს ჰგავსო. ჰამლეტი—ნამდვილი მეცნიერია; მუ-  
დამ თან დააქვს ჩასაწერი წიგნაკი; ზეპირად ახსოვს ციტატე-  
ბი; უკვე კა დიდის ხენისაა, მაგრამ კვლავ მიერთობა უნივე-  
რსიტეტში. მისი ბუნება მიიზიდავს არა პარიზში, არამედ ვი-  
ტონენბერგში. მისი მეფეური პატივმოყვარეობა ექებს თავის შე-  
საფერს მეგობრებს; მისი მუდმივი თანამგზავრი და ამხანაგია  
ჰორაციო, რომელიც მასთან სწავლობდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ჰამ-  
ლეტს უყვარს და შეუსწავლია დრამატიული ხელოვნება, იგი  
პოეტია და აქტიორიც. წინადაც იცნობდა აქტიორებს და  
ყოფილა მათთან; ეხლა პიესაში ჩასამატებელ სუენს სწერს,  
ამბობს აქტიორებს წინაშე მონოლოგს და ასწავლის მათ, თუ  
როგორ უნდა თამაში. მის აზრს „პირროსის“ ნაწყვეტის შესა-  
ხებ სრულებით სერიოზული მნიშვნელობა აქვს; ამ მხრივაც  
ჰამლეტი განსხვავდება პოლონიუსსა და მის მსგავს პირებისა-  
გან. მის გონებას და გემოვნებას გვიმტკიცებს ის სასცენო  
რჩევა, რომელსაც იგი აძლევს აქტიორებს; ცხადია, რომ  
ჰამლეტის ქება უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა ყველა მაყურე-  
ბელის ტაშის დაკვრა თეატრში. ამიტომ სრულიად ბუნებრი-  
ვია, რომ მას დაებადა აზრი, პიესის წარმოდგენით გამოსკა-  
დოს მეფე; იგი ექებს სხვანაირ შურისძიებას, ისეთს, რომლის

სისრულეში მოყვანა სინიდისით ტანჯულის დედის შემწეობის წარმოადგენდა მისთვის განსაკუთრებულს თეატრალურ სილა-მაზეს. მეტად საყურადღებოა: როდესაც ასე მშვენიერად გა-მოსცადა წარმოადგენით მეფე, ჰამლეტს ყველაზედ უწინარეს ის კი არ აინტერესებს, რომ მკვლელობა უთუოდ ყოფილა, არამედ ის, რომ მშვენიერი არტისტი ვყოფილვარო: გამარჯვე-ბა-კი არ ახარებს, არამედ ის საშუალება, რომლითაც გაიმა-რჯვა. მისი პირველი სიტყვებია: განა უფლება არ მაქვს ეხლა არტისტთა დასში ჩავეწეროვო? ჩვენის აზრით, ეს სიტყვები უფრო აძლევს ამის უფლებას, ვიდრე თვითონ წარმოდგენა. ამ თვისებისა გამოცაა, რომ ჰამლეტი აირჩევს ისეთ შორებულ გზას შურის საძიებლად და სიგიურს მოიგონებს, რომელსაც ბუნებრივად და მშვენიერად ახერხებს. როგორც-კი მოშორდე-ბა აჩრდილი, რომლის გამოცხადებამ თავს ზარი დასცა, მის მაძებარ მეგობრებს მიმინოს ხმით გამოსცემს ხმას, თითქოს მხია-რულ გუნებაზედ იყოს, და ამგვარად ყოველთვის ძალიან ეხე-რხება თავის სულის მდგომარეობის და საიდუმლოს დაფარვა. მისთვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, უყუროს თავის თავს, როგორც აქტიორს, ან წარმოიდგინოს თავისი თავი, რო-გორც აქტიორი. მისთვის უფრო იოლია თავის მჭერმეტყვე-ლობით და ზნეობრივის ქადაგებით ააღლოვოს დედა, გაუღვი-ძოს მას სინიდისი, მახვილივით დაუჭრას გული სიტყვებით, ვიდრე ნამდვილი მახვილი იხმაროს იქ, სადაც საჭიროა, და ამ გვარად ვერ სარგებლობს შურის საძიებლად მოხერხებულის დროთი, მაშინ როდესაც შეეძლო შურიც ეგო და დედის სინიდისიც გაეღვიძებინა. როდესაც ლაერტი მაღალ-მაღალის სიტყვებით გამოსთვამს თავის მწუხარებას დის საფლავზე, ჰამ-ლეტს ჰერნია, თითქოს ლაერტი სადეკლამაციოდ იწვევდეს მას. ამ თავის სისუსტეს კარგად ხედავს თვითონ ჰამლეტიც; იცის, რომ ეს აბრკოლებს და ხელს უშლის მოქმედებას და ისე მხურვა-ლედ ჰკიცხავს მას, როგორც ჰკიცხავდა თავის სიმხდალის კეთილ-სინიდისიანობას და თავის სინიდისის სიმხდალეს. ჰამ-ლეტის მონოლოგი (II,2) აქტიორების შეხვედრის შემდეგ



საუცხოვო გამოშატველია ამ მხრივ მისის სულის მდგრმშეცემა  
ობისა. ყოველგვარის სიტყვებით ლანძღვავს აქ თავის თავს,  
რომ გააღვიძოს მოყუჩებული ვნება, უნაყოფოს უწოდებს თა-  
ვის თავს, რადგან არ შეუძლიან არაფრის—თქვენ გვონიათ  
იტყვის: გაჭეოება,—არა, ჰმლეტი ამბობს მხოლოდ: თქმა, რა-  
დგან მისთვის უფრო საიდამოვნოა წარმოადგინოს სცენა, რო-  
გორც აქტიორმა, დაუხშოს ყურები მსმენელთ და შეაკრთოს  
თვით უბრალოც-კი. ამას მოჰყვება ახალი თავის თავის განკი-  
ცხვა, მარტო სიტყვებში ვიჩენ გმირობისო: „სწორედ ჰკუი-  
დან დავიცალე, -ვიშ ვაჟ-კაცობავ! შურის ძიებად მიმიწვევენ  
ზეცაც, ქვესკნელიც, მე კი უბრალო ლაპარაკით გულის ჯავრს  
ვიკლავ და ვიწყებლები, ვიგინები როსკიპ ქალივით!“ მეყოფა  
ამდენი შეცდომა და დრო არის, საქმეს შევუდგეო. მაგრამ იმას  
მაგიერ, რომ მომართოს თავის ხელებს, კვლავ მიმართავს თავს:  
მოიფიქრებს წარმოდგენის გამართვას. ამგვარად ყოველთვის  
იმარჯვებს სული წინაამდევ ბუნებისა და ჩვეულებათა: კველა-  
ფერში აზრია ნივთების და საგნების საზომი ჰამლეტისათვის.  
შექსპირმა დაუდვა ჰამლეტის ხასიათს ფილოსოფიური საფუ-  
ძელი, რომელიც არის გამოშატველი თვითონ ჰოეტის ცხო-  
ვრების სიბრძნისა. რომ სათნოებას და ბიწიერებას, ცუდს  
და კარგს საქმეს თავისთავად კი არა აქვს მნიშვნელობა, რომ  
საგანი ავია ან კაი ამა თუ იმ აღამიანის თვისების, ხასიათის  
და მიზნის მიხედვით; რომ არა რა, არამედ როგორ შეადგენს  
ყოველისავე საქციელის ღირსებას თუ ნაკლულევანებას,—ეს  
ყველაფერი საფუძველია შექსპირის შეხედულობისა, რომელიც  
არ ერთხელ გამოუთქვამს მას მეტად გარკვევით თუ სიტყვით  
და თუ მაგალითით. ამ დედა—აზრს ჰამლეტი გამოსთქვამს  
ამგვარად: „კარგი და ცუდი როდია რამე, მას მხოლოდ კაცის  
გონება შექმნის ხოლმე.“

ეს არის მიზეზი იმ ეჭვებისა, რომელნიც ებადება ჰამლეტს  
შურისძიების შესახებ, რომლების გამო იგი იჩენს სიმხდალეს  
და გაუბდაობას ყოველთვის, როდესაც საქმე იწვევს სამოქმე-  
დოთ. ეს შურისძიება თავისთავად არ არის მისთვის არც კა-

რგი და ორც ცუდი; მხოლოდ გარემოებანი, როგორც ეს ჯწევ-  
რილი აქვს შექსპირს, ჰქმის ამ შურისძიებას სავალდებულოდ  
კანონიერ მეფისა და დანის ქვეყნის მსაჯულისათვის; ჰქმის  
დანაშაულობის სამართლიან სასჯელად, და მასთან უფრო  
ადვილ და ღირსეულ საქმედ, ვიდრე ლაერტის შურისძიებაა.  
მაგრამ ფიქრებმა გარდააქცია ეს მოვალეობა ჰამლეტისათვის  
საეჭვო და მძიმე საქმედ. საქმის შედეგის ნამეტანმა აწონ-და-  
წონამ აღძრა ჯერ მასში ზნეობრივი შიში, ვაი თუ მეტად  
უსინიდისოდ და აჩქარებულად მოვიქცეო, მერე კი—კეთილ-  
გონიერება და სიფრთხილე, რომელიც საჭიროა, რომ ადამია-  
ნი მოქმედობდეს გულ-დაჯერებით. მაგრამ ფლეგმატიურის ბუ-  
ნებისა გამო ჰამლეტი გადამეტებულს კეთილ-სინიდისიანობას  
და სიფრთხილეს იჩენს, საქმის განსახორციელებლად კი არა-  
ფერს არ აკეთებს. ჰამლეტის გონებრივი გამჭრიახობა ხედავს  
ამ საკუთარს სისუსტეს და უფრო გამოსადევარად სთვლის საქმი-  
სათვის ლაერტს და ფორტინბრის, რომლებს იგი შეცყუ-  
რებს შურითაც და პატივისცემითაც. ჰამლეტს კარგად  
ესმის, რა აძლევს ადამიანს ღირსებას და მოუპოვებს პატივის-  
ცემას, ამიტომაც ჰკიცხავს თავის ნაკლულევანებას ისეთის  
გაცხარებით. ეს გაცხარება ბოლოს იქამდის მიღის, რომ ჰამ-  
ლეტი სრულიად თავისუფლდება ყოველისავე ეჭვისა და ში-  
შისაგან; მაგრამ რა-კი ერთხელვე დაპკარგა მოქმედების ნამ-  
დვილი ტაქტი, უკანასკნელ წუთშიაც აცდება ჰეშმარიტს  
გზას. მართლაც, თუ გვიანობა არ სჩვევია საქმის კაცს, მას  
არ სჩვევია არც აჩქარებული აღელვებაც, რაღაც ყოველი  
სერიოზული საქმე მოითხოვს თავის შესასრულებლად დროს,  
საჭიროა ბეჯითობა, სიმტკიცე. მოპკლა რა შეცდომით და  
უსარგებლოთ პოლონიუსი, ჰამლეტი ამის შემდეგ ვარდება  
რაღაც ფატალისტურ მდგომარეობაში, რომელიც სრულიად  
მოქანცავს, და იმ ჩრდენას დაადგება, რომ ჩვენი აზრი არა-  
ფერს არ გვაძლევს, ჩვენი მოსაზრება უნაყოფოა, ჩვენ შეგვიძ-  
ლიან მხოლოდ დახლოვებით წარმოვიდგინოთ ჩვენი მიზანი,  
რომელსაც განაგებს განგება, როგორც უნდაო. ასეთი შეხედუ-



ლობა სრულიად გამოსაღევარია მისთვის, რომ შეიძულოს ყოველგვარი დამოუკიდებელი მოქმედება. ჰამლეტს ავიწყდება ახლა, რომ შურისძიება მხოლოდ დაახლოვებით კი არ ჰქონდა მას წარმოდგენილი, არამედ ნამეტნავადაც შემუშავებული იყო შურისძიების გეგმა და სწორედ ამიტომაც ვერ იქმნა განხორციელებული.

და რაც დრო გადის, ჰამლეტი უფრო და უფრო დაუდევარი ხდება. მისი უმოქმედობა დაანახვა მას თავისთავის დაკვირვებამ და გამოცდილებამ. მაგრამ მანამდისაც გრძნობდა იგი ბუნდოვანად და ინსტინქტიურად თავის ხასიათის სისუსტეს და ეს სტანჯავდა. ჯერ მაშინაც, ვიდრე აჩრდილი მოუწოდებდა შურის-საძიებლად, და შემდეგაც, ცხოვრება მძიმე ტვირთი იყო მისთვის, რომელმაც არა ერთხელ აფიქრებინა თავის მოკვლაც კი. მოსალოდნელის დანაშაულობის — უსამართლო შურისძიების შიშის გამო იგი დაიწყებს ფიქრს უეჭველის დანაშაულობის — თავის მოკვლის შესახებ, რომელიც აკრძალულია ზეციერის მიერ. ხოლო ამ თავის მოკვლასაც, რომელიც უნდა იმიტომ, რომ თავიდან აიშოროს მძიმე მოვალეობის ასრულება, ვერ ბედავს, რადგან „აქედანაც რა გამოვაო!“ მას არ შესწევს იმდენი ძალა, რომ დასძლიოს სინიდისი, რომელიც გვიკრძალავს თავის მოკვლას, და იმის ფიქრი, თუ რა იქნება სიკვდილის შემდეგ. დარწმუნებული რომ იყოს: სიკვდილი საუკუნო მშვიდობაა, მაშინ სიკვდილი მისთვის სანატრელი იქნებოდა; მაგრამ როგორც კი დაიწყებს ფიქრს იმის შესახებ, რომ საიქიოს შეიძლება იყოს სიზმრები, ცხოვრება, რომელიც კვლავ მიუწოდებს მას სამოქმედოთ, საქმისათვის, იგი შეჩერდება, ვერ ბედავს ვერც იქით, ვერც აქით, ვერ ბედავს ვერც სიკვდილს, ვერც სიცოცხლეს. შედეგების შიში და სინიდისი ხან აქეთ იზიდავს მას, ხან იქით. და უეჭველია, რომ „ყოფნა, არ ყოფნის“ შესანიშნავ მონალოგში, როგორც ამას ხედავს და გრძნობს ყოველი მკითხველი, მთელი არსება ჰამლეტის ხასიათისა და მთელი არსება თვითონ პიესისა მეტად ცხადათ გამოხატულია ამ სიტყვებში,

რომ გონებრივი და ზნეობრივი ეჭვები, სინიდისი და ფრენი  
ჰბორკავს ჩვენს სამოქმედო ძალას:

აი ასე გვხდის ლაჩრად ჩვენივ ცნოპიერება,  
გაბედულობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა  
და სასახელო ძლიერ საქმეთ, დიდათ განზრახულთ  
წინ ეღობება.

შექსპირის მთელი სიბრძნე ცხოვრებისა სულ იმას ქადა-  
გებს, რომ ცხოვრებაში საჭიროა მოქმედება; მას ორმად ჰქონ-  
და შეგნებული, რომ ცალმხრივი განვითარება გონებისა სპობს  
ადამიანის სამოქმედო ძალას. ეს აზრი დაცინვით არის გამოთ-  
ქმული ტროილ და კრესსიდაში: რაღა ძილი და რაღა ჭკუის  
მჩემებლობა მაშინ, როდესაც საჭიროა მოქმედება; გონებით  
გატენილი სიმამაცე და პატიოსნება სილაჩრედ გადაიქცევა;  
გონიერობა და წინადახედულობა აჭერობს ცხოვრების ძალასო.  
აქ ჰამლეტში პოეტმა წინ დაგვიყენა დიდებული საგანი: დაგვი-  
ხატა ის გაუვლელი უფასკრული, რომელიც სხევს მოვალეობის  
გრძნობასა და მოვალეობის შესრულებას შორის, სურვილსა და  
მოქმედებასა, შეგნებასა და გადაწყვეტილებასა, გადაწყვეტილე-  
ბასა და საქმეს შორის. აქ პოეტი ცდილობს გამოარკვიოს რთული  
ურთიერთობა, რომელიც სუფევს მშვენიერ სულსა და დიდე-  
ბულ ხასიათსა შორის, გრძნობიერ, ფიქრის ბუნებასა და პრაქ-  
ტიკულ ბუნებასა შორის, გონების სიმაგრესა და სამოქმედო  
ძალასა შორის. იგი გვიჩვენებს აქ, თუ სულის ცალმხრივ გან-  
ვითარებისა გამო როგორ სუსტია და შებორკილი სამოქმედო  
მხარე ჩვენის ბუნებისა; როგორ უნაყოფოა მოქმედებისათვის  
მეტად განვითარებული გული, თუ ამასთანავე არ არის გან-  
ვითარებული ნება; რომ ვინც ნამეტანს ყურადღებას აქცევს  
შინაგან საგნებს, ის განშორებულია გარეგან ქვეყნისაგან, რომ  
ასეთი ადამიანი ნამდვილად აქცევს აჩრდილს და აჩრდილით მო-  
სავს სინამდვილეს; რომ რამდენად ნაკლებს მუშაობს ხელი,  
ამდენად მეტად მგრძნობელია და მეორეს მხრით ნაზი გრძნობა  
ანაზებს ხელსაც; თუ როგორ ძნელია საუკეთესო პრინცე-  
ბიდან საქმეზე გადასვლა; რომ არაა სრული ადამიანი ის, ვი-

საც თანაბრად არა აქვს განვითარებული გონება, გული და ნება, რომ უამისოთ უკეთილშობილესი სული (როგორც ოფელია ამბობს) იღუპება და მოგვაგონებს ძვირფასის მასალისაგან გაკეთებულს, მაგრამ გატეხილს ზარას. ასე საუცხოვოდ აქვს შექსპირს დახატული თავისი ჰამლეტი. მას მიანიჭა ყოველი დიადი ლირსება გულისა და გონებისა; ეს თვისებები წარმტაცია და კაცს ეგონება, შექსპირს უნდაო შინაგანის ცხოვრების ქება წინაამდეგ გარეგანის, მომქმედ ცხოვრებისა, იმიტომ რომ მოპირდაპირე პირებს, ფარტინბრასებს და ლაერტებს ჰამლეტთან შედარებით მცირე ყურადღებას აქცევს. და ჩვენ რომ უყურადღებოდ დაგვეტოვებინა ჰამლეტის ცუდი მხარეები, არ მიგველო სახეში მისი ტრაგიკული ბოლო, რომ არ მოგვევონებია ისეთი დიდებული ადამიანები, როგორც ჰენრიხი და პერსი,— ჩვენც ამ აზრს დავადგებოდით. მაგრამ არა: ჩვენ გვესმის, რომ პოეტს შეუძლია დააფასოს ერთი თვისება ადამიანისა ისე, როგორც მეორე; ეს მაგალითი კიდევ ხელ-ახლა გვიმტკიცებს, რომ პოეტს საკვირველის მიუდგომლობით შეუძლია დაინტერესდეს ყველაფრით, რაც კი მოიპოვება ადამიანის არსებაში. მან დაგვიხატა ჰამლეტი გენიოსის ჭიუის და მაღალის ზნების ადამიანად, მაგრამ ამასთანავე არ დაგვიმაღა ის ნაკლულევანებანი მისი ბუნებისა და განვითარებისა, რაიც ამცირებს მის ლირსებას და სახელს. შექსპირი მაღლიდან დაჰყურებს შებრალებით ჰამლეტს და არა თანაუგრძნობს მას, როგორც თანასწორი თანასწორს. ეს იმიტომ რომ, პოეტის შეხედულობით, ყოველს შემთხვევაში ის, რაც აკლია ჰამლეტს, შეადგენს ადამიანის სრულს ლირსებას. როგორც გვიხატავს ჰენრიხს და პერსის, და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქმიანი, მომქმედი ცხოვრებაა ნამდვილი ცხოვრება, ისე ეხლაც მისი პოემა ჰამლეტის შესახებ არის ქება მომქმედის ადამიანისა. დიდის ნიჭის, მდიდარის ფანტაზიის, კეთილშობილურის გულის პატრონმა, უფრო იმიტომ შექმნილმა, რომ იგრძნოს, ვიდრე იმოქმედოს, უფრო იფიქროს და იაზროვნოს, ვიდრე რამ შექმნას, უფრო იყოს მხატვარი და მეცნიერი, ვიდრე მხედარი, გმირი და სახელმ-

წითო კაცი, დიდებულმა ჰამლეტმა იპოვა ცხოვრების ნაშდვილი პრინციპი, ყველაზედ უდიდესი, რომელიც როდისმე გამოუთქვას შექსპირს, პრინციპი მხოლოდ დიალი ბუნების აღამიანებისათვის: „დიდებულია ის, ვინც დიდებულის მიზნისათვის აღსდგება; მაგრამ უბრალო საქმისათვისაც თავს გამოიდებს, თუ შელახულია მისი პატიოსნება“.

მაგრამ ჰამლეტს, რომელმაც ასე მშვენიერად იცის ყველაფრის გაგება, შეუძლიან მხოლოდ გამოსთქვას ეს პრინციპი, მაგრამ კი არ ასრულოს იგი, როგორც ამას მოქმედებდა ჰენრიხი, რომელმაც იცის, როგორ უნდა ცხოვრება და მოქმედება. თავის დიდებულ საგნის შესასრულყბლად ჰამლეტს არ აკლია წამქეზებელი საბუთები; მის საქმეში დაინტერესებულია არამც თუ მისი პატიოსნება, არამედ მისი უფლებაც, კანონი, მისი სიცოცხლეც, მაგრამ მის მიერ შექმნილმა ეჭვებმა ხელი შეუშალეს წაქეზებას, გონებამ მოუკლა ინსტინქტი, ეს კეშმარიტი წყარო მოქმედებისა. მას აკლია პატიომოყვარეობა და წამქეზებელი გრძნობა პირადის ლირსებისა. მართალია, ჰამლეტი ოფელიის წინაშე ჰკიცხავს თავის თავს შურისძიებისა, პატიომოყვარეობისა და ამაყობისათვის, მაგრამ ნამდვილად, იგი მოკლებულია ყველაფერს ამას. პირ-იქით ჩვენ გვესმის მწუხარების კვნესა გულის სილრმიდან, როდესაც ჰამლეტი როზენკრანცს და გილდენსტერნს უპასუხებს მათ კითხვაზე—პატიომოყვარეობა ხომ არ გაწუხებსო—შემდეგ სიტყვებს: „მე თუნდა კაკლის ნაჭუჭში მომწყვდეული ვიყო, თავი დაუსრულებელის სივრცის მფლობელი მეგონებოდა“. ჰამლეტი სრულიად არ ჰგავს არც ჰრეკულებს, არც ალექსანდრეს, რომლისთვის ვიწრო იყო მთელი ქვეყანა. არც ტახტის წართმევა არ უღვიძებს მეფეურ პატიომოყვარეობის, არც ფორტინბრასის მოქმედება იწვევს მას სახელის მოსახვეჭად; ბევრი-ბევრი მცირე შური ლაერტისადმი აბედვინებს მას, როგორც არის, გავიდეს ლაერტან ბრძოლაში.

შექსპირს თითქოს უნდოდა ჰამლეტში წარმოედგინა ახალის დროის სოციალური ხასიათი, რომელიც ცდილობს „ბუ-



ნებრივის საუკუნის“ გმირულ ჩვეულებათა წრიდან გვამოკავშირის, იმ წრიდან, რომელშიაც იგი იძულებულია იცხოვ-როს, იმ საუკუნისა, სადაც ყველაფერი ფიზიკურ ძალაზეა დამყარებული და მოითხოვს მოქმედებას, ესე იგი იმას, რაც მას არა აქვს. ყველა ეს სისხლით სავსე, ბუნების წინააღმდეგი პროლიგი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ: ცოლ-ქმური კაში-რის დარღვევა, მოწამვლა და შურისძიება; ყველა ის გმირული საქციელი, რომლის შესახებაც ჩვენ გვესმის: ბრძო-ლა მოხუც ჰამლეტისა ნარვეგიელთან, ბრძოლა მარხილებზე მეომარ პოლონელებთან, ყველაფერს ამას აზის ველურის დროის ბეჭედი; ამ დროს არ ეკუთვნის ჰამლეტი არც ხასია თით, არც ცოდნით, არც ჩვეულებებით, და ამიტომაც შექნება მისი მსხვერპლი. ჰამლეტს უფრო ნაზი ნერვები აქვს, ვიდრე მის გარშემო მყოფს პირებს; მას აქვს ის ცოდნა და გონებ-რივი ძალა, რომელიც არ შეეფერება ძველ გმირულ დროის მკლავის ძალას; ბუნებამ აკუთვნა ჰამლეტს ის მგრძნობიე-რობა და გულის სინაზე, რომელიც მან გადასცა მომავალ თაობას, რომელიც სცხოვრობდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ. ჰამლეტმა ორის საუკუნით გაუსწრო თავის დროს. მისი სიტყვები: „საბრალო იორიკ!“ რომელსაც ამბობს შე-კავებულის ცრემლებით სისაფლაოზე, როდესაც გული სავსე აქვს გრძნობით, შეიქმნა წყაროდ იმ ნაზის და წყნარის სუ-ლის მდგომარეობისა, რომელიც ეპიდემიად გადაიქცა წარსულ საუკუნეს გერმანიასა და ინგლისში. ამ სიტყვების ზედ-გავ-ლენით დასწრება სტერნმა თავისი (იორიკული) სანტიმენტა-ლური მოგზაურობანი, რომელთაც სანტიმეტალიზმის წარდგნით მოჰყინეს მთელი გერმანია.

ამ წინასწარობაშია ნამდვილი სიდიდე ჩვენის პოეტისა. თავის დროის წინ გასწრებით მოპოებული სახელი — უმრავლეს შემთხვევაში საეჭვო სახელია. ყოველი დამიანი უნდა ეკუთვ-ნოდეს თავის საუკუნეს და თავის შეძლებისა და გვარად ემსა-ხუროს მას. წინ გასწრების სურვილი ხშირად ებადებათ იმ მეოცნებე იდეალისტებს, რომელთაც არ ძალუდო თავის დროის

სინამდვილის ატანა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი, გორც შექსპირი, ყველაზედ უწინარეს ეკუთვნის თავის დროს, მის მისწრაფებათ და საჭიროებათ, და მერე, რაც მეტი ძალა და ღონე რჩება, ახმარს მომავალის თაობათა გრძნობების და ფიქრების წინასწარ დახატვას, მხოლოდ ასეთი წინასწარობა (ანტიკიპაცია) არის თაყვანსაცემი და მასშია კეშმარიტი სიღიადე სულისა. ასეთი აზრი არ უნდა ვიქონიოთ ჩვენი პიესის შესახებ. ჰამლეტია ისეთი მოწინავე კაცი, რომელიც განშორდა თავის გმირულ საუკუნის სასტიკ ჩვეულებათ; ჰამლეტი არ არის ისეთი კაცი, რომელიც აკმაყოფილებს თავის დროის მოთხოვნილებას, პირ-ი-ით თუმცა ჰამლეტი ძლიერი ნიჭიერი და შემძლებელი ადამიანია, მაგრამ მას არ ძალუძს მაინც სულ უბრალო თანამედროვე მოთხოვნილების ასრულება. ჰამლეტი წარმოადგენს იმ იდეალისტს, რომელსაც ემშიმება ნამდვილი, რეალური ქვეყანა, უკუ აგდებს ამ ქვეყანას, ისე ეძაგება და ეზარება ეს ქვეყანა, რომ ამის გამო კიდეც იღუპება თავის კეთილშობილურის ხასიათით. თუ ჰამლეტი თავის მგრძნობიერობის მხრივ არის ანტიკიპაცია წარსულის საუკუნის სანტიმენტალურის თაობათა, მეორეს მხრით მისი განძინება წინასწარ გამოხატველია ჩვენის დროის გერმანელებისა. ამიტომაცაა, რომ შექსპირის პიესებს შორის გერმანიაში მთელის საუკუნის განმავლობაში ჰამლეტი შეიქმნა ყველაზე უფრო ცნობილი, უფრო ხშირად განმარტებული და ახსნილი: ამ პიესაში გამოხატული სულის მდგომარეობა ყველაზედ უფრო ცხოველია და გასაგები გერმანელისათვის.

ჩვენ აქ ვხედავთ და გვრძნობთ საკუთარს თავს და როგორც შეყვარებულნი დიდხანს ვხედავდით ჰამლეტში მხოლოდ კარგს თვისებებს, მარტო ბოლო დროს მოვაჭურეთ ყურადღება მის ნაკლულევანებას. ჩვენ ვიცქირებით ჩვენის დროის სარკეში, თითქოს ეს პიესა დაწერილი იყოს ჩვენს დროში, თითქოს პოეტი შეეხო დღევანდელს კითხვას, აგვიწერა და დაგვიხტა დღევანდელი ჩვენი ვარამი.

ის სურათი, რომელსაც გერმანელები ვხედავთ ამ საჩვენები, ისე გვეგვის ჩვენ, რომ სწორედ შეუძლია დაგვაფრთხოს. მე მარტო არ ვამბობ ამას: ათასებს შეუნიშნავთ და უგვრძნიათ ეგ. ერთი ჩვენი ეხლანდელი პოლიტიკურ პოეტთაგანი პირდაპირ ამ სიტყვებით იწყებს ერთს თავის ლექსს: ჰამლეტი—გერმანია. ასეთი შეხედულობა სრულებით არ არის სიტყვების თამაში, რადგან როგორც ჰამლეტი, ჩვენც უკანასკნელ დრომდის გაჩერებული ვიყავით ორ წყალს შუა: ერთის მხრით იყო წმინდა პრაკტიკული საქმე, მეორეს მხრით ჩვენი ხასიათი, შემოქმედებას და საქმიანობას მოკლებული.

სრულიად ჰამლეტის მსგავსად ღრმად გატაცებულნი ვიყავით გონებრივის მუშაობით და გულის თვისებათა განვითარებით და დავიწყებული გვქონდა გარეგანი ქვეყანა; იმგვარადვე ვიტენბერგი და მისი გონებრივი ცხოვრება უფრო გვაინტერესებდა, ვიდრე ხალხთა ბრძოლა პატიოსნებისა და ძლიერებისათვის; სრულიად იმგვარადვე გვაკმაყოფილებდა რომელისამედრომის და პოემის შინაარსი, უფრთ მოგვწონდა სცენაზე თამაში ჩვენის ღროის ამბებისა, ვსტკბებოდით გმირულის სიტყვებით და არ ვფიქრობდით, დინჯად და მედგრად საქმეს შევდგომოდით. განა, როდესაც პირველ ხანებში თავისუფლდებოდით ფრანგებისაგან, ჩვენის წინაპართა აჩრდილნი არ გვაქეზებდენ, არ შეხაროდნენ ჩვენს გამბედაობას? მაგრამ მალე მოელო ბოლო ჩვენს გულსმოდგინებას, ხანმოკლე აღელვების და გატაცების შემდეგ მალე ჩამოვარეთ ფრთხი. რამდენი დიდებულს მაგალითს ვხედავდით თვალ წინ, რამდენი გვაქეზებდა, მაგრამ არაფერს არ ვაქცევდით ყურადღებას. როგორც ჰამლეტს, ჩვენც სრულიად დაგვეკარგა ნამდვილის ცხოვრების გემოვნება, გავრბოდით რეალურ ქვეყნიდან იდეალების სამეფოში; ჩვენ მოვიკალით სულის ნამეტანის ვარჯიშობით და ფიქრებით ინსტინქტიური ცხოვრების ნამდვილი ტაქტი; ოცნებობით და ფანტაზიებით ხელს ვუშლიდით ჩვენ თავს, გავვეგო სინამდვილე. იმგვარადვე სკეპტიკურად განძვინებული ვიყავით მთელის ქვეყნის, სიცოცხლის და კაცობრიობის წინააღმდეგ;

იმგვარადვე უზომოდ შევიძულეთ ადამიანები, თუმცა პატივი  
უნდა გვეცა ადამიანის ღირსებისათვის; დავიწყეთ პასივურად  
ოხვრა ქვეყნიერებაზედ, თუმცა შეგვეძლო საქმეს შევდგო-  
მოდით და მოგვეწყო ეს ქვეყანა. განა ჩვენის ლიტერატურის  
მონოლოგებში არა ვგრძნობდით, რომ შეგვიძლია ვიამაყოთ  
ჩვენის სულის ნაყოფით? განა ჩვენც არ ვფიქრობდით, რომ  
უადამიანი საქმით სწორია ანგელოზისა, გონიერებით ღვთისა,  
ჰკუით დიდებულია, აგებულობით ახოვანი“, და არ ვიყავით  
ამით კმაყოფილი, როგორც პამლეტი? და ყველა ისინი, რომ-  
ლებიც სწუხდენ ქვეყნის შესახებ, რომელთაც მოპეზრდათ  
ევროპა, განა არ ხედავდნენ თავის ნამდვილ სურათს იმ ადა-  
მიანში, რომელიც ასეთის მოთმინებით იტანდა

## უამთა სიმწარეს

მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას,  
მართლმსაჯულობის გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას,  
შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან?

განა ჩვენი ნაღველი არ იყო შედეგი იმ ავათმყოფურ  
კმუნვარებისა, რის გამო პამლეტი სთვლიდა ქვეყანას საპყრო-  
ბილეთ, დედამიწას გაუმარგლავ ბალად, ცის კამარას—სულის  
შემხუთველ, დაშხამულ ბულად, მისთვის ადამიანი მხოლოდ  
მიწა იყო და მტვერი, ყველა საქმე ამ წუთი სოფლის ფუჭი,  
უნაყოფო, დაობებული, რის გამო ყველაფერი ეზიზლებოდა?  
უეპველია, და მერე როგორ! და მაშინ, როდესაც სულს გვი-  
წამლავდით ქვეყნისადმი ზიზლით, განა პამლეტსავით არ ვივი-  
წყებდით შორეულის მიზნისათვის ახლობელ საგანს? ყოველს  
ჩვენგანს თავის მოწოდებად მიაჩნდა ქვეყანაზე ფიქრი და წუხი-  
ლი, მთელის ქვეყნისათვის უნდა ვიზრუნო და არა მარტო ჩე-  
მის თავისთვის. ყველა ოხრავდა პამლეტთან ერთად: დროთა  
კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რათ მარგუნა მისი  
შეკვრაო! ჩვენ ვფიქრობდით, ჩვენი მიზანი იყო—შექმნა რა-  
ღაც შორეულისა და ღიდებულისა მწერლობასა და პოლიტი-  
კაში, ამის გამო გვავიწყდებოდა გაკეთება იმისა, რაც შეად-  
გენდა პირდაპირ ჩვენს დანიშნულებას და ახლობელს საგანს.



ამგვარადვე ჰმლეტის მოვალეობა იყო ახლობელის და იმავე საქმის განხორციელება — მისი პატარა ქვეყნის მოწყობა. თუ ესეც ეძნელებოდა და დიდი იყო მისთვის, მას შეეძლო მაინც თავის მეს მოწყობა, ყოფილიყო თავის თავის რეფორმატორი. მაგრამ ესეც არ ქნა.

ასეთსავე მდგომარეობაშია ათასი რეფორმატორი ჩვენს შორის. ისინი, როგორც ჰამლეტი, თავის გულის ჯავრს, პატარა მიზეზით გამოწვეულს, ავრცელებენ მთელს კაცობრიობაზე, თავის ვიწრო მოწოდებას აზვიადებენ უზომოდ; უზომო ეგოიზმი, რაიც ნაყოფია ცალმხრივის. გონებრივის ცხოვრებისა, აიძულებს მათ ყველაფრის მიზეზი და დასაბამი თავიანთ საკუთარ არსებაში ეძიონ და ამავე ეგოიზმის მიზეზით ვერ აკმაყოფილებენ ვერც ერთს მოთხოვნილებას და როდესაც შეიგნებენ თავიანთ სისუსტეს, ზიზღი ებადებათ საკუთარ თავისადმი, როგორც ჰამლეტი დასკინის თავის-თავს. ამ თვისებას ხშირად ვამჩნევთ გერმანელებს როგორც მწერლობაში, ინე პოლიტიკაში: თავისთავის შევნების სხივი მათაც გაუნათებს გზას, როგორც ჰამლეტს, მაგრამ ეს მაინც არ ახდენს ცვლილებას მათს ცხოვრებაში. ყველაზედ უფრო ჩვენი და ჰამლეტის ხასიათის მსგავსება გამოიხატება შემდეგში: თუმცა მეტად იდეალური და კეთილშობილური იყო ყველაფერი, რასაც ჩვენ გამოვსთქვამდით სიტყვით, რაიც ჩვენს არსებად მიგვაჩნდა და რითაც ვკონტაობდით ისე, როგორც სადღესაწაულო ტანისამოსით, მაგრამ როდესაც საჭირო შეიქნა პრინციპიებიდინ საქმეზე გადასცლა, აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხასიათი გაფუჭებული იყო და უღონო. საქმე უციბ წამოვაწყდა თავზე, ჩვენ ცხარეთ ვეცით მას, მაგრამ ვერაფერს გავხდით, რაღაც ჩვენი ღონე და საშუალება არ შევუფარდეთ ჩვენს მიზანს. ამან დაგვალონა. რაც პირველ გატაცებისა და თავისუფლებისათვის მოძრაობის დროს მიგვაჩნდა პატიოსნად, მართლად, სახელოვანად, მტკიცედ და კარგად, იგი შემდეგ აღმოჩნდა ორ-გული, მოღალატე, მოკლებული ყოველს პატიოსნებას და სიკეთეს. როდესაც სიტყვის გმირები გამოწვეულ იქმნენ

სამოქმედოთ, რაიც მათ თავის პირზაპირ მოწოდებათ მიჰამაგრება  
დათ, მაშინ გამოაშკარავდა, რომ მათი შინაგანი ბუნება მო-  
წამლული იყო, და მათმა სასტიკობამ, შურისძებამ, სის-  
ხლის წყურვილმა ჩირქი მოსცხო გერმანელების სახელს, თუმ-  
ცა ყველას დაუჯერებელად მიგვაჩნდა, თუ ჩვენ ასეთს ველუ-  
რობას გამოვიჩნდით. ამგვარადვე გადამახინჯდა ჰამლეტის  
მშვენიერი ხასიათი, როდესაც დაიწყო მოქმედება; ბოლოს  
ვხედავთ, რომ მან მთლად დაღუპა თავისი ძვირფასი თვისებები.  
ადამიანი, რომელიც გულითადათ იტანჯებოდა კაცობრიობი-  
სათვის, ეგოიზმისა გამო სასტიკად და მკაცრად ეპყრობა იმათ,  
ვინც ყველაზედ უფრო უყვარს. ვისაც სხადა საშინლად ყო-  
ველგვარი ფარისევლობა, მატყუარობა, ვერაგობა, თვითონ  
იწყებს ბრუნდის გზით სიარულს, როდესაც ვერ ახერხებს სწო-  
რედ სიარულს. ვინც სინიდისიერად ასწონიდა ყოველთვის  
თავის საგანს, იგივე ადამიანი ამ სინიდისიანობისა, თუ გვია-  
ნობისა გამო, იქცევა უსინიდისოდ და შეიქნება სასტიკი. სა-  
დაც ჰამლეტი შეხვდება თავის ბიძას მლოცველს და არ უნდა  
მოკლას, რათა არ გაგზავნოს ზეცას; სადაც, როგორც ეს ჩვე-  
ვია მას, იგი ვერ ახორციელებს ახლობელს საქმეს და ფიქრობს  
შორეულ საგნისათვის, ვერ აღასრულა საკუთარი შურისძება  
და ფიქრობს ღვთის შურისძებისათვის,—ყველგან აქ ჰამლეტი  
განა არ ცდილობს უფრო გაამახვილოს თავისი რისხვა და  
სასტიკობა, რომ ამით გაამართლოს უმოქმედობა, თუმცა ასეთი  
ყოფაქცევა სხვა დროს ყოვლად აუტანელი იქნებოდა მისთვის?  
მაგრამ აქ იგი აღელვების და სიცხარის ზედვავლენის ჭვეშ იყო,  
ისე როგორც პოლონიუსის მოკვლის დროს შებყრობილი იყო  
ვნებათა-ღელვით. მაგრამ მალე გულგრილად და დინჯად ღუპავს  
ორს უბრალო ადამიანს ის, ვისაც ეძნელებოდა დამნაშავე კაცის  
მოკვლაც. როზენკრანცს და გილდენსტერნს მიჰყავთ ჰამლეტი  
ინგლისში; თან მიაქვთ ჰამლეტის მოკვლის წერილი, მაგრამ  
მათ არ იციან იმის შინაარსი. მართალი, გულ-ახდილი ჰამლე-  
ტი სსნის ამ წერილს, გამოცვლილის ხელით (ეს ისწავლა  
ყმაწვილობისას) ჩასწერს შიგ თავის სახელის მაგიერ მათ სა-

ხელებს და ამ გვარათ ეს ორი მისი ყმაწვილობის შეგობარი, რომელთაც კარგის თვალით უუურებდა ვარდება იმ ხაფანგში, რომელიც თუმცა მომზადებული იყო ჰამლეტისათვის, მაგრამ არა მათ მიერ. „მაშ როზენკრანცსა და გილდეტერნს ეგ მისცა ბედმა“? ყველრებით ეკითხება თავის მეგობარს გაკვირვებული ჰორაციო. ხოლო ჰამლეტის არ სტანჯავს სინიდისი: ნაღმების გაკეთება და მახების დაგება უფრო შეეფერება მის ბუნებას, ვიდრე პირდაპირი, აშკარა მოქმედება. ნაღმის წინააღმდევ ნაღმის გაკეთება,—ეს მხოლოდ მისი გონიერის თავის საქმეა; იგი აღტაცებულია თავის გამოგონებით; ისე ჩქარა მოუვა თავში ეს აზრი და ისე მალე განახორციელებს, რომ ღვთის კურთხევას ხედავს თავის საქციელში, თუმცა წინად არ ხედავდა ათას ნაირ ნიშნებს, რომლებიც აქეზებთნენ მამ შურის საძიებლად! ამ გვარად იგი ბოლოს და ბოლოს ვერაგობით და სიმუხთლით დაემსგავსება თავის ბიძას, რომელიც უნდა დაესაჯა ბოროტის საქმისათვის.

კიდევ უფრო გასაკიცხია ჰამლეტის ყოფა-ქცევა საყვარელის ქალის შესახებ. გეტე ამბობს, რომ ჰამლეტის გრძნობა ოფელისადმი არ წარმოადგენს ძლიერს ვნებასო. ყოველს შემთხვევაში პოეტი არ გვიხატავს, რომ საღმე ძალას იჩენდეს ეს ვნება. როდესაც ჰამლეტი თავის სიყვარულს ორმოცი ათასის ძმის სიყვარულს აღარებს, ეს გადამეტებაა. გარდა ამ ადგილისა, შექსპირმა კიდევ წარმოგვიდგინა ერთი შემთხვევა, როდესაც ჰამლეტი თავისთვის თქმულ სიტყვებში გვიხატავს თავის გრძნობის ხასიათს, ეს სიტყვებია: „მოიხსენიე შენს ლოცვაში, ჰით, ფერიავ, ჩემი ცოდვები“ (შევნიშნავთ აქვე, რომ რაღაც ახირებულ მიზეზისა გამო ზოგიერთა აქტიორები ამ სიტყვებს ამბობენ დაცინვით ან მასხრულად). აქ, ოფელისათან ლაპარაკში აქტიორს ეძლევა სრული საშუალება პირდაპირ დაგვიხატოს ჰამლეტის გრძნობები ოფელისადმი. თუ აქტიორი აქ განზრახ „ნაკუშ-ნაკუშად, არ აქცევს ვნებათა ღელვას“, მას შეუძლია მოჰვაროს მაყურებელს მძიმე და ღრმა მწუხარება და დააყენოს იმ გუნებაზე, რა გუნებაზედაც დგება ამ ლაპარაკის გამო.

ოფელია. აქ მწუხარე გული შორდება იმას, რაც ბედმა შოვგ-  
ლიჯა, აქ სერიოზულს რჩევას იძლევა ეგოისტურად მოსიყვა-  
რულე ადამიანი, რომელიც თავის საყვარელს ქალს მონას-  
ტერში გზავნის იმიტომ, რომ არ უნდა სხვას დაუთმოს, სა-  
კუთარს მომავალს კი უიმედო წყვდიადით მოცულს ჰქედავს!  
რაც შეიძლება უგულობად და უთავაზიანობად გვეჩვენოს აქ  
და იმ სცენაში, სადაც ჰამლეტი ახირებულად ეპყრობა ოფელის  
მამას და სადაც შეურაცხყოფას აყენებს მის ძმას, იქაც, სადაც  
გულგრილობას იჩენს პოლონიუსის და თვით ოფელის სიკვ-  
დილის გამო,—ყველაფერი ეს სრულიად ეთანხმება ამ ახირე-  
ბულის აგებულობის ადამიანის უმთავრეს ვნებას. თუმცა ჰამ-  
ლეტი და ოფელია სხვა-და-სხვა ხარისხის პირნი იყვნენ, მაგ-  
რამ დედა მაინც სერიოზულად უყურებდა მათ სიყვარულს; და  
ამავე დროს ზოგიერთები ჰამლეტის ფიცს ოფელის წინაშე  
განა მაცურობად არა სთვლიან? ჰამლეტს უყვარდა ღრმა  
ჰატივისცემით თავისი მამა და არ შეექმო მის წინააღმდეგ  
მოქმედება; ამ გვარადვე უყვარს დედა, მაგრამ განა წინააღმ-  
დეგ მამის თხოვნისა არა სტანჯავს ამ სუსტს ქალს? მხურვა-  
ლედ უყვარს ოფელია, მაგრამ მის ხასიათს არ ეწინააღმდეგება  
ის ცივი ეგოიზმი, რომლითაც ჯერ სტანჯავს ოფელის თავის  
სიგიუთ, მერე შორდება და ბოლოს სრულებით ყურადღე-  
ბას არ აქცევს მას სასოწარკვეთილების და სიგიუს დროს.  
ხშირად შევხვდებით ასეთს სუსტის ხასიათის ადამიანებს (გენი-  
ოსებსაც), რომელნიც ერთსა და იმავე დროს მეტად ნაზის  
გრძნობისანი არიან და გულქვავნიც. ასეთის თვისებით აიხსნება  
ჰამლეტის და ოფელის დამოკიდებულობის ხასიათი. უბორო-  
ტო და გამოუცდელმა ოფელიამ თავიდანვე შესწირა ჰამლეტს  
თავისი გული; გულმხურვალედ ეპყრობოდა ჰამლეტს. ჰამლე-  
ტის მასთან საუბარი მაცურია: ასე არ ეღიაპარაკებიან რო-  
მეო, ბასიანი, პროთეოსიც-კი თავიანთ სატრფოთ. ამან მოს-  
წამლა ოფელის ფიქრები გრძნობადი სურათებით და აღუძრა  
სიყვარულის სურვილები, თუმცა მშვიდი და წყნარი ადამია-  
ნია, და ეს ყველაფერი ცხადათ გამოაშეარავდება მის სიმლე-



რებსა და ყვავილებში სიგიფის ღროს. ამას იქით ჩვენ ამ შე-  
გვიძლია გავყვეთ გეტეს ოფელის ხასიათის განმარტებაში.  
კიდევ უფრო ვერ დავეთანხმებით იმათ აზრს, რომლებიც  
უყურებენ ოფელის, როგორც ზნეობით დაცემულს უმანკო-  
ებას. სრულიად არ შეეფერება ფხიზელის გრძნობის პატრონს  
შექსპირს, რომ ზნეობით დაცემულის ქალის საფლავზე მისის  
ძმის პირით ასეთი მაღალი ქება გამოეთქვა წინააღმდეგ იმ  
მღვდლისა, რომელსაც არ უნდოდა ოფელის სრულის საეკ-  
ლესიო წესით დასაფლავება:

შენ კი, მამაო ულმობელო, მე ამას გეტყვი:  
ჩემი და ნეტარ ანგელოზთა დასში იქნება,  
შენი ხვეჭრი კი ჯოჯოხეთში კბილთა ღრჭენაა.

ჩვენი პოეტი არ იტუოდა მის საფლავზე: „მაგის მშვენიერ,  
უმანკო სხეულს ზედა ამოვა ია და ვარდი“! — პოეტს ჯერ კიდევ  
მთლად არ დაეხატა ჩვენთვის ოფელის უწყინარი არსება, რომ  
ტრაგიკულმა შემთხვევებმა მოსწამლა და დასჭრა მისი გული,  
და რამდენადაც-კი დაგვიხატა პოეტმა ოფელია, იგი უანგარო  
არსებაა, ერთგული, მორჩილი, თითქმის სრულიად მოკლებუ-  
ლი დამოუკიდებლობას და ნებას. მამის და ძმის რჩევას მის-  
დევს, თუ როგორ უნდა მოეპყრის ჰამლეტს; ნებას აძლევს,  
ისარგებლონ მით, როგორც მახეთი, იმ საყვარელის კაცის  
წინააღმდეგ, რომელიც ხედავს, რომ ყველამ ულალატა და მია-  
ტოვა. ოფელიამ იცის, რომ ჰამლეტი შეწუხებულია, და  
უბრუნებს მას საჩუქრებს, რაც ისე მოქმედობს ჰამლეტზე,  
როგორც ყოველისავე კავშირის გაწყვეტა. ამ მხრივ ცოტა  
თვითონ თველის ბრალიც არის, რომ ისე იღუპება ბოლოს,  
თუმცა პოეტს ამ უბრალო მსხვერპლის დაღუპვით უნდოდა  
ჰამლეტის სინიდისის დასჯა. პოლონიუსის სიკვდილის გამო  
თვითონ ჰამლეტი ამბობს, რომ ამ უდანაშაულო კაცის მოკ-  
ვლა სასჯელია მისთვის იმიტომ, რომ უვნებლად დასტოვა  
დამნაშავე, მაგრამ კიდევ მეტი სასჯელია ჰამლეტისათვის ოფე-  
ლის სიკვდილი, რომელსაც მოუკლა მამა და მით მოუსპო

ქვეყანასთან ყოველივე შემაერთებელი კავშირი. მამის სიკვდილს წამ და უწუმ იგონებს ოფელია თავის სიმღერებში და მისი ნამდვილი სიგიურ სჯის ჰამლეტს მოგონებულის სიგიურათვის, რომელმაც ყველაზედ პირველად შეარყია ოფელის სულიერი მდგომარეობა. რიზენკრანციც და გილდენსტერნიც ჰამლეტის მიზეზით იღუპებიან. თუ ყველა ამ საშინელ შემთხვევაში მკაცრად გამოიხატება პოეტიური სამართლიანობა, ეგ იმიტომ რომ მეტის სასტიკის სამართლიანობით დაისაჯოს ჰამლეტი. პოეტმა განზრახ ათქმევინა ჰამლეტს ეგოისტური აზრი, რომელიც ნათელს ჰავენს მისის სისხლის სიძულვილის შესაზრ შედევებს. „საშიში არის, ამბობს ჰამლეტი, როდესაც სუსტ ბუნებიანი ჩაუვარდება შუაში ორს მოპირდაპირეს, მოპირდაპირეს ძლიერს, მედგარს, ხმალ ამოწვდენილს“. აი აგრე უყურებს დიდებული გენიოსი მორჩილ აღამიანებს, რომლებიც მას უნდა ემსახურონ ცხოვრების ასპარეზზე! ამის გამოცაა, რომ კეთილსინიდისიანობა, სიფრთხილე და მოსაზრება, რომელიც ნებას არ იძლევდა ჰამლეტს მოეკლა, სამართლიანად დაესაჯა ერთი კაცი, ღუპავს ყველას საერთოდ-დამნაშავესაც და უბრალოსაც. მისი გაუბედაობა, ლაერტის შურის მაძიებელი სიფიცხე, ბიძა მისისაგან ძმის მოწამვლა, უზრუნველი სისუსტე დედისა, უვნებელი სისულელე პოლონიუსისა, უმანკოება ერთგულის სატრფოსი, ყველასათვის საამო მეგობრები, —ყველაფერი ეს: სათნოებაც, მისატოვებელი შეცდომაც, მომაკვდინებელი ცოდვებიც—ყველაფერი ერთნაირად იღუპება ისე, რომ თითქმის არავინ არ რჩება სცენაზე ცოცხალი. პოეტს უნდოდა ამდენის უსარგებლო სისხლის დაღვრით კიდეც დაეხასიათებინა და კიდეც დაესაჯა გმირი, რომელმაც ვერ შესძლო საჭირო სისხლის დაღვრა. შექსპირმა გარკვევით გამოსთქვა ეს აზრი. მეფე ეყითხება ლაერტს, განა მისი შურისძიებას უნდა, დაღუპოს ერთად მტერიც, მოყვარეც; დამნაშავეც და უბრალოც, ვინც მოგებულია და ვინც ზარალშია? არა, ლაერტი, არა დიდის ზენობის პატრონი, მაგრამ ხელოვანი შურის მაძიებელი,—სრულიად კმაყოფილია ერთის კაცის მოკვლით. კეთილ-

სინიდისიანი ჰამლეტი კი საქმეს იქამდის მიიყვანს, რომ შურისძიების უხერხულად ასრულების გამო ღუპავს ყველას—უსარგებლოდ. \*) ამგვარად პიესის შესაზარი ბოლო სრულებით არ არის ნაყოფი პოეტის ესტეტიკურის შეცდომისა, არამედ შედეგია თვითონ ჰამლეტის ზნეობრივის შეცდომისა, ის შედეგი, შრომელსაც თავიდანვე გვიჩვენებდა როგორც პიესის დედააზრი, ისე ჰამლეტის ხასიათი.

---

\*) როდესაც უკანასკნელ სცენაში შემოდის ფორტინბრასი და დაინახავს ამდენს მოკლულ კაცს, უწოდებს მათ მოკლულს ნადირს „havock“-ს, რომელ სიტყვის უცხო ენაზე გადათარგმნა შეუძლებელია. ეს სიტყვა ნიშანავს მონადირეთა ენაზე იმ ნადირს, რომელიც უსარგებლოცაა და რომელიც ბევრიც მოუკლავთ უფიც მონადირებს, როგორც აქ ამდენი ხალხი მოჰკლა უხერხულმა შურის-მაძიებელმა.

## უცხოეთის მიმოხილვა

ინგლისი: ოორდ სოლსბერის სამსახურიდან გამოსვლა.—ბალფური—მისი მემკვიდრე.—გაცრუებული იმედი.—ჩემბერლენის გავლენა ძველ და ახალ პრემიერზე.—რამ გააძლიერა კონსერვატორთა პარტია.—რამ დაასუსტა ლიბერალები.—წარსული კაბინეტის რეაქციონური პროგრამმა.—ნიშნები თვპოზიციის გაძლიერებისა.—მეფე ედუარდ VII დაგვირგვინება.

საფრანგეთი: ბრძოლა კონგრეგაციების წინააღმდეგ.—კლერიკალების ოინები და მათი მოქმედება პროვინციაში.—როიალისტური ხასიათი მოძრაობისა.—აფიციერის პროტესტი.

ოორდ სოლსბერიმ სამსახურს თავი დაანება და მის მაგიერ პირველ მინისტრად დაინიშნა ჩემბერლენი... კი არა, როგორც ყველა მოელოდა, ბალფური. სოლსბერის მიერ პოლიტიკური ასპარეზის მიტოვებამ თითქმის შეუმჩნეველად ჩაიარა. საზოგადოება წინდაწინვე მიეჩია იმ აზრს, რომ იგი დღეს-ხვალ უნდა წასულიყო. ჯერ ისევ ვიქტორიას მეფობის დროს გამოაცხადა სურვილი სამსახურის დატოვებისა, მაგრამ მეფემ სიტყვა ჩამოართვა, მანამდე უნდა დარჩე, ვიდრე ცოცხალი ვიქნებიო. მერე ატყდა სამხრეთ-აფრიკის ომი, ტახტზე ავიდა ახალი მეფე, რომელსაც გამოცდილი მინისტრი სჭირდებოდა და ამ პირობებში სოლსბერი კიდევ დარჩა მეფის დაგვირგვინებამდე. მაგრამ რადგან დაგვირგვინება გადაიდო, ამიტომ სოლსბერიმ ითხოვა ნება სამსახურიდან გამოსვლისა.

ორმოცდა ათი წელიწადია, რაც სოლსბერი გამოვიდა სამოღვაწეოდ პარლამენტში, იგი ამასთანავე ცნობილია პოლიტიკურ პრესსაში, როგორც კარგი მწერალი. ახლა ის 74 წლისა და სამჯერ იყო პირველ მინისტრად. დერბის და დიზრაელის კაბინეტში გარეშე საქმეთა სამინისტრო ებარა და შემ-

დეგში, პირველ მინისტრობის დროსაც ყოველთვის იმავე პატ-  
ტუელს ირჩევდა.

პოლიტიკაში სოლსბერი არ იყო იდეალისტი და ყოველ-  
თვის ცდილობდა, რაც შეეძლო უკეთ დაეცვა ინგლისის ინ-  
ტერესი. საშუალების გარჩევას მის თვალში დიდი მნიშვნე-  
ლობა არა ჰქონდა. სოლსბერი ძალიან ფრთხილი პოლიტიკოსი  
იყო და ერიდებოდა სათუო პოლიტიკას. ახალი ქვეყნების  
დაპყრობის მქადაგებელი იმპერიალიზმი და მუდმივი სურვი-  
ლი, რომ რაც შეიძლება მეტი ტერრიტორია შემატოს დიდ  
ბრიტანიას, სოლსბერის არ მოსწონდა, არ თანაუგრძნობდა.  
გარეშე პოლიტიკაში, როგორც შინაურში, იგი იყო კონსერ-  
ვატორი და წინ ეღობებოდა ყოველ დემოკრატიულ საქმეს.  
1867 წელს, როდესაც დიზრაელიმ საარჩევნო რეფორმა მო-  
ახდინა, სოლსბერი მაშინვე გამოვიდა სამინისტროდან. ასეთი  
იყო სოლსბერი პირველ ხანგში, მაგრამ შემდეგ ცოტა არ  
იყო დათმობის გზას დაადგა. 1884 წელში რომ გეთქვათ ვის-  
თვისმე, „დამისახელეთ ორი ისეთი პოლიტიკური პირი, რო-  
მელთ წინააღმდეგობა უკიდურესი იყოს და შეთანხმება ყოვ-  
ლად შეუძლებელი; დაუყოვნებლივ სოლსბერის და ჩემბერ-  
ლენს დაგისახელებდათ“, — ამბობს ერთი ფრანგული გაზეთი.  
სოლსბერი, რომელიც წარმომადგენელი იყო უმაღლეს მემა-  
მულეთა არისტოკრატიისა, იძულებული შეიქნა ხელი გაეწვ-  
დინა და პირი შეეკრა ჩემბერლენთან, ამ უმაღლესი ბურჟუაზიის  
ქურუმთან, მიუხედავად იმისა, რომ სოლსბერის, ცოტა არ  
იყოს, ერთირებოდა ვიღაც „პარვენუ“ ჩემბერლენის პოლი-  
ტიკური მეგობრობა თუ არა, მეზობლობა.

სოლსბერის წასკლამ ბევრი კომენტარიები გამოიწვია.  
რომელთა შორის ბევრი შეეხებოდა ჩემბერლენს. საქმე ის არის,  
რომ უმრავლესობის თვალში იგი ბუნებრივი კანდიდატი იყო.  
სოლსბერისა და ბალფურის დანიშვნას ისე შეპხედეს, როგორც  
ჩემბერლენის დამარცხებას. ეს მართლაც ასე იყო. ჩემბერ-  
ლენი ძალიან სახელის მოყვარეა და ჯერ ისევ 1885 წ. იმედი  
ჰქონდა, რომ გლადისტონის მემკვიდრე შეიქნებოდა. მას შემდეგ

ბევრმა დრომ გაიარა, ჩემბერლენის გავლენამ და სახელმა იმატა; მეტადრე უკანასკნელ დროს მისი გავლენა და ძალა უმაღლეს წერტილზე ავიდა. და რა გასაკვირველია, რომ დღეს უფრო მეტი იმედი ჰქონოდა ლორდ სოლსბერის მემკვიდრეობისა?

როდესაც ბალფურმა მეფის წინადადება მიიღო პირველ მინისტრობის შესახებ, მაშინვე დაეკითხა კაბინეტის წევრებს, რომ დაიმედებული ყოფილიყო მათ თანამშრომლობაზე. ბალფური წავიდა, რასაკვირველია, ჩემბერლენთანაც, რომელიც ამ დროს სახლიდან არ გამოდიოდა, რადგან იმის წინად ეტლიდან გადმოვარდა. ჩემბერლენმა სუკეთესოდ მიიღო ბალფური, აღუთქვა სრული თავისი დახმარება სამინისტროში, მიულოცა პირველი მინისტრობა. ყველასათვის ცხადია, ჩემბერლენს უფრო ესიამოვნებოდა, რომ მისთვის მიეცათ პირველი მინისტრის ადგილი, მაგრამ მეტი რა გზა იყო, თუ არ faire bonne mine ა მაუვას jeu? ვინ იცის, როდის გაიხსნება ვაკანსია პირველი მინისტრისა? ბალფური თორმეტი წლით უმცროსია ჩემბერლენზე, რომელიც ახლა სამოცდა შვიდი წლისაა. მას არ შეუძლია დიდი ხნის ცდა და ამ მხრივ ბალფური, როგორც პრემიერი, უნებლიერ წინ ეღობება ჩემბერლენის პოლიტიკურ ამბიციას და მის იმედს ფრთას აკვეცს. შეიძლება, ჩემბერლენი თავის დღეში ვერ ეღირსოს პირველობას. მაგრამ თუ ბალფურს სახელი ერგო, სამაგიეროდ ჩემბერლენის გავლენა ახლა უფრო მეტი იქნება სამინისტროში, ვიდრე სოლსბერის დროს იყო. სოლსბერი კეშმარიტი სახელმწიფო კაცი იყო, პოლიტიკა მისთვის მთელი სიცოცხლის საგანს შეადგენდა; მას ჰქონდა საკუთარი პროგრამმა, საკუთარი პრინციპები. ეს გარემოება, რასაკვირველია, ცოტა ხელს უშლიდა ჩემბერლენს. ბალფური კი, რომელმაც თავის ბიძის ადგილი დაიმკვიდრა, სულ სხვა ტიპის მოღვაწეა. პოლიტიკაში იგი დილეტანტია. მუშაობა და შრომა ისე არ უყვარს, როგორც სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, და შედარებით ცოტა ზედაპირაა. იგი განათლებული და უდარდელი არისტოკრატია; უყვარს სპორტი (ბურთი), „აკე-



თებს საპონის „მეტაფიზიკურ ბურთებს“ (იგი ავტორია ფილოსოფია  
სოფიური თხზულებისა), და სრულიად დაკმაყოფილდება „პირ-  
ველი მინისტრის“ სახელით. ჩემბერლენი კი დაუღალავი მშრო-  
მელია, მეტად პრაქტიკული კაცია, სპორტისა და „გონების  
ნებივრობისთვის“ არა სცალია. ის სწორედ ამიტომ გარეგანი  
მხარე ბალფურისა იქნება, შინაარსი კი ჩემბერლენისა.

მაგრამ ბალფური მაინც ერთად-ერთი კაცია სამინისტრო-  
ში, რომელსაც შეუძლია ჩემბერლენს თავი დაუჭიროს.

ახალ კაბინეტს, რომელშიაც სოლისბერის შემდეგ შე-  
სამჩნევი ცვლილებები მოხდა, რასაკვირველია, ისევ ძველი,  
კონსერვატიული ხასიათი შერჩება. პარლამენტში მას დიდი  
უმრავლესობა ჰყავს, 140 ხმა. პარლამენტს გარეთაც კონ-  
სერვატორებს თანაგრძნობა და მომხრეები არ აკლიათ.  
ახლო მიზეზი და იმის ახსნა, რომ დღეს კონსერვატორები  
მეფობენ ინგლისში, თქმა არ უნდა, იმაში იმაღება, რომ ომი  
ატყდა და ამ ომიდან ინგლისი ძლევა-მოსილი გამოვიდა. სამ-  
ხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების შემოერთება ამ დროში, როდე-  
საც ერთი გოჯი მიწა აღარსად არის თავისუფალი, და ტრან-  
სვაალის ოქროს მაღნები დიალ კარგ სახელს და ბევრ მომხ-  
რეებს მოუპოვებდა კონსერვატორთა პარტიას. რაკი ერთი  
ატყდა ომი, მერე უკან დახევა შეუძლებელი შეიქნა და რეა-  
ლურმა მოთხოვნილებამ და სიჯიუტემ მეტად გააძლიერა მილი-  
ტარიზმი, რომელიც ინგლისმა წინად არ იკოდა, რა იყო.  
წინად ინგლისს დევიზად ჰქონდა: მშვიდობიანობა, რეფორმები,  
ეკონომია. ახლა კი იმპერიალიზმის ქარმა გაიტაცა და თვით  
უდიდესმა ეკონომიურმა პრინციპმა თავისუფალი ვაჭრობისამ  
ადგილი დაუთმო პროტექციონიზმს, რომელიც სასარგებლოა  
მხოლოდ ქონების პატრონთათვის. ჩამოთვლილი მოვლენები  
ზოგი პირდაპირ სახელს უკეთებდა კონსერვატორებს, ზოგი კი  
ისეთი ხასიათისა იყო, რომ მრეწველ და მოვაჭრე ბურჟუაზის  
გულს იგებდა, რაღაც ფრიად ხელ-საყრელი იყო იმ ბურჟუ-  
აზიისთვის, რომელიც ოდესაც ლიბერალურ პპოზიციას  
წარმოადგენდა და დღეს კი ისე გაიშალა წელში, რომ ბატო-

ნად გადაიქცა და ბატონი, ხომ მოგეხსენებათ, მუდამ კონსერ-  
ვატორია. 1832 წლამდე ეს ბურუუაზია მოკლებული იყო  
წარმომადგენლობით უფლებას, რომელიც მამულის პატრონ  
არისტოკრატიის მონიპოლიის შეადგენდა, მაშასადამე იგი  
მოკლებული იყო პოლიტიკურ ძალას. კონსერვატორებს და  
იმპერიალიზმის გაძლიერებას ზოგნი გლობუსტონის პოლიტიკას  
აბრალებენ და ისე უყურებენ, როგორც ბუნებრივ რეაქციას,  
რომელიც უნდა მოჰყოლოდა გადამეტებულ ლიბერალიზმს.  
მაგრამ გლობუსტონის „პოუმ-რული“ არაფერ შუაშია და რაც  
უნდა გავაზვიადოთ მისი მნიშვნელობა, მაინც ის ვერ აგვის-  
სნის ამ მოძრაობის აზრს. პირ-იქით, ასახსნელი რჩება თვით  
ის ფაქტიც, რომ „პოუმ-რულს“ მთელმა ინგლისმა ზურგი  
შეაქცია. ამის ახსნას ჩვენ ვხედავთ ლიბერალურ ბურუუაზიის  
ზრდაში და მის ევოლუციაში. საქმე ის არის, რომ რეფორ-  
მების ასრულების შემდეგ ოდესმე ლიბერალურმა ბურუუაზი-  
ულმა ოპოზიციამ ფერი იცვალა და თავის ინტერესების დასა-  
ცავად უფრო სასარგებლოდ სცნო კონსერვატორთა ბანაკში  
გადასვლა. ეს პოლიტიკური ევოლუცია უფრო დააშურა  
ახალი საზოგადოებრივი, ანუ უკეთ, ეკონომიკური კლასსის  
აღორძინებამ და გაძლიერებამ, რომელიც უფრო შეურიგებე-  
ლი და პრინციპი-ლური მტერია ბურუუაზიისა და რომელთა-  
ნაც შეთანხმებაც კი შეუძლებელია. ეს მტერი მუშათა დემო-  
კრატია. 1867 და 1884 წ. წ. რეფორმებმა მას პოლიტიკური  
უფლებანი მიანიჭეს და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანეს.  
აი ერთი საზოგადო მიზეზთაგანი, რომელმაც შეასუსტა და  
ძალა გამოულია ლიბერალიზმს. ერთი მხრივ „მესამე წოდებამ“  
უდალატა მას, მეორე მხრივ შიში აქვს პროლეტარიატისა, რო-  
მელიც დღითი-დღე ძლიერდება. მათი ერთად მოთავსება ძნელია,  
რადგან ერთია ინდივიდუალისტი და ჰეთიქრობს მარტო თავის  
ინტერესებზე, მეორეს იდეალი კი სოციალისტურია. მაგრამ,  
რაც უნდა ვთქვათ, ლიბერალები მაინც ერთ დროს პროგრესის  
პარტიას შეადგენდნენ, რეფორმების მომხრენი იყვნენ, და აი  
ის ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება ერთად გასწიონ პოლი-



ტიკური უდელი. ამ გვარად შეიძლება ვთქვათ, რომ კონსერვატორთა პარტიამ, ანუ უკეთ, თვით ისტორიამ, საბოლოოდ დააძაბუნა ლიბერალების ოპოზიცია.

თქმა არ უნდა, კაბინეტს დიდი უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ ამ უმრავლესობის მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ, რადგან, როგორც ყოველი, პარლამენტის უმრავლესობაც ცვალებადია. ინგლისის პარლამენტის ისტორიაში მოიპოვება ისეთი მაგალითიც, რომ 200 ხმის უმრავლესობა, რამდენიმე ხნის შემდეგ, უმცირესობად გადაქცეულიყოს. მართლაც ისეთ ნიშნებმა იჩინეს თავი ინგლისის ცხოვრებაში, რომელნიც თითქმ ქარის მობრუნებას მოასწავებენ. როდესაც პიყს-ბიჩმა, ფინანსთა მინისტრმა, წარმოადგინა ბიუჯეტი და თან პურის ბაჟის აღდგენა გამოაცხადა, ერთმა ლანკაშირის ქალაქში, ბიურიმ, დეპუტატის არჩევანზე კატეგორიული პასუხი მისცა სამინისტროს: ამომრჩევლებმა მას ზურგი შეაქციეს, შეუერთდნენ ოპოზიციას და მისი კნლილატი აირჩიეს. იგივე შედეგი მოჰყვა ჩრდილოეთ უბნის არჩევანს ქ. ლიდსში, სადაც სასკოლო ბილლი შეიქმნა ბედის გადამწყვეტი, —იქაც ისევ ლიბერალმა დასძლია, თუმცა წინა არჩევნებზე კონსერვატორების დეპუტატმა ჯეკსონმა 2517 ხმით იჯობა ლიბერალს. ახლა კი უმეტესობა ლიბერალების მხრივ არის, და მიზეზი ამომრჩეველთა გუნების შეცვლისა არის სასკოლო, რეაქციონური ბილლი, რომელსაც ბალფური ცდილობს მიაღებინოს პარლამენტს.

აი ასეთი რეფორმები თან-და-თან ნდობას უკარგავენ სამინისტროს, სახელს უტეხენ კონსერვატორთა პარტიას და, როდესაც შემოდგომაზე პარლამენტის სესსია გაიხსნება, თქმა არ უნდა, ოპოზიცია ისარგებლებს ამ ფაქტებით.

პარლამენტი დაიხურა, მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, ვერაფერი სასიამოვნო სახელი და მოგონება დასტოვა ხალხში, თვით ინგლისელებში. იქიდან, რაც სატახტო სიტყვაში იყო გამოთქმული, წარსულმა პარლამენტის სესსიამ ძალიან ცოტა შეასრულა. პურზე ბაჟის დაარსება ცველა ინგლისელისთვის გასაოცარია და გაუგებარი. ეს ბაჟი უფრო მძიმე ასატანია

დარიბი ხალხისთვის, რადგან მთელ შემოსავალთან შედარებისთვის დარიბი უფრო მეტ ფულს ხარჯავს პურზე, ვიდრე მდიდარი. რაც შეეხება სკოლის ბილლს, მისი რეაქციონური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მფარველობის უწევს სახელმწიფო ეკკლესიას. 1870 წლის „აქტის“ ძალით სკოლების მზრუნველობა დავალებული ჰქონდა ადგილობრივ საგანგებო კომიტეტებს, რომელნიც ხალხის არჩეულთაგან შესდგებოდა. რასაკვირველია, საგანგებო კომიტეტი, რომელსაც ერთი საქმე ებარა, უფრო ყურადღებით მოეპყრობოდა სკოლას, უფრო უკეთ იზრუნავდა. ახალი ბილლის ძალით, თუ პარლამენტმა მიიღო შემოდგომაზე, ადგილობრივი კომიტეტები უნდა გაუქმდნენ და ზედამხედველობა და მზრუნველობა უნდა სავრაფო და სამოქალაქო საბჭოებს გადაეცეს. მაგრამ ამ საბჭოებს თავისი საქმეც შეტად ბევრი აქვთ და ვერ შესძლებენ სკოლის მოვლას. თუმცა ბილლის სიტყვით სკოლის საზოგადო ხელმძღვანელობა, საფინანსო ნაწილისა, ისევ განსაკუთრებულ კომიტეტს გადაცემა, მაგრამ ეს კომიტეტები ხალხის არჩეულთაგან როდილა შესდგება. ასეა საქმე დაყენებული იმ სკოლების შესახებ, რომელნიც წინად კომიტეტების გამგეობაში იყვნენ. რაც შეეხება სასულიერო სკოლებს, რომელშიაც ხუთ მილიონამდე ბავშვი სწავლობს, მათი ხელმძღვანელობა მიენდობა სასულიერო წოდებას. ამ სკოლებს ინახავდნენ ადგილობრივი ხარჯით, თუმცა სახელმწიფო სუბსიდიას აძლევდა, და ფულის გამლებს შესაფერი უფლება ჰქონდა კონტროლისა. ახლა ეს უფლება მოხარჯეს წაერთვა და სამღვდელოებას გადაეცა. ამას გარდა, სასულიერო სკოლა სოფლებში რვა ათასამდეა, უმეტესად ინგილკანთა სარწმუნოებისა. არა კონფორმისტები (სხვა სარწმუნოების მიმდევარნი), იძულებულნი არიან იმ სკოლაში ჰგავნონ შვილები, იხადონ სასკოლო გადასახადი და კონტროლის უფლება კი არა აქვთ, — ეს უფლება მინიჭებული აქვს სხვას, ე. ი. ინგლიკან სამღვდელოებას. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, უთანხმოების იწვევს მკვიდრთა შორის.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ედუარდ ვII დაგვირგვინებაზე. უკანასკნელ დრომდე ინგლისელებს ეშინოდათ, ვაი თუ

დაგვირგვინება ვერ მოხდესო. თუმცა მეფე ჯერ კიდევ ვარგშა მოკეთებულია სრულებით, მაგრამ მან ხალხს მოლოდინი არ გაუმტყუნა. ინგლისელი ხალხი და მეფე შედარებით კარგად არიან ერთმანეთში. ჰკითხეთ, რომელ ინგლისელსაც გნებავთ და ყველასგან ერთსა და იმავე პასუხს მიიღებთ: მეფე ჩვენ არაფერს გვიშლის, ჩვენ ჩვენი პარლამენტი გვაქვს, რომელიც სახელმწიფო საქმეებს განაგებს; მეფეს არც უფლება და არც ძალა აქვს, რომ რამე ვნება მოგვიტანოს; ის ჩვენ არას გვერჩის და ჩვენც მისთვის კეთილის მეტი არა გვსურს-რაო. ერთი სიტყვით, ინგლისელები უფრო ისე უყურებენ თვის მეფეს, როგორც საუკეთესო „ჯენტლმენს“, რომელიც მხოლოდ „მეფობს“ და არა „განაგებს“. მეფე არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას და რომ არა ყოფილიყო, უეჭველია, ინგლისელები დღეს თითონ არ გამოიგონებდნენ.

დაგვირგვინება მოხდა 9 აგვისტოს (ახ. სტ.). კურთხევის ცერემონია თუმცა შემოკლებული იყო მეფის უქეიფობის გამო, მაგრამ მაინც დიდ დღესასწაულად გადიქცა. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მეორედ აღარ იყვნენ მიწვეულნი. სამაგიეროთ მთელი ინგლისი და მეტადრე ლონდონი ამ დღეებში ფეხზე იდგა. უთვალავი ხალხი ტრიალებდა ქუჩებში და მოედნებზე. ბევრმა წინა ლამე გარეთ გაათენა, იმ ქუჩებში, სადაც სამეფო კორტეჯს უნდა გამოევლო. ვესტმინსტერის სააბატოში შეიკრიბნენ სამეფო სახლის წევრნი და ნათესავნი, ინგლისის წარჩინებულნი პირნი, უმაღლესი მოხელენი, პერები და მათი მეუღლენი, ლონდონის ლორდ-მერი და მრავალი სხვა. ყველას საცერემონიო ძვირფასი ტანისამოსი ეცვა და კრებული ჭრელ და მდიდრულ სანახაობას წარმოადგენდა. ყველას მიჩნილი ჰქონდა შესაფერი ადგილი, თანახმად ცერემონიალისა, რომელიც მეტად რთული და ვრცელია. კურთხევის წესი შეასრულა კენტერბერის არხიეპისკოპოსმა ეკკლესიის უმაღლეს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მოვიყვანთ რამდენიმე საინტერესო მომენტს ამ ცერემონიისას.

ეკკლესიის შუა ადგილს ამართულია ესტრადა; ესტრადაზე დაზე დგას ორი სავარძელი ანუ სამეფო ტახტი. მეფე და დე-დოფალი ჯერ თავს იხრიან საკურთხეველის წინაშე, შემდეგ იქცერებ თავ-თავის სავარძელს. ამ დროს იწყება ის მომენტი, რომელსაც „მეფედ აღიარებას“ უწოდებენ. კენტერბერის არხი-ეპისკოპოზი ადის მაღლა; თან ახლავს სახელმწიფოს ოთხი უმაღლესი პირი. უველანი აღმოსავლეთისკენ მიიქცევიან. მეფე დგება თავის ადგილიდან ნიშნად იმისა, რომ ჰსურს თვის ხალხს ეჩვენოს. ამ დროს არხიეპისკოპოსი მიჰმართავს დამსწრეთ და ხმა მაღლა წარმოსთქვამს შემდეგს: „უფალნო, ეს ბრძანდება მეფე ედუარდი, უცილობელი მბრძანებელი ამ სამეფოსი. თქვენ, ვინც აქ შეკრბით, რათა პატივი სცენ მას, ბრძანეთ, გსურთ მიუძღვნათ იგი პატივი?“

ამის პასუხად ყოველი მხრივ ისმის: „ღმერთო, ჰელარვიდე მეფესა!“

მაგრამ ამით საქმე არ გათავებულა. მეფე ჯერ კიდევ არ არის შეფეხ. ამ აქტით ხალხმა მხოლოდ იგი იცნო მემკვიდრედ, რომელსაც ტახტს არავინ ედავება. უმთავრესი ნაწილი ახლა იწყება. ხალხმა რომ ქვეშევრდომობის ერთგულება გამოუცხადა, მეფემ თავის მხრივ ფიცი უნდა მიიღოს, რომ არ დაარღვევს და მტკიცედ დაიცავს კონსტიტუციას, ე. ი. იმ უფლებებს, რომელზედაც დამყარებულია სახელმწიფოებრივი წესრიგის და ხალხის თავისუფლება.

თავის მხრივ ეკკლესია, რომელმაც მირონ-სცხო და მეფედ აკურთხა, ითხოვს მისგან ფიცს, რომ იგი იქნება მფარველი ეკკლესიისა. ამ პირობებზე მეფემ უკვე ხელი მოაწერა ორივე პალატის წინაშე ტახტზე ასვლის მეორე დღესვე.

შემდეგ კენტერბერის ეპისკოპოზი უახლოვდება მეფეს და ჰკითხავს;

— მეფეო, ჰსურს თქვენს უდიდებულესობას ფიცი მიიღოს?

— მსურს.

— აღვითქვამთ და ჰკიცავთ, რომ განაგებთ ამ შეერთებულ სამეფოს დიდ ბრიტანიისას და ირლანდიისას და მათ-



გან დამოკიდებულ ქვეყნებს, პარლამენტის მიერ მიღებულ  
სტატუტთა, ამ ქვეყნების კანონთა და ჩვეულებათა თანხმად?

— აღვთქვაშ.

— ისარგებლებთ მთელი ოქვენი უფლებით, რათა კანო-  
ნი არ დარჩეს აღუსრულებელი და რომ სამართალში სუფევ-  
დეს ლმობიერება?

— ვისარგებლებ.

ამ გვარად თუმცა ტახტი მემკვიდრეობითია, მაგრამ მეფე  
მაინც ხალხის, ანუ უკეთ, მის წარმომადგენელთა რჩეულია.  
მეფეს არა აქვს ის უფლება, რომელიც ჰქონდათ ბიზანტიის  
იმპერატორებს, რადგან მათ ისე უყურებდნენ, როგორც ღვთის  
მიერ მირონ-ცხებულთ. მათი უფლება უსაზღვრო იყო, მისი  
შეზღუდვა არ შეეძლო მიწიერ ძალას, მით უმეტეს ქვეშევრ-  
დომთ. ისინი იყვნენ თვით-მშენებლნი და მეფური უფლებანი  
ღვთისგან ჰქონდათ ნაბოძები. მაშასადამე რამდენადაც სრული  
იყო მეფის უფლება, იმდენად ხალხი სრულიად მოკლებული  
იყოს მას. იქ კი, ინგლისში, მეფე შეზღუდულია „პირობის  
ქალალდით“, რომელზედაც ხელი უწერია, კონსტიტუციით.

საფრანგეთში სამღვდელოება და რეაქციონური პარტიე-  
ბი საკვირველი თანხმობით ებრძვიან დღევანდელ სამინისტროს  
განკარგულებას კონგრეგაციების სკოლების დახურვის შესა-  
ხებ. ჯერ პარიზში ასტენეს ვაი-ვაგლახი, გამართეს ქალების  
მეთაურობით უშველებელი მიტინგი,—ჰსურდათ პროტესტი  
გამოეცხადებინათ სამინისტროსთვის. მაგრამ მიტინგზე ცუდი  
დღე დაადგათ: თავისუფალ მოაზრე პარტიებმა იმავე დღეს  
და იმავე აღვილს დანიშნეს თავისი კრება. კლერიკალური მა-  
ნიფესტაცია ანტიკლერიკალური გამოვიდა, და „თანხმობის  
მოედანი“ მალე მიატოვეს. პარიზში რომ ვერა გახდნენ-რა,  
პროვინციას მოედვნენ და იწყეს იქ ქადაგება. აგიტაცია გაა-  
ცხარეს მეტადრე ბრეტანში, სადაც მეტის-მეტად გაუნათლებე-  
ლი ხალხი ცხოვრებს. ჯერ ისევ დიდი რევოლუციის დროს  
ისახელეს თავი მეფის ერთგულებით და შეებნენ რესპუბლიკის  
ჯარებს. ის ტრადიცია ახლაც მოსდევთ. მართლაც, მოძრაო-

ბამ იქ ნამდვილი როიალისტური ხასიათი მიიღო. ფინისტერი, მაგალითად, შემდეგი ამბავი მოხდა. რაღან კლერიკალ ორატორებისაგან ხალხი მეტად აღელვებული იყო და წესიერების დასაცავად ადგილობრივ პოლიციის აგენტები არ კმაროდა, მორბიანის პრეფექტმა ერთი ესკადრონი ჯარი სთხოვა დივიზიის გენერალს. გენერალმა უბძანა პოლარკოვნიკ დესენ რემის, საჭირო დახმარება აღმოუჩინე ლანუეში სკოლის დახურვის დროს. მაგრამ ამ ბატონმა შემდეგი პასუხი მისწერა თავის გენერალს, თავის უფროსს: „მე ქრისტიანი ვარ და მონაწილეობას არ მივიღებ ისეთ საქმეში, რომელიც ეწინააღმდეგება ჩემ რწმენას და სარწმუნოებრივ გრძნობას“. აი შედეგი კლერიკალების და როიალისტების გავლენისა. აფიცერს, სამხედრო მოსამსახურეთ არავითარი უფლება არა აქვთ პოლიტიკაში ჩაერიონ. სენ რემის პასუხი კი არა თუ ნამდვილი დარღვევა დისციპლინისა, ეს არის პოლიტიკური აქტი, პროტესტი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. პასუხი იეზუიტურია: სარწმუნებას მიღახავს ბრძანების ასრულებაო. მაგრამ რა აქვს საერთო ამ გრძნობას ბრძანების ასრულებასთან, რომლის საგანია დაიკეტოს უკანონოდ გახსნილი მონაზენების სკოლა! ეგ ლოდიკა რომ შევიწყნაროთ, გამოვა რომ თუ მონაზონმა ქურდობა ან მრუშობა ჩაიდინა, იგი დაუსჯელი უნდა დარჩეს, ვინაიდან ბრძანების ასრულებას შეუძლიან შებლალოს „სარწმუნოებრივი გრძნობა“ იმ კლერიკალ პოლიციელისა, რომელსაც წილადა ხვდება მონაზენის დაჭერა და პოლიციაში წაყვანა.

ცხადია სარწმუნოება აქ არაფერ შუაშია. ეს არის პირდაპირი ურჩობა რესპუბლიკის მთავრობისა, რომელაც ყველა რეაქციონერებს ჰსურთ ძირს დასცენ. ამ აფიცერს კანონით სამსახურიდან გამოვდება მოელის. მაგრამ ზარალს მალე უზღავენ კლერიკალები, და გულჩვილ კათოლიკე ქალების წრეში ადვილად დაივიწყებს თავის მწუზარებას.

მნელი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა რესპუბლიკა, რომ ყველა ვიგინდარა აფიცერმა საჭირო დროს

ურჩობა გაუწიოს რესპუბლიკის მოთხოვნილების და საკუთარების კერძო სიმპატიით იხელმძღვანელოს.

აი სადამდე მივიდა თავხედობა კლერიკალების, სამღვდელობისა, რომელნიც მუდამ ქადაგებს კანონი წმინდათ და ხმის შეუბრუნებლივ უნდა ასრულდეს. მაგრამ ისინი მხოლოდ მონარხის კანონების შესახებ ამბობენ ამას, რესპუბლიკა კი რა სათვალავში მოსატანია!.. .

ეს მოძრაობა საკმაოდ დიდია, მეტადრე ზოგიერთ დაქვეითებულ გაუნათლებელ დეპარტამენტში. მაგრამ ბოლოს მაინც კანონი დარჩება გამარჯვებული. კლერიკალებს ბევრი ცნობილი მომხრეები ჰყავს: კოპპე, ლემეტრი, ბრუნეტიერი, მაგრამ მაინც მათი დახმარებითაც ფონს ველარ გავლენ. ზოგ სოფლებში ბარიკადებიც კი ააშენეს, თხრილები შემოავლეს, რომ უანდარმები არ შეუშვან და სკოლა არ დაახურვინონ. ამბობენ, ზოგან ფუტკრის სკები დაუდგამთ ბარიკადებზე, რომ ცხენებს ფუტკარი დაახვიონ და ცხენოსან უანდარმებში ამით უწესოება მოახდინონ. აღბად, კოპპეს მოგონილი იქნება ეს პოეტური პლანი, რადგან კოპპეა, რომ ურჩევს „ეწინაღმდეგეა განურჩევლად ლონისძიებისაო“. ამასა ჰქვია ნამდვილი იეზუიტის რჩევა...

აი რას უნდება ჯერ-ჯერობით კომბი.

რუსიემ კონვერსია მოახდინა სახელმწიფო რენტისა, რამაც ბიუჯეტს 30 მილიონი ფრანკი შეჰმატა.

პარლამენტი დაიხურა ოქტომბრამდე.

სარწმუნოებაც კი იწვევდა ამ ერს, ომი გამოეცხადებინა ბეჭდინის ძენთა წამართობისათვის.

4. მცირე აზიას ბერძენთა თემები და სპარსეთის სამეფო. ლილის სამეფოს დაცემის შემდეგ იონიელებმა და ერმილებმა მოციქულები გაუგზავნეს კიროსს. მეფის პასუხი ბერძნების მწარე დაცინვა იყო: „ფლეიტის დამკვრელმა თევზები დაინახა ზღვაში და დაიწყო დაკვრა იმ იმედით, რომ თევზები ნაპირზე გამოვიდოდნენ. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მაშინ ბადეს მოჰკიდა ხელი, გადაისროლა ზღვაში და ბევრი თევზი დაიჭირა. ნაპირზე გადმოტანილი თევზები დახტოდნენ; დაანებეთ თამაშს თავით, უთხრა მათ დამკვრელმა, თქვენ მაშინ უნდა გეთამაშნათ, როცა მე ფლეიტას ვუკრავდიო“. იონიელები და ეოლიელები მიხვდნენ არაკის აზრს. მეფესთან ისინი ვერას გახდებოდნენ, ამიტომ ყველამ, გარდა მილეტლებისა, თავი მოიყარეს მიკალეში და გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ სპარსეთის მეფისათვის. სანამ ომი დაიწყებოდა, ლაკედემონელებმა სკადეს, შუამდგომლობა გაეწიათ ბერძნებისათვის კიროსთან. მეფემ ამაყად გაისტუმრა ლაკედემონიდან მოსული ელჩები: „მე არ მეშინია იმ აღამიანების (იგულისხმე ბერძნების), რომელთაც შუა ქალაქში ერთი ადგილი დაუტოვებიათ, სადაც იკრიბებიან, რათა ერთმანერთა ცრუ ფიცით მოატყვილონ: თუ კარგად ვიქენი, ლაკედემონელების საზრუნვი იონიელების უბედურება კი არ იქნება, არამედ მათი საკუთარი“.

5. მცირე აზიას დასავალეთ ნაშირების დაბეჭობა კითხს სისაგან. უშემწეოდ დარჩენილი მცირე აზიის ბერძნები მალე დამარცხდნენ: პრიენეს მცხოვრებნი მონებად იქმნენ ქცეულნი, მაგნეზია სრულებით დაანგრიეს და მოკლე ხანში თითქმის ნაპირის ყველა ქალაქები სპარსელების ხელში იყო. დამარცხებულმა ბერძნებმა ზღვისაკენ დაიწყეს ცქერა, იქითკენ ეძებდნენ ახალ სამშობლოს და ახალ კერას. ყველაზედ სრული და უუბედურესი ფოკეელების გადასახლება იყო. თუმცა სპარსელებმა საპატიო წინადადება მისცეს ფოკეელებს, მაგრამ ამათ



„ბარბაროსების“ დამორჩილებას სამშობლოს მიტოვება და უგამება  
დახვეწა არჩიეს. ჩაუშვეს ზღვაში გემები, შიგ ჩასვეს ქალები  
და ბავშვები, გადაიტანეს თავიანთი ავეჯი, ქანდაკებანი და  
გასწიეს ქიოსისაკენ. აქ ისინი არ მიიღეს. ფოკეელები დაბრუნდ-  
ნენ თავიანთ ქალაქში, ამოქლიტეს სპარსელების გარნიზონი  
და ისევ ზღვას მიმართეს; დასწყუელეს, ვინც დაბრუნებას  
მოინდომებდა, ზღვაში დიდი რკინა გადააგდეს და დაიფიცეს,  
რომ არ დაბრუნდებიან ფოკეაში, სანამ რკინა ზღვის ზედა-  
პირზე არ ამოვაო, მაგრამ წასვლისას ბევრს ულალატა სიმტკი-  
ცემა: როცა იგრძვნეს, რომ უკანასკნელიდ ხედავენ თავიანთ  
სამშობლო ქალაქს, გულმა ვეღარ გაუძლო და ქალაქში და-  
ბრუნდნენ. გემებზე დარჩენილებმა დიდი ტანჯვა-ვაება გამოი-  
რეს; უმრავლესობა სრულებით დაიღუპა.

სპარსელები მალე მთელ ნაპირისა და კუნძულების ბატო-  
ნები შეიქნენ. ეხლა სპარსეთის სამფლობელოს საბერძნე-  
თისაგან ჰყოფდა მხოლოდ ეგეის ზღვა:

6. დარიალის (ჭისცასძის შვილის) ცახტაჟ ასეგდა; სპარსეთის სამეფოს რეარგანიზაცია. ომი ბერძნებსა და სპარ-  
სელებ შუა აუცილებელი იყო და თუ ცოტა დაგვიანდა, ამისი  
მიზეზი სპარსეთის დროებითი შეფერხება იყო. კიროსმა დააარ-  
სა სპარსეთის სამეფო, მისმა შვილმა კამბიზოსმა შეაფერხა ახალ  
სამეფოს განვითარება და დაასუსტა იგი; დარიოსი სამეფოს  
მეორე დამაარსებელი და მასთან მომზუობელი შეიქნა. ეს მო-  
წყობილი, ცენტრალიზაციით შეკრული და გაერთიანებული  
სახელმწიფო საშიში იყო ევროპიელ ბერძნებისათვის. ამათ აზიის  
მაგალითით შეეძლოთ დაენახათ, თუ რა მოელოდათ მათ იმ დღეს,  
როცა ეს უზარმაზარი სახელმწიფო დაიძროდა მათ წინააღ-  
მდეგ. დარიოსმა ჩააყენა ბერძენთა ახალშენებში ტირანები,  
რომელთაც ყველაფერი მისგან ჰქონდა მიღებული და ამიტომ  
მისი მომხრეები იყვნენ. დაუმტკიცეს კიდეც თავიანთი ერთ-  
გულება: როცა დარიოსი სკითიაში იყო წასული საომრად,  
ათინელმა მიღტიადესმა, ხერსონესის ტირანმა, წინადადება  
შემოიტანა, დაენგრიათ დუნაიზე გადებული ხიდი, რომელიც

ბერძნებს ჰქონდათ ჩაბარებული; ხიდის დანგრევის შემდე დარღუნება. ოსსა და მის ჯარს ძალიან გაუჭირდებოდათ აზიაში დაბრუნება. მილეტის ტირანი პისტიე წინააღმდეგა წინადაღებას და ჩაფუშა საქმე (513).



დარღუნები ამაღლით

7. ბერძნებისა და სპარსელების განხეთქილების მაზე ზები. შეტაკება მაინც აუცილებელი იყო სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. ერთი ბერძენი ექიმი, რომელიც დარიოსს თვისთან ჰყავდა, სულ ბერძნების ქებაში იყო: იგი უქებდა დარიოსს და



მის ცოლს ატოსას ბერძნების ნიჭა და სიმარჯვეს. ექიმი იმდენი ეცადა, რომ სადაც საქმისთვის ჰელადაში გაგზავნეს და გზაში გაიქცა. სპარსელები, რომელთაც ჩაბარებული ჰყავდათ ექიმი, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვეღარ დაიბრუნეს. ათინიდან განდევნილი ჰიპია ი მოვიდა სპარსეთის მეფის ძმასთან, არტაფერნთან, ლი-დის სატრაპთან, და შემწეობა სთხოვა ათინელების. წინააღ-მდეგ. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ბერძნ-სპარსელთა შეჯახები-სა იყო იონიელების აჯანყება და ჰელადისაგან ამათთვის დახმა რების აღმოჩენა.

8. ჭისტიერისა და არისტაგორის ინტრიგები. ორმა პირ-მა—ჰისტიერი და არისტაგორამ დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ აჯანყების საქმეში. ჰისტიერი, რომელმაც ისეთი დიდი სამსახუ-რი გაუწია დარიოსს დუნაის ხიდის დანგრევისაგან გადარჩენით, ბოლოს ეჭვის თვალით დაუწყო ცეკვა სპარსეთის მეფემ და თავისთან სუზაში მიიწვია; ჰისტიერი დამორჩილდა. მეფე, თუმცა გარეგნად ძალიან კარგად ეყყრობოდა მას, სახლში მაინც არ უშვებდა. ამიტომ ტირანის ინტერესი მოითხოვდა, ბერძნთა ახალენებში საქმეები აწერილიყო, რათა მისი დაბრუნება სა-ხლში აუცილებელი გამხდარიყო. რაც შეეხება ცბიერსა და გაქნილ არისტაგორას, ჰისტიერის სიძეს, იგი მიღეტის ტირანი გახდა, მაგრამ ეს არ კმაროდა მისთვის: მას უნდოდა თვისი მეუფება უფრო დიდ ტერიტორიაზე გაევრცელებინა; სცადა კიდეც, მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაუარა. არისტაგორას ეშინოდა ამ საქმის გამო დარიოსის რისხვისა და აჯანყება გაიფიქრა. ჯერ კიდევ ყოყმანობდა იგი, როცა სუზიდან ჰისტიერის კაცი მოვიდა. ფრთხილ ჰისტიერის არ უნდოდა წერილით შეეტყობინებია რა-მე სიძისათვის; ამიტომ მან მონას თმა მოპარსა, დააწერა თავზე ერთი სიტყვა „აჯანყება“ და ისევ თმა მოაშვებინა. არისტა-გორამ მოპარსა თმა, წაიკითხა თავზე დაწერილი სიტყვა, მიხვდა და საქმეს შეუდგა (499).

9. მიღეტისა და სხვა მცირე აზიელ ბერძნენთა აჯანყება. დიდი ცდა არ დასჭირებია არისტაგორას, რადგანაც ბერძნთა ახალ-შენები ისედაც მზად იყვნენ, მოეშორებინათ სპარსელე-

ბის მძიმე ულელი. მცირე აზიის მთელ ნაპირს მოედო აჯანყების ცეცხლი. არისტაგორა სპარტაში და ათინაში წავიდა დახმარების სამოვნელად. გადმოცემით, მას თან უნდა მიეტანოს სპილენძის დაფა, რომელზედაც დახატული იყო დედამიწის რუქა ყველა ზღვებით და მდინარეებით. თავდაბლობას და მორცხვობას მოკლებული მრავალ-მეტყველება მისი არ მოეწონათ სპარტანელებს. მეფე კლეომენმა, სანამ რამეს გადაწყვეტდა, ჰკითხა არისტაგორას: „რამდენი დღის სავალია იონიელების ზღვიდან სპარსეთის მეფის სატახტო ქალაქამდინ?“ არისტაგორამ უადგილო გულახდილობით უპასუხა, რომ სამი თვის სავალიათ. კლეომენმა მაშინ უთხრა: „გადი სპარტიდან მზის ჩასვლამდე, მილეტელო სტუმარო; სპარტანელებისათვის სასიამოვნო არ არის, როცა მას ურჩევენ სამი თვის სავალზე გალაშქრებას“.

ათინის დათანხმება უფრო ადვილი იყო. არისტაგორამ მოხერხებულად გაახსენა ათინელებს, რომ მილეტლები ათინიდან გადასახლებულნი არიან; გარდა ამისა აქ იცოდნენ, რომ ჰიპიასი არტაფერნთან იყო და ეშინოდათ, სპარსელებს არ ეცადნათ მისი ისევ გატირანება ათინაში. ხალხმა ერთხმად გადაწყვიტა 20 გემის გაგზავნა იონიელების დასახმარებლად. „ეს ოცი გემი, ამბობს ჰეროდოტე, იყო სათავე ბერძნებისა და ბარბაროსების უბედურებათა“.

10. ათინელების დახმარება და დარიალის გაბრაზება. ათინელების დახმარება საკმარისი არ იყო იონიელების დახსნისათვის. ერთად-ერთი შედეგი, რომელიც ათინელების საქმეში ჩარევას მოჰყვა, სპარსეთის მეფის უკიდურესი გაბრაზება იყო. როდესაც დარიალის გაიგო, ვინ იყვნენ ათინელები, მოითხოვა შვილდისარი, მოზიდა და როცა ისარი ზეცისაკენ წავიდა, დაიყვირა: „ლმერთო! მომეცი ნება, რომ შური ვიძიო ათინელებზე“. ამასთანავე უბრძანა ერთ თავის მოსამსახურეს მასთან ყოფილიყო ყოველ პურის-ჭამის დროს და სამჯერ მისთვის ეთქვა: „ბატონო, გახსოვდეთ ათინელებიო“.

11. ითხილების უმოქმედობა და მხნეობის დაკარგვა; სპასელებისაგან მიღეტის აღება. სხვის დაუხმარებლად იონიელებს არ შეეძლოთ თვის დაცვა; მიუხედავათ ამისა ისინი მაინც იბრძოდნენ. მალე კიბროსი, კლაძომენი და კიმე სპარსელების ხელში გადავიდა. არისტაგორამ სრულებით დაჰკარგა იმედი და გაიქცა თრაკიაში, სადაც იგი დაიღუპა. გავიდა სამი წელი და ჯერ კიდევ ომი არ გათავებულიყო. ჰისტიერ მოუთმენლად მოელოდა იმ წამს, როცა მას სუზიდან გაუშვებდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, მეფემ წასვლის ნება მისცა, რადგანაც ტირანი ირწმუნებოდა, რომ მარტო მას შეუძლია აჯანყების მოსპობა. რაც მან დარიოსს დაუმალა, არ გამოეპარა არტაფერნს, რომელიც უფრო ახლო და კარგად იცნობდა ადგილობრივ გარემოებებს. „რა არის იონიელების აჯანყების მიზეზი?“ ჰკითხა არტაფერნმა ჰისტიერის პირველ ნახვისათანავე. ჰისტიერიმ ვითომ სრულებით არა იცოდა რა, ისე უპასუხა: „მე არა მესმისრა, ძალიანაც მიკვირს, რომ ეს ასე მოხდა.“ არტაფერნმა მძიმედ, როგორც ნამდვილმა აღმოსავლეთის ფაშამ, ჩამოუარაკა: „ჰისტიერი, ფეხსაცმელი შენი შეკერილია, ჩაცმით კი არისტაგორამ ჩაიცვა.“

ჰისტიერიმ დაინახა, რომ ამისთანა კაცთან ხუმრობა ძნელი იყო და რომ მისი თავი ვერ იყო მაინც და მაინც მაგრად მის მხრებზედ და იმ დამესვე გაიპარა. მილეტმა ცხვირ წინ დაუკეტა მას კარები; იგი ორივე მხრისათვის საეჭვო კაცი შეიქნა და მის მეტი ვერ მოახერხარა, რომ შავ-ზლვაზე მეკობრეობა დაიწყო.

ამასობაში იონია იღუპებოდა და ამ დალუპვის მიზეზი თვითონვე იყო. ამ გადაგვარებულ ბერძნებს, რომელნიც ჩვეულნი იყვნენ განცხრომასა და მეიდნებზე უმიზნოდ ლაყბობას, ნიჩაბი და ხმალი მეტად მძიმედ ეჩვენებოდათ; სიმწარითა და სიბრაზით ლაპარაკობდნენ თავიანთ მთავარ-სარდალ დიონის ფოკეელზე, რომელიც მათ ყოველდღე ავარჯიშებდა: „რა დავუშავეთ ლმერთებს, რომ ასე დაგვსაჯეს? ჩვენ სწორეთ გონება

და კარგულები ვიყაყით, როცა ჩვენი თავი ამ მკვეხარა ფოკე-  
ელს ჩავუგდეთ ხელში. რა არ გადავიტანეთ მის გამოისობით!  
რა აუტანელი დამცირება გამოვცადეთ! ბევრი ჩვენგანი ავად  
გახდა, ბევრიც მზად არის ლოგინად ჩავარდეს. ამ უბედურებაში  
ცხოვრებას, უკეთესია დაგვემართოს, რაც მოგველის; რაც უნდა  
იყოს, ეს მომავალი ეხლანდელზე უფრო მძიმე ასატანი აღარ  
იქნება. მაში გულადათ იყავით და ნულა დავემორჩილებით.“  
ეს დალაჩარებული და მხდალი არსებანი ღირსნი იყვნენ იმ მო-  
ნობისა, რომელიც მათ თავზე დაატყდათ. იონიელების ფლოტი  
მოსპობილ იქმნა და მილეტი ალყა შემორტყმული. მილეტლები  
ხედავდნენ, რომ ხსნა აღარ იყო და ამიტომ გამწარებით იბრ-  
ძოდნენ, მაგრამ გვიან-და იყო. სპარსელებმა ქალაქი აიღეს  
და გადასწვეს; ყველა მამაკაცი, ვისაც კი იარაღის ტარება შეე-  
ძლო, ამოქლიტეს და დანარჩენები ტიგროსის შესართავთან  
გადაასახლეს; თითქმის ეგევე მოუვიდა ქიოსს, ლესბოსსა და  
ტენედოსს.

მილეტის აღებამ ღრმა მწუხარება გამოიწყია მთელ ჰე-  
ლადაში, განსაკუთრებით შეწუხებულები იყვნენ ათინელები,  
როცა პოეტმა ფრინიხოსმა, შემდეგ წელში, ათინაში ტრაღე-  
დია „მილეტის აღება“ წარმოადგინა, მთელ თეატრში გულსა-  
კლავი ტირილი შეიქნა და ავტორს ჯარიმა გადაახდევინეს  
შინაურ უბედურებათა წარმოადგენისათვის.

## თავი მე-XIII-ე

ომარხობა დამოუკიდებლობისათვის. მართონი.  
საფარის. ბლატეა.

სარჩევი. 1. დარიოსის მზადება ბერძნების წინააღმდეგ. პირველ გალაშქრების უნაყოფობა. 2. მეორე გალაშქრება ათინის წინააღმდეგ. 3. ათინა დახმარებას თხოვს სპარტას. 4. სპარსელებისაგან კიკლადებისა და ეებეის დაპყრობა. 5. ბერძნების ლაპირობა და ღალატი; ათინელების მამაცობა და მამულის შვილობა. 6. მარათონის ბრძოლა (490 წ. ქრ. დაბადებამდე). 7. მილტიადეს საეჭვო განზრახვანი; პაროსზე მისი გალაშქრება, სამართალში მიცემა და სიკვდილი. 8. თემისტოკლესი, მისი პატივმოყვარეობა და პოლიტიკური ნიჭი. 9. თემისტოკლესი ხდება სპარსელთა წინააღმდეგ დასის მოთავე და ქმნის ათინასაგან მეზღვეურ სახელმწიფოს. 11. არისტიდესა და თემისტოკლესის მეტოქეობა. 12. ათინის მზადება სპარსელების წინააღმდეგ. 13. ქსერქსესის ჯარი. 15. მეფის ამაყობა და სპარტის მეფის დემარატის სიტყვები. 16. მეფის ჯარის საბერძნეოთისაკენ წასვლა (480 წ.). 17. საბერძნეოის მდგომარეობა. 18 სპარტას და ათინას კავშირი. 19. საბერძნეოის ძალა; ათინის დამსახურება. 20. თერმოპილე და ლეონიდასი. 21. საბერძნეოის ფლორის მოქმედება; ბრძოლა არტემიზოუმთან. 22. საბერძნეოის ფლორი სალამინთან; ათინის მიტოვება. 23. სპარსელები და ათინა. 24. უთანხმოება ბერძნების სარდალთა შორის; თემისტოკლეს როლი. 25. სალამინის ბრძოლა. 26. ქსერქსეს გაქცევა. 27. მარდონისი საბერძნეოში; ცდა სპარტასა და ათინას კავშირის მოსპობისა. 28. ათინას ისევ სპარსელების ხელში ჩავარდნა. 29. პლატეის ბრძოლა (476)- 30. თემისტოკლეს ოპერაციები ზღვაზე; მიკალესთან ბრძოლა. 31. ბერძენთა გამარჯვების მიზეზი. 32. ბერძენთა გამარჯვების შედეგი.

1. დარიოსის მომზადება ბერძნების წინააღმდეგ. პირგელ გალაშქრებას უნაერთობა. უმიზეზო არ ყოფილა ათინე-

ლების ტირილი „მილეტის ოლების“ წარმოდგენის დროს: ისტორიანთა ვიკიპედიაში მოცემული ინფორმაცია აღნიშვნას მიერთება — საშინელი ქარიშხალი მოდიოდა მათზე აღმოსავლეთიდან. აღმოსავლეთის სამეფოებული, სადაც ყველან დესპოტიური მთავრობა არის, დესპოტის გუნება და ქაპრიჩია ხშირად პოლიტიკის ხელმძღვანელი. დარიოსმა პირად შეურაცხყოფად მიიღო ათინელების იონიელების აჯანყებაში ჩარევა. „ბატონო, გახსოვდეს ათინელებიო“, ეუბნებოდა მეფეს ერთგული მონა ყოველ პურის ჭამის დროს. ბატონს არ ეჭივრებოდა ეს გახსენება, ისედაც ქარგად ახსოვდა ათინელებისაგან მოყენებული ჯავრი.

ცოლი მისი ატოსა და სიძე მარდონიოსი ხელს უწყობდნენ მეფის ამ განწყობილებას. პირველის სურვილი იყო ჰყოლოდა მონებად ბერძნის ქალები, რომელნიც განთქმული იყვნენ ჩატანა-დახურვის ხელოვნებაში. მარდონიოსს უნდოდა საბერძნეთი მიმატებოდა მის სატრაპიას.

სპარსეთი იარაღს ისხამდა ბერძნებთან, უფრო ათინელებთან, საბრძოლველად. ერეტრიაც (ევბეაზე იყო) ჰყავდათ სახე-ში სპარსელებს, რადგანაც მანაც მიიღო მონაწილეობა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში. სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ მთელ საბერძნეთს ჩაიგდებდნენ ხელში და იღვილადაც. მაგრამ პირველი გალაშქრება ცუდათ გათავდა. თაზოსის დაპყრობის შემდეგ, ათონის მთის ახლო სპარსეთის ფლოტს საშინელი ქარიშხალი აუტყდა და თითქმის სრულებით დაამსხვრია; ოცი ათასი სპარსელი იმსხვერპლა გაშმაგებულმა ზღვამ. ხმელეთის ჯარმა, მარდონიოსის მხედარ მთავრობით, დაიპყრო მაკედონია, მაგრამ სურსათს მოკლებული და დიდათ დაზარალებული იძულებული შეიქნა უკანვე დაბრუნებულიყო (493).

2. მეორე გადაშქრება ათინის წანააღმდეგ. დარიოსი შეუდგა ახალ სალაშქრო მზადებას. გარდა თავის ჯარისა, მეფეს იმედი ჰქონდა ჰიპიასის მომხრეებისა და საზოგადოთ ბერძნთა შორის არსებულ განხეთქილებისა და შურიანობისა. ხშირად ქება-დიდებით მოუხსენებიათ ბერძნთა მამულის შვილობა ამ საშინელ კრიზისის დროს, როცა მათი დამოუკიდებლობა

დიდ საფრთხეში იყო, და სამართლიანადაც, თუ სახეში ათინელები, სპარტანელები და ორი პატარა თემი (თესპია და პლატე) ჰყავდათ; დანარჩენები კი, ე. ი. ბერძენთა დიდი უმრავლესობა, ერთმანერთის მტრობისა და ინტრიგების მეტს არას დადევდნენ; თვითეული თემი ადგილობრივ ინტერესებში იყო ჩაფლული და ვერ მიმხვდარიყო, რომ ეს ადგილობრივი ინტერესი ამ საშინელ მომენტის დროს მოითხოვდა ბერძენთა ერთობას და მათ საერთო, ძმურ მოქმედებას საერთო მტერის წინააღმდეგ.

დარიოსს უნდოდა გაეგო საბერძნეთის ერის სულის განწყობილება და კაცები გაუგზავნა ყველა თემებს „მიწისა და წყალის“ მოსათხოვნად ნიშანად სპარსეთის მეფის მორჩილებისა. კუნძულები, რომელთაც სხვაზე აღრე მოელოდათ საფრთხე, და კონტინენტის ბევრი თემი დამორჩილდა დარიოსს. ათინის მეზობელი ეგინაცყი დასთანხმდა სპარსეთის მონობას და მხოლოდ თავის გაძლიერებულ მეზობლის შურით და მტრობით. სპარსეთის მეფის ხერხიანშა პოლიტიკამ გააღვიძა ბერძნის გულში ყველა ის დაბალი გრძნობა, რომელიცკი იქ მოიპოვებოდა.

ვ. ათინა დახმარებას სოხუმს სპარსელების ეგინაში შესვლა ათინის უომრად დალუპვას მოასწავებდა. ათინელები მიხვდნენ ამას და, სასტიკ აუკილებლობის გავლენით მიმართეს სპარტას, როგორც ერთად-ერთ ბერძენთა თემს, რომელსაც შეეძლო მათთან ერთად მოთავეობა გაეწია ბერძენთა დაქსაჭისულ თემებისათვის. ათინელების საჩივარი ეგინაზედ სამართლიანად იცნო სპარტას მეფე კლეომენშა, რომელიც საგმირო საქმის მოსაგვარებლად ეგინაში მივიდა, მაგრამ ვერა გააწყორა; იძულებული შეიქნა მიზნის მიუღწევლად უკანკვე გაბრუნებულიყო. „რა გქვია სახელი?“ შეეკითხა კლეომენი ერთ ეგინელს, რომელიც ყველაზედ ცხარე წინააღმდეგობას უწევდა მას. „ჩემი სახელი კრიოსია (კრიოს ბერძნულად ნიშავს ვერძ),“ უპასუხა ეგინელმა. „ჩემო მეგობარო კრიოს (ვერძო)

შენი რქები რკინით უნდა შემოსო, რადგანაც უსაშინელეს უბედურებას შეეხეჩები,“ უთხრა კლეომენმა.

მეფე სპარტაში დაბრუნდა. აქ მან ტახტიდან ჩამოაგდო მეორე მეფე დამარატი იმ მიზეზით, რომ იგი ვითომ უკანონოდ შობილი იყო. მისგან მოსყიდულმა პითიამ მოიწონა ყველა მისი ნამოქმედარი და დემარტი იძულებული შეიქნა გადახვეწილიყო: იგი, პიპიასავით, სპარსეთის მეფეს შეეკედლა. ამ გვარად დარიოსთან ორ უძლიერეს თემის მეფეები იყვნენ და აქეზებდნენ მას საბერძნეთის წინააღმდეგ. კლეომენი დასაჯეს ღმერთებმა ჩადენილ უსამართლობისათვის: იგი გაგიჟდა და თავი მოიკლა.

4. სპარსელებისაგან გაფლადის კუნძულების და ევბეის დაპყრობა. სპარსელებმა გაათავეს თავიანთი მზადება 490 წლის გაზაფხულისათვის. მათი ფლოტი, 100,000 ქვეითი და 10,000 ცხენოსანი ჯარით, გამოვიდა ისოსის უბიდან და პირველად ნაქსოსისაკენ გაემართა. ქალაქი აიღეს და გადაწვეს, მცხოვრებნი მონებად აქციეს. დელოსს კი, წმინდა კუნძულს გვერდი აუარეს. დატისმა, ერთმა მხედართ-მთავართაგანმა შეუთვალია დელოსლებს: „წმინდა ხალხო, რას გარბიხართ? მეფის ბრძანებაა და ჩემი სურვილიც, ცუდი არა დავმართოთ იმ ადგილს, სადაც ორი ღმერთი (აპოლონი და არტემიდა) იმყოფება; დაბრუნდით სახლში და ფლობდეთ თქვენ კუნძულს“. სხვა კუნძულები უომრად დამორჩილდნენ. კიკლადის კუნძულების დაპყრობის შემდეგ, სპარსელები ევბეისაკენ გაემართნენ. ქ. კარისტოსი, რომელიც კუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა, იერიშით აიღეს; ერეტრია ჩაუგდეს ხელში სპარსელებს არისტოკრატებმა; ქალაქი დასწვეს და მცხოვრებთ აღმოსავლეთის ბაზრებში ჰყიდდნენ.

5. ბერძენთა სიღაჩრე და დაზატი; ათინელების შამაცობა და მამულისშვიდობა. ამ საშინელ განსაცდელის დროს საბერძნეთი სავსე იყო მოღალატეებით; არსად მამულისშვილური გრძნობა არ ყოფილა ისე ძლიერი, რომ მას შესძლებოდა, გაეჩუმებია დასების ერთმანერთის სიძულილი და ქალა-



ქების შურიანობა. საბერძნეთი ამ დროს სრულებით არ ჭარბი მოადგენდა ერს, რომელიც ერთიანად ამდგარა თავისუფლების დასაცველად და მტრის მოსაგერებლად. არც ერთობა და არც მამულის შვილური გრძნობა: ყველგან წვრილმანი ინტრიგები და შური. დარჩა მარტო ათინა, რომელიც არ იხრიდა ქედს ძლიერ მტერის წინაშე. და აი, ერეტრიიდან სპარსელები გაემართნენ ატიკის აღმოსავლეთ ნაპირისაკენ, სადაც მარათონის ველი საკმაოდ ვრცელი იყო სპარსთა ჯარების მოსათავსებლად. ათინამ შიკრიკი ფიდიპოსი აფრინა სპარტასაკენ დახმარების სათხოვნელად. ფიდიპოსმა ორ დღეში გაიარა ეს მანძილი და ამ გამზარებულ სირბილის დროს ცრუმორწმუნებელი ბერძენს მოესმა პართენიონის ახლო ღმერთი პანის ხმა; იგი საყვედურს ამბობდა ათინელებზე, რადგანაც ჰატიოს არ სცემდენენ მას, რომელიც იმ თავითვე აქამომდე მათი მწყალობელი იყო. სპარტანელები დასთანხმდნენ, დახმარება აღმოეჩინათ ათინისათვის, მაგრამ ჯარი მაშინვე არ გაუგზავნიათ; ამ დაგვიანებას სპარტანელები რელიგიურ მიზეზებით ხსნიდნენ, თუმცა ისიც შეიძლება, მათ იდუმალი სურვილი ჰქონდათ დაენახათ მეტოქე ქედ-მოხრილი. რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, მაშველი ჯარი მოვიდა იმ დროს, როცა ბრძოლა უკვე გათავებული იყო.

#### 6. მარათონის ბრძოლა. (490 წ. ქრისტეს დაბადებამდე).

ერეტრის ბედით ჭკუა ნასწავლ ათინელებმა გადასწყვიტეს გაშლილი ომის ველზე დახვედროდნენ მტერს: ცხრა ათასი მძიმედშეიარაღებული ჰოპლიტი თავიანთ მონებით გამოვიდნენ ქალაქიდან და გაეშურენ სპარსელებისაკენ; მათ ჰყავდათ ათი სარდალი, სტრატეგი; ერთ დღეს ერთი უფროსობდა ჯარს, მეორე დღეს მეორე და ასე ყველა თავ-თავის დროზე. ამ სარდლებ შორის იყო მილტიადესიც, ხერსონესის ძველი ტირანი, რომელიც დაბრუნდა ათინაში 20 წლის უცხოეთში ყოფნის შემდეგ, გამდირებული და აღმოსავლეთის მთავრის ზნე-ჩვეულებებით გაუქნილი. ეს სასტიკი, ულმობელ გულის ჰატრონი კაცი, რომელსაც ხალხი, როგორც ყველა ტახტის დამკარგველ მეფეს, ეჭვის თვალით უყურებდა, სპარსელების შეური-

გებელი მტერი იყო და ამასთან სამხედრო საქმეებში მეტად დახელოვნებული და გამოცდილი. მტერთან მიახლოვებისა-



### მიღწიადესი

თანავე, სტრატეგებშა წინადადება შემოიტანეს უკანვე გაებრუნებიათ ჯარი: ალბათ მტრის სიმრავლეს მეუშინდნენ. მიღწიადესი წინააღმდეგი აზრის იყო; უომრად უკან გაბრუნება თავის დამარცხებულად ცნობას უდრიდა. მარათონის ველს, მართალია, სპარსელებისათვის, ერთი კარგი მხარე ჰქონდა—იგი ვრცელი იყო, ჯარებს სამოძრაო ადგილი ჰქონდათ; სამაგიეროდ უკან ვერსად წავიდოდნენ—იქ ჭაობები და ზღვა იყო. ათინელებს კი პენტელიკონის მაღლობები ეკავათ, ასე რომ მათ უკანიდან ვერავინ მოუკლიდა. გარდა ამისა ლოდინი, ომის მაშინვე არ დაწყება ხელს შეუწყობდა სპარსთა ინტრიგებს ათინაში. მიღატიადესის აზრმა გაიმარჯვა: პოლემარხი კალი-



მახოსი მილტიადესის მხარეზედ გადავიდა და ამით გადაწყდა, დაუყოვნებლივ მტერს შებრძოლებოდნენ. ბრძოლა სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა სარდლობა რიგოთ მილტიადესს ხვდა ბერძნთა ჯარმა დაიკავა ისეთივე განი, როგორიც სპარსელებს ეჭირათ, და რაღანაც იგირიცხვით მცირე იყო, სისქე ჯარისა, განსაკურებით მის შუა ნაწილის, ნაკლები იყო, მიუხედავათ იმისა, რომ ათინელებს მიემატა კიდევ 1000 პლატეელი. ჯარის მარჯვენა და მარცხენა მხარე უფრო სქელი და მრავალ რიცხვოვანი იყო; ამათ უნდა გადაეწყვიტათ ბრძოლა და გადასწყვიტეს კიდეც. ჯერ ათინელები დინჯად და წყნარად დაიძრენ ადგილიდან. სპარსელები ცნობის მოყვარეობით შესცემეროდნენ ბერძნთა პატარა ჯარის ასეთ ქცევას; ამასობაში ათინელებმა გიმნასტიურ ნაბიჯით იწყეს მოახლოვება და უცბად, სანამ სპარსელები რამეს მოისაზრებდნენ, ბერძნები გაშმაგებულის სირბილით ეკვეთნენ მათ. ეს დატაკება საშინელი იყო, განსაკურებით მარჯვენა და მარცხენა მხარეზე; მტერი შეირყა და ზღვისაკენ დაიწყო ცერა; მარტო მტრის ჯარის შუა ნაწილი იდგა მაგრად: აქ იყო მეფის რჩეული ჯარი, წმინდა სპარსელებისაგან შემდგარი; მაგრამ გამარჯვებულ ათინელთა ორივე მხარი გვერდებიდან ეცნენ მას და კაობებში გადააგდეს. მტერი სრულებით აირია და ვინ ვის გაასწრობდა ნაპირისაკენ, ყველა ამას სკდილობდა. ბერძნები კვალ და კვალ მისდევდნენ მათ შეუბრალებელის ხოცვითა და ულეტით. ბრძოლა იყო ნაპირზედაც და თვით ზღვაზედაც. სპარსელები ჩქარობდნენ ნავების ახსნას და ამით თავის შველას. ბერძნები არ ეშვებოდნენ, ხელით იჭერდნენ ნავებს და უხტებოდნენ შიგ. სხვა სახელოვან გმირთა შორის, აქ ემსხვერპლენ მამულს, პოლემარხი კალიმახოსი და პოეტ ესხილოსის ძმა, სანეგიროსი, რომელსაც სპარსელმა ცულით მოაჭრა ხელი, როცა გაშმაგებული ბერძნი ხელით ჩააფრინდა ნავს და გაშვებას არ უპირებდა. ათინელების ხელში დარჩა მხოლოდ შვიდი გემი. აქ მოხდა ერთი ინციდენტი, რომელიც აქამდე აუხსნელი რჩება. იმ წამს, როცა სპარსელები გარბოდნენ თავიანთ ნავებში ჩამსხდარნი, პენტელიკო-

ნის მწვერვალზე ვიღაც უცნობის ხელმა ფარი დაჰკიდა. როგორც ფიქრობენ, იყო ნიშანი, რომელიც ეუბნებოდა სპარ-სელებს, რომ შეიძლება ათინას თავს დაესხათო. ამ ღალაზის ბრალს, სამართლიანად თუ უსამართლოდ, სდებლნენ ალკმეონიდებს. სპარსეთის ფლოტმა შემოუარა სუნიუმის ცხვირს და მიმართა ათინას, მაგრამ გვიანდა იყო: მარათონის ველიდან მოასწრო ათინელთა ჯარმა და ქალაქის წინ მზად იყო შეხვედროდა მტერს. ღალატიც უნაყოფო შეიქნა სპარსელებისათვის; ისინი იძულებულნი შეიქნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ. მარათონის ველზე ათინელებმა იხსნეს მოელი საბერძნეთი და გვიან მოსული სპარტანელები იძულებული შეიქნენ ღირსეული ქება შეესხათ მათთვის ვაუკაციობისა და მამულის შვილობისათვის.

7. მიღებადეს საეჭვო განზრახვანი; პარასტე გადაშექრება, სამართალში მიცემა და სიგვდილი. ამ შესანიშნავ გამარჯვების შემდეგ, რა უჯობდათ ბერძნებს—სახლში დარჩენა, თუ სპარსელების წინააღმდეგ მოქმედების განგრძობა? მიღრიადესი მეორე გზას რჩეობდა. მაგრამ მას ის ბრალი ჰქონდა, რომ თავის ინტერესებს თემისაზე წინ აყენებდა. ტირანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მის არსებაში, და მარათონის ბრძოლაში კიდევ უფრო მეტი ფრთხები შეასხა მის სიამაყესა და იმედებს. მან მოსთხოვა ხალხს გემები და ფული, მაგრამ ის კი არ უთქვამს, თუ საით მიღიოდა. ათინელები ჯერ კიდევ არ გამოფხილებულიყვნენ მარათონის გამარჯვებისაგან და მიღრიადეს თხოვნა აუსრულეს; ეგონათ, რომ იგი იონიისაკენ წავიდოდა; მაგრამ მალე გაიგეს, რომ იგი გაჩერებულიყო პაროსთან, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ სპარსეთის მეფეს ერთი ტრირემა (გემი) მისცა. პაროსელები მარჯვედ იგერებდნენ მტერს. მიღრიადესი ერთ ღამეს ჩუმად შეიპარა პაროსის მფარველ ქალ-ღმერთას დემეტრას ტაძარში; დაჰყო იქ რამდენიმე წამი, მაგრამ უცბად ცრუმორწმუნეობისაგან გამოწვეული შიში შეეპარა გულში, გამოიქცა ტაძრიდან, გადმოხტა კედლიდან და ფეხი მოიტეხა. ამის შემდეგ იგი იძუ-



ლებული შეიქნა დაბრუნებულიყო ათინაში. იშვიათად მომზადებული შედარა კაცს ასე უცბად შეეძინოს დიადი სახელი, როგორც მილტიადესს, მაგრამ ისიც იშვიათი მოვლენაა, რომ ხალხის თვალში დიად გმირად აღიარებული ეგრე ჩქარა არაფრად ქცეულიყოს. მილტიადესი ოცნებობდა მეორე პიზისტრატობას და ამის მაგიერ შესაბრალის ფეხმოტეხილ ინვალიდად დაბრუნდა; ეს კიდევ არ აკმარა ბედმა; ქსანტიპმა, პერიკლესის მამამ, სამშობლოს ლალატი დააბრალა მას და სამართალში იქმნა იგი მიცემული. ლოგინად ჩავარდნილი დამნაშავე საკაცეთი მოიყვენეს სასამართლოში. დიდი იყო მილატიადესის დამსახურება ათინელების წინაშე; მარათონის ომში გამარჯვებულს სიკვდილით ვერ დასჯიდნენ. მას მიუსაჯეს 50 ტალინტის \*) ჯარიმა, და რადგანაც ამოდენა ფულის გადახდა არ შეეძლო, ჩასვეს სატუსალოში, საიდგანაც ცოცხალი არ გამოსულა.

თემისტოფლე, მისი პატივ-მოუვარებადა და შოლიტივური ნიჭი. მარათონის გამარჯვებამ ძალიან წიმ წასწია ათინა: მარტო ერთი ქალაქი თავის ძალ-ღონით გაუმკლავდა სპარსეთის მეფეს, მაგრამ მარათონი მხოლოდ პროლოგი, შესაძლებელი იყო: განა შესაძლებელი იყო, რომ „დიდ“ მეფეს დაეთმო ეს საშინელი შეურაცხყოფა? პროლოგს თან მოჰყვებოდა აუცილებლად ნამდვილი დრამა. ამას მიხვდა ათინაში ერთი კაცი და მოამზადა თავისი ქვეყანა ამ აუცილებლად მოსალოდნელ დრამისათვის. ეს კაცი იყო თემისტოფლე. მარათონის გამარჯვებას მისთვის თავბრუ არ დაუსხმია, მისი შორს და ღრმად გამჭვრეტი გონება მომავალს ცხადად ხედავდა და სწორედ ეს შეადგენდა მის სიღიადეს.

თემისტოფლე, ნეოკლესის შვილი, ჩამომავლობით უბრალო კაცის შვილი იყო; მამა ათინელი ჰყავდა, მაგრამ დედა უცხოელი იყო. ბავშობიდანვე ეტყობოდა მას, თუ რა კაცი შეიქნებოდა ბოლოს. იმ თავითვე ემჩნეოდა მას ორი თვისება

\*) ტალანტი დაახლოვებით 1500 მანეთს უდრის.

რომელნიც იშვიათად მოიპოვებიან ერთ და იმავე ადამიანში—  
ეს არის მხურვალე ფანტაზია, გამოხატულება და მახვილი გო-  
ნება. „შვილო, ეუბნებოდა მას მასწავლებელი, თითქმის შეში-  
ნიბული მისი ნაადრი პატივმოყვარეობით, შენ უბრალო, სა-  
შუალო ტიპის კაცი არ იქნები; ან სრულებით კარგი იქნები



### თემისტიკელები

და ან სრულებით ცუდი.“ მასწავლებელი სამართლიანად მსჯე-  
ლობდა თავის მოწაფეზედ. თემისტიკელები ნახევრად საქმის  
კეთება არ იცოდა. რაკი მან ერთხელ გულში გადასწყვიტა  
თავის სამშობლო ქალაქში დიდი გავლენა და მნიშვნელობა  
მოეპოვებინა, იგი გარდა პოლიტიკისა ყურადღებას არას აქ-

ცევდა, არც პოეზიას და არც ხელოვნებას, თავდაპირველიდ  
მას შეცდომები მოდიოდა—და ვის არ მოსვლია შეცდომა? შეცდომები, რომელთა წყარო მისი მხურვალე ბუნების შეუ-  
ჩერებელი ძალები იყო. მაგრამ იმდენად ვონება მახვილი  
იყო, რომ მალე მიხვდებოდა და თვითონვე ასწორებდა თვის  
შეცდომებს. მამა მისი წინდაწინვე ჰქედავდა, თუ რამდენი უსია-  
მოვნობა მოელოდა შვილს მისგან არჩეულ გზაზე და სკულ-  
ლობდა მიეტოვებინა იგი შვილისათვის, მაგრამ ამაოდ. ერთ  
დღეს მამა და შვილი ზღვის ნაპირზე სეირნობდნენ; იქვე მი-  
ტოვებულ გემების ჩონჩხები ეყარა და ლპებოდა. მამამ მიუ-  
თითა შვილს მათზე და უთხრა: „შეხედე, შვილო, ეს გემები  
იმის სურათია, თუ რა მოელის პოლიტიკურ მოღვაწეთ, როცა  
ხალხმა გული იბრუნა მათგან.“ თემისტოკლეს პასუხი არ გა-  
უცია მამისათვის.

9. თემისტოკლესი სპარსთა წინააღმდეგ დასის მოთა-  
ვება და ჭერის ათინადან ფღვანისან სახელმწიფოს. თემის-  
ტოკლეს პირველი შესანიშნავი ნაბიჯი პოლიტიკურ ასპარეზზე  
ის იყო, რომ თავისი თავი სპარსელების შეურიგებელ მტრად  
გამოაცხადა; იგი სული და გული შეიქნა იმ დასისა ან ჰეტე-  
რიისა, რომლის დევიზი იყო „ომი სპარსელების წინააღმდეგ“. მან სიკვდილით დაასჯევინა დარიოსის ელჩების თარჯიმანი იმ  
მომიზეზებით, რომ მან ბერძნული ენა ამსახურა ღალატს; დაა-  
ახლოვა ათინა და სპარტა და შეიქნა უმთავრესი ჩამგონებელი  
ეგინის წინააღმდეგ სასტიკ ღონისძიებათა მიღებისა. თემისტო-  
კლე მიხვდა, რომ ათინა საჭიროებდა ნავ-სადგურს, რომლის  
დაცვა და დაცვითვა ადვილად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.  
როცა 493-ში პირველი არხონტი გახდა, მან მიაქცია ყურადღება  
პირების უბეს, რომელშიაც შემოსვლა გარედან შეიძლებოდა  
მხოლოდ ვიწრო კარებით. შორს მჭვრეტელმა ათინელმა გა-  
დასწყვიტა აქ დაეარსებინა ახალი ზღვის-პირული ათინა კო-  
ნტინენტალურ ათინის სრულყოფისათვის. შეუდგნენ კიდეც  
კედლების ამოყვანას. მაგრამ ამ დროს სპარსელებთან ომი  
დაიწყო. შემდეგ მარათონისა, სადაც თემისტოკლე მამაცურად

იბრძოდა, და მილტიკადეს დაცემისა, მან განაგრძო ზაჟის პროექტების განხორციელება. იგი დარწმუნებული იყო, რომ სპარსელები ისევ დაბრუნდებოდნენ; იმასაც მიმხვდარი იყო, რომ თუ ზღვაზე არა, ბერძნები მათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ; ამიტომაც შეაგონა ხალხს და გადააწყვეტია სამხედრო ფლოტის შექმნა: მოკლე ხანში ათინას 200-ზე მეტი სამხედრო გეში ჰყავდა. თემისტოკლემ უფრო საკვირველი სასწაული ჩაიდინა კიდევ: ლაურიონის ვერცხლის მაღნის შემოსავალს ყოველ წლივ ინაწილებდნენ ერთმანერთში; თემისტოკლეს შეგონებით, ხალხმა აღარ ინდომა ამ შემოსავლის განაწილება და შექმნა სამხედრო ფონდი, რომელიც გემების აშენებას და სხვა სამხედრო საჭიროებებს ხმარდებოდა. ყველა ეს ზომები მეტად კარგნი და საჭირონი იყვნენ, მაგრამ, თუ ჩვენ ის წარმოვიდგინეთ, რომ მათი განხორციელება ადვილი იყო და არავის თემისტოკლესათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ეს იქნება ათინელების პოლიტიკურ კკუსია და მიხვედრის ნიჭის გაზვიადება. თემისტოკლეს წინააღმდეგებიც ჰყავდა და ცილისმწამებელნიც; და ყველაზედ გულსატკენი ის იყო, რომ უმთავრესი მათგანი უუპატიოსნესი ათინელი და მარათონის უებარი მებრძოლი—არისტიდე, ლიზიმახოსის შვილი იყო.

10 არისტიდე. არისტიდე ბავშვობიდან თემისტოკლეს ამხანაგი იყო, მაგრამ იგი არ დარჩა მისი მეგობარი. მათი გუნება და ხასიათი სრულებით შეუფერებელი იყვნენ. თემისტოკლე—ეს სკეპტიკი, შემპარავი და მოქნილი კაცი, რომელიც არაფერს გვერდს არ აუვლის, ოლონდ კი მიზანს მიაღწიოს, პოლიტიკურ მოღვაწის ნამდვილი ტიპი იყო. ერთხელ მასთან საზოგადოთ მიუდგომლობას აქებდნენ. „მე არ მოვისურვებდი მოსამართლეობას, თუ მეგობრებსაც ისე უნდა მოვეპყრა, როგორც ჩემთვის სრულებით უცხო პირებს“, შენიშნა თემისტოკლემ. არისტიდე სულ სხვა კაცი იყო: შეურყეველი პრინციპები, უზადო ყოფა-ქცევა, უკიდურესი მიუდგომლობა, სინიდისის შესანიშნავი სიფაქიზე—აი რა თვისებების პატრონი იყო თემისტოკლეს მეტოქე. ორი ათინელი ერთმა-

ნეროს უჩივოდნენ მასთან. ერთმა მათგანმა, იმის მაგიერ, ართ-  
 თავის საქმეზე ელაპარაკა, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა  
 დაუშავებია მის მოპირდაპირეს არისტიდესათვის. „მეგობარო,



### არისტიდე

უთხრა არისტიდემ, — შენ ის მითხარი, შენთან რა დაუშავე-  
 ბია ამ კაცს; მე ხომ შენს საქმეს ვარჩევ და არა ჩემსას“. ერთ-  
 ხელ მან შემოიტანა სათემო კრებაზე წინადადება, რომელმაც  
 დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ბოლოს კენჭის ყრას უნდა  
 შესდგომოდნენ, მაგრამ არისტიდემ უკანვე წაიღო თავისი წი-  
 ნადადება, რადგანაცო, — სთქვა მან, — პროექტის განხილვამ და-  
 მანახვა მისი ნაკლულევანებათ.

11 არისტიდეს და ოქმისტოგლეს მეტოქეობა. არისტი-  
 დესთანა პირები ხალხის ზნეობრივ მდგომარეობისთვის სასახე-  
 ლოა. მაგრამ ისინი საქმის დროს ხელმძღვანელობენ ისეთის

სიფაქიზით, რომელიც ხალხს არ ესმის, უანგარობით, რომელ-  
საც ხალხი დასკინის და ამასთან შეურყევებელი და სასტიკი  
პრინციპებით და ეს თვისებები კი შეუფერებელია იმ ათას  
წვრილმან სიძნელესთან, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვ-  
რება წარმოადგენს. ამ გვარი ხასიათის კაცი ვერ არის ხალხის  
დიდი პატივისმცემელი და მოყვარე, რადგანაც თვალში მას  
პირველად ხალხის ნაკლულევანება მოხვდება ხოლმე, ის ნაკ-  
ლულევანება, რომელსაც თვითონ მოკლებულია. გარდა ამ  
უკიდურეს განსხვავებისა არისტიდესა და თემისტოკლეს შო-  
რის არსებობდა პირადი მეტოქეობაც, რისაგან თავისუფალი  
არ არის თვით გენიოსიც. არისტიდესა და თემისტოკლეს  
ერთმანერთის წინააღმდეგობა, ერთმანეთთან ბრძოლა იყო  
ძველისა და ახალის ათინის ბრძოლა. არისტიდეს შეხედულე-  
ბით, თემისტოკლესაგან დაწყებული საქმეები დიდ საფრთხეს  
უმზადებდნენ ათინას; მეურნე ათინელი უნდა შეიქმნეს ზღვაო-  
სანი, მიატოვოს ყანები და გემების ქარხნებში იმუშაოს, გაირ-  
ყნეს უცხოეთიდან შემოტანილ ზენ-ჩვეულებით; პირები აივ-  
სება უცხოელებით; ომი და ომის ბედი დაქირავებულ ზღვაო-  
სანთა ხელში იქნება. არისტიდეს ეს მოსაზრებანი სიმრთლეს  
არ იყვნენ მოკლებულნი, მაგრამ მათი ნაკლი ის იყო, რომ  
მეტად ვიწრონი და დროის შესაფერნი არ იყვნენ. გარდა ამ  
პრინციპიალურ წინააღმდეგობისა, არისტიდე იმით უშლიდა  
ხელს თემისტოკლეს, რომ იგი ფხიზლად ადევნებდა თვალ-  
ყურს დაწყებულ საქმეების ფინანსიურ მხარეს და, რასაკვირ-  
ველია, ჰედავდა, რომ ყველა დახარჯული ფული საქმეს არ  
ხმარდებოდა; ქრთამი და გაფლანგვა, როგორც ეხლა, წინადაც  
ხშირი იყო! თემისტოკლე ამისთანებს გვერდს არ უვლიდა  
და არისტიდე ამას საჯაროდ ამხელდა.

თემისტოკლე ჰედავდა, რომ არისტიდე მას არა თუ ხელს  
უშლიდა, არამედ საშიშიც ხდებოდა. თვითონ არისტიდეც  
გრძნობდა, რომ საქმის ამ გვარი მდგომარეობა მავნებელი იყო  
ათინისათვის. „ათინას სიკეთე არ მოელის, სანამ მე და თემის-  
ტოკლეს უფსკრულში არ გადაგვყრიანო,“ თქვა მან ერთ დღეს.

მაგრამ თემისტოკლეს სრულებით არ სურდა მასთან ერთად და ღუპულიყო; მან არჩია არისტიდეს ოსტრაკისმით მოშორება. შესდგა სათემო ყრილობა მოედანზე ამათი საქმის გადასაწყვეტად. არისტიდე აქ იყო და დასეირნობდა დამშვიდებული, თითქო მას არ ეხებოდა დღევანდელი საქმე. ერთმა გლეხმა, რომელიც მას არ იცნობდა და რომელმაც წერა არ იკოდა, სთხოვა მას, დაეწერა სადაფზე არისტიდეს სახელი. არისტიდემ გაკვირვებით შეხედა გლეხს და ჰკიოხა, იცნობს თუ არა იგი არისტიდეს და ან რა დაუშავა მას. „არა, მე მას არ ვიცნობ და არც ცუდი რამ უქნია ჩემთვის, მაგრამ, სწორედ გიოხრა, მობეჭრდა, რომ მას ყველა და ყოველგან „სამართლიან“-ს ეძახის“. არისტიდემ დაუწერა თავის სახელი, სიტყვის უთქმელიდ და დაუბრუნა სადაფი. ხმის უმეტესობით გადაწყდა მისი ათინიდან განდევნა. გადმოცემით, როცა იგი ქალაქიდან გადიოდა, მან შესთხოვა ღმერთებს, რათა ათინა არ ჩაეყენებიათ ისეთ ცუდ მდგომარეობაში, რომ იგი საჭირო შექმნილიყოს.

**12. ათინის მზადება სპარსელების წინააღმდეგ.** თემის-თოკლემ თავისუფლად ამოისუნთქა და მეტის ენერგიით შეუდგა დაწყებულ საქმეების დამთავრებას; ჩაუშა ზღვაში ახალი ტრირემები, მოიწვია უცხოეთიდან ინჯენრები და ხელოსნები, ავარჯიშებდა ახალგაზღობას და ასწავლიდა ნიჩბისა და იალქნის ხმარებას. „მეთვალყურეს შეეძლო. ეთქვა, რომ ათინელებმა მხოლოდ მაშინ შეიგნეს თავიანთი ნამდვილი ნიკი და დანიშნულება, რაც თემისტოკლემ უჩვენა მათ, თუ რა საუნჯეს და სიმდიდრეს წარმოადგენდნენ დახელოვნებული ხალხისათვის ატტიკის ნავსადგურები. ათინელები მიხვდნენ, რომ ბუნების დადგენილებით ისინი ზღვაოსან ხალხად არიან შექმნილნი.“

არ გასულა რამდენიმე თვე და თემისტოკლეს წინასწარმეტყველება გამართლდა! სპარსელები ისევ ომს იწყობდნენ. დარიოსი მოკვდა ბერძნების ჯავრის ამოუყრელიდ, მაგრამ მან უანდერდა შვილს ქსერქსეს მომზადებული ჯარი და თავისი შურისძიება.

13. ქსერქსესი. ახალი მეფეთა-მეფე, შაჰ-ინ-შაჰ, იყო დარჩა უნამდვილესი განხორციელება აზიელ მბრძანებელისა, რომელიც გაზრდილი სერალში (არამხანაში) სულ-მდაბალ მონებ შორის, სადაც მას ერთი სიტყვის შემბრუნებელიც კი არ ჰყავს და ყოველი მისი სურვილი და უინი გამოთქმამდე დაკმაყოფილებულია, რომელიც მოსისხლეც არის და ლმობიერიც, სასტიკიც და გულკეთილიც, ხარბიც და ხელგაშლილიც, დამნდობიც და ეჭვიანიც, ქეითის და უინის მიხედვით და ამასთან ბავშვსავით მოუთმენელი და მწუხარე, როცა რომელიმე მის შეუსრულებელ სურვილს ვერ იკმაყოფილებს; იგი იმდენად გულზვიადი და ამაყია, რომ მის სურვილებს საზღვარი არ აქვს და ვერ წარმოუდგენია ვისმესაგან წინააღმდეგობა. ჩვენი დროის აღმოსავლეთის მეფეები მხოლოდ მკრთალი მიზანებისა, რომელთა საარაკო, ზღაპრული ბრწყინვალება აბასიდებმა აღადგინეს საშუალო საუკუნოებში; ეს აბასიდებიც, შექერაზადის ზღაპრების გმირებსავით, ოქროებს ისეთივე სიადვილით ფლანგავლენენ, როგორც ადვილიად ყელს უღადრავლენ თავიანთ მოსამსახურეთ; დღეს შეშის მკრელს გახდილენ დიდებულ ვეზირად, ხვალ ვეზირს ხდილენ უღაზაკესს და შესაბრალის კაცად.

პირადად ქსერქსესი მეტად ლამაზი კაცი იყო; ამ მხრივ მას მთელ სამეფოში ტოლი არა ჰყავდა; რაც შეეხება გონებას და ჭრუას, იგი შორს იყო პირველობაზედ. რომ შემგონებელნი არა, შეიძლება მას განეგრძო უსაქმოდ და განცხრომით ცხოვრება სამეფო სასახლის მომხიბვლელ ბალებში; მაგრამ არც დედა მისი ატოსსა, არც მარდონიოსი მას მოსვენებას არ აძლევდნენ და დაარწმუნეს კიდეც, მიუხედავად ლარიოსის ძმის, არტაბანის წინააღმდეგობისა.

ისე არა ახასიათებს რა ქსერქსესის გონების მდგომარეობას, როგორც ის პასუხი, რომელიც არტაბანს მისცა, როცა ეს არ ურჩევდა საბერძნეთზე გალაშქრებას: „არტაბანო, შენ მამიჩემის ძმა ხარ და ამიტომ აგცდება ის სასჯელი, რომლის ლირსი ხარ კადნიერ სიტყვებისათვის. მაგრამ მე მოვიგონე შენ-



თვის შემარცხვენელი სასჯელი: შენ, ვაჟკაცობას და გაუზღვის მოკლებულო ადამიანო, დარჩები აქ სუზაში ქალებთან და მე კი უშენოდ შევასრულებ, რაც აღმითქვამს; მე არ ვიქნებოდი ჩამომავალი დარიოსისა, პიტასპოსი, არსამისა, არიარამნისა, თეისპისა, კიროსისა და ახემენისა, რომ უარი მეთქვა ათინელების დასჯაზედ”.

14. ქსერქსესის ჭარა. ხუთი წლის განმავლობაში იკრიბებოდა ის უზარმაზარი ჯარი, რომელიც ქსერქსეს საბერძნეთის წინააღმდევ მიჰყავდა. ამოდენა ძალის დახარჯვა ჯერ უმაგალითო იყო; ნახევარი აზიაჰეზნიდა ყველა თავის მეომრებს. ლიდიის ძველი სატახტო ქალაქი სარდი იყო დანიშნული მთელი ჯარის თავმოსაყრელ აღგილად; ასზე მეტი სხვა და სხვა ხალხი იყო აქ შეკრებული. აველა თავისებური ტანისა?ოსით, თავისებური იარაღით. მთელი ჯარი თვალთათვის საუცხოვო და სამაგალითო რამ სანახავი იყო, ოპერის დეკორატორისა და პოეტის გულის გამამხიარულებელი. რაღაც წარმოუდგენელი სურათი იყო ეს უამრვი აჭრელებული და მბრწყინავი ჯარი, თავის ცხენებით, აქლემებით და ათასნაირი ეტლებით. და ეს ამოდენა ხალხი მთელი თავის ძალობრივით და შეძლებით ემორჩილებოდა ერთი კაცის ნებას და სურვილს; ამ ერთ კაცს ერთის თავის სიტყვით შეეძლო მოძრაობაში მოეყვანა ეს უზარმაზარი ბრბო და საითაც უნდოდა, იქეთ უკრა თავი. რასაკვირველია, ამ უფლების მექონე მეფეთა-მეფე უაღრესს სიამოვნებას ჰერინობდა, მის მოხმარებით. აბიდოსს ზემოთ ქსერქსესშა აამართებინა მაღალი ტახტი და იქიდან დასცეკროდა მომავალ ჯარს; შვიდი დღე და შვიდი ღამე არ გათავებულა ეს თავისებური პროცესია და ბოლოს ნებიერ მეფეს მოყირჭდა კიდეც ამ სურათის ცეკრა.

ავანგარდს (მოწინავე ჯარი) შეადგენდა მეფის ჯარის საუკეთესო ნაწილი—მეფის მცველთა რაზმი, რომელიც, 10,000 სპარსელებისაგან შესდგებოდა; მთელი რაზმი ოქრო-ვერცხლში იყო ჩასმული; ათასს ამათგანს შების ბოლოს რკინის მაგიერ ოქროს ბურთი ჰქონდა გაკეთებული, დანარჩენ ცხრა ათასს

კი ვერცხლის ბურთი; თავზე მუხარადით დაფარული ნაშრობი ქუდები ეხურათ, ხელში შუბები ეჭირათ და წელზე ხმალი ეკიდათ. მდიდარი ტანისამოსითა და სამკაულებით ესენი ყველასაგან განირჩეოდნენ; აღმოსავლეთელს ყოველთვის უყვარდა მთელი თავის სიმდიდრე ზედვე ჰქონებოდა. თვითეულს ამ ათი ათასიდან ახლდა მრავალ რიცხვოვანი ამაღა, რომელთანაც ეხლანდელ დასავლეთელ მთავრების კორტეჯი არაფრად გამოჩნდებოდა; მათ თან მოჰყავდათ მთელი სახლი: სერალი, ურიცხვი მოსამსახურები, აქლემები და ურმები და სხვა. ამ რჩეულ რაზმს უკან მოსდევდა დანარჩენი სპარსელების ცხენოსანი ჯარი, ნაკლებ მდიდრულად გამოწყობილი, შემდეგ მიღიელები, რომელთ იარაღი სპარსელებისას ჰგავდა; ამათ უკან ათასნაირი ტომის ხალხი: ასირიელები სპილენძის მუხარადითა და რკინა შემოკრულ ხის ლახტებით, ბაკტრიელები ლერწმის მშვილდებითა და მოკლე შუბებით, იაქსარტის იქეთ მხრიდან მოსული საკები (სკითები) კონუსის ფორმის ქუდებით, ბამბის ტანისამოსიანი ბამბუკის მშვილდ-ისრით შეიარაღებული ინდიელები, პართები, ხორაზმელები, სოგდიანელები, ერთის სიტყვით ყველა იმ თემთა წარმომადგენელნიც, რომელნიც აქამიძე თურქესტანისა და ირანის მიყრუებულ ადგილებში ველურ ცხოვრებას ატარებენ. ამ თავისებურ კონცერტს კიდევ მეტს თავისებურობას ჰგვრიდნენ სამხრეთიდან მოსული მეომარნი—თეთრ-ბურნუსიანი არაბები და ვეფხისა და ლომის ტყავით შემოსილი ეთიოპელები, რომელნიც ისრის წვერად ჯერ კიდევ კაუს ხმარობდნენ და შუბის წვერად—შველის წამწვეთებულ რქას. აქვე იყო ქუჩუჩ თმიანი ლიბიელი, რომელსაც თავზედ ცხენის თავი ეხურა, ტყავის ფეხსაცმელიანი პაფლაგონიელი, ხალიბები, თრაკიელი თავზე მელის ტყავით და ბევრი კიდევ სხვა. ამათ რომ მიუმატოთ მონები, მეაქლემები, მებარგები და მეტლები, სერალი, მოვაჭრები და კიდევ სხვები, მაშინ ჩვენ გვექნება სუსტი წარმოგენა იმ საშინელ ლაშქარზე, რომელიც მეფეთა-მეფის თვალწინ გადიოდა ხიდზე, რომელიც ფინიკიელებმა და ეგვიპტელებმა გააკეთეს ჰელლესპონტზე აბი-



დოსა და სესტოსს შეუა. ჰეროდოტეს გამოანგარიშებით ამ სეთის ჯარის რიცხვი აღიოდა 1,700,000-მდე. აქ სახეში არ არის მიღებული ცხენოსანი ჯარი, რომელიც 80,000 მხედრისაგან შესდგებოდა, და ფლოტი (1200 ტრირემა), რომელიც, ქსერქსეს რომ მოხმარება სკოდნოდა, უმთავრესს მის ძალას შეადგენდა.

15. მეფეთა მეფის ამაფობა და დემარატის, სპარტაცნედ მეფის, სიტყვები. როცა სპარსეთის მთელი ჯარი ევროპაში გადავიდა, ქსერქსესი სრულებით დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა და შეეკითხა მასთან მყოფ სპარტანელ მეფეს დემარტის: „ეხლაც გაბედავენ ბერძნები ჩემ წინააღმდევობას?“ დემარტი თავის თავზედაც და საზოგადოთ ბერძნებზედაც იმდენად კარგი აზრის იყო, რომ არ შეეძლო ის ეთქვა სპარსეთის მეფისათვის, რასაც ეს უკანასკნელი მოელოდა. „სპარტანელი მეომარი მარტო არავის არ ჩამოუგარდება ვაჟეცაცობაში; მაგრამ თუ თავისიანებთან ერთად მტერს ებრძევის; მას ვერავინ შეედრება, რადგანაც, თუ იგი თავისუფალია, მისი თავისუფლება უსაზღვრო არ არის: იგი ემორჩილება ერთ ბატონს, რომელსაც კანონი ჰქვია; მას ეშინია ამ ბატონის ბევრად უფრო, ვიდრე შენს ქვეშევრდომებს შენი; რასაც ის ბრძანებს, სპარტანელი ისრულებს, და ჩვენი კანონი კი ყოველთვის იმის მბრძანებელია, რომ სპარტანელი არ შეუშინდეს მტრის სიმრავლეს, მტკიცედ იდგეს რაზმში, გაიმარჯვოს ან მოკვდეს“.

16. სპარსეთის ჯარის საბერძნეთისაგენ წასვლა. მეფეთა მეფეს სასაცილოდაც არ ეყო დემარტის სიტყვები და ჯარს წინ წასვლა უბრძანა ხმელეთის ჯარი და ფლოტი ერთმანერთის გასწვრივ მიღიოდნენ ათონის ნახევარ კუნძულამდე, რომელიც, ქსერქსესის ბრძანებით, გასჭრეს, რათა ფლოტს მისი მორება არ დასჭირებოდა. თრავია არ დანძრეულა და სპარსეთის ჯარი შევიდა მაკედონიაში და მივიდი თერმაიკის უბემდე, იქ, სადაც დიდებული ოლიმპია აღმართული. ამ მთის გადაღმა იწყებოდა ნამდვილი საბერძნეთი, რომლისაკენ ასე მიეშურებოდა სპარსეთის მეფე. მან ვეღარ მოითმინა, არ მოი-

ცადა, სანამ ჯარი გზას გაიკაფავდა, ავიდა ერთ ფინიკიური გემზე და მივიდა იმ ადგილას, სადაც განთქმულ ტემპერის ჭალიდან მომდინარე პენეოსს გზა გაუკვლევია ზღვისაკენ ორ მაღალ და ვიწრო კლდეთა კედლებს შეა.

17. საბერძნეთის ძველმარეობა და მისი მზადება სპარსელების წინააღმდეგი. როგორ უპირებდნენ ბერძნები დახვედრას „ბარბაროსებს“? ჰელადის ბევრი ნაწილი ამ დროს დასახლებულიც სქლად იყო და შეძლებაც დიდი ჰქონდა; მაგრამ ამ ნაწილებში შორის არ ყოფილა ისეთი ეროვნული კავშირი, რომელსაც შესძლებოდა მათი შეერთება საერთო მტრის წინააღმდეგ. სხვათა შორის სპარსელებს იმედი ჰქონდათ ჰერძნთა თემების ამ დაქსაქსულობისა. „ბერძნები, — ამბობდა მარდონიოსი, — ჩვეულნი არიან ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის უდროვოდ, განუსჯელად და ერთმანერთთან მოულაპარაკებლად. განა არ შეუძლიათ, რადგან ერთ ენას ლაპარაკობენ, ერთმანერთს მოციქულები გაუგზავნონ, მოილაპარაკონ და გაათაონ საქმე გარიგებით, იმის მაგიერ რომ ერთმანერთის სისხლი ჰლვარონ?“. ქსერქსესმა იგივე უთხრა დემარატის: „ყველა ბერძნები და დასავლეთის ხალხებიც რომ შეერთდნენ, მაშინაც ვერ შესძლებდნენ ჩემთვის წინააღმდეგობის გაწევას, მით უფრო ნაკლებ ეხლა, როცა ისინი ვერასოდეს ვერ შეთანხმდებიან“.

სწორედ ეს იყო საბერძნეთის იარა და უკურნებელი სენი; სპარსელები ამას მიმხდარნი იყვნენ. დელფი აღარ იყო ჰელადის ცენტრი. ყოველი თემი თავისთვის სცხოვრობდა; მეზობელი უცხოელი მტერი იყო. იშვიათი მოვლენა იყო მეორე თემიდან ქალის მოყვანა. თემებ შორის მუდმივი უთანხმოება იყო და არ არსებობდა ისეთი ფედერატული სამსაჯულო, რომელსაც შესძლებოდა თემთა-შორისი დამოკიდებულება წეს-რიგზე დაეყენებია. ერთი კიდევ ამაზე უარესი მოვლენა იყო იმ დროის საბერძნეთში: ყოველ თემში არსებობდა პარტია, რომელიც სულით და გულით ნატრობდა სპარსელების მოსვლას, მათ გამარჯვებას; ეს იყო არისტოკრატიული



პარტია, რომელიც სასოწარკვეთილებას მიეცა, როცა დაინიშნა, რომ მას თემის ბატონობა ხელიდან ეცლებოდა და ხალხის ხელში გადადიოდა. ათინა, სადაც დემოკრატია თან-და-თან იმარჯვებდა, არისტოკრატებისათვის რაღაც საშინელებას წარმოადგენდა; დემოკრატებს ისევ სპარსელები გვირჩევნიათ, აი მათი პოლიტიკის დევიზი და პროგრამმა; თესალიაში და თებაში ეს მოღალატენი ბატონები იყვნენ და გაბედვით, საჯაროდ გამოთქვამდნენ თავიანთ სურვილებს. ათინაში კი, სადაც მათ ნიადაგი ეცლებოდათ, ჩუმად და საიდუმლოდ მოქმედებდნენ; ქურუმთა კორპორაციებიც არისტოკრატიას მხარს აძლევდნენ, რადგანაც სხულდათ დემოკრატიული მართებლობა და ამას გარდა ეშინოდათ, არ დაეკარგათ ის საჩუქრები, რომელნიც მათ უცხოეთის მეფეებისაგან მოსდიოდათ, თუ ისინი ხალხთან ერთად სპარსელების წინააღმდეგ იმოქმედებდნენ.

18. ათინასა და სპარსეს ჭავშირი. ყველაზე უწინ სპარტასა და ათინას შეთანხმება იყო საჭირო; თუ ეს მოხერხდებოდა, სხვებიც მიბაძავდნენ ამ ორ უძლიერეს თემის მაგალითს. თემისტოკლესმა მთელი თავისი ძალ-ღონე და ნიკი მოიხმარა ამ მიზნის განხორციელებისათვის. 481 წლის შემოდგომაზე ჰელადის უმთავრეს თემების წარმომადგენლები შეიკრიბნენ კორინთზე, სპარტას თავმჯდომარეობით. ჩიფათიახლო იყო, მომავალი შავის ღრუბლებით იყო დაფარული. თემისტოკლესა და არკადიელ ხილეოსის ჩაგონებით, აქ შექმნეს ახალი კონფედერაცია, რომლის დანიშნულება ჰელადის დამოუკიდებლობის დაცვა უნდა ყოფილიყო. დადგენილი იყო, რომ ჩაჩუმებდნენ ძველ უთანხმოებას და მოიწვევდნენ იმ თემებს, რომელნიც ჯერ კიდევ რყევაში იყვნენ და სპარსელებს არ მიკედლებოდნენ. ვინც კი ნება-ყოფლობით მიემხრობოდა სპარსელებს, მოღალატედ იყო მიჩნეული და უნდა დასჯილიყო როგორც მოღალატე. მოკავშირენი პირობით შეეკრენ ერთმანერთს, რომ, როცა მტერი განდევნილი იქნება სამშობლოს ტერიტორიიდან, ისინი საერთო ძალებით ომს გამოუცხადებენ სპარსელების მომხრეებს და, ძველებური წე-



სის მიხედვით, ნაალაფევის ათის თავს შესწირავენ დელფინს ღმერთს.

19. საბერძნეთის ძალა; ათინას დამსახურება. ასეთი იყო საბერძნეთის მდგომარეობა იმ დროს, როცა ქსერქსესმა საბერძნეთში ფეხი შემოდგა. მთელი პელოპონეზი, არგოსის გარდა, და შეუა საბერძნეთიდან — ათინა, მეგარა, პლატეა, თესპისი შეადგენდნენ თავისუფლების დაცვის ლიგას. დანარჩენი თემები ან ნეიტრალები იყვნენ (არც იქით, არც აქეთ) და ან მოლალატენი, თუ ნეიტრალობა ამისთანა დროს ღალატად არ ჩაითვლება. საბერძნეთის ხსნა ყველაზე უფრო ათინელების მამაცური ქცევის საქმე იყო. ით რას ამბობს ამის შესახებ ჰეროდოტესი: „მე აქ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი; იგი ბევრს არ მოეწონება, მაგრამ არ შემიძლია არ ვსთქვა ის, რაც კეშმარიტებად შიმაჩინია. ათინელებს რომ მოსალოდნელი ხიფათის შეშინებოდათ, მიეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა ან არ მიეტოვებინათ და ქსერქსესს დამორჩილებოდნენ, ვერავინ გაბედავდა, წინააღმდეგობა გაეწია სპარსელებისათვის ზღვაზე; და თუ სპარსელებს ზღვაზე წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, ით რა მოხდებოდა: ლაკედემონელები შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ რადგანაც ისინი ვერ შესძლებდნენ ზღვაზედაც და ხმელეთზედაც წინააღმდეგობის გაწევას, ისინი ვაჟკაცურად სიკვდილის მეტს ვერას მოახერხებდნენ.“ ჰეროდოტესთან ერთად ჩვენც უნდა ვთქვათ: ათინელები იყვნენ ჰელაზის მხსნელები; მათ შორის უმთავრესი და უპირველესი ადგილი დაიმსახურა ვაჟკაცობით, ინიციატივით და გონების სიმახვილით თემისტოკლემ. სპარტა მძიმედ და ჩვეულებრივ უგუნებოდ შეუდგა საქმეს.

20. ორმობრივე და ღეონიდასი. თავდაპირველად განზრახვა ჰქონდათ დაეცვათ სპარსელებისაგან პენეოსის ჭალა, მაგრამ რადგანაც ეს მხარე არ იყო მაინც და მაინც საიმედო, ეს განზრახვა მიატოვეს. თემისტოკლეს შეგონებით, ჯარის ერთი ნაწილი მაინც გაჰგზავნეს მტრის გზის გადასაღობავად თერმოპილთან, კალიდრომსა და მალიაკის უბეს შეუა. თერმო-

პილის კარი ადვილი დასაცველი იყო: მარცხნივ მუხისადაც ნაძვის ტყით დაფარული მთა, მარჯვნივ — ზღვა, შუაში — ვიწრო გასავალი, სადაც ფოკიდლებს დიდი ხანია კედელი ამოეყვანათ; ფლოტსაც შეეძლო დახმარებოდა აქ მდგომარე ჯარს. ამ სასახელო პოსტის დაცვა მიენდო სპარტანელებს, რომელთაც იქ გაჰვაწვნეს მხოლოდ 300 კაცი მეფე ლეონიდასის სარდლობით; დანარჩენმა პელოპონეზელებმა გამოგზავნეს 3000-მდე კაცი, ამათ შემოუერთდა 700 თესპიელი ჰოპლიტი და 400 თებელი, უკანასკნელები ძალაუნდებურად, როგორც მძველები, რადგანაც ლიგას ეშინოდა თებელების ღალატისა. ფლოტი ხალკისთან (ევბეა) გახერდა, შემდეგ არტემიზიუმის (ევბეის ჩრდილოეთი ცხვირი) ახლო, პაგაზეივს უბის სამხრეთით.

ამასობაში ქსერქსესი გადავიდა მდ. სპერხიოსის მარჯვენა ნაპირზე და მიატანა თერმოპილის კარს. უგი არ მოელოდა აქ არავითარ წინააღმდევებას და სახტად დარჩა, როცა დაინახა, რომ ბერძნები სრულებით არ ფიქრობდნენ უკან გაბრუნებას. წინააღმდევ ამისა, სრულის აღუშფოთველობით მოელოდნენ მტრის მოსვლას. ლაკედემონელები, ბანაკ გარეთ ჩვეულებრივ გარჯიშობდნენ, თითქოს სპარტაში პალესტრაზე (სავარჯიშო ადგილი) ყოფილიყვნენ, ან უზრუნველად თავიანთ გრძელ თმებს ივარცხნიდნენ. მეფეთა-მეფეს გონება დაებნა და სპარტანელები გიუებად ჩარიცხა.

გაკვირვებისაგან გაყეყეჩებული მეფე ხუთის დღის განმავლობაში ელოდა, რომ ბერძნები სიგიუს თავს დაანებებდნენ და მას გზას მისცემდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მეხუთე დღეს მათზე იერიშის მიტანა ბრძანა. მიღილებმა და კისიელებმა გასავალი თავიანთი მკვდრებით აავსეს, მაგრამ ერთი ბიჯიც კი ვერ წადგეს წინ. უველასათვის ცხადი შეიქნა, ქსერქსეისათვისაც-კი, რომ მეფეს დიდი ბრძო ჰყავდა, მაგრამ კაცები კი ცოტა. „უკვდავნიც კი“ (მეფის მცველთა რაზმი „ათიათა-სნი“) უკუქცეულ იქნენ. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. მაგრამ ბერძნებს გამოუჩნდა მოღალატე — ეფიალტიკ, იმ იმედით, რომ იგი დიდ ჯილდოს მიიღებდა, უჩვენა სპარსელებს ერთი

მთის ბილიკი, რომლის საშუალებით შეიძლებოდა ბერძნების უკან მოვლა. „უკვდავნი“ მთელი ღამე მიღიოდნენ ამ ბილიკით, წინ მოლალატე მიუძღვოდა; ბილიკის ბოლოს წააწყდენ ფოკიდელებს, რომელნიც მოულოდნელის თავდასხმით შეშინებულნი გაიქცენ. როცა ეს ამბავი ბერძნებმა გაიგეს, უმეტესი ნაწილი უკან წავიდა; მხოლოდ ლეონიძის 300 სპარტანელით, თესპიელები, რომელთაც თავის გაწირვა გადასწყვიტეს, და ძალით დაკავებული თებელები დარჩენ მტრის შესახვედრად. ასტყდა საშინელი ბრძოლა. მტრისაგან გარშემორტყმულ ბერძნებს ხსნის იმედი არ ჰქონდათ. ლეონიძის და მასთან უკველა ბერძნები, გარდა თებელებისა, რომელნიც მტერს დანებდნენ, სახელოვანად დაიხოცენ ომის ველზე. შემდეგ თერმოპილის კარის შესავალში დადგეს ლომის დიდი ქანდაკება და კლდეზედ ამოჭრეს ცნობილი ზედ-წარწერა: „მგზავრო, აცნობე ლაკედემონს, რომ ჩვენ აქ დავიხოცეთ, მორჩილნი მისი კანონებისა“.

21. საბერძნეთის ფლოტის მოქმედება; ბრძოლა არცემდა უკაუშოთან. იმ დროს, როცა ლეონიძასი მტერს აკლავდა თავს თერმოპილის კარებთან, ბერძნების ფლოტი, რომელიც შესდგებოდა 261 გემისაგან, არტემიზიუმთან იდგა. ლაკედემონელების მარტო 10 გემი იყო, მაგრამ მთავარ-სარდლათ — სპარტანელი ევრიბიადესი იყო; ათინელებს კი თითქმის ნახევარი ფლოტი ეკუთვნოდა; სამართლით მთავარ სარდლადაც ათინელი უნდა ყოფილიყო; მაგრამ რადგანაც იცოდნენ, რომ ეს დიდ უთანხმოებას გამოიწვევდა და საერთო საქმეს ამით ზიანი მიეცემოდა, ათინელებმა თავმოყვარება საერთო საქმეს შესწირეს. უამისოდაც უთანხმოება იყო მოკავშირეთა შორის; უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ ფლოტი უკან უნდა დახეულიყო; შეშინებულ ევბეის ქალაქებმა, რომელთაც პირველად უნდა დასხმოდა სპარსეთის ფლოტი, 30 ტალანტი მისცეს თემისტოკლეს, რათა მოეხერხებინა ფლოტის გაჩერება. ამ ფულის ნახევარზე მეტი თავისთვის დაიტოვა თემისტოკლემ, დანარჩენი გაუყო ევრიბიადესს და აღიმანტს, კორინთელ სარდალს,



რათა ესენიც თავის მხარეზე გადმოეყვანა. ფლოტი დარჩა უზარეს და მოელოდა სპარსელებს. სპარსეთის ფლოტი შესამჩნევად დაზარლადა თერმაიკის უბეში ქარიშხალის დროს— 400-მდე ნავი და ურიცხვი ხალხი დაიღუპა; მაგრამ მაინც მეტად საშიშარი სანახავი იყო თავისი რიცხვით. პირველი შეტაკება ბერძნების სასარგებლოდ დაბოლოვდა. შემდეგ დამეს დიდი ქარიშხალი და წვიმა ამოვარდა და სპარსეთის ფლოტი ერთხელ კიდევ საგრძნობლად დაზარალდა; თან-და-თან რაოდენობითი განსხვავება ორ ფლოტ შორის მცირდებოდა. მეორე დღეს კიდევ ბერძნები— დარჩნენ მოგებულნი, მაგრამ მათაც დიდი ზარალი ნახეს და გადასწყვიტეს, არტემიზიუმს მოშორებოდნენ, მაგრამ პირველმა გამარჯვებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; ბერძნები უფრო და უფრო გამხნევდნენ: „მნემოსინა, ამბობს ლაკონელთა ხორო „ლიზისტრატაში“, ზეშთააგონე ჩემ მუზას, რომელმაც იცის ჩვენი და ათინელების საგმირო საქმენი! როგორის გატაცებით მიიტანეს მათ იერიში სპარსელებზე, არტემიზიუმთან! როგორი ბრწყინვალე გამარჯვება იყო! რაც შეეხება ლეონიდასის ჯარის კაცებს, ისინი ემზგავსებოდნენ ველურ ტახებს, რომელნიც თავიანთ ქილებს (ეშვებს) ილესავენ; ისინი ოფლში იწურებოდნენ და მაელი ტანი სველი ჰქონდათ: სპარსელების ჯარი ქვიშაზე უმრავლესი იყო“.

22. საბერძნეთის ფლოტი სადამინთან. ათინის მიტოვება. საბერძნეთის ფლოტი, ათინელების თხოვნით, სალამინთან გაჩერდა; მტერიც უკან დაედევნა; ხმელეთის ჯარი ფლოტის გასწვრივ მოდიოდა; გამოიარა ბეოტიაზე, სადაც მან თესპისი და პლატეა დასწვა და გაემართა ათინისაკენ. შიშმა შეიძყრო მთელი ქალაქი; მამაცებსაც კი გონება დაეკარგათ. არ იცოდნენ, რა ექნათ: გაქცევა აერჩიათ, თუ ქალაქში დარჩნილიყვნენ. დელფის პირველმა პასუხმა კიდევ უფრო მეტი არეულობა გამოიწვია: „რათ მოსულხართ აქ, უბედურებო! გაიქცით და ირბინეთ ქვეყნის გათავებამდე“. ამას მისანმა ბევრი გულის შემზარავი წინასწარმეტყველება მიუმატა. ატირებული